

ლიტერატურის  
Literature Museum



მუზეუმი

© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის  
სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი 2014

Maro Makashvili. *Diary (1918–1920)*  
Literature Museum, Tbilisi 2014

[www.literaturemuseum.ge](http://www.literaturemuseum.ge)

ტელ.: +995 32 293-20-45

[info@literaturemuseum.ge](mailto:info@literaturemuseum.ge)

გამომცემელი	ლაშა ბაქრაძე
რედაქტორი	თეა თვალავაძე
ნიგნზე მუშაობდნენ	ირინე ამირიძე
	ლიანა ქიტიაშვილი
	გიორგი ორახელაშვილი
	ფატი გაგულია

ლიტერატურის მუზეუმი მაღლობას უხდის კომპანია  
*მაგთიკომს* გამოცემის დაფინანსებისთვის

დაიბეჭდა სტამბაში *ფავორიტი პრინტი*

ISBN 978-99940-28-86-3

**მაგთი**  
**MAGTI**



**ჩვენ ქართულ სექტორს ვაკეთებთ**




მარო მაყაშვილი  
დღიური

ლიტერატურის  მუზეუმი  
Literature Museum

თბილისი

2014



მარო მაცაშვილი 1874 წელს

და დასრულდა წიგნი წიგნი წიგნი

წიგნი

მარო მაცაშვილის დღიურის გვერდი

**მ. მ. მარო.**

**დღიური. 1918 წ.**

საქართველო.

„ის“. ქეთო.

ძირს ძველი კერპები,

ახალნი ვინამოთ!!!

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია...

თუ კაცი თვითონ არ არის,

ცუდია გვარი-შვილობა.

მარო მაცაშვილი. 1917 წელი.

O, еслиб – без слов

Сказаться душой было можно!

უცნობი.

პატე, გოგა, ელიჩკა, ქეთო, ელო, მარო, „ის“.

Конкретный – კერძო.

Если характер может сложиться только в водовороте жизни, то это же самое можно сказать и о таланте. Талант развивавшийся в тиши, наверное, окажется тепличным растением, которого цветы скоро поблекнут в суровой атмосфере действительности. Да, и может-ли существовать талант без характера? Человек без характера не может не только правильно поступать, но и правильно думать. Его безхарактерность станет у него поперек дороги. В его тончайших умозаключениях и повернет на ложный путь его, до тех пор правильный, ход мыслей.

*Штильгаген*

დიდი ძილის შემდეგ ამოჰყო მზემ, თვალები დაის-  
რისა, ზარმაცად გადმოხედა დედამინას და გაიფიქრა:  
„ნეტა, რას აკეთებენ იქ, დიდი ხანია არ ჩამიხედნია“.  
დედამინამაც იგრძნო სითბო და ნელ-ნელა გადიხადა  
თვისი თბილი საბანი. აჩუხჩუხდა რუები, აღელდნენ ხე-  
ები, მოულოდნელად ელოდნენ თავიანთ კეკლუც კა-  
ბებს. ცამაც გადიფარა ცისფერი სარტყელი. გაცოც-  
ხლდა ბუნება და გააცოცხლა სულდგმულიც. ჭიაღუამ  
აიდგა ფეხი და მუშაობას შეუდგა. ფრინველები თანდა-  
თან იკრიბებიან შორეულ ქვეყნებიდან და ერთმანეთში  
ჭორიკანობენ. სალამო მშვენიერი არის. მთვარე, მფლო-  
ბელი ღამის სივრცისა, დაბრძანდება თავის ციმციმა ამა-  
ლით. სიჩუმეა. სიოც განაბული სთვლემს ტოტებში. ზო-  
გან წამოიკვნესებს ბულბული და ისევ მალე წყდება მისი  
ჰანგი. ყვავილები ერთმანეთს ეკონებიან. მთვარემ გა-  
დაავლო ყველაფერს თვალი, დარწმუნდა, რომ ყველ-  
გან მშვიდობაა, გამოესალმა აქაურობას და ისევ მიიძი-  
ნა. მის მაგივრად მზემ გაუცინა კვლავ გაღვიძებულ  
დედამინას. სოფლები ახმაურდნენ. ყველა ჩქარობდა, წა-  
სულიყო ყანაზედ და მოეთოხნა პური, რომ წლის სარჩო  
შეეძინათ. ყველა ფუსფუსებდა, უმეტესად დედაკაცები.  
კაცები აქა-იქ სჩანდნენ, ისიც ან ძალიან ახალგაზრდე-  
ბი ან ბებრები. ყველა მირბოდა მდელოებისკენ. ამ ფუს-  
ფუსში ბევრს ცრემლი ადგებოდა თვალთ. რა ამბავი  
იყო? აი, რა: მუშა-ხელი გამოილია. რამდენმა ყმანვილ-  
მა ბიჭმა შესწირა თავი მამულს და რამდენი სხვა ქვეყა-  
ნაში იყო და თავისი სამშობლო გასაუბედურებლად  
დაეგდო. ამ ომმა ბოლო მოულო მუშაობასაც და ბედნი-  
ერებასაც. რამდენმა დედამ ცრემლებით გაგზავნა თვისი  
შვილი სასიკვდილოთ. რამდენმა დედამ ღამეები ლოც-  
ვაში და ტირილში გაატარა. საბრალო არსებანი. გაზარ-

დეს რა წვალებით და ეხლა რა დღე დაადგათ. ნუ თუ მაგისტვის შესწირა დედამ თვისი სიცოცხლე, რომ ვი-  
ლაცა გარეული ადამიანისთვის შესწიროს შვილი. სამ-  
შობლო, საქართველო აღარ იყო. მტერი სამშობლოს კი  
არ ანუხებდა, სამშობლოს უცხო პატრონს, რომელსაც  
მტერი უნდა მოეგერიებინა და საბრალო ქართველი ნა-  
ასხა. სად არის სამართალი. ერეკლე, ერეკლევე, რაზედ  
დაგვლუპე. მართალია, შენც სხვა გზა არა გქონდა, მაგ-  
რამ რუსს რათ მიგვეცი, იმიტომ რომ მთელი ჩვენი სი-  
ცოცხლე ვიტანჯოთ, რათ? რა დაგიშავა საბრალო ერ-  
მა, ღმერთო!

გაზაფხულია, მოალერსე, მომღიმარე, მაგრამ ეს  
არავისზედ არ მოქმედობს. მათი ფიქრები სულ სხვა-  
გან არის – ან შვილებთან, ან ქმრებთან და ძმებთან,  
რომელნიც იქნება განგმირულნი გდიან ბრძოლის ველ-  
ზედ. მოხუცებული კაცები მიიზლაზნებოდნენ მინ-  
დვრებისკენ გადაგდებულ თოხებით და ხორბლით.  
უკანაც ბავშვები მისდევენ წყლით და პურით, მთელი  
დღის საგზალით. სიმღერა აღარ ისმის. სად არის ურ-  
მული და ჰოროველა? ყოველი ხორბალი ცრემლებით  
ითესება. მისი მთესველი იმას არ ევედრება ღმერთს,  
რომ კარგი მოიყვანოს ყანა და შიგ ღვთის თვალი დატ-  
რიალდეს და თავთავმა მიწაზედ დახაროს სიმძიმის-  
გან თავი. არა! ის ლოცულობს, მისი შვილი ან მახ-  
ლობელი მშვიდობით დაბრუნდეს ბრძოლიდან და  
მაგაზედ მეტი მას არა უნდა რა. შინაც დედაკაცი  
მხიარული არ არის, მონყენით და ოხვრით ასრუ-  
ლებს თავის მოვალეობას. მისი ჭკუა დაბნეულა და  
ხანდისხან იმას აკეთებს, რაც საჭირო არ არის. ბავშ-  
ვსაც კი ესმის ესეთი მდგომარეობა. „დედა, ნუ გეში-  
ნიან, მამილო მალე მოვა, და თუ არ მოვიდა, ღვთის

ნებაა, მე მალე გავიზრდები და ნახავ, როგორ შეგინახავთ“. მაგრამ ამ სიტყვებზედ ბავშვსაც სტკივა გული. დედას ამხნევენს, თითონ კი იტანჯება. სოფლის ქუჩები მთელი დღეებით ცარიელია. ან ყველა მინდორშია, ან სახლში ჩაკეტილი. ბაღლობა ზოგიერთ ალგას აბუზულან ან მონყენით ლაპარაკობენ. ზოგიერთნი კი, სულ პატარები, დალასლასებენ ან ყვირიან ან ჩხუბობენ. აი, ესენი არღვევენ სიჩუმეს. სახლში შეხვალ, იქ ცრემლებით არწევს დედა ბავშვს და ეუბნება: შე საბრალო, იქნება, მამა შენის ნახვა ვერ დაგცალდეს. და ამაზედ უფრო ამოუჯდება გული საბრალოს. მოხუცებული დედა კი იგონებს თავის შვილის ყოველ ნაბიჯს და დასტირის, იქნებ, ჯერეთ ცოცხალს. თუ ძველად სამშობლო თავისუფალი ყოფილიყო, ნუ თუ დედა არ შესწირავდა სიხარულით შვილს თავის მამულის დასაცავად. ეხლანდელი დედა დაემსგავსებოდა უწინდელს, თუ კისერს უღელი არ ჰქონოდა. ოჰ, მონობა რა ცუდი ყოფილა. შენ გინდა და სხვა გიშლის. რუსეთმა, რაც კი კარგი გვქონდა, ჩვენი კულტურა სულ დასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა. ეს მეტად ცუდი იყო გლეხებისთვის, რომლებსაც თავს დაადგნენ და ტყავს აძრობდნენ. ამ რუსობამ გლეხებიც კი ძლიერ გააფუჭა და სინდისი დაუკარგა, ნამუსიც. ეხლა თავისუფლობა გამოვაცხადეთ, კვლავ დამოუკიდებლები ვართ. ამისდა მიუხედავათ გლეხი სულით და ხორციით დაეცა, დაავინყდა რწმენაც და პატიოსნებაც. იმის მაგივრათ, რომ ყველანი ერთად იცავდნენ ამ მონობის განთავისუფლებისგან, აქ გლეხი გამხეცდა და თავის მოძმე ქართველსავე ჰკლავს. საზღვარი არ არის.

ადამიანი დაილუპა. გაფუჭდა. აი, რუსობამ რა შედეგი მოუტანა ჩვენ ერს. ნუ თუ დადგება ის დრო, როდესაც ძველებურად აუძგერებს ყველას გულს. ღმერთო, მალე, მალე მოვიდეს ის დღე და ქედ მოხრილნი მარტო შენი მონები ვიყვნეთ. რა იქნა ძველი ჩვენი განათლება, სწავლა და კულტურა. მანდილი გადააფარა ამას ყველაფერს ოხრათ დარჩენილმა რუსმა. ოჰ, როგორ მძულან, მეტადრე ეხლა, ამ ომის დროს და მერე: ვკითხულობ ყაზბეგის წიგნს, სადაც რუსეთის მთავრობის მოქმედებაა! ეგ ერთი ერია, მგონი, ესეთი უღმერთო, უბედური, გაუნათლებელი და ღმერთისაგან დანყვევლილი. ღმერთო, მოგვიმართე ხელი.

*1918 წელს, 20 მაისს, 10 საათი საღამოსი  
თბილისი*

## **12 ახალი სტილით ივნისი.**

დღეს დაგვიდგა უბედური დღე. დღეს შემოვიდა გერმანელის ჯარი და ქართველები, ე. ი. ჯარი, სიმღერით დაუხვდა. ჩვენც წავედით სანახავათ. რა სურათი წარმოგვიდგა თვალ წინ: ჩასუქებული, ჩასხმული, მხარბეჭიანი გერმანელები, ხიშტებით ხელში შუა ქუჩაში იდგნენ რიგ-რიგად და ხალხი მათ გარს შემოხვეოდა, მათ ისეთი შეხედულება ჰქონდათ, თითქოს უნდა ადამიანი შუაზე გაეგლიჯათ. წარბშეხრილნი და გამგელებულნი... პარადი იყო. მე ისეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ვიღაცა მახლობელს ასაფლავებდნენ. მღეროდნენ ქართველები, მაგრამ გულში რა ჰქონდათ? სევდა და დაღონება. მოვიშორეთ ერთი ბატონი. მონობისგან გავთავისუფლდით, ეხლა კი ახალი უღელე დავიდგით. ღმერთო, მამაზეციერო, რა დაგიშავა ამ პატარა ერმა,



*გერმანელების შემოსვლა თბილისში  
12 ივნისი, 1918 წელი*

რომ მთელ თავის ჯავრს ჩვენზედ იყრი?! ამ საშინელ დღეს მიდიოდა ორი ჯარი – ქართველი და გერმანელები. ხალხი ბუზებივით ირეოდნენ. ზოგი იცინოდა, მხიარულობდა, ზოგი კი სდუმდა და სევდას ეძლეოდა. ჩემზედ ამან ისე იმოქმედა, რომ ტირილიც კი მინდოდა. აი, რისთვის ვიბრძოდით, აი, ნაყოფი წარმოუდგა ეხლა ყველას. რა საზარელი შეხედულობა აქვთ: ჩასხმულები, მხარბეჭიანები, გოჭივით ჩასუქებული ცხვირ-პირი და სასტიკი გამომეტყველება. ჩემს უკან მოდიოდნენ ორი რუსი. ერთმა მათგანმა სთქვა, როცა ქართული სიმღერა გაიგეს: „Пой, ласточка, пой и могилу себе пой“. აი, რუსების უკანასკნელი გამომშვიდობება. ამ სიტყვით მოგვეგებნენ. ეს აზრი დაგვილოცეს მათ.

## 16 ივნისს.

რა ვიცი, თითქო ჯერ კარგად ეპყრობიან გერმანელები ქართველებს. გუშინ ლაპარაკობდნენ, ვითომ სომხები რალასაც სთხოვდნენ გერმანელის უფროსს, მაგრამ მან მიაძახა: ჯერ ქართველებს და მერე იქნება თქვენცაო. ქართული და გერმანული ჯარი ბრძოლაში იყო და ორი ქალაქი დაიხსნა. თანდათან იქნება დისციპლინას შეგვაჩვიონ. ჩვენ ხალხში ეგ საჭიროა. უმაგისოთ ჩვენ ყველაზედ დაქვეითებული ერი ვიქნებით. ეკონომია და ყველაფრის გაზომვა უნდა შევითვისოთ, თუ გვინდა, რომ ვიარსებოთ. იქნება, გერმანელებმა მაინც კარგ გზაზე დაგვაყენონ.

ყოველი სოციალისტის ლაპარაკში ეხლა ნაციონალურ-პატრიოტული ელემენტიც შეიპარა. ყველამ იგრძნო, რომ საქართველოში სოციალისტობა შეუძლებელია. მაგრამ სოციალისტებს არ უნდათ, რომ სხვებმა ჩააჩუმონ ისინი და მაინც მაგ პარტიას აღმერთებენ. აი, რა ხდება ეხლა საქართველოში, რომელიმე ქართველი მეფე ამას წარმოიდგენდა, ამაზედ ფიქრიც კი ეშინოდათ. ოჰ! თამარ, თამარ, სად არის შენი ბრწყინვალე დრო და ან შენი – დავით აღმაშენებელი.

იქნება, სხვები ამას არ ხედავენ, მაგრამ მე ისეთი გრძნობა მაქვს, რომ სრულათ ეღირსება ამ ბედშავს ერს თავისუფლება. მაშინ იქნება მისთვის აუწერელი ბედნიერება. ყოველი ადამიანი მას აღტაცებით მიეგებება, როგორც მშობელს. მაშინ მზეც მხიარულად გაანათებს და გაათბობს არეს და მთვარეც გაანათებს ძველ კვალს, რომელიც სიმართლისკენ მიდის.

ეხლა მინდა, ცოტა ჩემ თავზედაც ვილაპარაკო. მე იმიტომ გადმოვიტანე ჩემი დღიური აქ, რომ ძველი მე-

ზიზღება. იქ არა სასიამოვნო (ეხლა) ჩემთვის ამბები და ჩემი გრძნობები არის. მერე იმაში წერაც არ მიმინევს, რადგანაც სულ დაჯღაბნულია. ერთი ფურცელი არ არის, რომ რამე ნაშლილი არ იყოს, კარგიც ვქენი. ძველი ყველაფერი დავივიწყე და ახალ გრძნობას მივეცი.

„Новым чувством всем сердцем отдался,  
Как ребенок душою я стал  
И я сжег все, чему поклонялся,  
Поклонился всему, что сжигал“.

ეს ოთხი პრწკალი ჩემ დღიურებში მესამეთ არი გატარებული, რადგანაც ამ სტრიქონებში მე ვხედავ იმას, რაც წინათ ბრმათ ვიყავი. მართლა, ხომ დავწვი, რასაც წინათ თაყვანს ვცემდი. უფრო ცუდი, სულ ნაფჯლაბნე ისე, რომ მარტო შავი ხაზები დარჩა დანერილ სიტყვების მაგივრად. როცა ვშლიდი, აი, სწორედ მაშინ სურვილი მქონდა, დღიური მთლად დამეხია, მაგრამ თავი შევიკავე, რადგანაც იქ ბევრი სხვა რამ მქონდა საისტორიულო და უფრო საინტერესო. და იმიტომ ისე დავირჩინე.

## 20 ივნისს.

დღეს გავათავე შესანიშნავი წიგნი. „Моль“ ჟიდისა მართლა ძალიან მომეწონა. აქ არის გამოყვანილი ორი ტიპი ადამიანისა. ერთი სულით მაღალი, გაურყვნილი და მაღალ იდეალებით და მეორე, დაცემული, გახრწნილი და თავის გრძნობების მონა. აქ ნათლათ გვიხასიათებს ავტორი ამ ორ ჯგუფს, რომელიც ერთმანეთაგან ძალიან არიან დაშორებულნი. მაგალითად, ამ რომანში გმირი ქალი ვერა და კორეზი შეუდარებელნი არიან. ბევრმა რომ ნაიკითხოს, იტყვის, ამისთანა ადამიანები არ არიანო დედამინაზე. მე კი ვიტყვოდი, არიან და ძალი-

ან ბევრიც. ვერას უყვარს მთელი თვისი არსებით გამოჩენილი მომღერალი. უკანასკნელი კი აღმერთებს მას. მისთვის მას შეუძლიან გასწიროს ყველაფერი, რაც უფრო საჭიროა მისთვის, მაგალითად – ხმა. ვერა იდი-აღია კორეზისა და ისეც იდიალური ტიპია, მაგისთანა მტკიცე ხასიათით, მაღალი შეხედულებით. ის მხოლოდ იმიტომ არ მიდის თავის სატრფოსთან, რომ იმას ჰყავს ქმარი, რომელიც მის პატრონათ გახდა. იმისთვის უცხოა ქმრისთვის ლალატი (იმ დროს ეგ დიდ მოდაში იყო) და იმ აღთქმის დაშლა, რომელიც ეკლესიაში აღუთქვა. აი, ეს სტანჯავდა მაგას. ის ქმარს ცივად ებყრობოდა. ის ამ საზოგადოებისთვის არ იყო დაბადებული, სადაც მუდამ ინტრიგები, შური და შეურაცყოფა იყო. ვერა იდგა სულ თავში თავისი გრძნობებით და ეს დაცემული საძაგელი საზოგადოება ფეხთ. თავისი საყვარელი არსება კორეზი რამდენჯერ მოიცილა თავიდან, რადგანაც მას უნდოდა, რომ ყველას წინაშე ის სუფთა ყოფილიყო, რომ არ ეთქვათ – აი, ამანაც გაიჩინაო. მაგრამ რა ბედნიერი იქნებოდა იმასთან, ვინც უყვარს. ქმარი რუსი თავადი, რომელიც ძალიან მდიდარი იყო და სულ საზღვარ გარედ ცხოვრობდა. მხეცი, გარყვნილი ადამიანი. მან იყიდა ჯერ 16 წლის ახლათ გადაშლილ ვარდვით ქალი. აქ მშობელ დედის საქმე იყო. ცუდმა, გველმა, ოლონდ თვითონ ყოფილიყო უზრუნველად, მოიცილა თავიდან თავისი ქმრის შვილი (ვერა მისიც იყო), როგორც თვითონ ამბობდა, რადგანაც თავის ქალში თავისას არაფერს ხედავდა. არ დააფასა რუსმა თვისი ცოლი. ის იყო მისთვის მარტო ძალიან ლამაზი საგანი. ბევრ შეურაცყოფას აყენებდა თავის ახალგაზრდა ცოლს. ისიც მოთმინებით ელოდა. სძულდა თავის ქმარი მთელ თვის არსებობით. ბოლოს ველარ გასძლო,

როცა დაინახა მთელი სისაძაგლის მშვენიერობა. ქმარის ყურებამდის მიაღწია საზოგადოების ჭორიკანობამ, ვითომ კორეზი ცოლის საყვარელი იყო, გამოიწვია დუელში და შიგ ყელში დაუმიზნა. ორივენი ცოცხალნი დარჩნენ, მხოლოდ შესანიშნავი როგორც მომღერალი მოკვდა. ხმა დაეკარგა. კორეზმა ვერა გაიცნო, როცა ის 16 წლისა იყო. მაშინვე შეუყვარდა საბრალო ბავშვი, რომელიც თავის დედის საზოგადოებაში ჩავარდა, და აფთხილებდა: როგორც რჩილს შეუძლიან შესჭამოს ბენვიო, ისე თქვენც გაგაფუჭებენო. მერე, როცა გათხოვდა ვერა, 4 წლის განმავლობაში კორეზი გმირულად იქცეოდა, ერთხელ არაფერი არ უთხრა თავის გრძნობაზედ თავის იდიალს. ის იტანჯებოდა, როცა ხედავდა ამ მდგომარეობას, რომელშიაც ვერა იყო. უნდოდა ეშველნა, მაგრამ ნება არა ჰქონდა. მისი რა საქმე იყო, ეგრე იტყოდა სხვა. მაგრამ როგორ თუ რა საქმე ჰქონდა?! იგი იტანჯებოდა ყურებით იმ საზოგადოებაზედ, რომელშიაც შეფრინდა რჩილი. რამდენჯერ უნდოდა კორეზს, ფეხქვეშ ჩავარდნოდა თავის ღმერთს, მაგრამ თავის თავისა რცხვენოდა. ვერა ისეთი ქალი არ იყო, როგორიც სხვა. მას ვერას ხორცი კი არ ენატრებოდა, არამედ მთელი თავისი სულით და გრძნობებით. კორეზს მხოლოდ შეეძლო დაემშვიდა ის და გაემხნია. რამდენჯერ სულ სხვა ქვეყანაში იყო კორეზი და ერთ ვერას დანახვისთვის სხვა ქვეყანაში მიდიოდა. მაგრამ ეს არად მიაჩნდა მას. როგორ უნდოდა მას, გაენთავისუფლებინა ის ამ მწუხარებისგან გაფუჭებული, მაგრამ ძალა არა ჰქონდა. მხოლოდ როცა ის მოკვდა როგორც მომღერალი, ვერამ ველარ გასძლო და მივიდა მასთან. ის ხმას აღარ ნანობდა. მისი მზე კვლავ ამობრწყინდა. მის გვერდით იყო ის, რასაც უიმედოთ ეძებდა მთელ თავის სიცოცხლეში.

ამისთანა ადამიანებს, ღმერთო, ნუ მოაკლებ დედამინას. მე რომ ვკითხულობდი ამ წიგნს, თითქო მეც იმას ვიზამდი, რასაც ვერა, მხოლოდ ქმრის წინაშე. მაგრამ ეგრე დიდხანს სატრფოს არ მოვშორდებოდი. ძალა მიღალატებდა. ამისთანა სიყვარული კარგია. მართალია, ვერა ძალიან ლამაზი იყო ისე, რომ სადაც ფეხს შესდგამდა, ანათებდა იქაურობას. ნუ თუ სიყვარულში დიდ როლს თამაშობს სილამაზე? ეგ ჩემთვის გამორკვეული არ არის. მე მგონი, ჯერ გულის და სულის, გრძნობების სილამაზე უნდა შეამჩნიო და მერე გარეგნული. ხანდისხან გარეგნობა ადამიანს მაცდურ მდგომარეობაში აყენებს. იყოს ლამაზი სახით, მაგრამ გული და გრძნობები მახინჯი, მე მგონი, მაშინ ის არ არის ბედნიერი და სხვასაც გააუბედურებს. იქნება, სახით ადამიანი არ იყოს შესანიშნავი, მაგრამ გულით კი შეუდარებელი და ჭკუით. მე ამისთანებს ვამჯობინებ და ყოველთვის ამ აზრისა ვიქნები. იმისთანა ადამიანი, რომელიც სულ თავის ინტერესებზე ფიქრობს, წვრილმანია. მისი შეხედულება უმნიშვნელო არის. ის არაფერს სხვას არ მოუტანს სასარგებლოს. ისეთი ადამიანი, რომელიც სცხოვრობს სხვებისთვის, ის მესმის. მე არც ასეთი ვარ, არც ისეთი, მაგრამ იქნება გავხდე და უფრო მინდა, როგორც უკანასკნელი. ბევრს ჰგონია, რომ ბედნიერება ფულშია. მეც ეგრე მგონია, მაგრამ ამ ფულის დახარჯვა თავისზედ კი არა. არა? ამ ფულით შეიძლება სხვას მოუტანო ბედნიერება და მაშინ თვითონაც იქნები ბედნიერი. „რასაცა გასცემ, შენია, რაც არა, დაკარგულია“. სხვაზე ფიქრი უფრო კარგია. თავისაზედაც უნდა, მაგრამ სულ მუდამ არა. ღმერთო! რათ დამბადე ქალათ. ქალი უძლური რალაცა საგანია, კაცების აზრით, მაგრამ ეგ ტყუილია. მაგრამ მაინც მინდოდა, ვყოფილიყავი

მძლავრ და ჭკვიან კაცად. კაცს უფრო ეხერხება ყვე-  
ლაფერი, ვიდრე ქალს. ქალს ჰპატრონობს კაცი, კაცს  
– ღმერთი. კაცი მაღალი სულით სულ სხვა არის ამგვარ  
ქალზედ. მაგრამ უმეტეს ნაწილში ქალი უფრო მაღლა  
სდგას კაცზედ, მაგრამ ეს არა სჩანს – ის მდგომარე-  
ობის მონაა.

რა არის სიცოცხლე წვრილმან ადამიანისთვის? სუ-  
ლელური და ცარიელი უქმე, ჩემის აზრით.

*1918 წელს, ივნისი, თბილისი*

## 22 ივნისს.

ნუ თუ არასდროს არ მეღიროება, რომ სადმე სო-  
ფელში სახლი და მიწა მქონდეს? ეგ არის ყველაზედ დი-  
დი ჩემი ნატვრა. 1 წლის შემდეგ გავათავებ სწავლას და  
უსათუოდ სამეურნეო კურსებზედ წავალ. წავალ და რა-  
ში უნდა გამოვიყენო სწავლა? მე მამული არ მაქვს, მი-  
წა-წყალი. თუ კარგად ვიქნებით, იქნება, მამამ შეიძი-  
ნოს სიბერის დროს დასასვენებელი ალაგი და იყიდოს  
მიწა და სახლი. მაშინ როგორ მოვანყობ?! უსათუოდ  
საფრანგეთში უნდა წავიდე და იქ შევისწავლო სამე-  
ურნეო საქმე. ჩემი ფიქრი, აი, ეგ არის. მე თვითონ მიწ-  
და ვიმუშაო ჩემ მიწა-წყალზედ. თუ მშობლები არ შე-  
იძინენ, მე ვეცდები, ჩემი ნამუშევართ ჯერ ცოტა რამ  
ვიყიდო და მერე ბევრი. უფრო ზღვის ნაპირას მიწადა,  
თუ არა და კახეთში. ბებია ჩემმა სახლი ჩვენ რომ მოგ-  
ვცეს, სამოთხეს დავამზავსებთ მე და შალიკო. მე  
მგონია, შალიკოც მაგ სამეურნეო უნივერსიტეტში შე-  
ვა. მაშინ ჩვენ ორნი გავაკეთებთ ძალიან ბევრს. ოჰ!  
ღმერთო, აგვისრულე ეს მცირე თხოვნა. გაგვიგრძელე



*ალექსანდრე და ეკატერინე გაბაშვილები შვილიშვილებთან –  
მარო და შალვა მაყაშვილებთან  
[1904 წელი]*

სიცოცხლე, მოგვე ძალ-ლონე და თუ ადამიანს მოუნდა, ყველაფერს შესძლებს. ნათქვამიც არის, რომ შეუძლებელს, თუ ადამიანს მოუნდა, შესაძლებელს გახდის. ეხლა ჩვენ ყველანი ვიჯექით და ვლაპარაკობდით იმაზედ, თუ რა ბედნიერია ადამიანი, ვისაც თავისი სახლკარი აქვს. იქნება, როგორმე ჩვენც გაგვიღიმოს ბედმა. მამა პარლამენტში არის და იქ ეხლა აძლევენ ჯამაგირებს (ესეთი პროექტია). თუ გაიყვანეს, მაშინ იქნება რამე გადაარჩინოს და ბოლოს, სულ მიწას შესწიროს და მოიყვანოს, რაც კი მოგვინდება. ლამაზი სახლი... დიდი ბალი... უჰ. ნუთუ მეღირსება და რომ სულ ჩვენი ხელით იყოს გაკეთებული, ან ჩვენ ყური ვადევნოთ მუშებს. მე ყველაფერი წარმოდგენილი მაქვს. ჯერ ბავშვობიდან ვნატრობ ამაზედ.

იქნება, ახალქალაქში ნავიდეო და მაგალობლიანთ აგარაკში დავსახლდეთ, ძალიან კარგი იქნება. ჯერ ერთი, მხიარულად ვიქნებით პატესთან, ელიჩკასთან, მეორე კი ჩემი სანატრელი იქნება, ეხლა მაინც შემი-სრულდეს და ბლომად ცხენზე ვისეირნო.

## 28 ივნისს.

28 ივნისს ვიყავი, თითქმის რომ პირველად ქართულ წარმოდგენაზედ სდგამდნენ „მარგარიტა გოტიეს“, ნუცა ჩხეიძის გასტროლები იყო. არ ვიცი, მაგრამ, მართალი რომ ვსთქვა, არ მომეწონა. მარგარიტა სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი და როგორი ვნახე? უკანასკნელ სცენებში კი მართლა მომეწონა. არმანი საძაგელი იყო. ვიყავით: მე, ქეთო, ლამბაშიძენი, მაგალობლიანი და რუსია. ვიყიდეთ იაფ ფასიანი ბილეთები, იარუსში. გოგამ და პატემ ჩვეულებრივ ჩაუჩჩაჩეს ხელში ფული და ისე შემოვიდნენ. მანამ დაიწყებოდა, ჩვენ ყველანი ვიდექით პარტერში მე-4 რიგთან. გვინდოდა, როცა ფარდა აიხდებოდა, თავისუფალ ალაგებზედ დავმსხდარიყავით. გოგამ გაგვინყალა საქმე, დაჯექით ეხლა და არავინ არაფერს გეტყვითო. ჩვენ გავიყავით: ქეთო მეორე რიგში დაჯდა, მე, რუსია, ელიჩკა და გოგა ერთად, დანარჩენები სადღაც უკან. მთელი საღამო გიჟებივით ვიციხოდით, ისე რომ ყველანი შენიშვნას გვაძლევდნენ. ერთმა კიდეც ესე გვითხრა: „იქნება, გიშლიან სცენიდან არტისტები ლაპარაკს“. ამაზე ჩვენ უფრო გაგვეცინა, გოგამ მოგვკლა. პირველი მოქმედება რომ გათავდა, დავსეირნობდით. უცბათ... ოჰ, სისხლი ამივარდა თავში, მივარდი ქეთოს. ჩვენ წინ გაიარა პაულო იაშვილმა. მასთან ჩემი შორეული ნათესავი იყო. მე დაუკარი მას თავი. პაულომ შეამ-



*სხედან: სერგეი გოროდეცკი, ნინო მაცაშვილი-  
ტაბიძე, ბესარიონ ლომინაძე  
დგანან: გალაკტიონ ტაბიძე, ტიცციან ტაბიძე,  
არჩილ მიქაძე  
4 აპრილი, 1919 წელი*

ჩნია, რომ მე და ქეთო ხან აუვლიდით, ხან ჩაუვლი-  
დით და ისე მიყურებდა, რომ ძალიან გამიკვირდა. ესე  
ყოველ ანტრაქტზედ. მეოთხეთ რომ გამოვედით კო-  
რიდორებში, ყველანი ერთად ვსეირნობდით. ბოლოს  
ერთ კუთხეში დავდექით. ჩვენ პირდაპირ დადგნენ  
პაულო, ტიტე ტაბიძე და ორი პოეტი, არ ვიცი მათი  
გვარი, და ჩვეულებრივ მათთან ნინა მაცაშვილი. მე

ვდგევარ და ვწითლდები. ყველანი მე მიყურებენ: გოგა აქეთ, რუსია და ქეთო აქეთ. ელიჩკამ ხომ გამინყალა: „ოჰ, მარო, ნუ ლელავ! ნუ წითლდები, кто больше всех волнуется“ და სხვა. მერე ისე ხმამაღლივ იძახდნენ, რომ იმათ ესმოდათ. მერე ჩაჩუმდნენ. პაულო ჰკითხამს ჩემზედ, ვინ არის ესო, ნინა მაცაშვილმა – ეს კოტე მაცაშვილის ქალიაო. „კოტესი“, გაუკვირდათ და ყველანი მობრუნდნენ, დამინყეს ყურება, პაულომაც. მე გავწითლდი, მოვავლე ხელი ქეთოს და გავიქეციო. წარმოდგენა რომ გათავდა, საშინელი წვიმა მოვიდა. თეატრის კარებებში ყველანი ვიდექით. უცბათ ვილასიც ძალა ვიგრძენ, მივიხედე და ჩემ პირდაპირ პაულო სდგას და მიყურებს. მე გოგას ამოვეფარე. უცბათ დააბნელეს ისე, რომ სულ არავის ვხედავდით და მერე გაანათეს. ჩემ გვერდით ის იდგა. ჩვენ არ დაუცადეთ, მანამ წვიმა სულ არ გადაიღებდა და წამოვედით. ძალიან მხიარულად მოვდიოდით. 2 საათი იყო ღამისა, ესე გვიან გათავდა წარმოდგენა. საცა წვიმა მოგვისწრებდა, პადიეზდში შევდიოდით ხოლმე. 3 საათზე სახლში მივედით. დიდხანს ვერ დავიძინე. მისი თვალები წინ მედგა. მერე მთელი ღამე თეატრი მისიზმრებოდა.

**30 ივნისი:** დიდი უბედურება გვეწვია ჩვენ ქართველებს. 27 ივნისს სოფელ მარტყოზში გარდაიცვალა (თავი მოიკლა) კათოლიკოსმა კირიონ მე-II. ის იყო მარტყოფის მონასტერში, კარგად გრძნობდა თავს. მეორე დილას მივიდა ბერი და დაუკაკუნა, არავინ გასცა ხმა. მერე შევიდა და ნახა, გულში მორტყმული ტყვია ჰქონდა კირიონ მე-II. რევოლვერიც იქვე იყო ერთგილზ დაცლილი. კირიონი, ერთი თვეა, რაც ავად



*საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
კირიონ II (გიორგი საძაგლიშვილი)*

იყო ისე, რომ სულ თავის ჭკუაზე არ იყო და შესაძლებელია, იმიტომ მოიკლა თავი, ან იქნება, სხვამ მოჰკლა. ეს ჯერ გამორკვეული არ არის. ყოველ მხრიდან ახალი და ახალი უბედურება. 7 თვე იყო მარტო კათოლიკოსათ, 1917 წლის შემდეგ და ესეც არ დაგვცალდა. ღმერთო! რას გვიმზადებ, რასა? დაკრძალვა მცხეთაში იქნება. მე მგონი, წავალთ. ოქტომბერს აკურთხეს დიდის ამბით და სიხარულით, ივნისში კი იმავე ალაგს

გლოვით და ტირილით მიწას უნდა მიაბარონ წმინდა სხეული. გლოვის დღე რომ გაივლის, ნამდვილად ლეონიდს აირჩევენ.

ლეელი ჯაფარიძე დამპირდა, პაულოს გაგაცნობთო. მე ველი.

## 5 ივლისს.

დილაობით საშინლად ცხელა, ისე, რომ კარში გასვლა შეუძლებელია. მაგრამ ჩემთვის კი საჭიროა, კვირაში რამდენჯერმე გავიდე ხოლმე. სალამოობით ვიკრიბებით მეგობრები და ვმხიარულობთ. გუშინ სალამოთი „ორდა“-ს და „საბანეევას“ კონცერტზედ ვიყავით. შესანიშნავი იყო. მთელი სალამო სიამოვნებაში გავატარე. მე ორდა აუნერელად მომწონს. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. როდისაც მივედით თეატრში, ჯერ ერთი საათით ადრე იყო. ჩვენ გავისეირნეთ. მე და ელიჩკა დავდექით მათ სასტუმროსთან. 20 წუთის შემდეგ გამოვიდა ორდა მარტოკა. ჩვენც მაშინვე უკან გამოვეყვით. სახე ლამაზი აქვს. როცა პირველი განყოფილება გათავდა (ხალხი ძალიან ბევრი იყო), დავდივართ მე და ელიჩკა და ვამბობთ, ნეტა, ნაცნობები შეგვხვდნენ. ეს რომ ვსთქვით და კიბეზე ჩამოსვლას ვაპირებდით, უცბათ შევეტაკე პაულო იაშვილს. ძალიან და ძალიან გამიკვირდა და თანაც გული ამიკანკალდა. იმან მიცნო და მე რომ შევკრთი, შენიშნა და გაიღიმა. როცა ჩავიდა, ჩვენც უკან წავყევით. შევიდა კომისრის ლოჟაში. ჩვენ პირდაპირ დავდექით და უყურებდით. ოჰ, რასა ვგრძნობდი მაშინ? უყურებდით და გვიყურებდა, ვიცინოდით – იცინოდა. ბედმა გამიღიმა მაშინ. ძალიან კარგი იყო იმ სალამოს. ორდამ დაატკბო და საბანეევამ

ხალხი. ბევრი ყვავილები მიიღეს. ამ საღამოს პირველად ანეულ თმით ვიყავი. ცუდათ ვგრძნობდი თავს. ბევრი კარგი ნაცნობი იყო. შესასვლელი ბილეთი გვექონდა და სადაც დავდგებოდით, ყველგან გვრეკავდნენ. ბოლოს იარუსში ავედით და იქ ვიყავით. ყველანი ძალიან დავიღალნეთ.



*პაოლო იაშვილი, ლელი ჯაფარიძე,  
კოლაუ ნადირაძე, უცნობები  
1910-იანი წლები*

## 23 ივლისი.

8 ივლისიდან 17 ყოველდღე დავდიოდით მე და ქეთო არტისტიულში, რადგანაც 18 უკანასკნელი წარმოდგენა უნდა ყოფილიყო. იქნება, მთელი ზაფხულიც ეთამაშნათ მსახიობებს, მაგრამ ერთმა ძალიან დიდმა მწუხარმა გარემოებამ ნება არ მისცა. რამდენიმე არტისტმა გამოლანძღა მთავრობა, ესეც ნამდვილი არ არის, მგონი, და გადაასახლეს საქართველოს საზღვრების გარეთ. მათ შორის მოხვდა ძალიან კარგი მსახიობი ტორსკი. რაკი ის და სხვები წავიდნენ, მთელი არტისტიული დასიც მიდის. ისე მენყინა, ეს რომ გავიგე, რომ ჩუმათ ვიტირე კიდეც. ისე შევეჩვიე მაგ თეატრს, რომ როგორც სახლში, ისე ვგრძნობდი თავს. კვირაში 3 უსათუოდ უნდა წავსულიყავი. ეგ თითქო მე და ქეთოსთვის სავალდებულო იყო. მე გაგიჟებით მომწონს დნებროვი და ტორსკი. მე მთელი დღე შემეძლო ყოფნა წარმოდგენაზე ან მსახიობებისთვის ცქერნა. რამდენჯერ ჩუმათ გავპარულვარ სახლიდან წარმოდგენაზე. ვყიდულობდით სადმე 1 მ. და 20 კ. ბილეთს და პარტერში პირველ რიგში ვიჯექით. ყველა გვიცნობდა იქ ისე, რომ ხმასაც არავინ გვცემდა. პირიქით, ალაგსაც მოგვიძებნიდნენ. გატაცებით სულგანაბული ვუსმენდი და ყოველ სიტყვას დნებროვის ვყლაპავდი. გარშემო აღარ ვგრძნობდი, იყო ვინმე თუ არა. ოჰ, რა კარგია, იყოს ადამიანი მსახიობათ მხოლოდ ერთი წამით. მე მინდა, ვიყო ვითომ მსახიობი, მაგრამ მათი უმიზნო ცხოვრება მიძულს. არტისტს რეპუტაცია აქვს გაფუჭებული. მსახიობს ისე არ უყურებენ, როგორც პატიოსან ადამიანს. რათ? მე წამიკითხავს წიგნები, სადაც არტისტი ისე ადამიანზე სულითაც და ხორციელათაც

მალლა სდგას. იშვიათია ამისთანა ადამიანი, მაგრამ რაკი ის მსახიობია, ის არ არის ღირსი პატივის ცემისა. უყვართ არტისტი, დასდევენ მას, იქნება, გადაირონ კიდეც, მაგრამ მას სულ სხვა თვალთ შებედავენ და ნასწავლ კაცს, რომელიც მსახურობს, მაგრამ სულით დაბალია, უფრო მეტს პატივს სცემენ. რა არის სცენაზე გამოსვლა? ეგ წარმოადგენს რალაცა ფანტასტიურს. ავიწყებს ადამიანს, რომ ეგ მარტო გარდმოცემაა ყველაფრის და ნათლათ წარმოიდგენ მართლა ამ სურათებს. ხანდისხან ვზივარ თეატრში და მაძაგძაგებს, წუთებით მავიწყდება, რომ ეს მარტო წარმოადგენაა და ოფლი მესხმევა, მგონია, რომ მართლაა. ესე ყოველთვის. მე და ქეთო იქ ვიყავით მთელი წლის განმავლობაში და ეხლა უცბათ შეწყდა. ყველა ის მსახიობები, უბრალოც კი, მიდიან ოდესაში. ნეტავი იმ ოდესელებს, ეხლა ისინი დასტკბებიან. სახლში რასაც ვაკეთებ, უცბათ გავჩერდები და გული ამტკივა ისე, ისე, რომ გუნება მიფუჭდება და რასაც ვაკეთებ, ხელს ვანებებ. არსად არ მიმიწევს, არსად. წინად სიხარულით იმიტომ დავდიოდით, რომ ვიცოდით, ხვალ ან ზეგ არტისტიულში ვიქნები, ან საცა ნავალ, იქნება მსახიობი ტორსკი ან დნეპროვი, პოლიუბინსკაია შემხვდეს მეც და ქეთოს. ეხლა ყოველ დღე რომ შევხვდებით ერთმანეთს, პირველი კითხვა ეგ არის: ეჰ! სადლაა არტისტიული. ისე მომინდება, ცრემლები გადმომცვივდება. სხვა დასი არ მინდა, არა. რამ მიმიზიდა. ოპერაში ვიყავი რამდენჯერმე, მაგრამ დრამა სულ სხვაა. „ორდა და საბანევა“ როცა თამაშობდნენ, დავდიოდი დიდი ალტაცებით, ისე, როგორც არტისტიულში. სხვაზე შესვლაც არ მინდოდა. ეხლა აღარსად დავდივარ. ჯერ კი ხალისი მაქვს. ერთი ნაწილი დასისა აქ არის, საცა

დნეპროვია, პოლიუბინსკაი, მიხაილოვსკი, საკსანოვა და სხვა. მაგრამ ისინი ხვალ ან ზეგ მიდიან. დღეს გაკვეთილზე რომ მივდიოდი, დილით ტრამვაიში ვიჯექი, შემხვდა დნეპროვი, მინდოდა, ჩამომხვტარიყავი, მაგრამ შევიმაგრე ჩემი თავი, ვსთქვი, სისულელეა. მაგრამ ისე დამწყდა გული, რომ მანამ ტრამვაი არ დაიმალა, თვალი არ მოვაშორე. იქიდან რომ მოვდიოდი, არტისტიულთან კიდევ შემხვდა. იქ იდგა. მეც დავდექი და უყურებდი. არტისტიულის კარებები ჩაკეტეს, აფიშები მოხსნეს, სულ ცივი შეხედულობა აქვს. წინათ რომ ხალხი იდგა ხოლმე, ეხლა...

დღესაც მთელი დღე ვბრაზობდი, ვეძებდი საბუთს, რომ მეტირნა. სხვამ რომ წაიკითხოს ეს დღიური, იფიქრებდა, ამას არტისტობა უნდაო. სრულებითაც არა. მე ყურება მიყვარს ძალიან, ძალიან და არა მე თვითონ გამოვიდე. ღმერთო, ეგ დასი მალე ჩამოიყვანე კიდევ, დნეპროვი მაინც.

**28 ივლისს.** ღმერთო! გემუდარები, დამაჭერინე გამოცდები კარგად, კარგად გავათავო ეს უკანასკნელი წელიწადი. ოჰ, როგორ მინდა, ჩქარა მოვრჩე საშუალო სასწავლს და უმაღლესში წავიდე უსათუოდ საზღვარ გარედ. ეგ მე გადანყვეტილი მაქვს. რათ შემჯავრდა სასწავლებელი. მეჯავრება მეტადრე უფრო... არა, ამისთანა სიტყვები შეუძლებელია. რათ არ უნდა მიყვარდეს? იმიტომ, რომ მასწავლებლები არიან ცუდი?

როგორა მაქვს წარმოდგენილი ჩემი ცხოვრება. უსათუოდ ქეთოც წამოვა. მე ვისწავლი მეურნეობას, ქეთო კი – სიმღერას. ხვალ გავაგრძელებ. როგორ მგონია, მოვენყობი. ეხლა 12 საათია ღამის.

## 20 მარიამობისთვის.

დღეს მე, ქეთო, ელიჩკა ჩამოვედით ახალქალაქიდან. ჯერ აქედან რომ წავედით, ძალიან დავიღალეთ. მთელი ღამე არ გვეძინა, სულ ვიცინოდით. ელიჩკა სიცოცხლის გუნებაზე იყო. დილას ხასიათზედაც ავდექით. ავდექით თუ არა, გიჟებივით ჩავიცვით და სადგურისკენ მოუსვით. გვეგონა, დავიგვიანებდით, მაგრამ ადრეც მივედით. ვიყიდეთ მე-III კლ. ბილეთები და ახდელ ვაგონში ჩავსხედით. გრაკლამდის 6 საათი ვიარეთ, მოვკვდით პირდაპირ. მეტეხში ჩამოვხტით და ფეხით ავედით ახალქალაქში, ისე, რომ 7 საათზე დილის გამოსულნი საღამოს 7 საათზე სახლში ვიყავით. საშინლად დავიტანჯეთ. გოგას და პატეს ძალიან გაუკვირდათ, როცა სამივე იმათ სახლს მივადექით. ეს სამი დღე საუცხოვოთ გავატარეთ. მთელი დღეები ერთად ვიყავით და ვმხიარულობდით. პატე მშვენიერია...

იქიდან პატემ და გოგამ მეტეხამდის ჩამოგვაცილეს. იქაც 5 საათი ვისხედით. კარგი იყო. რა ოხრათ მივიღე წრეულ გამოცდა. თუ თავისუფალი ვყოფილიყავი, ახალქალაქში ვიქნებოდი.

ამას წინად, აი, მე-5 შემხვდა „ის“. არ ვიცი არც მისი სახელი და არც გვარი. ძალიან მომწონს. კარგი სახე აქვს. ძალიანაც მინდა, გავიცნო. როგორც შევხვდები ხოლმე, ისიც მიყურებს, არ ვიცი, რისთვის. იმიტომ, რომ ვნითლდები თუ... ღმერთო, გამაგებინე, ვინ არის. თუ ქართველია, კარგი, თუ სომეხი და დაიკარგოს, შემზიზღდება. ნეტა, ვინ არის? ლამაზია, ჩემზედ მაღალი თუ არა! ჩემოდონა. მოსწავლეა გიმნაზიაში. იქნება მე-7 ან მე-8 კლასში. ამას წინად თეთრ ჩოხაში ვნახე, შესანიშნავი იყო.



ნინო გელოვანი და  
თამარ გაბაშვილი-მაყაშვილი – მაროს დედა  
1900-იანი წლები

რალაც მემართება. ეხლა ძალიან შემემჩნა მარტო-  
კოობა. მინდა, დედა მალე ჩამოვიდეს, მოწყენით ვარ.

### 17 ენკენისთვე.

ჩემი ნატვრა თუ ამისრულდა, ხომ კარგი და თუ არა  
და?.. ძალიან მინდა, ყველა ენები შევისწავლო ისე, რომ  
მშვენივრად ვიცოდე. თუ არ ვიზარმაცებ, მუსიკას გა-

ვაგრძელებ. მინდა საზღვარ გარედ ძალიან და ძალიან. ნავალ უსათუოდ. სწავლის შემდეგ ერთ წელიწადს ვიმსახურებ, მოვაგროვებ ფულს და გაუადვილებ ჩემ მშობლებს ამითი. იქ ცხოვრებისთვის ცოტა მეყოფა. ისე მინდა გავაკეთო, რომ მამამ ბევრი არ მიგზავნოს, ჩემიც მქონდეს. ძალიან და ძალიან პარიზში მინდა და იტალიაში. ნუ თუ რამე შემთხვევის ხელს? ღმერთო, გემუდარები, გეხვეწები მონა შენი, დავიჭირო გამოცდები და სწავლა კარგად დავასრულო. არ შევკრთე და მალე გავიგო ამოცანა, რომელსაც მასწავლებელი მომცემს. ჩემი თხოვნა და მუდარა ეგ არის.

## 19 ენკენისთვის.

ველარ შემხვდა „ის“. ვერ გამიგია ვერც მისი გვარი, ვერც მისი სახელი, მაგრამ ძალიან კი მინდა, ვიცოდე. რა კარგია წიგნი, მეტადრე, თუ ძალიან საინტერესოა. მე შემთხვევით, მთელი დღეებით ვიჯდე და ვიკითხო ერთი მეორეზე. მავინწყდება ყველაფერი, რაც გარშემო ხდება. მთლათ მივეცემი ხოლმე წიგნს. მე ვიზიარებ გმირთან ერთად ჭირსაც და ლხენასაც. ხანდისხან ისე ამტკივა ხოლმე გული, რომ ვერ ვაგრძელებ კითხვას და წიგნით ხელში რამეს ჩავაჩერდები ხოლმე დიდხანს, დიდხანს. მაგისთანა ცხოვრება ჩვენში არ არის, როგორც ზოგიერთ წიგნებშია და არც შემთხვევები. თუ რამე ისეთია წიგნში, მაჟრჟოლებს და ალაგს ვერ ვზივარ. ხან წამოვხტები წიგნით, ხან სხვა ალაგს გადავალ. თუ ვინმემ შემანყვეტინა, ძალიან ვბრაზობ და ხანდისხან ბრიყვულად უპასუხებ ხოლმე, რითაც დედას ვაჯავრებ. იცის ხოლმე, „აი, თავის რომანებს ჩაუჯდა და ველარაფრით ვერ გააცლიო“.

## **ენკენისთვე...**

რა ცუდი რამე გახდა თამაზი, სულ თავის თავზე ფიქრობს, მასთან ლაპარაკიც კი არ შეიძლება, მომაბეზრა თავი, დაიკარგოს. ჩოხა ჩაიცვა და ჰგონია, მე ვარ მთელ თბილისში ერთიო. იმ დღეს მოვიდა ჩემთან და მკითხა: თეთრი თუ შავი ახალუხი მიხდებაო, სულ გატუტუცდა. მგონი, 10 ქალშია შეყვარებული საბრალო. ირაკლიც მაბრაზებს. ისეთი უშნო გახდა სახით, რომ ადამიანს შეეშინდება, რომ დაინახონ. სულ სისულელეებზე ლაპარაკობს. მართალია, ძალიან მეგობრულად ვართ, მაგრამ...


მარტოკა ვარ და როცა ისინი მოვლენ ხოლმე, გამეხარდება. გამოცდები ჩავაბარე. ერთი დამრჩა და არ ვიცი, ჩემი ბედი გადაწყდება მალე. ჩამოვიდეს დედა მალე. მარტოობაში რამის სული ამომხდეს. მამა თითქმის სახლში არ არის ხოლმე.

## **25 ენკენისთვეს.**

„ის“ უნახავს ქეთოს დღეს, მე კი – არა.

## **30 ენკენისთვეს.**

გუშინ მე-III ვიყავი „ევგენი ონეგინზე“. კიდევ 20-ჯერ შემიძლიან ნავიდე, მაგრამ მარტო „ორდა“ იყოს ონეგინი. ჩემთვის ის შეუდარებელია. ყურს რომ უგდებდი, ტანში მაჟრჟოლებდა. თავის ბენეფისზე უფრო კარგი, შესანიშნავი იყო. გუშინაც ძალიან კარგათ ჩაატარა თვისი როლი. მე მგონია, დილიდან სალამომდის რომ უსმინო მას, არ მომწყინდება. მაგისტანა ონეგინი, მგონი, ჯერ აქაურებს არ უნახავთ. როგორც სიცხეში, ისე ვიჯექი, ბინოკლს არ ვაშორებდი მის სახეს. ვიყიდეთ მე და ქეთომ მესამე იარუსის ბილეთი. პირველ მოქმედების



პალტო

*ჩანახატი მარო მაყაშვილის დღიურში*

შემდეგ, პარტერის მე-6 რიგში ჩავედით, ბოლოს კი – ლიტერნის ლოჯაში. მე შემოძლიან უფასოთაც ვიარო მამას ბილეთით. ხალხი საზოგადოთ ცოტა დადიოდა ოპერაში. გუშინ კი თითქმის სავსე იყო. საცოდავი ორდა ცოტა უქეიფოთ იყო. როცა გაათავა და სთქვა: „Позор, точка...“ უკანასკნელ სიტყვაზე ველარ ასნია ხმა და ჩასწყდა, მაგრამ ეგ არაფერი იყო რა, ხალხი მაინც ძალიან და ძალიან კმაყოფილი დარჩა. „ლივიცკაიაც“ ტატი-

ანას როლში ძალიან კარგი იყო. მთელი შემადგენლობა ძალიან და ძალიან კარგი იყო, „ზალივსკის“ გარდა. არა! თეატრში ხშირად ვივლი. ძალიან მიყვარს, მეტადრე თუ ისინი თამაშობენ, ვინც ძალიან მომწონან. ღამე ქეთოსთან მეძინა. მანამ დავიძინებდით, მთელი წარმოდგენა წარმოვადგინეთ. ღამე სულ სიმღერა მედგა ყურებში და სიტყვები: „Увы, сомнения нет“ და „А счастье было так близко, так возможно“. შარშან მეუბნებოდნენ, ხშირად დადიხარო. რა ვქნა, მაგნიტივით მიზიდავს. წრეულ კი არ ვივლი? ეხლა ვნატრობ იმას, თუ რატომ ღმერთმა კარგი ხმა არ მომცა. სახლში მთელი ოპერა დაუკარი საღამოთი. ქეთოსთან წავედი და ავად დამიხვდა. მასსაც შეხვდა ახალ მოდური ავადმყოფობა „ისპანკა“. წამოვედი სახლში. ნუნუ შინ დამიხვდა. ყოველდღე ველი ჩვენებს. ნეტა მალე ჩამოვიდნენ სოფლიდან. მარტოკა ყოფნა მომწყინდა. ვითომ უნდა გვენახა, გვაქვს ხმა თუ არა, მე და ვავა სხვა და სხვა ნოტებს ვიღებდით როიალზე. ისეთები მიდიან სიმღერის სასწავლებლად, რომლებსაც სულ არა აქვთ ხმა. რამდენი რამის დანერა მინდა, მაგრამ მეძინება...

**8 ოქტომბერს.** დღეს ძალიან და ძალიან სასიამოვნო ამბავი მახარეს: შენ გადახვედიო. მე ჯერ არ დავიჯერე, მაგრამ ბოლოს დამარწმუნეს. მე მე-VII კლ. მონაფე ვარ, ვაშა!!!

### ოქტომბერი...

ძალიან მიყვარს მაგალობლიშვილებთან დროს გატარება. საუცხოვო ოჯახია: გოგა, პატე, კოსტა და ელიჩკა ძალიან მიყვარან. მათთან მოწყენით ყოფნა არ შეიძლება. მხიარულები და სასიამოვნო ყმანვილები

არიან. არ ვიცი, რა მიზეზია ეს. მახლობელი ნათესავები ვართ და თქვენზე ვლაპარაკობთ. რაღაც ვერ მხერხება შენზე ლაპარაკი.

დღესაც იქ ვიყავი. ქეთო გამექცა, შინ ერქარებოდა. ჯერ სუნანასთან ვიყავით, „ისპანკით“ არის ავად. მერე ელიჩკასთან ავედი. ბევრი ვილაპარაკეთ იმაზე, თუ რა საღამოებს გავმართავთ ახალ სასწავლებელში (ინსტიტუტის შენობაში). პლანები კარგი დავანყეთ. ავასრულებთ თუ არა, არ ვიცი, გარემოებაზედ არის დამყარებული ყველაფერი. „ზნაჩოკები“ შეუკვეთეთ მე-VII კლასისთვის. ეს უკანასკნელი კლასია და საჭი-



ტანისამოსი ქალის,  
ბერძნული ტანისამოსი,  
თხელი და რბილი  
კრემის ფერ აბრეშუმის  
კრეპდემინისგან

ჩანახატი მარო  
მაყაშვილის დღიურში

როა სხვასთან გასარჩევად. 25 მანეთი გვიჯდება თითო თითოს. მართალია, ძვირია, მაგრამ რა.

P. S. დღეს სთქვეს, რომ, მგონი, ოსმალოები ბათომს სტოვებენ და მირბიანო.

### **ოქტომბერი 10-ს. 1918 წელს. 9<sup>1</sup>/<sub>2</sub> სალამოს.**

მე მაქვს ეხლა წარმოდგენილი ის, თუ როგორ ვიცხოვრებ მე, როცა სწავლას დავამთავრებ. მექნება ჩემი სახლკარი ჩემებურად მოწყობილი. არ ვიცი, რათ. მე მიინდა, ჩემი ოთახები ძველებურ სტილზე მოვანყო. ჩემი ამხანაგები (ქეთო, ვავა) სულ სხვისკენ მიისწრაფვიან. ისინი ამბობენ, როცა ჩემთვის ვიცხოვრებო, ბევრი ოთახები მექნება, ოთახები, რომლებშიც მე ცალკე მივიღებ ხოლმე სტუმრებს, ოთახები საკუთრივ ჩემთვის, „ბუდუარი“ და სხვ.

ეგენი მეჯავრება, რა სისულელეა. მექნება სასიამოვნო სახლი, სულ უბრალოდ, მაგრამ ლამაზად მოწყობილი. თუ გავთხოვდები, ქმრის კისერზედ არასგზით არ ვიქნები. ჩემით ვიმუშავებ და ჩემთვის ფულს მე შევიძენ. რა სამართალია სხვის ამაგით ცხოვრება. ეხლა, როცა ვხედავ, რა გასაჭირშია მამა, გული მენვის. ერთი ის მუშაობს 6 კაცზე. რათა? განა ეგ დავალებული აქვს? მე მაგის წინააღმდეგი ვარ.

**9 ნოემბერს.** დღეს მესამე დღეა, რაც ავდექი. 3 კვირა ლოგინში ვინექი. ამ ახალმა ავადმყოფობამ ჩემზედაც შინჯა თვისი ძალა. ერთხელ 10 დღე ვინექი, მოვრჩი, ავდექი. მეორეთ კიდევ გავცივდი და უფრო საშინელი რამ დამემართა. მთელ ჩემს სხეულს დაუარა ამ „ისპანკა“-თ წოდებულმა სატკივარმა. სიცხე დიდი მქონდა, 40<sup>0</sup>-ზე მეტი. ძალიან და ძალიან დავი-



*კოტე მაყაშვილი – მაროს მამა  
1910-იანი წლები*

ტანჯე. ორი დღე სულ გაუნძრევლად ვინექი, რადგანაც ყველა ძვლები მტკიოდა. ეპიდემიაა თბილისში. ერთი სახლი არ არის, რომ ავადმყოფი არ იყოს იქ. თუ გაცივდა ადამიანი და ფილტვების ანთებაზე გადავიდეს, ძალიან ძნელია. ამ მოკლე ხანში ძალიან ბევრი მოკვდა. გაფრთხილება უნდა. ჩვენთან: მე, დედა და კატუნა ვინექით. დედაკაცი არა გვყავდა. მამა სამსახურში არ დადიოდა და გვივლიდა. სადილსაც ის

აკეთებდა, მაგრამ ვაი იმ სადილს, სუფის მაგივრათ რალაცა ფაფას აკეთებდა. შალიკოც ვითომ შველოდა. პარლამენტის წევრი, ბანკის დირექტორი და სახლში მზარეული. დედა მალე მორჩა. დედაკაცი დავიჭირეთ და ცხოვრება კალაპოტში ცოტ-ცოტათ ჩადგა.

მე ველარ და ველარ გამოვკეთდი. ხანდისხან ისე მომინდება გარედ გასვლა, რომ რამის წამოვხტე და წავიდე. ამხანაგები მოდიან, მიაბობენ, რას აკეთებენ და როგორ ატარებენ დროს სასწავლებელში. გული და სული სულ იქა მაქვს. ნუ თუ კიდევ მთელი კვირა უნდა ვიჯდე სახლში? ოჰ, რა ძნელია. ქეთოც ავად გახდა. თავს არ გაუფთხილდა და ისიც ლოგინად ჩანვა. ნეტა, მალე მორჩეს. თუ კარგი დარი იქნება, ამ დღეებში გავალ ცოტა მზეზე. ჩემდა საუბედუროდ, ეხლა უფრო აცივდა და მზეც აღარსადა სჩანს. „Все так мрачно и серо“. ძალიან მიმიწევს თეატრში. ვინ წამიყვანს ავადმყოფს? ნეტა მალე სულ კარგად გავხდე, ღმერთო!

ამ წოლის დროს ბევრი ფიქრები მიტრიალებდნენ. ჯერ ერთი, როცა დიდი სიცხე მქონდა და თავზე ყინული მედო, სხვა და სხვა ტიპები გამომეცხადებოდნენ ხოლმე. მე ნათლად ვხედავდი. ყველა ნაცნობებს წარმოვიდგენდი და დავინახავდი კიდევ. ღამეები არ მეძინა. თვალები დახუჭული მქონდა და სხვა და სხვა აზრი მიტრიალებდა თავში. მაგალითად, მთელი ღამე ვხედავდი: ვითომ მე, ქეთო, ელიჩკა და ტასო რამიმე. მივდიოდით პარიზში. დანვრილებით მახსოვს, როგორ გავგაცილეს სადგურზე, ბევრი ნაცნობები იყვნენ, რომლებმაც დიდძალი ყვავილები და კამფეტები მოგვიტანეს. მეორე კლასის კუპე მთლათ გვიყიდეს და შიგ მოვენყეთ. გოგა და პატე გვაცილებდნენ. ფული ბევრი გვქონდა მიკერებული პერანგზე. ცოტა ვიტირეთ და მატარებელი დაიძრა. მე და ელიჩკა სამეურნეო და ენების კურსებზე

მივდიოდით, ქეთო – სიმღერისთვის, ტასო – არ ვიცი. მატარებელი დაიძრა. ბევრი რამ გვქონდა. ძალიან მხიარულად მივდიოდით. ზოგიერთ ქალაქში ჩავდიოდით და ვშინჯავდით. ძლივ-ძლიობით ჩავედით პარიზში. იქ იყვნენ სუნანა და მედია, რომლებმაც ორი ოთახი დაგვიქირავეს, ავიყვანეთ ეტლი, დავტვირთეთ ბარგით და მივადექით ჩვენ ახალ სადგომს. მშვენიერი ორი დიდი ოთახი. ერთ ძალიან დიდ ოთახში ოთხი თეთრი სანოლი სუფთათ. ყოველ სანოლთან პატარა შკაფები და ჩამოსაკიდი. ერთ კედელთან დიდი სარკის შკაფი და კომოდი. მეორეში სუნანამ ეცადა და ხალიჩებში მოგვიერთო ოთახი. შუაში დიდი მაგიდა, კედელთან ტახტი, კრესლოები, პატარა მაგიდები ყვავილებით. ჩვენ მივედით დილით. მაშინვე გავხსენით ბარგი. კაბები გამოვიცვალეთ. დიასახლისს წინდანინ ფული მივეცით. სუნანას და მედიას ოთახი ჩვენს გვერდით იყო. სადილის დროც მოვიდა. სადილის უკან წავედით პარიზის დასათვალიერებლად. შესანიშნავი იყო. ბევრი ალაგი მოვიგონეთ. მედიამ გვითხრა, რომ ჩვენი ქალაქები უნივერსიტეტში შეტანილია და ნამდვილად მიგიღებენო... ამაზე გავახილეთ თვალი. გათენებული იყო. ნუნუ ყვიროდა, ჩქარა პური მომე, მაგვიანდება სასწავლებელშიო. ამისთანა სიზმარი შესანიშნავია. ნეტა, ამისრულდეს.

### **18 ნოემბერს. 1918 წ. (Тифლ. на воен. положен.).**

გერმანიაში რევოლიუცია დაიწყო. ვილჰელმი გადადგა. თვისი მანიფესტი გამოაცხადა. თბილისიდანაც მიდიან გერმანელი ჯარისკაცები. მათ სამაგიეროთ ინგლისელების და ფრანგების მისია ჩამოვიდა. საქართველოს დამოუკიდებლობა პრინციპში მიიღეს. გერმანელები რომ მიდიოდნენ, თურმე უთქვამთ, ჩვენ არასოდეს თავს არ დაგანებებთო გაჭირვების დროს.

ოჰ! ამ სომხებზე რა ჯავრი მომდის. ეს ღმერთისგან დანყევლილი ხალხია, გაუბედურებული. ნამცეცი პატიოსნება არა აქვთ. რამდენი სიკეთე გაუკეთეთ, რამდენი ლტოლვილები გადაურჩინეთ, მაინც უმადურ ხალხს ვერაფრით დააკმაყოფილებ. რა საქმეს სჩადიან. იმ დღეს მათ მიერ ჩადებული დინამიტები იპოვეს ელექტრონის სადგურზე, მტკვრის პირას. ერთი მეთევზე თურმე ჭიაყელებს ეძებდა ქარხანასთან მიდგომულ ძველ ნოტიო კედელში. ამ ჩიჩქნაში კი ნაანყდა დინამიტს. შეატყობინა მილიციას. დაიმაღნენ. როცა მოვიდნენ ამფეთქებლები, დაიჭირეს და სომხები გამოჩნდნენ. გუშინ ვერის ხიდთან მთელი სრუტე იპოვეს. ჯარით იყო შემორტყმული ხიდი. ამბობენ, სასახლესთანაც ნახესო და თეატრთანაცო. ეს უკანასკნელები რამდენათ სწორეა, არ ვიცი. თურმე ყველა ხიდების აფეთქება უნდოდათ და მთელ რაიონების. ვერაზე უპოვეს რამდენიმე რუსს ყუმბარები, ბომბები და სხვა და სხვა ამფეთქებელი საგნები. რას სჩადიან, არ მესმის, როდემდის უნდა იყოს ესეთი მდგომარეობა. დაშნაკცაკანები ტყუილად ჰყრიან ქუჩაში ბავშვებს, რომ მერე ილაპარაკონ: „აი, რა ქალაქია თბილისი, ქუჩაში ცოცხალი ადამიანი გდია და არავინ ყურადღებას აქცევსო“. რამდენი ათი ათასისთვის მიუქცევიათ ყურადღება. რალა სულ სომხები გვხვდებიან. ოჰ! ოლონდ მათი ჯავრი ამომაყრევინა და რა ვიცი. მაღლობას შემოგწირავ, ღმერთო, ბილწი, უმადური, სულით დაცემული.

## **1 დეკემბერს, 1918 წ. (ახალი სტილით).**

ეს დღე ისტორიულია ქართულ ცხოვრებაში. ამ დღეს შესრულდა ნახევარი წელიწადი, რაც საქართველოს თავისუფლება აღიარეს. მთელმა ქართველობამ თბილისისა თავი შეიყარა სასახლის წინ. აქ მოხდა „პა-

რადი“. ნეს-რიგობა მშვენივრათ იყო დაცული. დაიწყო კრება. ბევრი მილოცვები იყო. ბოლოს ორატორებმა სთქვეს სიტყვები. ამ დღეობამ კარგად ჩაიარა. ყოველი ქართველი გრძნობდა თავის თავს თავისუფლად. აღტაცების ღიმილი უკრთოდა ყოველს და თითქო ეს ენერათ: „ოჰ, ძლივს გვეღირსა! გვეღირსა! გვეღირსა!“ არა, ნუ ვჩქარობთ. მტერი გარშემო გვყავს და გვითვალთვალებს. რა უნდათ ჩვენგან? ეს ღმერთმა იცის. ძლივს გვეღირსა და ქართული დროშები დავინახეთ. რა მშვენივრათ ფრიალებდნენ. ჰაერშიაც ტრიალებდნენ აეროპლანები. მე სულ მაკანკალებდა. ჩემს არსებაში რაღაცა თრთოდა. ოჰ! რათ გვიშლიან სხვები, რა უნდათ ჩვენგან? ნუ თუ ერთი წვეთი სიყვარულის და შებრალების არა აქვთ. „ნმ. გიორგი, იყავ მფარველი საქართველოისა!“

გაიძვერა, ეშმაკი და არ ვიცი, რა სახელი უწოდო შესაფერი, სომეხი. ოჰ, როგორ მძულან. სულ მაგათი ბრალია. რას ჩაგვაცივდნენ. არა! მოთმინება ეკარგება ადამიანს და ესრეთ საზიზღარ მოძა-ები გასასრესები აქვთ. ღმერთო, მაპატიე, რომ ესრე ვლაპარაკობ, მაგრამ მოთმინებას საზღვარი აქვს. შენ ხედავ, მაღალო ზეციერო მამავ, სამართალს. ჩამოგვაშორე მტერი და თავისუფლად ამოგვასუნთქე.

### **3 დეკემბერს.**

რა მომივიდა! ამ წლამდის არ დავდიოდი მგალობლიშვილებთან. ეხლა ხშირად ვარ მათთან. სხვას რომ ვკითხო, „ვინმე მათგანი მოსწონსო“. რა სისულელეა. მათთან კარგად ვატარებთ დროს და იმიტომ. პატე მეჯავრებოდა. მეგონა, რომ რაღაცა მიუკარებელი ადამიანია და თამამი. ეხლა, როცა ახლო გავიცანით

– მშვენიერია უფრო... დღეს ადგა მხოლოდ ლოგინი-დან. გამხდარი, გაყვითლებული მომხიბლავი იყო. თვალის მოშორება არ მინდოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მიყვარს. სრულებით არა. ესენი კარგნი არიან, როგორც ადამიანები. საცინელია კოსტა, სულ იცინის, მხიარულობს და კუნტრუშობს, როცა მივალთ. გოგაც ოხუნჯობს. მაინც ყველას... მირჩევნია. დღეს იყო იგი შეუდარებელი.

„О, еслиб – без слов

Сказаться душой было можно!“

### 17 დეკემბერს (ახალი სტ.). 3 საათი შუადღ.

ეჰ! რა დროა წინანდელზე ლაპარაკი და პირად გრძნობაზე. ამ დღეებში წყდება საქართველოს ბედ-ილბალი. გათავდა მსოფლიო დიდი ომი. ვიფიქრეთ, პატარა და დიდი მხეცები ეხლა მოისვენებენო. არა! დიდებმა დაისვენეს. ახლა პატარებმა – უმნიშვნელომ და გაფუჭებულმა, უსვინდისო და კიდევ სხ. ერმა – სომხებმა გამოუცხადეს ომი! მერე ვის? „ქართველებს“. სულით დაბალნი, ლაჩრები. რამდენი სიკეთე უყავით. ათასობით ლტოლვილები, გლახები შიმშილს და სიკვდილს გადავარჩინეთ, მეზობლებათ და მეგობრებათ ვთვლიდით. გველები, მუხანათები. არ ვიცოდით, რომ მათ გულში ეშმაკი ბუდობს. დღეს ფაქტიურად დაიწყო ბრძოლა. 10 დეკემბრიდან თუ ადრეც ჩვენი ტერიტორიის დარაჯები მოჰკლეს, ვინც ტყვეში წაიყვანეს, ვერაგულად მოეხრენ – ყურები, ცხვირი, თვალები დაუჭრეს. გაგზავნეს სანაინისაკენ რაზმი გვარდიელებისა. მაგრამ დამარცხებულნი იქმნენ. ეს დანამდვილებით არ ვიცით. ისინი 6 თვის განმავლობაში ემზადებოდნენ. რეგულიარული ჯარი ჰყავთ... გუშინ

ულტიმატუმი წარუდგინეს სომხის მთავრობამ ერივანისა – ქართველებს, ახალქალაქი, ახალციხე, ჯავახეთი დაგვიცალეთო, თბილისი ნეიტრალურ ქალაქად გახადეთო. უნამუსოები. შორიდან გულადები. ჩვენ ესე გვიუკადრისეს. ჩვენი დედაქალაქი, სადაც ჩვენი წინაპრები საუკუნოებით იბრძოდნენ და იცავდნენ სამშობლოს... ეხლა ისე არ დავეცემით და გავლაჩრდებით, რომ ესენი ავასრულოდ. სისხლის უკანასკნელ წვეთამდის ვიბრძოლებთ და არავის არ დავანებებთ საყვარელ დედას – თბილისს. სომეხი შორიდან არის გულადი. ხომ გავიგეთ, რომ ჯარი დალაგებული ჰყავთ. ჩვენებსაც გავგზავნით და სეირს უჩვენებთ. უნდა საბოლოოდ მოუღოთ ამ შეუწყნარებელ მტერს ბოლო. ჯერ ქრისტეს დაბადებამდის შეუჯდნენ ქართველებს და მთელ 19 საუკ. არ ასვენებდნენ. ეხლაც უნდათ, როდის, მე-20 საუკუნეში ასტეხონ ყლგა. ქართველი ძალიან მომთმენია, მაგრამ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. წაეკიდება. მსხვერპლი დიდი იქნება, აი, რა არის საშიში. ღმერთო, ნუ თუ მაგისტანა უსვინდისო ხალხზე შენი კურთხევა წამოვა! არა მგონია, არა! სამართლიანათ უნდა იყოს. ყოველმა სომეხმა ჩემში აღძრა სიძულვილი. რალაცა გრძნობა გამელვიდა გულში, მინდა, მივარდე ამა თუ იმ სომეხს და იქვე დავახრჩო. ვერ ვიტან სომხურ ენას. რაც ხალხი, ისიც ენა. ზოგიერთნი ამბობენ: „ტიპლის ნაშ გოროდ!“ აი, სადამდის მივიდა მათი სიმამაძალღე. ამისთანა სიტყვას არ ვიხმარებდი არავისზე, სომხებზე კი გამოჭრილია, თითქო მათთვის დაუმტკიცებიათო. ყოველ ტერტერას შეხვედრაზე გული მიწუხდება. მაშ, დაიცადეთ. მგონებ, დაგავიწყდათ ქართველების მუშტის გემო!!! ძალა რომ მქონდეს მე...

რა არის უმაღლესი და უულამაზესი სიყვარულზე სამშობლოსადმი. ეს გრძნობა აერთებს ადამიანს მაგარ ბორ...

Что выше, что краше любви к отечеству? Это чувство соединяет людей крепкими узами привязанности. Это – духовное братство.

*(Typ.)*

## **27 დეკემბერს.**

ომი, მერე რა ომი. ათასობით ილუპება ხალხი. ევროპა დაწყნარდა, მსოფლიო სტიქია ჩანდა. თითქო ყველამ მოისვენაო. ჩვენ კი უბედურება დაგვატყდა თავს. ბინძურმა ხალხმა გამოგვიცხადა ომი. არა მაქვს ისეთი გამომხატველი მათი საქციელისა სიტყვა, რომ მათ უნოდო გველები. აირია პატარა საქართველო. დაინყო ძველებურად ბრძოლები. რამდენი ყოჩალი და მშვენიერი ვაჟკაცი მოკვდა. მერე ვისგან? ოჰ, ღმერთო, ეს ტანჯვა აუნერელია და საძულველი. ვჯობნით ჩვენ ჯერ-ჯერობით. მათთაც კარგი ჯარი ჰყავთ. ქოფაკები. 19 ამ თვეს იყო ბრძოლა, ქართველებმა აჯობეს, მაგრამ ბევრი სხვერპლი შეიწირა. რა მოგველის, არ ვიცი?..

ჩვენ სახლშიც არევ-დარევა ჩანს: 1) შალიკო 24 დეკემბერს ჩაენერა სანიტრად და წავიდა სანაინისაკენ. ნეტავი, არაფერი მოუვიდეს, მშვიდობით დაბრუნდეს. ღმერთო, მოუმართე ხელი. 2) ნუნუ გაგვიხდა ძალიან ავად. აი, ჯერ არ ვიცი, რა აქვს. ექიმი ვერ მიხვდა, ვერ გამოარკვია, რა არის. ხვალ კონსილიუმი. მგონი, მუცლის სახადია (ბრიუშნოი ტიფი). ღმერთმა დაიფაროს და სიპნოი არა ჰქონდეს. ეგ უიმედოვნო არის. ძალიან იტანჯება ბავშვი. უბედურება მოგვივლინა ღმერთმა. რა დაგიშავეთ, წმ. მამაო, რა შეეცოდეთ.

გუშინ მთელი ღამე არ მეძინა. სადმე რომ მივდივარ, სულ იმაზე ვფიქრობ, ნეტავი, კარგად დამიხვდეს და სხ. ძალიან სუსტი გული აქვს და ძალიან გვეშინიან. მჯერა, რომ ღმერთი და ღვთის-მშობელი არ დაგვარჩენს უყურადღებოდ და უპატრონებენ შალიკოს, მორიდებენ ტყვიას და ხიფათს და აქ ნუნუს მოგვირჩენენ. მჯერა მაგ ძალაში. დედა საშინლად დაიტანჯა. მამას და დედას ღამეები არა სძინავთ. ბაბო ყრუა და ვერა შველის. ჩემ მხრივ ვცდილობ, რამე შეუმსუბუქო. ხვალ კრიზისია, გავიგებთ, რა ავადმყოფობა აქვს. უნდა გამოარკვიონ ხვალ დილით ორმა ექიმმა. ღმერთო, არაფერი საშინელება არა ჰქონდეს ნუნუს და ყველაფერმა მალე გაუაროს. გემუდარები და გეხვეწები.

### 30 დეკემბერს, 1918 წელს.

აი, ესე უბედურად გვითენდება ახალი წელიწადი. 1919 წელი, იყავ ბედნიერი მომავალში. რალა ყველა უბედურება ჩვენ უნდა გვეწვიოს? ნუნუ ძალიან ავადაა. საბრალო ბავშვი ძალიან იტანჯება  $40^{\circ} \frac{7}{10}$  აქვს. სუსტი არსება ძნელად იტანს სიცხეს. ექიმმა სთქვა, რომ გული მაგარი აქვსო. ნეტავი ღმერთმა გადმოგვხედოს და ნუნუ გამოაბრუნოს. საბრალო დედა და მამა ძალიან დაიტანჯნენ. შალიკოც სდუმს, არ გვატყობინებს თავის მდგომარეობას. გუშინ წერილი მივწერე. არ ვიცი, მიიღებს თუ არა. მოსვენება არა მაქვს. მთელი დღე დავრბივარ აქა-იქ, რომ ნუნუს წამლები მოუტანო.

აი, ღმერთო! ყველას რომ საჩუქრებს და გასახარელს მოუტან ხოლმე, პატარა საჩუქარი ჩვენც გვიბოძე ეს. მალე მორჩეს ნუნუ და შალიკო მშვიდად ჩამოვიდეს. დედ-მამა და ყველანი გაგვაბედნიერე ამით. ეს უმცირესი საჩუქრის ასრულება არ არის ძნელი. მჯერა შენ ძალაში, მამაო ზეციერო და თხოვნის ასრულებაში.

დღეს რალაცა მომივიდა, არ ვიცი, რა იყო! მივდი-  
ოდი ნუნუს წამლის საყიდლად. ადრე იყო და ქეთოს-  
თან ერთად წავედი სინემატოგრაფში. თან მინდოდა  
წასვლა და თან არა, იმიტომ რომ ვფიქრობდი, მე იქ  
ვისიამოვნო და ნუნუ სიცხეში იწვეს მეთქი. არა, მე  
იმიტომ კი არ წავედი, რომ მესიამოვნა, სრულებითაც  
არა! უნდა დამესვენა და დავიწყებულიყავი, რომ აღ-  
არ გამეგო ტანჯვა, მაგრამ ეს ფიქრი, რომ მე წავედი  
არა თავის დროზე, მიღრინავდა გულს. ღმერთი მაპა-  
ტიებს ჩემ სიდაბლეს და არ გამირისხდება. მანამ ნუ-  
ნუ კარგად არ იგრძნობს თავს, არსად წავალ სამხი-  
არულო ალაგს. ვიჯდება და ვისწავლი, რომ გავათავო  
კარგად სწავლა და ჩემი მშობლები გავახარო.

ისე დავიტანჯეთ ამისთანა მდგომარეობით, ისე,  
რომ სიცოცხლეც გაგვიმწარდა. როგორ მინდა ეხლა,  
ამიყვანონ და სულ სხვა ქვეყანაში ამომაციოფინონ თავი,  
საცა არ ვგრძნობდე არაფერს. რამე ცხოვრების ტალღა-  
ში ჩამაგდონ, დამატრილონ და მერე მიმატოვონ. მინ-  
და, ვიყო სულ მარტო. არა ვგრძნობდე ვისმეს სიახლო-  
ვეს, მოვშორდე ამ ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე წამით.  
ნეტა იმას, ვინც ბედნიერია იმით, რომ ის, ვინც უყვარს  
და რაც უყვარს, კარგად არის. მას არაფერი აწუხებს.

ჩვენ ვართ უბედურები. ამისთანა ძვირობაში შე-  
უძლებელია ავად გახდომა. მამა ჯერ ავადმყოფობით  
იტანჯება ნუნუსი და მერე ძალიან ბევრ ფულის და-  
ხარჯვაში. საშინელი ფასებია წამლებზე. მამამ სთქვა:  
„უკანასკნელს ფულს დავხარჯამ, ოღონდ თქვენ კარ-  
გად მყავდითო“. საბრალო კაცმა რა დაუშავა ქვეყანას,  
იღბალმა რად უმტყუნა? რატო მისი ცხოვრება ბედ-  
ნიერი არ გახადე, სულ უბედობა და უიღბლობა. ხვალ  
ახალი წელია. აბა, ფორტუნა თავის ყანნიდან რას გად-

მოგვიყრის. ხვალ ახალი სტილით არის 1919 წელი. ღმერთო, ეს წელიწადი გააბედნიერე და მრავალი სიკეთე მოუტანე შენ დატანჯულ ერს.


რა ამბავი აქვთ კატებს. მე ვწერ და ისინი გარედ კნავიან როგორც ადამიანები. ეს, წმ. ქალწულო, ცუდს ნურაფერს მოგვივლინებს. დღეს ვლოცულობდი ეკლესიაში, მუხლ-მოდრეკილი ვიყავი ხვთიშობლის ხატის წინ. წმ. დედა ღიმილით მიმზერდა და თითქოს ჩემ თხოვნაზე დასთანხვდა. მე მჯერა, მჯერა შენ უზენაეს ძალაში. ამისრულე, ამისრულე, უფალო, ვიტანჯვი.

წუნუს დილით ჰქონდა  $40^{\circ} \frac{7}{10}$ , ეხლა 9 საათზე სალამოსი -  $39^{\circ} \frac{2}{10}$ . იქნება ღმერთმა გვიშველოს და საშიში არაფერი იყოს.

Саламбо. Саламбо. Саламбо.

Я не хочу и не пойду.

დროებით შეწყდა ომი. მოლაპარაკება გამართეს ვერაგულ სომხებთან. უბედურები ვართ ჩვენ, ქართვე-



მარო მაყაშვილის დღიურის გვერდი

ლები. როგორ შეიძლება მათთან შერიგება. სამუდამოდ უნდა წაეშალათ მათი სახელი დედამინიდან. ოჰ, ღონე მქონოდა, რას უზამდი მათ! რამდენმა სიცოცხლით სავესე ჭაბუკმა შეაკლა გმირულად თავი. რამდენი მშობელი დარჩა ობლად საყვარელი შვილით, ძმით და სხვა. უბედურებას უბედურება მოზღვეს, ბოლო სად არის? სამართალიც სად არის? სად? ამ დღეებში შალიკო ჩამოვა. საცოდავი დაჭრილებთან ყოფნის მაგივრად ტიფიანებთან იმყოფება და მათი გარშოკები გაგვაქვსო, როგორც თვითონ იწერება. ისეთი ამბით წავიდა და ეხლა იწერება, ჩქარა გამომწერეთო. ძალიან ძნელი საქმე უნდა იყოს, რადგანაც მან ვერ აიტანა. წარმოდგენილი მაქვს, რამდენ ჭუჭყს ჩამოიტანს. თბილისი თანდათან ივსება ინგლისელ ჯარით. არავინ არ გვასვენებს ჩვენ. ხან ფრანგები გვენვევიან, ხან გერმანელები, ხან სომხები. ეხლა ინგლისელები. რას გააკეთებენ აქ, არ ვიცი.

*1919 წ. 4 იანვარი*

თანდათან რალაც მეპარება მე გულში. რალაცა ახალი გრძნობა, ტკბილი, სასიამოვნო. ერთ ვისმეს რომ დავინახავ ხოლმე, გული ძგერას დამიწყებს და სისხლი თავში ამივარდება. მე არ ვიცნობ მას. არ ვიცი არც მისი სახელი, არც გვარი. ნეტა, ვინ არის? მაგრამ, მგონია, გავიგებ მალე.

### **იანვარი 10. 1919 წ.**

სცენა მიყვარს გაგიჟებით, მაგრამ მე თვითონ მსახიობი არასოდეს არ ვიქნებოდი. მაგონდება ერთი მსახიობის სიტყვები: „Да, жалок тот, кто поступает на сцену“. ოჰ, რა კარგია ვიყო მსახიობი მხოლოდ რამდენიმე წუთით. თუ რამე მომწონს სცენაზე არტისტში,

ალაგას ველარ ვზივარ, ვლელავ და არ ვიცი, ჩემი ალტაცება რაში გამოვხატო. ხანდისხან ძალიან მომინდება, რომ მეც მქონდეს ნიჭი, ვიყო გამოჩენილი მსახიობი. რა ვიცი, რას ვიზამდი, ხოლოდ იქ წავსულიყავი. მაგრამ რომ მაგონდება ის, თუ რა არის მათი ცხოვრება, მუდმივი განხეთქილება არტისტებს შორის, შური და ბრძოლა. შურით აღჭურვილი ცდილობს, როგორმე გააშავოს ხალხის თვალში მასზე ნიჭიერი მსახიობი. მთელი სიცოცხლე ყოფნა კარდონის დეკორაციებში და ხალხის წინ მხიარულებდემ მაშინ, როდესაც შენი გული იწვის და იტანჯება რაიმე მიზეზისგან. რას განიცდის მსახიობი? არ ვიცი. მაგრამ მსმენელი ბედნიერია. მის ყურამდის მიდის ავიც და კარგიც, სიმღერაც და ცრემლიც. კაცის გული ხან შფოთავს და ხან ხარობს. თუ გულზე რამე დუხჭირი აწევს ადამიანს, ის წარმოდგენაზე არ წავა. უსათუოდ კარგ გუნებაზე იყოს, რომ მოისურვოს თეატრში წასვლა. მსახიობი კი არა. მას დანიშნულებათ აქვს ეს და მოვალეა, აასრულოს ის, რასაც სთხოვენ. ჩვენ არ ვიცით, ის გულწრფელათ ამბობს თავის როლს, თუ მარტო მძიმე ტვირთით იტანს. ზოგი ერთ მსახიობს თავის თავი ავიწყდება, სცილდება ცხოვრებას და მთლათ იფლება თავის ახალ და ახალ როლებში. ის ხან მხიარულია, ხან უბედური და ორივეს კარგად ასრულებს, ავიწყდება ის, თუ მას გულზე აქვს რამე ტანჯვა. მე მგონი, იქ, სცენაზე ისვენებს და თავის თავს ივიწყებს. აი, მე დღეს მე-4 ვიყავი რუსულ დრამაზე „ვიდრე ხვალ, უფალო“, სენკევიჩის რომანი. პირველად ვნახე „მარკ ვინიციის“ როლში დნეპროვი და დიდ ალტაცებაში მოვედი. ღამეც კი არ მეძინა. სულ იმას ვხედავდი და თვალწინ მედგა. მაშინ ორჯელ ვნახე. ეს იყო 1918 წელს. ეხლა 1919 წელს კიდევ

ვნახე სხვა არტისტების შესრულებით. დნეპროვი სულ დამავინყდა და ის კაშევსკიმ დაჰფარა. აი, ის არტისტი, რომელსაც თავი ავინყდება და სულით და გულით ასრულებს თავის მოვალეობას. ის თითქო ნამდვილად განიცდისო, ისე თამაშობს. მე მეგონა, რომ პირველი დასსი რომ წავიდა, მათ ნაცვლად ცუდი მოვა მეთქი და თითქმის დავსტიროდი „დნეპროვს და ტორსკის“, მაგრამ შეეცდი. ეხლა უფრო კარგი გაგვიჩნდა. არა! თეატრს არაფერზე არ გავცვლი. მიყვარს და მეყვარება კიდევ. იქ მე ყველაფერი მავინყდება და სმენათ გადავიქცევი ხოლმე. თუ ერთი რამ ძალიან მომეწონოს, 10 რომ ვნახო, არ მომწყინდება. იქნება, ეს ბავშვური საქციელი იყოს, მაგრამ რა არის ამაში ცუდი? მამა ამბობს: ეს ასეთი პერიოდი არისო, მალე გაივლისო. არა მგონია. მე მინდა, რომ მუდამ დაახლოვებული ვიყო მსახიობებთან. ოჰ, რა კარგია, მქონდეს დარბაზი, საცა იკრიბებოდნენ ქურუმები ხელოვნებისა, მაგრამ ამას უნდა ფული და ფული. ამ უბრალო პატარა საგანს აქვს უუდიდესი ძალა და მის საშუალებით ყველაფრის მიღწევა შეიძლება.

ჩემი იდეალი არის ის, რომ როცა გავათავებ სწავლას, მოვიარო მთელი ქვეყანა. ამაზე დიდი ბედნიერება რა იქნება? ნუ თუ ღმერთი არ მაღირსებს ამისთანა სიხარულს, როდესაც დადგება ის დრო, რომ მე ბარგი შეეკრა და სამგზავროთ გავსწიო. ჯერ საფრანგეთში, ინგლისში, ესე იგი დასავლეთ ევროპაში და მერე ამერიკაში, აფრიკაში. იმაზედაც დავსთანხვდება, თუ მარტო ამერიკაში წავიდე. არა, იტალიის და საბერძნეთის ნახვაც ძალიან მინდა. ოჰ, ფულო, ფულო, რათა გაქვს მაგისტანა ძალა, რომ შენ წინაშე ყველა კარები ღიაა? ვეცდები გულით და სულით და იქნება, ჩემი უდიდესი განძრახვა როდისმე შევასრულო.

მიჟუხინისთანა კარგი მსახიობი არ მინახავს, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, იგი მარტო ეკრანზე არის. მის ხმას და თამაშს ცოცხლათ ვერ ვხედავ.

## 15 იანვარი.

გუშინ ვიყავით მე, ქეთო და მაგალობლიშვილები რუსია ამირეჯიბთან. მერე ერისთვიანცა წავედი. იქნებოდა 9 საათი საღამოსი. პატე არ მასვენებს, ჩამაცივდა და ყოველ ჩემ სიტყვას იმეორებს, დამცინის ხუმრობით. რა საცინელია. ძლივს ძლიობით იჯდა ამირეჯიბიანთ, ერქარებოდა ერისთვიანცა. ყოველ წამს იმეორებდა: „ვიღუპები, ჩემი ბედი წყდება“. რომ არავის გაეგო, თუ სად მიდის, უთხრა რუსიას, ჩემ ნათლიასთან უსათუოდ უნდა წავიდეო და მიულოცოო. წაგვსკდა სიცილი. ძლივ ძლიობით მის გახარებულ გულზე, წავედით მამა დავითში, ნინუცას დღეობაზე ახალი სტილით. გიჟებივით მივრბოდით მე, პატე და ელიჩკა, რომ ტრამვაიზე მოგვესწრო. მერე აღმართზე სული ამოგვეძვრა. მეათე საათი იყო, როცა იქამდის მივედით. ძალიან ბევრი ხალხი ჰყავდათ. 11 საათამდის დავრჩით და წამოვედით. მე მგონი, მარტო ამ წასვლა-მოსვლაში გავატარეთ დრო. გოგა და პატე მეძახიან „Пташка“. არ ვიცი, რათ?

„Тот, кто не умеет находить счастье в самом себе, не найдет ее и в целом мире“.

*Ауэрбах*

ინგლისელები თავის ჯარებით მოდიან და მოდიან. აქ გაავრცელეს ხმა, რომ ისინი 20 კ. ვერცხლისა ჰყიდიან შოკოლადს. მე, ქეთო და ელიჩკა გავიქეცით სათავადო სასწავლებელში (ეხლა ქართ. უნივერსიტ.). პატეც გამოგვეყვა. გზაში გვეუბნება, თქვე სულელებო,

მოგატყუილესო. მერე უპასუხე მე: „შენ რაღად მოგვდე?“ – მე მინდორზე მივდივარ ჰაერის ჩასაყლაპათო! კარგი. ჩვენ შევედით ეზოში და ვაპირებთ ინგლისელ ჯარის-კაცთან მისვლას. პატე არ გვიშვებს, სირცხვილიაო. როცა მე ვკითხე, აკი, მოიდანზე მიდიოდი მეთქი – სთქვა, არა, უნივერს. საქმე მაქვსო. იქ კარებში იდგა. როცა ჩვენ მივედით ინგლისელთან, ისიც მოგვიახლოვდა, მაგრამ მაგ ინგლისელს ვერაფერი ვერ გავაგებინეთ და ხახა მშრალნი შინ დავბრუნდით.

დღეს გავათავე აუერბახის „აგარაკი რეინზე“. შესანიშნავი წიგნია. აქ ჰყავს მწერალს გამოყვანილი ტიპები მაღალ გრძნობით და იდეებით. მათი მიზანი სიცოცხლეში ნამდვილია. ისინი ებრძვიან უსამართლოებას და სიმართლისკენ და სინათლისკენ მიისწრაფვიან. ფილოსოფიას ამ წიგნში დიდი ალაგი უჭირავს. მე მგონი, ამ წიგნის წამკითხავს გულში ბევრი რამ ჩარჩება. აქედან შეიძლება გაიგოს ადამიანმა სიბილწე და სიკეთეს შეუწყვეტელი ბრძოლა, რომელიც მიიყვანს რომელიმე გამარჯვებასთან. ეს ორი უზარმაზარი რამ არა სწყალობენ ერთმანეთს და ერთმანეთის ბოლოს მოღება უნდათ. ერთი მათგანი სცდილობს დაამყაროს ქვეყანაზე სიმშვიდე, სიყვარული, პატიოსნება, მეორე კი – სულ წარღვნა და შავი ძალები გაამეფოს. ამ წიგნში, აი, ამ უმთავრეს ელემენტებს უჭირავთ ალაგი. სიკეთე და ბოროტება იბრძვიან და როგორც უმეტეს ნაწილში, სიკეთე დაგვირგვინებული და გამარჯვებული გამოდის. გმირი ამ წიგნის არის ალებული პირდაპირ ცხოვრებიდან თავის გრძნობებით. ავტორი აყენებს მას ჩვენ წინ და თავის ფიქრს და აზრს მის პირით გვიხატავს. იგი რეზენიორია ჩვენ წინ. დიდ ქკუის პატრონი ახალგაზრდა ფილოსოფოსი გვიხატავს თავის შეხედულებას მსოფ-

ლიოზე. მისი ღრმა აზრები ადამიანს ალელვებს და მის ალავას თავის თავს აყენებს. ის მიდის პირდაპირ თავის მიზნისკენ და არსად არ უხვევს. მის გზაზე არავითარი შემთხვევის ატანა ძნელი არ იქნება. თუ იმის გულში ღრმათ არის ჩანერგილი ეს თუ ის სურვილი, მტკიცე ხასიათის ადამიანი ყველაფერს აიტანს.

ამისთანა ტიპებს, როგორც წიგნებშია, იშვიათათ შეხვდებით სიცოცხლეში. არ ვიცი, მე ჯერ არსად მინახავს არც ერთი მაგალითი. არ ვიცი, იქნება, ჯერ ადრეა ჩემთვის და მოვესწრები. რას წარმოადგენს ადამიანი? ის სტუმარია დედამიწის, აქ ის ლხინობს მასთან ერთად, იტანჯვის და მერე ისევ შორდება. მანამ ადამიანში ნაპერწკალი ღვივის, იგი ხარობს და ტანჯობს. როცა იგი ჩაქრება, ყველაფერი ისპობა და ქრება. ესე რომ, რაც გინდა, გონიერი და ნიჭიერი ადამიანი იყოს, თუ ჩაქრა ნაპერწკალი, ისიც ქრება. ადამიანის ფსიხოლოგია სულ მასზედ არის დამყარებული, ამ ერთ ბენო ნაპერწკალზე.

*22 იანვარს, 1919 წ.*

### **იანვარი. 1919 წ.**

რა არის ფული? იგი ხელის ჭუჭყია, როგორც ამბობს ხალხი. მაგრამ ამ ჭუჭყს დიდი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში, თითქმის რომ პირველი. უფულოთ ბევრ რამის გაკეთება არ შეიძლება. გუშინ ველაპარაკებოდი დედას: უსათუოთ ევროპა უნდა მოვიარო მეთქი. ჩაიცინა, მერე ფულიო? აქაც ფული. მამა შესძლებს, მე დარწმუნებული ვარ და გამომიგზავნის ხოლმე. ოჰ, რა ბედნიერება იქნება, როცა მე საზღვარ გარეთ გავჩნდები. უნდა უსათუოთ ასრულდეს.

## 20 თებერვალი.

რამდენი სახიფათო რამეა ადამიანის ცხოვრებაში. ამ უკანასკნელ დროს მტრებმა არ დაგვაყენეს. ყოველ მხრიდან თავს გვესხმევიან. იქ ახალციხე თათრებმა აიღეს, აქ სოჭი მოხალისეთა რაზმმა დენიკინის მეთაურობით. გუშინ მე ვიყავი თეატრში, იქ წაიკითხეს, რომ ინგლისის მთავრობამ გამოგზავნა დეპუტა, რომელშიაც იყო: ინგლისის მთავრობა უბრძანებს ინგლისის მისიას, გასცეს ბრძანება დენიკინს და ის მოსცილდეს საქართველოს საზღვრებს. დიდი ტაში და ჰიმნების დაკვრა იყო. დიდ ისტორიულ მომენტს განვიცდით. 15 ამ თვეს არჩევნები იყო დამფუძნებელ კრებისა. სოც. დემ. ძალიან ბევრი გავიდნენ. მერე №2 ეროვ. დემ. და სხვა. დიდი ამბები იყო ქუჩებში. ბიულეტენები დაფრინავდნენ ჰაერში, ავტომობილები დასრიალებდნენ და ნომრებს ჰყრიდნენ. ყველა ჩქარობდა, ხმა მიეცა იმ პარტიისთვის, რომელიც მოსწონდა. ძალიან ბევრს ვლელავდით ჩვენც. №11 იყო უპარტიოებისა და არც ერთი არ გავიდა. 480 ხმა მიიღეს. ახალი პარტიაა და ბევრი მას არ იცნობს. ყველგან სოც. დემ. გადიან. ოჰ, ეგ პარტია ცრუ გზაზე აყენებს. ეგ სოციალისტები კი არ არიან, არამედ ბურჟუები, მარტო სახელი აქვთ სოციალისტებისა და მის ენით ლაპარაკობენ. მთელი ერი, მგონი, 15 პარტიათ გაიყო. აბა, აქ რა იქნება, რა გამოვა.

გავიცანით მე და ქეთომ პაულო იაშვილი, ძალიან სასიამოვნოა. პირველად მომწონდა, ეხლა თან და თან – არა, მე სახით ვამბობ. მხიარულია. ყოველთვის სახაზინო თეატრში ვხვდებით. ის მონაწილეობას იღებს ჩვენს დიდ საღამოზე, რომელსაც ვმართავთ 22 თებერვალს. ოჰ, რა ფაციფუცში ვართ. არტისტებთან

დავრბივართ, ვთხოვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ. იქ სხვაზე გავიქცევით. დრო არა გვაქვს.

### **23 თებერვალს. გაგრძელება 24. 1919 წ.**


გუშინ სასწავლებელში გვეკონდა დიდი სალამო-ბალი. ჯერ მანამ ეს გაიმართებოდა, დიდ ფუსფუსში ვიყავით, ვლელავდით და გვეშინოდა, რომ ცუდათ ჩაივლისო. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა. 7 საათზე ხალხმა დაიწყო თავის მოყრა. სანამ კონცერტი დაიწყებოდა, რალაც უცხო ხალხი იყო, მოსწავლეები და წვრილფეხობა. სასიამოვნო არ იყო. თამარა ილინიშნამ მე, ქეთო და ვავა საჩაიეს ოთახში დაგვაცენა. ბუფეტი შესანიშნავი იყო. ბევრი რამის გემოც ვნახეთ. 9 საათზე არტისტებიც მოვიდნენ: ვანო სარაჯიშვილი, ინაშვილი, სპიტკო. გავიცანით ინაშვილი. წინად უფრო მომწონდა, როცა ახლო გავიცანი, არ მომეწონა. რას ნიშნავს ახლო? აი, როცა დაველაპარაკე, ახლო ვნახე მისი სახე. შორიდან უკეთესია. თავისი სურათები გვაჩვენა დემონში გადაღებული. პირველმა სპიტკომ იმღერა, რადგანაც კომერციულ სასწავლებლის სალამოზედაც იყო მიწვეული. სწორედ იმ სალამოს თითქო ჯიბრზე კომერსანტებმა გამართეს ბალი. კონკურენცია იყო ჩვენ და მათ შორის. საკონცერტო განყოფილება ძალიან კარგი იყო. 12 საათზე ცეკვა გაიმართა. ბევრი ვითამაშე, ძალიან დავიღალე კიდევ, თვალები მიჭრელდებოდა, როცა მაგდენ თავებს ვხედავდით. კორიდორებში გამოვედით დასასვენებლად. მერე გოგა, მე, ქეთო, გუგული და ბევრი სხვა ჩვენ ჯგუფისა შევედით პატარა სასტუმრო ოთახში და ცალკე ცეკვა გავმართეთ. იქვე როიალი იდგა, გუგული

მამაცაშვილი უკრავდა. ჩვენ კი ყველაფერს ვცეკვავდით, ტანგოსაც კი. მერე ჩაჩნური მათამაშეს, ყველას ძალიან მოენონა. მუსიკა მშვენიერი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო და კინალამ ჩხუბი არ მოუვიდათ ზოგიერთ სამხედრო პირებს, მაგრამ გააშველეს. 11 საათზე პაულო იაშვილი მოვიდა. მივესალმეთ და ყვავილები მივეცით. შემდეგ კოპალიც მოვიდა და ვახშმისთვის სულ კარგი ხალხი დარჩა. 1 საათზე თუ 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> ვახშამზე დასხდნენ. პაულო ტოლუმბაშათ იყო. აუქციონზე შამპანიური ორ ათასათ გაჰყიდა. ძალიან ყვიროდა და არ დაიღალა. ესტრადაზე მე და ქეთო აგვიყვანა და იქ გვეჭირა ბოთლი. სხვები ფულს აგროვებდნენ. კაბარის დროს პაულომ და კოპალმა ლექსები წაიკითხეს. სახაზინო თეატრიდან მოიპატიჟეს მოცეკვავეები და მომღერლები. ძალიან კარგი იყო. ჩემ მაგიდიდან ბლომად ავიღე ფული. ძალიან ბევრნი მოვიდნენ კომერციულ სასწავლებლის საღამოდან ჩვენ ვახშამზე. 4 საათზე ხალხი წავიდ-წამოვიდა. თამარ ილინ. ძლივს გააბძანა ზოგიერთი მთვრალი სამხედრო პირი. მერე დავრჩით მე, ელო, ტასო, ნიცა, ბეჟანიშვილი და რცხილაძე – ეს ჩვენი კლასიდან, თითქმის მთელი მე-6 კლასი, ზოგიერთნი მე-5-დან, პაულო, ლელი, კოპალი, ყველა მასწავლებლები, დირექტორი, გამგე თავის მახლობლებით, 8 აფიცრებამდინ, სუნანა, მედია, აფხაზი ნიკუშა და სხვ. გავმართეთ ცეკვა. მუსიკა წავიდა და როიალზე უკრავდით. აქედან უფრო კარგად გავატარეთ დრო. მე პირველად ვიყავი საღამოზე და ისე ნასიამოვნები არასოდეს არ დავრჩენილვარ. მათამაშეს ჩაჩნური. პაულო და კოპალი არ მშორდებოდნენ, იცინოდნენ და მიხაროდა, რომ ჩემ მიერ დაპატიჟებულნი კარგად ატარებდნენ დროს. 5 საათზე ვახშამი გაგვიძალეს, ერთი უშველებელი საერთო მა-

გიდა. ქეთო 4 საათზე წავიდა. მეც მეუბნებოდა, მაგრამ ამხანაგებმა დამარჩინეს. ჩვენი გერმანულ ენის მასწავლებელი ძალზე დაითვრა და ყველას ქათინაურებს ეუბნებოდა. საცინელი იყო სიმთვრალეში და ცეკვაში. ბ-ნი ლეოც ჩამოვიდა ზუგდიდიდან ჩვენ საღამოზე. ძალიან გაგვეხარდა და ისიც გახარებული იყო. როცა ცოტა გადაჰკრა, აღარ გვშორდებოდა, გვეხუმრებოდა და ოხუნჯობდა. ვახშმის დროს დირექტორმა მოგვილოცა ჩვენ და გვისურვა ბედნიერება. სთქვა: მე მინდა, რომ თქვენ ცხოვრებაში თქვენი აზრით და ჭკუით იყოთ და არავის, არავის არ მიბაძოთ, მაგაზე საშინლობა არაფერი არ არის. მერე პაულომ და კოპალმა დალიეს. ალავერდი ჩემთან იყო. დაუკრეს ჩაჩნური, ვიცოდი, რომ მე მათამაშებდნენ, გავიქეცი და დავიმალე სხვა ოთახში. ყველანი გამომეკიდნენ: „კნიაჟნა! კნიაჟნა! სულ ერთია, არ დაგანებებთ თავსო, მანამ არ ითამაშებთ“. რა მექნა, მეც დავსთანხვდი. ტასო და რცხილაძე აქ ძალიან დათვრნენ. ტასო ძლივს იჯდა სკამზე. ხან მე დამადებდა მხარზე თავს და ხან ელოს. მეც სანაძლეოზე ვჭყიპავდი. რცხილაძე ხომ კინალამ მოკვდა. სულ გასულელდა და რალაცეებს ბუტბუტებდა. ოჰ, რამდენი ვიცინეთ.

8 საათზე სახლში დავაპირეთ წამოსვლა. არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც წავედით. მე-ნ კლასი და დანარჩენები წინ წავიდნენ. ვაჟები, მე, სუნანა და მედია ერთად გამოვედით. აი, აქ იყო, რაც იყო. სახლამდინ არ მომიკუმშია პირი, გიჟივით ვიცინოდით. სასწავლებლიდან რომ გამოვედით, პაულომ მოტეხა დიდი ტოტი ერთი ხისა, შუა ქუჩაში დადგა და ყვირილი დაიწყო, გაიღვიძე, მინისტრო ევგენი გეგეჩკორო! გეგეჩკორი იქვე სდგას. ქუჩაში ვინც კი არ შეხვდებოდა, ხელს ართმევ-

და, ქუდს უხდიდა და ჰკოცნიდა კიდეც. ერთი ტაჩკა დაინახა, შიგ ჩაჯდა და ყვირის, მცხეთაში მივდივარო. იმ დღეს კურთხევა იყო კათალიკოსის ლეონიდის. იქიდან ჩამოაბრძანეს. ისე ვხმაურობდით, რომ ყველა ფანჯრებში იყურებოდა ღამის საცვლებში. პაულო და კოპალი ქუდს უხდიდნენ და კოცნას უგზავნიდნენ. პირველნი სირცხვილისგან იმალებოდნენ. შეგვხვდა ერთი დროგი ჭარხლით. პაულომ მისცა მედროგეს 5 მანეთი და 4 დიდი ჭარხალი ამოაცალა და გადმოგვიგდო. ერთი საჩაიეში შეიტანა და უთხრა, სადილისთვის ჭარხლის სუფი გამიკეთეთო. მეორე მუშას ჩაუჩხირა პირში. ორი ვირი მოდიოდა, ზედ შეაჯდა და გარეკა. ტრამვაი გაივლიდა და თავს უკრავდნენ ყვირილით: „Здравствуй, душечка, Оля, Маруся, Таня!..“ კოპალი და ერთი ციციშვილი – ავიატორი აჰყვა. როცა სახაზინო თეატრს მიუახლოვდით, მუსიკის ხმა მოგვესმა. დავინახეთ ქართული ჯარი ქართულ დროშით მიმავალი მცხეთაში. კოპალმა და პაულომ ორი უშველებელი თაიგული იები გვიყიდეს. მე და სუნანას ყველაზე დიდები მოგვცეს. დავდექით შუა გზაში და ჯარი რომ მოგვიახლოვდა, ყველას დაურიგეთ პატარ-პატარა თაიგულები იის და მერე თავზე ვაშის ძახილით გადავაყარეთ. ჯარი შედგა და ქართული სიმღერა დასძახეს. პაულომ ექსპრონტები უთხრა. მერე ჯარს უკან მარშით გავყევით. ხალხი გვიყურებდა და უკან მოგვდევიდა ცქერით. ყველა ფანჯრებიდან გვიცქეროდნენ. 9 საათი იყო. ხალხი ძალიან ბევრი იყო. დავენიეთ დანარჩენ მონაფეებს და ყველა ერთად წავედით. ვიცინოდით გიჟებივით. ერთ დუქანთან დავდექით. პაულომ, ციციშვილმა და კოპალმა დაინახეს ერთი მზარეული, რომელიც ფანჯარაში იდგა. რკინის ღობე ჰქონდა გაკეთებული. როგორც ნა-



*ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე, მოსე თოიძე, ვარლამ რუხაძე, კოტე მაცაშვილი მწერალთა სასახლი, 1923 წელი*

დირის, ისე ბრაზება დაიწყეს, თითოს აჩვენებდნენ, ელ-რიჭებოდნენ. იმანაც ველარ მოითმინა და წყალი შეას-ხა. ერთ თათრის დუქანში შევიდა, აილო დიდი ვაშლი და მთელ ქუჩაში მიყვირის, მარო მაცაშვილის ქალო, ვაშლი, ვაშლი დაიჭირეო და გადმომიგდო. მე ძლივს დავიჭირე. მერე აილო რალაცა და მეუბნება, რა მაქვსო თქვენთვის, რაო! მე მივედი და ხახვი ჩამიღო ხელში.

ჩაგვაცივდნენ, მცხეთაში უნდა წამოხვიდეთო თქვენ და სუნანაო, ავტომობილით. ძალიან ბევრი გვთხოვეს, კინალამ ძალათი არ ჩაგვსვეს, მაგრამ ჩვენ გავექეციით. 2 საათზე მეტს მოვდიოდით ინსტიტუტიდან. გამოვეთ-ხოვე მათ. კოპალმა და პაულომ დიდის ამბით ხელზე მაკოცეს და 10<sup>1</sup>/<sub>2</sub> სახლში მოვედი. ძალიან შეშინებული იყო დედა, ეგონა, რომ იქ დავრჩი ღამე, რადგანაც წვიმა იყო. მერე ხან რა მოუვიდა ფიქრათ, ხან რა. მე ძალიან

დაღლილი მოვედი, დავლიე ჩაი და დავიძინე მაგრად სადილობამდის. სალამოთი სტუმრები მოვიდნენ და მოდუნებული, გამოჩერჩეტებული ვიყავი. დამცინოდნენ. რამეს მეუბნებოდნენ, მე სხვას უპასუხებდი.

Общественная жизнь это зал, а семья это те камни из которых сложен этот зал.

მე თანახმა ვარ გარინ მიხაილოვსკის აზრის.

12 მარტს გამოცხადდა საქართველოს დამფუძნებელი კრება.

*1919 წ. 12 მარტი*

**23 მარტს.** დღეს სწორედ ერთი თვეა, რაც მე დღიურში არ ჩამიხედნია. ან რა მაქვს ისეთი, რომ გაუზიარო მას. ცხოვრება თავის რიგზე მიდის, კვალს არა სტოვებს, რომ მე აღვნიშნო. დადგა გაზაფხული, მშვენიერი, მომხიბლავი, მაგრამ მარტი მაინც თავის არ იშლის, კარგს დღეს ავდარსაც მოაყოლებს. მაინც ჰაერი გამოიცვალა, სულ სხვა ჰავა ტრიალებს. ოჰ, მზეო, მზეო, შენზე კარგი რა არის, მეტადრე გაზაფხულისა.

გაზაფხული მოგვადგა კარზედა,  
ბიჭებო, დაუკარით ნალარას და თარზედა.

როგორც ბუნებამ გაიღვიძა, ისე ქართველი ერიც იფშვნეტს თვალს. უნდა მოველოდეთ, რომ სულ გამოფხიზლდება.

სასაწავლებელში გაგვიმართეს ორ კვირაში ერთხელ შეღავათიანი დღე. აი, გუშინ მოხდა ეგ დღე და ბარათაშვილის დილა გავმართეთ. ვასამართლებდით ერეკლე II იმაზე, თუ რათ შეუერთა საქართველო რუსეთს. მბრალმდებლებიც იყვნენ. დიდი კამათის შემ-

დეგ გავამართლეთ. ყოველ ამ დღეს ჩვენ ვინმე პოეტის პოეზიას გავარჩევთ. შემდეგში მინდა ავილო ვაჟა-ფშაველასი და მის პოეზიაზე მოხსენება დავწერო. ბევრს ვმხიარულობთ ხოლმე. ამ დილას ჩავაცივდით ნიცა ნასიძეს, შენ უნდა უსათუოდ სცენაზე გამოხვიდე და „Умеряющий лебедь“ ითამაშო. ვიცინოდით გიჟებივით. ნიცა დაბალი, სქელია და ვაჯავრებთ ხოლმე, რომ ის არის „стройная“, „изыщная“, „гибкая“. ეს სულ ხუმრობით ვამბობთ. ისიც გვეხუმრება და დაინყებს ხოლმე თავის ტლანქი ხელებით და ფეხებით სხვა და სხვა პას გამოყვანას და ჩვენც გიჟებივით ვიცინით.

ახალ მასწავლებელს ბ-ნ თედო ბეგაშვილს საშინლად დავცინით, იმ დღეს გაკვეთილზე ვატირეთკიდეც. ნიცამ რალაცა უთხრა, თქვენ უზრდელი ბრძანდებითო, მიუგო მასწავლებელმა და ცხვირ ჩამოკიდული დაჯდა. ცრემლები ადგა თვალეში. წითლდება, ხელები სულ ცხვირთან უჭირავს, თითქოს ტირილს იკავებსო. ძალიან შეგვეცოდა. გაკვეთილის შემდეგ გიჟივით გავარდა. გამგის გაკვეთილზე ხომ ჩუმათ სიცილისგან ვკვდებით. დადგება ხოლმე დაფასთან, გააშტერებს თვალს და გაშეშდება, „ТОМНЫЕ“ თვალეებს აკეთებს, დაკრიჭავს კბილებს, მუცელს გამოიგდებს და დგას. ჩვენ ერთმანეთს უყურებთ და ვხარხარებთ. როცა ის მობრუნდება, ძლივს შევიკავებთ ხოლმე. საცინელათ იტყვის ხოლმე კიდევ: „დიდება შენდა, ღმერთო!“ ამაზე ველარ და ველარ ვიკავებთ. მაშინ ყვირილს იწყებს. იმ დღეს არავინ არ მივედით კლასში, გვეგონა, შელავათიანი დღეაო. თურმე სხვა კლასებში იყო სწავლა. დაგვსაჯეს. ორი დღით კლასი დაკეტილი იყო. ბევრი გვიჯავრდნენ. იმ დღეს კიდევ რა გავაკეთეთ: გარდაიცვალა ქართველი პოეტესა ნინო ორბელიანი. წაუყვანეს ქალთა სემინა-



ნინო აბაშიძე-ორბელიანი

რია. ჩვენ რომ დავინახეთ ეს, ავტყდით, რომ უსათუოდ ჩვენც უნდა წავიდეთო. მე-3 დასვენება იყო. ამ დღეს 6 გაკვეთილი გვქონდა, დანარჩენი ძალიან ცუდები იყო. ავჯანყდით. მოვატყუილეთ, რომ ყველა გიმნაზიები მიდიან და ჩვენ თუ არ ვიქნებით, სირცხვილია. ბევრი ყვირილის შემდეგ წავვიყვანეს. გზაში დაგვცინოდნენ კიდევ, მე-7 გიმნაზია ჭირისუფალია, ვინც კი მოკვდებაო, ისინი იქვე არიანო. მართალიც იყო. რამდენჯერ-

მე ვიყავით კიდეც დაკრძალვაზე. მერე ნიკოლოზის სასაფლაოზე წავედით მთელი კლასი. იქ ბევრი ვიმღერეთ, ვილაპარაკეთ. ტასოს ვაჯავრებთ თედოთი. ისიც ტყუილად მოიკატუნა თავი, ვითომ ძალიან მოსწონს. ისეთი ამბავი აქვს, რომ რა კლასში. ამას წინად დიდი, ძალიან დიდი გაზაფხულის ავდარი მოვიდა. მე-5 გაკვეთილი თავისუფალი გვექონდა. ვსხედვართ ფანჯარაში. ყველას საშინლად გვშია და მეექვსეს უცდით. რუსული გვექონდა. ავდექით და დირექტორისგან 10 მ. ვისესხეთ, ვიყიდეთ 4 გირვანქა თხილი და მაგითი მოვსულიერდით. იქიდან წვიმამ ცოტათი გადაილო, მაგრამ გზაში მოგვისწრო. გიჟბივით მივრბოდით. მარტო კლასში ვმხიარულობ და უფრო კარგად ვსწავლობ. დანარჩენ დროს სახლში აუტანელი მოწყენილობაა. სადაც უნდა წავიდე, ყველგან ისე არ მიმინევს გული, როგორც წინად. არავინ არ მაინტერესებს. თითქმის სულ სახლში ვზივარ. მე, ქეთო და შალიკო ინგლისურს და ფრანგულს ვსწავლობთ. მინდა, მალე შევითვისო ეს ორი ენა. მინდა, დაველაპარაკო ინგლისელებს და მრცხვენინან.

ამ დღეებში ფრანგების მისიაც ჯარით ჩამოვა. რამდენი სტუმარი მოდის, რამდენი და ნეტა, როგორები არიან? რა მიზანი აქვთ, ერთმა ღმერთმა იცის. ღმერთო, გეხვენები, რომ ეს მიზანი ჩვენთვის კარგი იყოს და არა ბოროტი. ყველა აქეთკენ მოისწრაფვის, ნეტა, რა დარჩენიათ აქ!

## V. 24 მაისი (ახალი სტ.). 1919 წ. თბილისი.

ეს რვეული მე-5 და მინდა, სულ ახალი გრძნობები და ფიქრები აღვბეჭდო. მე წინა რვეულებში ვწერდი, მოვიდნენ მეთქი – გერმანელები, მერე – ინგლისელები, ეხლა კი იტალიელები არიან ჩვენთან. ამერიკელე-

ბით აივსო თბილისი, ინტერნაციონალურ ქალაქათ შეიქმნა. მაღაიციები, გურჯები თამამად დასეირნობენ ქუჩებში. ერთი გლეხი შეჩერდა და სთქვა მათზე: „მაგათ ჰგონიათ, რომ ეგენიც ადამიანები არიან რალა, მაიმუნები“. ბოლოს და ბოლოს ვის ჩაუვარდებით ხელში, არ ვიცი. ჯერ, მგონი, კიდეც ბევრნი გვესტუმრებიან. დელეგატები საფრანგეთში არიან კიდეც, მაგრამ კომფერენცია ჯერ არ გათავებულა და მალე გათავდება თუ არა, არც ეგ ვიცი. მოხალისეთა რაზმი „დენიკინის“ მეთაურობით ესევა საქართველოს, მაგრამ სასტიკათ ამარცხებენ. ლტოლვილებით თბილისი აივსო. პური ისევ ძვირია, შავი – 5 მ., თეთრი – 7, შოთი – 9. მოდი და იცხოვრე. ფეხსაცმელები შეუკვთეთ, ველარ მელირსა გამოტანა 300 მ. უნდა მივცე. დღეში, მამა ამბობს, საშუალო 150 მ. იხარჯებაო. ჩულქები – 150, 200 მ. როგორ უნდა ჩავიცვათ. ფულს ჩვენ თვითონ ხომ არა ვჭრით. უბედურებას უბედურება მოსდევს. იმდღეს სთქვეს, ამერიკიდან 180 ათასი ფუთი ფეხსაცმელი მოდისო. ჯერ არ ვიცი, როდის მიიღებს ქალაქი. ეჰ! ფასი ისევ იმისთანა იქნება.

აქ ძალას გვატანენ, 26 დროშა უსათუოდ იყიდეთო, დიდი უქმეაო და ყველამ უნდა გამოვიდოსო, ვინც ამ განკარგულებას წინ გადაელობება, მას 300 თუ 400 მ. ჯარიმას გადაახდენებენო. ძალადობა შეიძლება? ვისაც შეუძლიან, იყიდის, ვისაც არა, კეტით არ აყიდინებ. გულში მწამს სამშობლოს თავისუფლება, უსათუოდ წითელი ბაირახი უნდა გამოვკიდო? 26 დიდი ზეიმია მოსალოდნელი, ყველა კავშირები გულდადგენით მუშაობენ. დანვრილებით ავსწერ, როცა ვნახამ ამ უდიდეს დღესასწაულს ქართველთა ცხოვრებაში. 1 წელი საქართველოს დამოუკიდებლობისა, მართლაც რომ, იშვიათი მოვლენაა. უღელი გადატყდა და თავისუფა-

ლი კისერი აღმართა ქართველმა, დადაგულმა და დაჩაგრულმა ერმა. რა მოგველის, ჯერ ძნელია თქმა! ამ უქმეს ჩვენ სასწავლებელშიაც უქმობენ. მე მომცეს, სალამოსთვის დავწერო „თავისუფალი ქართველი ქალი და თავისუფალი საქართველო“. ეს თემა შესანიშნავია. მინდა, ბაბომ მიშველოს, რომ კარგად გამომივიდეს. დიდ მზადებაში არიან ჩვენი მოწაფეები, და მასწავლებელნი. არაფერი არ მინდა, ოღონდ ჩქარა დაგვითხოვონ და მე-8 კლასში გადავიდე.

დღეს მე-7 ვაჟთა სასწავლებელში (ყოფილ სათავადაზნაურო სასწავლ.) იმართება დიდი სალამო მე-VIII კლასის გამოსამშვიდებლად. მე დაპატიჟებული ვიყავი, როგორც მშველელი, მაგრამ არ წავედი, რადგანაც კაბა არ იყო, ჯერ ერთი, მზად და მეორეს მხრივ, ფეხსაცმელის გამოტანა ყოვლათ შეუძლებელი იყო. იმით დაკმაყოფილდი, რომ ავიღე ხელში დღიური და წერა დავიწყე.

მე-8 კლასის მოწაფე ვარ. აქამდის ბედნიერებას წარმოადგენდა ის წუთი, როდისაც გამომიცხადებდნენ, შენ გადახვედიო. როცა მართლა დადგა ის დღე, გულგრილად მივიღე და მასწავლებლებთანაც ჩხუბი მქონდა ნიშნებზე, უფრო კარგი მინდოდა. ოჰ, სწავლისაგან მაინც მოსვენებული ვიქნები მთელ ზაფხულს. სურათიც გადავიღეთ ჩვენი კლასის დამრიგებელთან. ერთი ვაჟა გადის და მე-8 არ იქნება, დანარჩენები უსათუოდ ვრჩებით და, მგონი, სხვა სასწავლებლის მოწაფეებსაც შეგვიერთებენ. როცა ნიშნები დაგვირიგეს, წმ. ელენეს და კონსტანტინეს დღე იყო და ამის გამო მისალოცად წავედით მე და ქეთო. ვიყავით ელო ავალიშვილთან. ოჰ, როგორ ვიციინოდით, სულ პირი გვილიმოდა. დიდები შემოგვნატროდნენ დამატებით: ვაი იმ მასწავლებლის

ბრალი, რომელიც თქვენ გასწავლისო. ჩვეულებისამებრ ქეთო ამღერეს, გავიცანით ახალი მხატვარი-ფუტურისტი გუდიაშვილი, ჩამაშტერდა, როცა გაიგო, კოტეს ქალიაო. 10 საათზე ელიჩკა მგალობლიშვილთან წავედით. იქ მეტი ახალგაზრდობა იყო და ძალიან დიდი მხიარულება. საზოგადოდ იმათ სახლში მოწყენას ალაგი არა აქვს. პირველ საათზე დავბრუნდით.

მე პატესადმი არავითარი გრძნობა არა მაქვს. მასზე სრულებით არა ვფიქრობ, არც კი მაინტერესებს, მაგრამ უფრო კარგად ვგრძნობ ხოლმე თავს მათთან, როცა პატე შინ არის. უფრო მხიარულია, ხუმარა. ზაფხულში ვეხვეწები დედას, ახალ-ქალაქში წავიდე და პატეც იქ რომ იქნება, უფრო დიდი მხიარულება იქნება. პირდაპირ მთელი არსებით მიმიწევს სოფელში. შარშან მთელი ზაფხული თბილისში ვიყავი, ვემზადებოდი. შარშანწინაც აქ ვიყავი თითქმის, მხოლოდ ერთი თუ  $1\frac{1}{2}$  თვე ოქროყანაში ავედი მაშო ნათლიასთან. ჩვენებთან მომინდა ყოფნა.

მეგონა უნივერსიტეტში შესვლა ენკენისთვეში, მაგრამ უმე-8 კლასით არ შეიძლება და უნებლიეთ უნდა განვაგრძო სწავლა მე-7 ქალთა გიმნაზიაში (ყოფილი სათავადაზნაურო). გაგვიმართეს სალამო გამოსამშვიდებელი. მე წავიკითხე „თავისუფალი ქართველი ქალი თავისუფალ საქართველოში“. მშობლები ამ სალამოთი აღტაცებაში მოვიდნენ. ჩვენც ბედნიერები ვიყავით იმ დღეს. ტასო რამიშ., მე და ქეთო ბ-ნ აკაკი ფალავას სულ უკან დავდევი, ყვავილების თაიგული გაუგზავნეთ ცავრინას ხელით. ბ-ნ თედოსაც გაუჭირეთ საქმე. მას მოსწონს ქ-ნი ნინო და სულ ერთად არიან განცალკევებულნი. საცა არ წავლენ, მე, ტასო და სხვები გვერდში ამოუდგებოდით და ილუზია იკარგებოდა. ვაშორებდით მათ ერთმანეთისგან, თედო ბრაზდებოდა, მაგრამ გვილი-

მოდა... მას ეგონა, რომ ეს ღიმილი გულწრფელი იქნებოდა. ძალიან ვლელავდი, როცა ვკითხულობდი, მაგრამ ყველას მოეწონა, მილოცავდნენ. მითხრეს, დაბეჭდეთ. ჩვენ მოძღვარს მოეწონა და ალტაცებაში მოვიდა იმითი, რომ მე ჯერ ერთი, კარგად წავიკითხე და მეორე ის, რომ გულზე აღმასის ჯვარი მეკიდა. დაუწყო მამას, ეგ ერთად ერთი იყო, რომელსაც ჯვარი ეკეთაო, მისი გზა ასეთი და ასეთი იქნებაო. ქადაგობა დაუწყო. როცა მიამბეს, თანაც მიამა და თანაც გამეცინა.

### **(22 მაისი) 4 ივნისი.**

მდგომარეობა უცვლელია, დენიკინი ჯარით არც ახლოვდება, არც მიდის. კრებები გაუთავებელია. ამ დღეებში მობილიზაცია მოხვდებაო. ოჰ! როდის უნდა ამოვისუნთქოთ თავისუფლათ. როდის აყვავდება ნალკოტივით ჩვენი ქვეყანა, რათ უნდივართ ჩვენ სხვებს, დაგვანებონ თავი, ჩვენც ვგრძნობთ, ვსუნთქავთ, ვხარობთ. ადამიანზე უარესი არაფერი არ არის. ის ყველა მხეცზე მხეცია და მისი განზრახვა აუცილებელია.

აბა, რას ვერჩით დენიკინს, რა უნდა ჩვენგან? არა, ქართველი ერი მხნე და გულადი არის, არავის დაანებებს თავის სამშობლოს. სამშობლოსადმი სიყვარული უდიდესია, სხვა ყველა გრძნობებზე მაღლა სდგას. შეებრძოლება მტერს უკანასკნელ წვეთამდის. შეებრძოლება და ან სიკვდილი, ან გამარჯვება. აი, დევიზი ქართველ ერისა.


### **დაგვიანებული დღე, 26 მაისი, 1919 წ. საქართველოს თავისუფლების 1 წლის გამოცხადება.**

დღე თითქო თანაუგრძობდა ზეიმს. დილიდან სალამომდის მზე უხვად ასაჩუქრებდა დედამინას თავი-

სი სხივმოსილი ისრებით. ქართველი ერი ბედნიერი იყო და ღმერთიც. მზის გარშემო რამდენიმე საათის განმავლობაში ცისარტყელა იყო.

### **ქ. თელავი. 1919 წ. 21 ივნისი.**

გზა გაუთავებელი იყო თბილისიდან თელავამდინ. მიდიხარ, მიდიხარ, უფრო მიცოცავ და ბოლოს, როგორც იქნება, თავს ამოჰყოფ თელავში. ჩალაუბანთან რომ მივედით, წინ გადაგვეშალა ალაზნის ველი. მართალია, ძალიან მომეწონა, ალტაცებაში მომიყვანა მყინვარებმა, რომლებიც გუშაგივით გარს შემოერტყვნენ კახეთს, მაგრამ ბოლოს შთაბეჭდილება არაფრის არ დამრჩა. მე მგონი, უფრო იმიტომ, რომ დაღლილი ვიყავი, ჩვენებზე ვფიქრობდი. მერე სულ ერთნაირი სურათია, განსხვავება არ არის. მე მინდა ვნახო ალაზნის ველი კარგ



*თელავი*

დარში, ან მზის ჩასვლის დროს, თვარიან ღამეში. მაშინ, ვგონებ, სულ სხვა თვალთ შევხედავ ყველაფერს. სადგური თელავის საძაგელია, პატარა, უმნიშვნელო, არა შესაფერისი ქ. თელავის, როგორც მეგონა, სანამ თვით თელავში ავიდოდი. თვითონ გზა ქალაქამდის საშინელია, ოღროჩოღრო, თითქო ასი წლის ბებრის კბილებია. არაფერი აგონებდა ქალაქს. უბრალო სოფლის ქუჩები და სახლები. მოვედით შინ. სიხარულით დაგვიხვდნენ ძალუა ქეთო ბავშვებით. იმ საღამოსვე ავდარი მოვიდა, მეორე დღესაც მთელი დღე წვიმდა. ისე რომ, დამწყვდეული ვიყავი სახლში. ბალის მეტს ვერაფერს ვერა ვხედავდი. მესამე დღეს კარგი ამინდი დადგა და გავისეირნეთ „ბულვარზე“, როგორც თელავის მოქალაქენი უწოდებენ. შემოღობილი ალაგია 200 ან 300 ნაბიჯში თუ მეტი. აქეთ-იქით ხეხილებია ჩარგული და ხალხი დილიდან საღამომდის ან შუალამემდის წინ და უკან დადის. საღამოთი ის ალაგი მომხიბლავი მომეჩვენა. ყველაზე ძალიან „ნადიკვარი“ მომეწონა. გადამლილი ალაგი, გარშემო მდებარე მიდამო სჩანს. მართლაც რომ, დიდებული ყოფილა კახეთი თავის წალკოტებით, მთაგრეხილებით და ჰაერით, რომელიც ნეკტარივით სასიამოვნო არის. ჩემდა საუბედუროთ, თვარე არ არის, ჯერ არ ამოსულა ახალი. თელავში თუ ვინმე გაჩნდება ახალი პირი, დიდ ყურადღებას იბყრობს ისე, რომ მრცხვენიან კიდევ გარედ გასვლა. ბორია და მისი მეგობარი დადიონდნენ და მიხსნიდნენ ლამაზ ადგილებს თელავისას. ჯერ  $\frac{1}{20}$  არ ვნახე იმისა, რაც უნდა მენახა. ძალუას ოჯახში ადამიანი არ მოიწყენს. მხიარული დიასახლისი კმარა და მთელი სახლიც გამხიარულდება. მეუბნება, უნდა გაგასუქოვო და ისე გაგისტუმრო დედაშენთანო, რომ მეორეთაც გამოგზავნონო.

თელავი, ეგ ჩემს თვალსაზრისით, დიდი და ლამაზი სოფელია ანუ დაბა, ქალაქს არასოდეს არ დაუძახებდი. სადმე სახლის წინ ქვატკეცილი 3 ან 4 არშინი რომ დაინახო, გაუხარდება ადამიანს. ადრე ვთქვი, გზაში რომ მივდიოდი, უჩვენებოთ ძალიან მომწყინდა, შეუჩვევლობით მომივიდა. კინალამ ვიტირე, როცა შალიკო თბ. სადგურზე გამომემშვიდობა. ბოლოს თავი შევიკავე. ამის შემდეგ მინდა, შორს, საზღვარ გარედ წავიდე სასწავლებლად. მაშინ სულ სხვა, გართული ვიქნები წიგნებში, ხშირად წერილებს მივწერ და ამაში ვანუგეშებ თავს, რომ მალე ვნახამ.

სალამოთი უნდა კიდევ წავიდე უდიდეს ქალაქის დასათვალიერებლად.

## **25 ივნისს. 1919 წ. თელავი.**

ესეც შენი თელავი. არაფერს ისეთს არ წარმოადგენს. რაც მეგონა, ის არ არის! მთელი დღეები ვზივარ და ვკითხულობ ხან რას და ხან რას. აქ პირველად წავიკითხე გონჩაროვის „Обыкновенная история“. ბევრი კარგი აზრი გამოსთქვა გონჩაროვმა ბიძა ადუევის პირით. მართლაც და მართლაც, რათ არის დედაკაცი დამნაშავე, თუ მისი სიყვარული გაჰქრება ერთისთვის და მეორესთვის კი აფეთქდება. ვეთანხმები ავტორს და ვამბობ, ეგ ბუნებრივია. მაგ., ქალს უზომოთ უყვარს, დარწმუნებულია, რომ ეგ სიყვარული მუდმივია, ჩაუქრობელი. მაგრამ დადგა წამი და გული სიყვარულისაკენ არ მიიწევა. თავის თავს უკვირდება, უნდა გამოასწოროს, გამოირკვიოს თავის საქციელი – ამაოდ, გული – გულგრილადაა. საშინლობაა. კაცი რაღათა მტრობს, რათ უნდა ქალი მის გვერდით იყოს, როდესაც სიყვარული აღარ არის?! ორივესთვის სიცოცხლე გამწარებულია.

მიე თავისუფლება, საცა უნდა, წავიდეს და რაც უნდა, ის გააკეთოს. ამას იქით გავიგე ერთისგან: ერთ კაცს უყვარს ქალიო და ეუბნება, თუ არ გამომყვები – მოგკლამო. რა სისაძაგლემდის უნდა მივიდეს ადამიანი, რომ ეგ სთქვას! კარგი – ქალს არ უყვარს, შიშისგან გაჰყვა, რაა მათი ცხოვრება. სულ უთანასწორობა, მათ შორის ჩხუბი, სიყვარულზე ლაპარაკიც არ შეიძლება (არის შემთხვევა, როცა ქორწინების შემდეგ შეუყვარდება). ეს განზე დავტოვოთ. რა ნება აქვს ვილაცა სხვა კაცს, ჩემი ნებით ისარგებლოს, გინდა თუ არაო. თუ მინდა, ხომ კარგი, თუ არა და, მისი რა საქმეა – მოკლას. ეგ მარტო გაუნათლებელია ან საძაგელი ადამიანი, გაპირუტყვეებული ჩაიდენს, სხვა კი არავინ. ბევრი რამე გამაცნო გონჩაროვმა ცხოვრების. ტერმინები დამანახა.

თითქმის არსად არ დავდივარ. თუ წავალ, ისიც სალამოთი. დილით ძალიან ცხელა და ფეხსაცმელები მენანება. მართალი რომ ვსთქვა, თბილისში ძალიან მინდა. დედა და მამას ნახვა მენატრება. თბილისს რომ გავცილდები ხოლმე, თითქო მშობელს დავმორდიო. ისე შევეჩვიე დედაქალაქს, რომ იქ ყოფნა მირჩევნია, თუ ყველა ჩვენები იქ არიან და მეგობრები. არაფრის გაგება არ შემიძლიან. გაზეთები არ მოდის. თითქო უცხოეთში ვარ მეთქი. დედაც არ ინერება – ნეტა, რა ამბავია.

ოჰ, ახალქალაქში ძალიან მიმიწევს. მინდა, ერთხელ მოსვენებით ვიმხიარულო იქ. შარშანწინ იქ არ ვიყავი, შარშან გამოცდა მქონდა და სულ იმის შიშში ვიყავი, დავიჭერ თუ არა მეთქი. ეხლა მაინც გამილიმოს ბედმა.

ვნახე კახეთი.

დიდებულია კახეთი თავის სიმშვენიერით. უბრალოდ არ დაამლერა და ააჟღერა თავის ჩანგი ვახტანგ ორბელიანმა. მართლაც რომ, მომხიბლავი არიან მისი

წალკოტები, სადაც იდუმალობა სუფევს. ალაზნის ველი გადაშლილი ხელის გულივით იბყრობს ყველას ყურადღებას. ზურმუხტოვანი, აბიზინებული ყანები შორიდან ზღვას წააგავს. გარშემო შემობოჭილია კავკასიონის ქედი, შუბლ შეჭმუხვნილი მყინვარი გადმოჰყურებს თავის ფეხთან მდებარე არეს და თითქოს ამბობსო, მეც თქვენზე ნაკლები არა ვარო. შეხედეთ ჩემს შევერცხლილ თავს. რა არის, რომ მოვხუცდი, მაგრამ სიბერეშიაც სილამაზეს არ ვკარგავ. უჩემოთ თქვენი შვენება დაიკარგებოდა. მართალიც არის. მთები თითქოს ფერხულში ჩაებნენო, ისე გარს შემოერთყენენ და მცველებივით გამზადებულნი არიან. ბევრ რამემ გადაიარა მათ თავზე და გადაივლის კიდევ. გაუხმრევლად, ხმაგაკმენდილი დგანან. ან რამ უნდა გაამხიარულოს, სადღაა ძველებური ჰარარალო. როცა მეფე ერეკლეს ჯარი ამ მთებს გადაივლიდა, მაშინ მთებიც ბანს აძლევდნენ, თავის სიხარულს მარტო მაშინ გამოხატავდნენ. ერეკლე – პატარა კახი სდუმს, მთაც ხმას არ იღებს. მასთან ერთად შესწყდა საქართველოს კეთილდღეობა. ორთავა არწივი აღარ ასვენებს. ბოლოს ეს არწივიც მოკლული იქმნა. მისი კლანჭები აღარავის აღარ აშინებს. თითქო ძილისაგან გამოიღვიძა ბუნებამაც, ქედმაც გაიღიმა. მიზეზი ამ ყველაფრის – საქართველო აღზდგა! ეჰ, რამდენი ფიქრები ტრიალებს თავში, არ იცის ადამიანმა, რომელს მოანდომოს დრო.

## **იყალთო. 28 ივნისი. 1919 წ.**

სულ სხვა წარმოდგენა მქონდა იყალთოზედაც. რამდენი ამბობა, რამდენი ლაპარაკი იყო იმაზე, თუ, აი, ამას წარმოადგენს იყალთო, აი, ამასო. მართალია, ჯერჯერობით არაფერი მინახავს რა, მაგრამ რომ ვნახო კიდევ, ისეთ აღტაცებაში არ მოვალ, როგორსაც

მოველოდი. ვნახე მამას სახლი, საცა მისი მშობლები ცხოვრობდნენ. ეხლა პაპის ძმა სდგას თავის შვილით და შვილიშვილებით. საცა სამართალია, ჩვენი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყურს ვინ უგდებს, ვის ჰქონდა წინად მისი თავი. ეხლა მოგვინდა ყველას. თურმე კარგი ალაგებიც გვქონია. 7 დესეტინას აძლევენ კომლს. შეგვიძლიან, კარგი სასახლო და საბალო ალაგი ავილოთ, ხოლოდ ბევრი სირბილი უნდა სასამართლოში, რომ დავიმტკიცოთ. ჩავალ თუ არა თბილისში, მამას უსათუოდ ვატარებ აქა-იქ, რომ ბოლო მოეღოს ამ საკითხს, თორემ სულ წაგვართმევენ და მაშინ ხელცარიელები დავრჩებით. სოფელში აქეთ-იქით მიპატიჟებენ. მამას ბიძაშვილმა აღარ იცის, როგორ გამიმასპინძლდეს. ვიყავი ძალუა სონასთან, სადილი ვჭამე იქ, ძალიან გაუხარდათ ჩემი ნახვა. 7 წელიწადია ელიჩკა არ მენახა. ეხლა ისე გაკეთდა, გაიზარდა. თელავის წმ. ნინოს სასწავლებელი გაათავა 7 კლ. ეხლა ვაცივდები ელიჩკას, მე-8 კლასში თბილისში ჩვენ სასწავლებელში გადმოდი მეთქი. ძალუა თითქო დასთანხვდა. თუ საშვასთვის იქნებაო იქ ოთახიო, უფრო კარგო. მე ძალიან მინდა, ძალიან. უნდა იქამდის ჩავაცივდე დედას, მანამ არ დასთანხვდება. მენატრება, რომ სახლში მყავდეს მეგობარი. მერე ისე არავინ დადის მამას ნათესავი, რაღაცა დაბარებულნი ვართ. ეს და-ძმა მაინც იყვნენ. ელიჩკას ძალიან უნდა. დიასახლისია კარგი. ვიყავი „ღვთაებაში“, იყალთოსგან  $\frac{1}{2}$  ვერსზე არის. კარგი ეკლესიაა იქ. ძველებური ხატები იესო ქრისტესი. ვემთხვიე მათ, შევეხვეწე მუდმივი ჩემი ნატვრა და გულ დამშვიდებული გამოვედი. დავათვალიერე იქაურობა. ჩემ ბებიის და პაპის საფლავებიც ვინახულე. კარგად იმოქმედა ჩემზე მაგ სანახაობამ. გარშემო ტყეები. იქვე ტაძართან აკადემია, სადაც



*იყალტოს აკადემია*

დიდებულმა შოთამ და ბევრმა ქართველმა მიიღო განათლება. ნანგრევებია, სადაც ეხლა მარტო გარეული ბალახია და სხვა ძრომელები დაბუდებულან. ჩემთვის ვფიქრობდი, აი, აქ მე ვდგევარ და ოდებლაც, იქნება, „ისიც“ განიცდიდა ამ ალაგას იმ დიდებულ გრძნობას, რომლითაც პოეტი არის დაჯილდოვებული ღმერთისგან. ღვთაებიდან თითქოს კახეთი ხელისგულზეაო. ყველა სოფლები ჩანს თითქმის, და თელავიც. იქიდან გადმოვედით ერთ მთაზედ. ტყეა იქაც, სადაც რამდენიმე ნანგრევია ეკლესიების. დიდ მანძილზე ერთი ციხის დასაწყისია და მეორე მხარეს – მეორე. თურმე სულ ერთად ყოფილა ეს შეერთებული. გამიკვირდა. დაქანცულები სხვა და სხვა შთაბეჭდილებით მოვედით სახლში. სალამოთი წვიმა მოვიდა და ძალიან მოწყენით ვიყავი. წავიკითხე რამდენიმე მოთხრობა რუსული და მაგაში გავატარე დრო.

დღესაც მთელი დღე წვიმს. ძალიან მოქმედობს ჩემზე ეს ცუდი ამინდი. სახლში ვზივარ და უფრო ჩვენების ნახვა მინდა. გარედ რომ ვყოფილიყავი, გავერთობოდი, აქაც სულ ვკითხულობ, მაგრამ მაინც ვიღლები და მოწყენილობას სულ უფრო და უფრო ვგრძნობ. ძალუა ქეთოს მივწერე დღეს წერილი, რომ ხვალ თელავში წამიყვანოს.

### **3 ივლისი. იყალთო.**

ესეც შენი იყალთო. გუშინწინ ჩავწექი ლოგინში. კუჭის ტკივილი საშინელი მქონდა. გულს მანვებოდა რალაცა, ორი დღე ლოგინში დავყე და ძალიან კარგად არა ვარ ეხლაც. მაგრამ უსათუოდ თელავში უნდა წავიდე. აქ ძალიან მოწყენით ვარ და იქიდან თბილისში. ნეტა, არაფერი მომივიდეს და კარგად ვიყო...

**თელავი.** ჩამოვედი. მერე რა, ბორია მიწყალებს გულს, ძალიან მაბრაზებს. ხანდისხან იქამდის მიმიყვანს ხოლმე, რომ რამის სახეში ვეცე. დღესაც ვეხვეწებოდი, წამომყე, ცოტა გავისეირნო მეთქი და აქაც თავი მტკივაო! რა უბედურებაა. ვიცი, უნდა წამოსვლა, მაგრამ რაკი კარგი ჩასაცმელი არა მაქვსო, არ წამოვალო საღამოთი. აი, ფუ, მაგისტანა პრანჭიაობას. მთხოვს დათა აბაშიძე, მე გაჩვენებთო, მაგრამ ეხლახან გავიცანი და ისე არ მინდოდა. სულ მეხვეწება, მეც გაბრაზებულ გულზე უარს ვეუბნები. მგონებ, როგორა სწყინს. კარგი ყმანვილია, ძალიან განვითარებული, ძალიან სასიამოვნო და პატიოსანია. როცა მოვა ხოლმე, მიხარია. ბორია სულ იღრიჭება, იცინის, მაგის სიცილმა მომკლა. თბილისში მიმინვეს. ძალუა ქეთო არ მიშვებს. ჩვენების ნახვა მინდა ძალიან და ძალიან.

### **10 ივლისს. თელავი.**

ძლივს-ძლიობით გამოიდარა. შაბათს მივდივარ და ძალიანაც მიხარია. მხოლოდ რა უბედურებაა, ეს უკანასკნელი დღეები ძალიან ნელა მიდის. უნდა პარასკევს ვყოფილიყავი ქალაქში, ბორია ჩამაცივდა, მე შაბათს მივდივარო და ბარემ ერთად ვიქნებითო. მართლაც, ცალ-ცალკე სიარული ეხლანდელ დროში, ცოტა არ

იყოს, სახიფათოა. დღეს ვარო მაცაშვილმა წაიყვანა კოლა იყალთოში. ძლივს მორჩა საცოდავი. ძალიან კარგი ოჯახია, მთხოვს, თბილისში ხშირად ვიარო მათთან.

გოგა მაგალობლიშვილი კვირას აქა ყოფილა, ნეტა, მცოდნოდა. მოვიდა ჭავჭავაძეებთან. მთელი ზაფხული წინანდალში უნდა იყოს. ეს ცოტა მოსაწყენია. ნუ თუ ახალქალაქში არ ამოვა? გუშინ სადგურზე ვიყავი, მეგონა, ძალიან მასიამოვნებს მეთქი კარაფაშკით წასვლა. პირიქით, სულ დამანჯღრია და ძლივს მოვედით სახლში. სალამო საუცხოვოა. რალაცა უბედურება მომდის, როცა კარგი ღამეა, რალაცა მოწყენილობა მეცემა და უაზროვნოთ უყურებ მთვარეს. თუ სახლიდან მოშორებით ვარ და, ცრემლები მახრჩობენ. ბორია მაბრაზებს. ხანდისხან ისე შემჯავრდება ხოლმე, რამის მივარდე და ვცემო. ისე ძალიან კარგი, კეთილია, მაგრამ პრანჭია. ღმერთმა დაიფაროს, თუ ესე არა ადგას ხალათი, თუ ამ გვერდზე არა აქვს შეკრული ღილები, გასკდება და არ ჩაიცვამს. თავზე პირსახოცებს იკრავს, რომ თმა კარგად დაუდგეს. ყველაზე ძალიან აქ მომწონს დათა აბაშიძე. მასთან ლაპარაკი შეიძლება იმ საგნებზე, რომელიც საერთოა. ბაასი ხშირად გვაქვს ყანწელებზე, თვითონაც ყანწელია. კარგა აჯავრებს გრიშაშვილს. ბევრი ლექსი იცის მისი. ტიტე და პაულოც მოსწონს. ამისთვის კამათი გვაქვს ხოლმე. მე წინააღმდეგი ვარ ფუტურბის, ის კი – მომხრე. ეხლაც ველი, ნეტა მოვიდეს, ცოტა გავერთო. ესე ჯდომა მომწყინდა. ძალუა ქეთო მეუბნება, შენ როგორ მოგბეზრებოდაო აქ ესე ჯდომა. მე უარს ვეუბნები, „რას ბრძანებთ მეთქი“. გულში კი მინდა, სადმე წავიდე. ეჰ! ეხლა ისეთი დროა, ვისა სცალიან სამხიარულოდ, თუ არა ისე ცოტა აფრთხილ შესულ ხალხს. მაინც თბილისში უნდა მოვახერხო

და რამდენჯერმე, თუ სეზონი არ დაიხურება, თეატრში წავიდე. ნეტა, ქეთო თბილისში იყოს.

### 30 ივლისს.

**ახალქალაქი.** ორი კვირაა, რაც ახალქალაქში ჩამოვედი. კახეთმა ჩემზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უმეტესი მომწონს წარმოდგენით. არა! ეხლა ვგრძნობ, რომ კარგად გავატარე იქ დრო.

ახალქალაქში ძველებურად მომინევედა გული. თბილისში მარტო შევარდენის გულისთვის თუ მინდოდა დარჩენა. ისიც, როცა გავიგე, რომ ბევრნი სოფლად მიდიან იქიდან, უფრო დამშვიდებით წამოვედი. კახეთიდან ჩამოსვლის უმალ დამიხვდა ქეთო. თბილისიდან ერთად წამოვედით, ის – ქვიშხეთში, მე – ახალქალაქში. აქ მაგალობლიშვილები არიან და უცნაური საზოგადოებაც, რომელიც შემდგარია დიდებისგან და პატარეებისგან ერთად. მუდამ განხეთქილება ხდება ამ ორ ჯგუფს შორის. ხშირად ავალთ ხოლმე მე და შალიკო საღამოობით იქ დროს გასატარებლად. ქეთო თუ ჩამოვა, მე მგონია, აქ უფრო სასიამოვნო იქნება, ჩემის აზრით.

მთვარის შუქზე ვსწერ ჩემს დღიურს, სასიამოვნოა და ამავე დროს გულის ამაჩუყებელიც. გუშინ, არ ვიცი, რათ, მაგალობლიშვილებთან ამივარდა საშინელი ქვითინი, ისეთი, რომ თითქმის 1 საათი ვტიროდი. ამომიჯდა გული. ვეკითხები ჩემს თავს, რა არის, მაგრამ იგი სდუმს და პასუხს არ მაძლევს. რა მიზეზია, არ ვიცი.

ქეთო ჩამოვიდა ჩემ დღეობისთვის. მხიარულათ ჩავიდა 22 კათათვე. მეგობრები მყავდნენ. ქეთოს მოსვლა ძალიან გამეხარდა, ეს მოულოდნელად იყო. კვირას კოლაანთან ავედით. იქ კოსტამ მითხრა, შენტან ტე-

ლეგრამააო. მომცა. მომცვივდნენ, სანდრიკა, პატე, ჩამაცივდნენ, ეს ნამდვილი არ არისო. ტელეგრამმა ქეთოსგან იყო: „დამხვდით, მოვდივარო“. ორწყალშუა ვიყავი. კოსტა იფიცავდა, ნამდვილიაო. სხვები ახირდნენ, არა და არაო. მაინც დავიჯერე, რადგანაც ზემოდან ქეთოს სადგური წავიკითხე. სანაძლეო მოუგე სანდრიკას – სილა.

### 13 აგვისტო. 1919 წ. ახალქალაქი.

აი, 12 საათია კიდევ და მე არ მეძინება. ჩემს თვალებს ძილის ნიაჲმა ფრთა არ შეახხო. საშინლად მომინდა დღიურის წერა. საინტერესო არაფერი მაქვს, რომ ჩავწერო. მაგრამ ხელის გავარჯიშება, მართლა რომ ვსთქვათ, მომსურდა. ამ საღამოს ვიყავით მე და შალიკო მგალობლიშვილებთან. გარეშე პირი არავინ იყო. ლაპარაკში და ბაასში გავატარეთ დრო. სამაგალითონი არიან, ყოველთვის ვიტყვი ამას, დღესაც წინააღმდეგ ვიყავით ჩვეულებრივისამებრ მთავრობისა. სანყალი რეზიკო რომ დაიჭირეს, ბოლშევიზმს აბრალებენ. ამაზე გული მოგვდიოდა. ესეც შენი სიტყვის თავისუფლება. პატემ კარგად სთქვა, სიტყვის თავისუფლება ნიკოლოზის დროსაც იყო, თუ კი მასზედ კარგ რამეს დასწერდნენ. ის არის სანყენი, რომ თავისივე ერი, თავისივე მოძმე გავინროვებს. სხვა ყოფილიყო, ისე გასაკვირველი არ არის. აქ კი ქართველი ქართველსავე ავინროვებს. კახეთი ჯერ-ჯერობით სდუმს, მაგრამ მათი ფიალა თურმე ივსება, რამდენიმე წვეთი და გადმოვა სიჩქარით, შეუჩერებლივ. მაშინ ამ სტიქიას ვერც ერთი ვერ გადაუდგება. მუდამ ვწერდი ყოველ მოთხრობაში, ჩემდამი მოგონილში, ამირანმა აწყვიტა თავის ჯაჭვი და საქართველო გაანთავისუფლა მეთქი. ეს ილუზია

იყო მარტო. თურმე იგივე ამირანი უფრო გაუნყვეტელ ჯაჭვებით არის შებოჭილი და მის განყვეტას დიდი, ძალიან დიდი ღონე უნდა.

აგრე ადვილი არ ყოფილა თავისუფლების მიღება. ჯერ რამდენიმე ხელში უნდა გაიაროს, გამოსწოვოს უკანასკნელი წვეთები და როცა დაუძღურდება, მერე მიაგდოს, როგორც გამოუსადეგარი რამ. ესეა ჩვენი ცხოვრება – მტრობა გაუთავებელი.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა N ალაგი. თითქმის ყველგან მოსჩანდა უზარმაზარი ხეხილები, რომლის ქვეშ დამატობელი ჩრდილი იყო. აბიბინებული მინდვრები გულს უმშვიდებდნენ ადამიანს. ფიქრით დაღალული, ფიზიკურათ დაქანცული ნავანყდი ერთს წყაროს, რომელიც ამოჩუხჩუხებდა ერთ ცაცხვის მეზობლად. ისეთი მომხიბლავი იყო ეს ალაგი, რომ მივწექი იქვე და ოცნებას მივეცი. ტკბილია ოცნება მყუდროებაში. სალამო ჟამი იყო, ჰაერში სიჩუმე სუფევდა, მზეც მისუსტებული უკანასკნელ სხივს და უგზავნიდა არეს. დაუდგარი და მოუთმენელი მთვარე მზის ჩასვლამდე დასკუბებულიყო ცის კამარაზე და თითქოს ეუბნებოდა: „მზეო, ეხლა ჩემი რიგიაო“. ჩამოხინდდა. ჩემს გულსაც თითქოს სიბნელე ეკარებოდა. ტკბილ ოცნებიდან მწარეზე გადავდიოდი და ესეთი სასტიკი შეცვლა ძნელი იყო. ჩემდა მოულოდნელად, ეს ფიქრები იბადებოდნენ ჩემს თავში: მაგ., რომ ჩაუკვირდეთ ცხოვრებას, რას წარმოადგენს იგი, რა უმნიშვნელოა ქალი მამაკაცის წინ, რა არის სიყვარული. ეს აზრები მიბნევენ გონებას. ყოველ ამ კითხვაზე ვეძებდი პასუხს. ბოლოს იმ აზრს დავადექი, რომ ბევრს არაფერს წარმოადგენს ადამიანი. იგი ხეხილივით ხარობს, მხოლოდ

უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს მით, რომ ის აზროვნებს და მოქმედობს, დანარჩენით კი, ისიც იზადება, იკვებება და ბოლოს, როგორც ყველა, ხმება. და ეს ყველაფერი იქცევა არაფრათ და ამ არაფერზე ისევ მისი მგზავსი დაიზადება და ასეა.

## 22 მარიამობისთვის.

ახალქალაქში ერთხელ მაგალობლიშვილებთან გავმართეთ სალამო. პატარა წარმოდგენა დავდგით, მერე ვახშამი. მხიარულად გავატარეთ დრო. გიჟებივით დავხტოდით, ვცეკვავდით. ვახშამზე მე და ელიჩკა დავითვერით კიდევ და მთელ მაგიდაზე ვმღეროდით. ქართული ჰიმნი დავიწყეთ, ყველა ავაყენეთ ფეხზე. დიდი-პატარა სულ აირია. ამას წინადაც სცენის სასარგებლოდ „მეზობლები“ მიდიოდა. გორიდან ორკესტრი მოიწვიეს. მომინდა ძალიან წასვლა. ავედი ელიჩკასთან, ყველანი ავაშფოთე და ქვევით წამოვიყვანე. წარმოდგენას სრულებით არ უყურებდით. ჩვენ ცალკე გვექონდა წრე, სხვა და სხვა თამაშობას ვთამაშობდით. ჩამოვიდა თბილისიდან სანდრიკა. სხვანაირი არსებაა იგი, ძნელი გასაგები, ხან ძალიან მხიარული, ხან ისე დაღვრემილი, მონყენილი, რომ უკვირს ადამიანს. ხელი მახლო, მე გაუჯავრდი. ეწყინა და მგონი, ხმას აღარა მცემს. „Чудак“-ი დავარქვით. ამ სახელის ღირსიც არის. ერთხელ თავი უნდა მოეკლა. ჩემთან ძალიან კარგ განწყობილებაშია, კარგად ვექცევი, მეგობრულად. დღეს კი მოვიდა მაგალობლიშვილებთან, იჯდა ჩუმათ, იჯდა დიდხანს, მერე წავიდა ხმა ამოუღებელივ სახლში. ჯერ მარტო ლამფის წინ იჯდა. კოსტა ხუმრობდა, ლამფა შეიყვარაო, მაგრამ ის პასუხს არ აძლევსო, ან არა, უყურებს, „как танцуют

комары“. ბევრი ვიცინე. საცინელია ძალიან კოსტა. მისი გაბრაზება მიყვარს, მეტადრე, როცა სხვა აჯავრებს, სიცილით ვკვდები. პატეს ხუმრობამ ხომ მომკლა. შევარდენის საშინელი წინააღმდეგია. მთელი საღამოები მაგაზე გვაქვს ჩხუბი. ის მიმტკიცებს, რომ ქალს არ უხდება მაგისთანა ვარჯიშობა, არამედ პლასტიკა უნდაო. მე პირიქით ვამტკიცებ, რომ უმაგისოთ კარგა ვერ განვითარდება საქართველოში ქალი. ოჰ, რა ლაპარაკია ხოლმე გაცხარებული. ის უფრო მეტი წილი მაბრაზებს და უნდა სიბრაზისგან ვილაპარაკო. შევეჩვიე და მეც დაცინვით უპასუხებდი. დღესაც გამინყალა გული, „შევარდენკა“, „შევარდენისტკა“. ხვალ მიდის თბილისში და თითქოს რამე მაკლდებაო. მე საზოგადოთ, როცა დიდი თუ პატარა სადმე მიემგზავრება, გული დამწყდება, თითქოს რაღაცა მახლობელი მოვიშორე მეთქი.

## 29 მარიაშობისთვის. 1919 წ.

რა მხიარულად გავატარე გუშინდელი დღე. დილის 10 საათზე ელიჩკამ, თამარა ჭინჭარაძემ, კოსტამ და სანდრიკამ გამომიარეს მეტეხში წასასვლელად. ამ დღეს ყოველ წელიწადს დიდი უქმეა, 15 მარიაშობისთვის ძველი სტილით. თეთრ კაბებში გამონყობილები გავსწიეთ. თითქმის ვერც კი გავიგეთ, როგორ მივედით საყდრამდის. საზეიმო ხალხი ბევრი იყო, მაგრამ არც იმდენი, რამდენიც წინა წლებში. ვილოცეთ ღვთიშობლის ხატის წინ, სამჯერ შემოუარეთ ტაძარს. უცბათ თავს დაგვაყენეს თუხარლებმა ტანია და კოლა. ძალიან გვთხოვდნენ, იმათთან წავსულიყავით სადილად. ჩვენ გვრცხვენოდა. სანდრიკა მუშტს გვიჩვენებდა, არ გაბედოთო, ახალქალაქში წავიდეთო. ისე გვთხოვდნენ, რომ

სირცხვილიც იყო, უარი გვეთქვა. დავსთანხვდით. სხვა-  
თა შორის, მაზნიაშვილების ოჯახიც იქ გახლდა. სადი-  
ლობამდის ისე ვისხედით, თითქოს ღვინოს უცდიდნენ  
და მერე გამხიარულებას. მშვენიერი ოჯახია თუხარე-  
ლიანთი, რა კარგა მიგვიღეს! სადილობისას ერთად  
დავსხედით მე, ელიჩკა, თამარა. პირდაპირ გოგა და  
ვანია მაზნიაშვილი (Мазнев), როგორც დავარქვით.  
დაიწყო ღვინის დასხმა, უსათუოდ უნდა დალიოთო.  
ელიჩკამ 3 ჭიქა დალია, მე – 4. თაბრო დამესხა, ფეხები  
ამიკანკალდა, სახე გამინითლდა, თვალები ამენთნენ.  
მაზნიაშ. დაითრო, გამინყალა გული. რამდენჯერმე ჩე-  
მი სადღეგრძელოც დალიეს. მერე თამადამ მიმართა:  
„ყოველმა ყმანვილმა დალიოს იმის სადღეგრძელო, ვინც  
მოსწონს. აბა, შენ, ვანია“. სულელი ადგა და მე გამო-  
მინოდა სავსე ჭიქა. ეგ იკმარა, რომ გოგა ჩამციებოდა.  
დალია კიდევ ჩემი სადღეგრძელო მის მამამ, გენერალ  
მაზნიაშვილმა. „Вот отец и сын отличились, но я уступаю  
сыну“-ო, მითხრა. მერე, როდის გაათავებთ სწავლასო.  
მე უპასუხე, 1 წლის შემდეგ. დანარჩენს მე თქვენ მა-  
მას მოველაპარაკებო. წამსკდა სიცილი, ძლივს-ძლი-  
ობით ავდექით სუფრიდან. აღარა მშორდებოდა ჩემი  
„жених“, როგორც დაარქვეს მას. ისე გამინყალა გული,  
რომ ვემალებოდი. მაინც გამომძებნიდა და მოვიდო-  
და. გოგამ და სანდრიკამაც ბოლო მომიღეს, ოჰ, უნდა  
ვიქეიფოთ შენს ქორწილზე, ბარემ ეხლა მოვრჩეთო  
საქმეს. იმდენს ვხუმრობდით და ვიცინოდით, რომ რა.  
დავაპირეთ წამოსვლა, არ გვიშვებდნენ, მაგრამ მაინც  
წამოვედით. ყველას წინ მარტო მე ვანიამ ხელზე მაკო-  
ცა. აქ შემრცხვა და გამოვიქეცი. გოგა და კოსტა, გოგა  
გოგოლაძე იქ დარჩნენ ქორწილში. მე, ელიჩკა, თამარა

და სანდრიკა წამოვედით. მუხლები მტკიოდა სისუსტი-  
სგან, სანდრიკასაც თვალები აენითლა. მხიარულად მი-  
ვედით სახლამდის, გზაში, მგონი, 5 დავისვენეთ. 4 ვერ-  
სი ღვინის შემდეგ ადვილი არ არის. „Чудак“, როგორც  
დავარქვი სანდრიკას, გზაში ყველას გამოეცნაურა,  
კინალამ ერთთან ჩხუბიც არ მოუვიდა. მერე უცბათ ჩა-  
წყნარდა, გაიბუტა. საკვირველია მისი ხასიათი. მერე  
ისევ მოუარეს. ღამე ცუდათ მეძინა. როცა დავილლ-  
ები, ეგრე მომივა ხოლმე. ძალიან მომეწონა მეც, ელ-  
იჩკასაც თითონ პატრონის შვილი – კოლა თუხარელი.  
სანიაზო სახე აქვს ძალიან. მე და კოლა ვთამაშობდით  
„კოშკი მიშკის“, ელიჩკა ბრაზდებოდა, რასაკვირვე-  
ლია, ხუმრობით. როცა ელიჩ. გადაჰკრა, მივიდა კოლა-  
სთან და ჩუმათ ეუბნება: „კოლა, კოლა“, კიდევ კარგი,  
არ გაიგო მან. მივარდი ელიჩკას, რა მოგივიდა მეთქი.  
ძლივს მოვიყვანე გონს. მერე მიკბინა. საშინელი ჩქა-  
რა ეკიდება მას ღვინო. მათამაშეს. ზურნა უკრავდა. ეს  
მეორეთ იყო ჩემს სიცოცხლეში ესეთი მხიარული დღე.  
პირველი, როცა ჩვენ სასწავლებელში „ბალი“ გავმარ-  
თეთ, მეორე – გუშინ. სულ მოულოდნელად მოვხვდით  
ამ თუხარელიანთ.

## 9 ენკენისთვე.

გუშინდელ დღემდის თბილისში წასვლა არ მინ-  
დოდა, მაგრამ ეხლა მივისწრაფი ქალაქისკენ. რა უბე-  
დურებაა, მგონი, პატე მომწონს სულ უფრო და უფ-  
რო. რა მშვენიერი იყო გუშინ, ფერ მიხდილი, თვალები  
მშვენივრად გამოიყურებოდნენ. მთელი საღამო ერ-  
თად ვიყავით. დავწერე პატარა მოთხრობა და მთელი  
ჩემი ფსიხოლოგია იქ გამოვიყვანე.

Авансировать – давать деньги вперед.

Авансцена – пространство между занавесом и оркестром.

Автограф – своеобразный почерк, рукопись одного автора.

Афтомат.

Аграрный – земельный вопрос.

Ажитация – волноваться, агитировать.

Аклиматизировать – приучать животных к новому климату.

Аксессуар – второстепенный предмет, служащий для дополнения главного.

Акустика – наука о звуке.

Аллегория – иносказание, выражение одного понятия или представление другим.

Амбулатория – лечебница для проходящих больных.

Амплификация – распространение речи ненужными фразами и словами.

Амулет – носимая на теле вещь, которой приписывается свойство предохранять от болезней и всяких несчаст.

Анабаптист – требующие вторичное крещение в зрелом возрасте.

Эластический – упругий, гибкий.

Элементарно – основное начало.

Аргумент – довод, приводимый в доказательстве.

Абстракция – отвлеченное понятие.

Абсурд – нелепость, бессмыслица.

Авангард – передовой отряд для охранении армии и наблюдении за неприятелем.

Аванпост – сторожевой отряд, выставляемый впереди войска, когда неприятель вблизи.

ომი ქართველების და სომხების შორის მოხვდა  
1918 წელს.  
ლიტერატურა.

### **VIII კლ. მონაფენი. 1919-20.**

ქეთო ჯაფარიძე.  
ელო ავალიშვილი.  
ტასო რამიშვილი.  
კატო ბაქრაძე.  
ნიცა ნასიძე.  
ვავა ვაჩნაძე. გავიდა VII კლ.  
თამარ ბეჟანიშვილი.  
ქსენია ლალანიძე.  
თამარა რცხილაძე.  
მარო მაყაშვილი.  
თამარა მარჯანიშვილი.

კატუნა კონსტანტინეს ასული ჯაფარიძე.  
ელიჩკა ივანეს ასული მგალობლიშვილი.



*მარო მაცაშვილი*

1919-20. დღიური.

გაგრძელება. მე-IV რვეული.

მაროს რვეული.

მარიამობისთვ. 1919/20.

მარო მაცაშვილი.

ისტორია, ქართ., ფიზიკა, რუსული, ფრანგული,  
კანონმეტყველება.

Любовь – вот способ разрешения всех споров, прим-  
ирения народов, источник радости и мира во всем свете.

*Золა*

ნაღველი.

რა ძნელია სიყვარული.

თავისუფალი ქართ. ქალი თავისუფალ საქართვე-  
ლოში.

რისთვის ღირდა სიცოცხლე.

მოდღვარის გაკვეთილი მე-VI კლასში.

ქუთაისში გამგზავრება.

დღიური.

ხვალ ახალი წელია!

შეხვედრა.

თვალები.

სიზმარი.

ბეჭედი. თარგმ.

## 1919 წ. მარიამობისთვის. ახალქალაქი.

### ნალველი.

დიდი, ნათელი შუშაბანდიანის ქერით ოთახი იფლოობდა მზის სხივებში. მის შუა გულს მარმარილოს კუნძთან იდგა ახალგაზრდა ჩაფიქრებული ქურუმი, რომლის სახეს ღიმი არ ეკარებოდა. მწუხარებით სავსე მიაშტერდებოდა ქვას, მაგრამ მუშაობას ვერ იწყებდა. ხელიდან ხან ერთი იარაღი უვარდებოდა, ხან მეორე.

თენგიზი, ასე ერქვა ყმანვილს, ემზადებოდა კონკურსისათვის, უნდა შეექმნა რამე დიდებული, შესანიშნავი, მაგრამ გონებამ უღალატა, მის წარმოდგენაში ისეთი არაფერი იყო, რომ მარმარილოზე გადაეღო. რამდენიმე დღის განმავლობაში ეძებდა თემას, თუმცა ეს სრულად ამაოდ იყო.

რა დაემართა? რა ღმერთი გაუწყრა? თითონაც არ იცოდა. მიუჯდებოდა იმედ დაკარგული ფანჯარას, გასცქეროდა შორს, თითქოს იმ სიშორეში იპოვიდა რამე სახეს მოდელისთვის. დრო კი მიდიოდა, ცდა აღარ შეიძლებოდა.

ამასობაში მზეც გამოესალმა ამ სოფელს და თავის ნაცვლად მთვარე დააყენა. არც საღამომ შთამბერა არაფერი ყმანვილს, არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა მასზე. თემა უფსკრულში იყო, მთვარე კი დინჯად, კეკლუცად უღიმოდა და ეს ღიმილი მოქანდაკისთვის შხამისავით იყო. იცოდა, რომ მას იგი არ თანაუგრძობდა. ასე უბედურად გაატარა ღამე. ხან ერთ იდეას წაანყდებოდა, ხან მეორეს. დილამდის შფოთავდა. რადგან საშუალება აღარ საიდან სჩანდა, ვედრებით მიმართა პროფესორს, რომელმაც მეგობრულად დაადო მხარზე თვის ტლანქი ხელი და წარმოსთქვა:

„ნუ გეშინიან, თენგიზ, ჩვენ ატელიეში რამდენიმე

ახალგაზრდა მოქანდაკემ აიღო ერთი და იგივე თემა, თუ გინდა, შენც შეუკავშირდი მათ“. დასთანხვდა ყმანვილი, სულ არარაობას ეს სჯობდა. თვალეში სინარულის ნაპერწკლები აენთო. მადლიერის თვალით შეხედა მასწავლებელს.

შუა დღეს გადასცილდა, როდესაც მისი მეგობრები შეიკრიბეს ატელიეს დიდ დარბაზში გამზადებული მასალით ახალგაზრდა ქალის წინ, რომელიც მალლობზე იდგა და „ნალველს“ წარმოადგენდა.

წმინდას წაუგავდა ქალს სახე. ეს მწუხარებით და ფიქრით სავსე თავი ფრიად საინტერესო რამეს შეიცავდა. ადამიანს თუ ჩაეცქირა მის ღრმა თვალეში, ტანჯვას ამოიკითხავდა. თავის სილამაზით თვით ვენერასაც არ ჩამოუვარდებოდა. „აი, რასაც ვეძებ, აქ ყოფილა“ – წამოიძახა თენგიზმა გულის ფანცქალით.

იმავე დღეს შეუდგნენ მუშაობას. საშინელ სისწრაფით იფშვნებოდა, იმტვრეოდა მაგარი მარმარილო. ყველა ჩაღრმავებული იყო თავის საქმეში.

გადიოდა დრო და ბევრი რამ ახალი მოჰქონდა მას. ეხლა მოქანდაკეების წინ კუნძი კი აღარ იდო, არამედ იდგა მშვენიერი ასული. თითქმის მზად იყო ქანდაკება, როცა მისი გამკეთებელნი აღელდნენ. ვერც ერთი მათგანი წამდვილ, წმინდა ნალველის გამოხატულებას ვერ პოულობდა. როგორც ეტყობა, ქალს სეანსების დროს სხვა და სხვა ფიქრი უტრიალებდა თავში. მის ზღვისფერ თვალეები შავ წამწამეებით შემოსილი ხან ილიმებოდნენ, ხან მწუხარებით გამოიციქრებოდნენ, ხან კი მათში საშინელი სისასტიკე და ამაყობა სჩანდა. ძნელი იყო გაგება, თუ რაზე აზროვნებდა იგი.

ყველა სდუმდა. ყველა უცდიდა იმ ღამეს, როცა დაიჭერდნენ ამ არდადექა მშვენიერ სახეზე გამოხატულებას ნალველის, ღრმა სევდის. დაბნელდა. საქმე მეორე

დღისთვის გადასდეს. დალონდნენ ქურუმნი, რასაც ეძებდნენ, რაც უნდოდათ, ეგ იყო უმთავრესი ქანდაკებისთვის, მაგრამ, საუბედუროთ, ეს არსად სჩანდა.

„აქაც უბედობა“ – გაიფიქრა თენგიზმა. ერთი, მხოლოდ ერთი ის უხილავი ხაზი და მზად არის მისი შემოქმედება. თავ ჩაკიდულნი, სასოებით სავსენი ხელოვნები დაიშალნენ.

თენგიზი დიდხანს ჩასცქეროდა თავის ნამუშავარს. ბოლოს სასონარკვეთილებით სავსემ გადაავლო ხელი ხუჭუჭა თმას, თითქო ფიქრების გადაყრა უნდოდა და გარედ გამოვიდა. ისევ ის ცივი თვარე ძველებურად, უდარდელად უჭვრეტდა. ყმანვილს თაბრო დაეხვა დაღლულობის გამო და იქვე კარებთან მიეყუდა. მთვარეს კი თვალი მოაშორა, უცბათ რალაცა აჭრაჭუნდა, გაიღო კარი. დიდ მოსახვევში ვილაცა არსება გამოვიდა. ჯერ ჯერობით სახე არ უჩანდა. მთვარის შუქზე გამოვიდა თუ არა უცნობი, მოსახვევი თავიდან ჩამოსცურდა და თენგიზის წინ წარუდგა ის ქალი, რომელიც მოდელათ ჰყავდათ ატელიეში. ოქროსფერი თმები ღამე ბრწყინავდნენ. ქურუმი თრთოდა, აკანკალდა, ცივმა ოფლმა დაასხა, სული განაბა.

ქალმა კი თვალეები მიაბყრო თვარეს, თითქოს რალაცას ევედრებოდა, მის სახეზე აღბეჭდილი იყო ამ წუთს დიდი სიმწუხარე, საშინელი ნალველი. ის ნალველი, რომელსაც ასე გულდასთმით ეძებდნენ მოქანდაკეები. თენგიზი თავის თავს ჰაერში გრძნობდა. მის ფეხებ ქვეშ მინა გაჰქრა, მზერელად გადაიქცა. აღარ ახსოვს, რამდენმა წამმა გასტანა ეს სურათი. გიჟივით შევარდა ყმანვილი სამუშაო ოთახში, მივარდა იარაღს, სწვდა და მსწრაფლ ქანდაკებისკენ გაექანა.

მარმარილოს ქალი მთვარის სხივებში ბანაობდა.

თითქოს მან ამოირჩია ყველაში ეს ერთი და მას გარს ევლებოდა. ერთ-ორი პატარა ხერხის ჩამოსმა, ჩაქუჩის დარტყმა. იპოვა, სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ბრწყინავ თვალებით შეხედა ღამის გუშაგს, მარტო ეხლა შეამჩნია, რომ ისიც თანაუგრძობდა მას, ისიც ხარობდა მასთან ერთად. ბედნიერებით სავსე ჭაბუკი დაეკონა და ეამბორა თავის ხელოვნურ ღვთაებას. უცბათ ყველაფერი დატრიალდა, ოთახის ქერი ორათ გაიყო, თითქოს ვილაცა მღეროდა, მას იხმობდა მაღლა, მაღლა. ვარდებით აივსო ოთახი, დამატრობელი სურნელობა იყო გარშემო. ქანდაკება შეირხა, მაგრა მოხვია თავის შექმნილებას ხელები და... ყველაფერი გაქრა.

მეორე დღეს ადრე, თითქმის ჯერ მზეც არ ამოსულა, ქურუმნი მოაწყდნენ ატელიეს. შესვლის უმაღლეს ყველამ შენიშნეს გულშენუხებული მეგობარი, რომელიც მოხვევია თავის ნაღველს, თითქოს ეშინიან, არავინ წამართვასო. უცბათ ერთი მადგანი შესდგა და გაკვირვებით, აღტაცებით ამხანაგებს დაანახა ამ ნორჩ ჭაბუკის ნამუშავარი, სადაც დაბეჭდილი იყო ის გამოხატულება, რომელსაც თითო მათგანი მთელ ღამის განმავლობაში ვერ პოულობდნენ.

კონკურსზე თენგიზს მიუსაჯეს პირველი ჯილდო, რადგანაც იმ ღამეს ქალი გაქრა და ყველას დაუმთავრებელი მარმარილო დარჩათ ხელში. როგორც თავისუფალი ხელოვანი, იგი იქმნა გამოქვეყნებული.

## **2-ენკენისთვის. 1919 წ. ახალქალაქი.**

### **სურათი.**

ხომ გინახავთ ზღვა – ხან წყნარი და ხან მღელვარე? ღამაზია იგი საშინელის სიღამაზით, ადამიანის

ყურადღებას ხიბლავს და ღრმათ უბეჭდავს გულში თავის სახეს. ასეთივეა თვალები როდამის, რომელიც სავსეა გრძნობით, სიყვარულით და სიმტკიცით.

ტალლა ერთ მეორეს მოსდევს, ხმაურობით ეხლება კლდეს თითქოს ცდილობს, განს გაინიოს. როდამის გულიც ღელავს, შფოთავს, თითქოს თავის ადგილიდან გამოვარდნა უნდა.

რა ანუხებს ამ ნორჩს ჯერად გამოუცდელ სიცოცხლეში ნაზს ვარდს, ფაქიზს, უმშვენიერეს? რა ხშირად დაიარებოდა მარტოკა ზღვის ნაპირას. ბევრჯელ შორს გასული მენავეები კლდეზე მდგომ ქალში იცნობდნენ თავადის ასულს. რა გასაგიჟებელი თემები ეყარა მხრებზე, ოთხათ დანწული. მათში ვარსკვლავები თამაშობდნენ. რა ბედნიერი იყო ის, რომელსაც ნება ჰქონდა ამ ხუჭუჭებში გახლართვა, მათი კოცნა. მარტომისი მფლობელი სიო იყო, რომელიც ნაზად ეამბორობოდა ხოლმე და გაინაბებოდა მოსასვენებლად.

მშვენიერი სალამო ჟამი იდგა. რამდენიმე დღის თვარე მკრთალათ ანათებდა, თითქოს გულის ფანცქალით ელოდა უკანასკნელ სხივის ჩასვლას, რომ თითონ შემკულიყო იმ მშვენიერებით, რომელიც ღმერთმა მიუნიჭა მას მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ. ზღვა ნითლათ ელვარებდა, ნელი ტალლა ღიღინებდა და მისუსტებული ხშირი ბობოქრობისგან თბილ, ალერსიან სხივს ეთამაშებოდა. იდუმალობა იდგა გარშემო, ხოლოდ თუ სადმე შორს ნალკოტში ბუღბუღის ჰანგები მოისმოდა. ხეხილები თავ ჩაკიდულნი შრიალებდნენ, სალამოს ლოცვას ბუტბუტებდა თითო. თანდათანობით მზე მიესვენა. მთვარე ზეიმობს. შუქურა ვარსკვლავი, მუდმივი მგზავრი, გვერდზე ჰყავს. ზღვა ბრწყინავს, ტალლა აგრძელებს თავის ტრფობას. სიყვარულით სავსეა არე-მარე. როდამიც გაჰყურებს შორს და ოცნებობს, ოცნების კოცნას

უგზავნის იმას, ვინც არც კი ფიქრობს მასზედ. რა ტკბილია ფანტაზი და რა ძლიერია. მასში თუ ჩაიფლობა ადამიანი, რეალური ცხოვრება ავიწყდება, სხეულს შორდება და მარტო სული შფოთვით, მაგრამ სიამოვნებით სავსე მიისწრაფვის მალლა-მალლა, უფალთან, რომ იქ მოისვენოს, მიწიურ ტანჯვას მოშორდეს. ამ ფიქრში იყო გართული ასული, როდესაც კარგად დაგვიანდა. არც სახლი და არც მშობელი მას არ ახსოვდა. იგი იჯდა გამსჭვალული სიყვარულით, რომელიც ესე უფანცქალებდა მის პატარა მთრთოლარა გულს. როდამი ვერ გრძნობდა ღამის სინესტეს, ვერ გრძნობდა თავის ფეხსაცმელის სისველეს და ჰაერის გამოცვლას, ქანდაკებასავით გაშტერდა, გაუნძრევლად, სიბნელის გუშაგის სხივი სტყორცნიდა თავის კოცნას მას, მაგრამ ის არა გრძნობდა, იგი იყო შორს, სხვა ქვეყანაში თავის იდიალთან. უცბათ ფეხის ხმა გაისმა, აი, ახლო, უფრო ახლო. ნეტა, ვინ არის? და რა უნდა აქ, მერე ამ დროს? ნელა მოიღერა კისერი ხმაურობისაკენ და გაშტერდა. საყვარელი მამა ედგა წინ. მამა, რომელიც გაგიჟებით უყვარდა და მთელი საღამოს განმავლობაში მისი არსებობა დაავინწყა. მშობელის სახე დაჰფარა სულ სხვამ ვილაცა უცხოთ: რა ნება ჰქონდა მას, მამა გაეცვალა, მის გულში სხვას დაეჭირა ალაგი. მაგრამ მისი ბრალი არ იყო, განგებამ ეგრე მოახდინა. – მამა, მაპატიე, რომ ესე დავაგვიანე, ჩემდა უნებლიეთ მომივიდა ეს. მთელი ჩემი ქცევა ეგრეა. რა მშვენიერი სურათი იყო ამ ღამის ფონზე, როცა მძლავრ მშობლის მკლავებმა ნაზად მოხვიეს თავის უსიყვარულეს არსებას და გულს მიიკრა. ამ მდგომარეობაში ნელის ნაბიჯით გაემგზავრნენ სახლისაკენ. არც ალერსმა დაამშვიდა როდამი, პირიქით, ცრემლები ახრჩობდნენ მას. რცხვენოდა თავის თავის, მოაგონდა წარსული ზაფხული, როცა თა-

ვისუფლად უდარდელად ნავარდობდა, სახლში მარტო მის წკრიალა სიმღერა გაისმოდა, მოაგონდა თავის ცეცხლობა იმის მიუხედავად, რომ ჩვიდმეტი წლისა იყო კიდეც. წლოვანობას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა. შველისავით დახტოდა ბაღში, ხან ერთ ხეს ჩამოჰგლიჯავდა წვენივით გაჟღენთილ ხილს, ხან თავის მარგალიტოვან კბილებით სტეხავდა თხილს. ყველას ღმერთი იყო. მოაგონდა დედიკო, რომელიც ბუხრის წინ იჯდა, თითონ კი ვეფხვის ბენვზე მის მუხლებთან და უგდებდა მის მოთხრობებს, რომელიც ღრმით რჩებოდა როდამის გულში. სადღაა ის დრო, დედას ძარღვები აეშალა და მეტი წილი თავის ოთახში იჯდა, მამა საქმეებში გართული, ჩუმად ბოლთასა სცემდა ოთახში. ამასთან მისი დანახვაც, იმ ადამიანის, რომლის მონა გახდა როდამი. ამ ყველაფერმა ისე იმოქმედა ამ ყვანვილ ქალზე, რომ მთლათ შეიცვალა. დღიდან-დღემდის უფრო უმწვავდებოდა ჭრილობა და უფრო. ყველას ეძინა სახლში, როდამს კი თვალი არ მოუხუჭავს, შავი და ტკბილი ფიქრი ერთმანეთში ერეოდა. ოთახში ჰაერი აღარ ჰყოფნიდა მას, თეთრ გრძელ სამოსელში, გაშლილ თმებით ვარდებით მოსილ ფანჩატურისკენ გასწევდა. გარშემო დამატრობელი სურნელება იდგა. ირგვლივ სიჩუმე. ოჰ, რა საზიზღარი და საშინელია სიჩუმე დღეს როდამისთვის, ხმაურობა, ხმაურობა სწყურს, რომ ამ ხმაურობაში თავის თავი დაავინწყდეს, ცხოვრების ტალღამ გადასტყორცნოს სადმე, ჩაავდოს მორევში, რომ თავის „მე“ დაავინწყდეს, ტანჯვა შეასუსტოს. მაგრამ ისევ ჩუმად არის არე-მარე, ქალი გულმოდგინებით ქვითინებს, გულს სტაცებს ხელს, თითქოს ეშინიან, აი, ეხლა გამისკდებაო ან ეხლაო. მთვარემ დაუთმო თავის ალაგი ალიონს, დაწყნარდა ასულიც, დაღალული, დაქანცული, იქვე ჩაეძინა მაგარი, ახალგაზრდა ძილით და მოკლე

იყო ეს მოსვენება, მაგრამ სანატრელი მისი სახე ილიმე-  
ბოდა, ვარდის კოკორისავით ტუჩები საკოცნელად მომ-  
ზადებულიყვნენ, ალბათ, კარგი სიზმარი ელანდებოდა.  
მაგრამ გამოფხიზლება ძნელი იყო. გულ დათუთქული,  
ფერ მიმხდალი, თვალებ ჩავარდნილი გაეშურა ოთახის-  
კენ და იქ ღონე მიხდილი დაეშვა ლოგინზე. აი, რა ძნე-  
ლია სიყვარული.

გათენებული იყო კიდეც, როდესაც ცა მოიღრუბ-  
ლა, მრავალი ღრუბელი, ერთი მეორეზე წამოვიდა,  
თითქოს ქარი ამხედრდაო, ისე მოეფინა წვიმის ნის-  
ლი ცას და მიწას. ზღვა აშოშმინდა. დაუბერა ქარმა,  
მძლავრად გულ მოსულათ. მოსვენებული, ძალა მოკ-  
რებილი ეხლა სასტიკათ ამთავორებდა გუშინდელ  
წყნარ ტალღას. ეხლა ზვირთებით ეხლებოდნენ ზღვის  
კიდეს და მრავალ წვეთებათ იშლებოდნენ, შავი წყა-  
ლი ბობოქრობდა, ნაპირისკენ ინევდა, დულდა გარშე-  
მო ყველაფერი. რა განსხვავებაა გუშინდელ ღამეს-  
თან. აგერ შორს გამოჩნდა ნავი, ნაფოტივით ისროდა  
აქეთ-იქით მას. შიგ მეზღვაურე აღარ სჩანდა, საბრა-  
ლო ზღვამ შთანთქა. ფანჯარასთან მიყუდებული რო-  
დამი, მიწყნარებული, ბრწყინვალე თვალებით ადევ-  
ნებდა ამ სტიქიონს თვალს. კარგა მოქმედებდა მასზე  
ეს საშინელი ბუნების მოვლენა. შავი ფიქრები გადა-  
ფანტული იყო. მის ყურადღებას იბყრობდა მარტო ის  
ნავი, რომელიც ობლად ნავარდობდა, მის აზრში გაიე-  
ლვა უბედურებამ იმ ოჯახის, რომლის მარჩინებელი  
იყო ის საბრალო მეზღვაურე. სიბრალულით სავსეს  
გადაავიწყდა თავის გრძნობები. მაინც მშვიდად გა-  
ნაგრძობდა მზერას. ისევ დღევანდელი დღე, ვიდრე  
გუშინდელი, გაიფიქრა... წვიმამ გადაიღო. ზღვა არა  
წყნარდებოდა. როდამი გამალებული ავარდა სახლის  
თავზე პატარა აივანზე, ქარი თმას უწენავდა, მაგრამ

ის ყველაზე მაღლა იყო, საშინელი ხმაურობა არ აცდიდა, შავი ფიქრები მოსდიოდა. ასე დიდხანს, დიდხანს იდგა, სახეზე კი მშვიდი ღიმილი უკრთოდა.

**მაისი. 1919 წ.**

**თავისუფალი ქალი თავისუფალ საქართველოში.  
ოქროს სიტყვებია!..**

მზის სხივებივით მანათობელი, ნექტარით მივსებს გულს, ოცნებას მიფრთოვანებს. თავისუფალი ქართველი ქალი თავისუფალ საქართველოში.

ოჰ, ნეტარო სიტყვებო, რა დიდხანს გელოდა შენ დედაკაცის გული, ეს დაჩაგრული, დამონებული, მუხრუჭ გაყრილი, დიდხანს, ძალიან დიდხანს, ისე დიდხანს, რომ იმედიც კი გადაინყვიტა, თითქმის შეგნება თავისუფლების მნიშვნელობისა კიდევ დაჰკარგა... გადაგვარდა... მაგრამ რაკი მოხველ, რაკი მოფრინდი, მშვენიერებავ, ნათელფენილს მონინებით მოგეგებებით, ფიანდაზად წინ გაგეშლებით, გულში ჩაგიკრავთ, შეგეთვისებით.

შეგეთვისებით, მით უმეტესად, რომ წყურვილი თავისუფლებისა ქართველ ქალში ყოველთვის იყო. და ან ყოფილი კვლავ აღსდგება, დაუბრკოლებრივ.

საქართველო, ეს პატარა, მაგრამ სულით ბრძოლა, ქალს მონად არ სთვლიდა. პირ იქით მას ადიდებდა, თაყვანს სცემდა, როგორც ემბლემას სისპეტაკის, სათნოების, მშვენიერების, სხივმოსილობის.

წინო, ქეთევან, თამარი და მრავალი მათ მიმდევარნი ქართველთ შეგნების, იმის გმირობის და ვაჟაკობის, გზას უნათებდნენ, იმათ ზნეობას აელვარებდნენ, აფაქიზებდნენ.

გამარჯვების დროს სიამაყეს, თავგამოდებას ხელს

არ უნყობდნენ და დამარცხებაში დაცემულთ ანუგეშებდნენ, საუკეთესო მომავლისაკენ გზას უჩვენებდნენ.

დრონი იცვალნენ. ბრძოლით დაღალული, ქანც განყვეტილი ქართლოსიანნი ქალთ კაცამდის მიბინარდნენ, ძილად მიექცნენ.

„არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს“.

სთქვა პოეტმა სხივოსანმა. მართალია, ას ჩვიდმეტი წელიწადი ბურანში იყვნენ, მაგრამ ბურანშიაც სასოებას გამოლვიძებისა არა ჰკარგავდნენ. და დღეს, როდესაც ქვეყანა აღსდგა, ქართველთ ტომი კვლავ შეიკრიბა, ფრთები შეისხა, განთავისუფლდა, ვის შეუძლიან, კითხვა დაუსვას ქართველ ქალს:

შენ რაღას იქო?

მე მსურს, მჯერა, რომ ის იქნება დარაჯად ქართველი სულის ამალღებისა, იმის ქველობის, გაბედულობის, გმირთ გმირობის, ვაჟკაცობისა. ქართველი ქალი „ინტერნაციონალი“ არ მენატრება. პარტიათა მონათვერ გამიმეტება. მე მხოლოდ მინდა, ქართველი ქალი ქართველი იყოს სავსებით განუყოფელად. ამ ერთ საუკუნის განმავლობაში პატარა საქართველო ძლიერმა სახელმწიფომ თავის ლუკმად აქცია. თვისი მძიმე ბეჭედი დაასვა, თვის ელფერი მისცა.

მაგრამ ეს ბეჭედი მუდმივი არ იყო. ქართველ ერმა იგი დროებით მიიღო, როგორც არა სასურველი სავალდებულო საჩუქარი.

ამ მძიმე უღელის ქვეშ ქართველ ქალმა არ დაივინყა სამშობლოსადმი სიყვარული, მისი გული იქარწყლებოდა, ტანჯვით აღვრილი იმედს არ ჰკარგავდა.

თითქოს ქვეყანა მოკვდაო, მაგრამ ეს სიტყვები სიმართლეს არ იცავენ:

შეინძრა მკვდარი ქვეყანა.  
სულთქმა აღმოხვდა შვებისა  
ზღვიდამა ზღვამდე გაისმა  
ხმა ტკბილი სასოებისა.

ბარად მოვიდა ამბავი,  
შეთქმულან ყველა მთანიო  
და დაუხსნიათ ტყვე-ქმნილი  
ძლიერი ამირანიო!..

განყდა ჯაჭვი. ბორკილი უკუ აგდო ამ ძლევით მო-  
სილმა გმირმა და თავისთან ერთად გაანთავისუფლა  
კოპნია, კეკლუცი, მისუსტებული საქართველო.

ადიდოს ის დღე ყველა ქართველმა, მისი ვედრება  
შესმენილ იქმნა. ღმერთმა თვისი კურთხევა წარმოგ-  
ზავნა ზეციდან.

შევძახოთ ყველამ ერთად, მუხლ-მოდრეკილებმა:  
„ვაშა თავისუფალ საქართველოს და დღე-გრძელი  
იყოს ქართლის დედა თავის წვრილ შვილებით.

დეე, გამშვენიერდეს, აყვავდეს ყველა ქვეყანა ჯერ  
თავისთავად, თავისებური ეშხით შემკული და მერე ერ-  
თად შეერთებული წალკოტად იქცეს კაცობრიობის აღ-  
საშენებლად“.

## **მე-VI კლასის სამღვთო რჯულის გაკვეთილი. 1917 წ.**

მოძღვარი. ნიგნი ვისა გაქვთ?.. ვინ აბრაახუნებს  
ფეხებს. გაკვეთილი აგისნათ თუ ფეხებზე გიყუ-  
როთ... საეკლესიო... ისტორიიდან ვიცით... დააყენეთ  
ფეხები, ვინა ხართ? ჯაფარიძე აქ ხომ არ არის, რომ  
იმაზე ვიფიქრო?

მონ. ჯაფარიძე რა შუაშია, ის არას დროს არა  
ცელქობს.

მოძღ. ჰო! თქვენ ლაპარაკის მადა გაქვთ, მე კი, უკაც-რავად, თქვენ წინ ბოდის ვიხდი და არა მაქვს. გაჩუმდით... ჩვენ ვიცით, რომ ებრაელები სდევნიდნენ ქრისტიანებს... სასტიკათ... გეყოფათ და ჭკვიანათ ყური დაუგდეთ, მამაშვილურად გეუბნებით, ეგ იარალი განზე მიაგდეთ, თავი დაანებეთ ხელის ფათურს. ქრისტიანები საშინლობას განიცდიდნენ. ყველაზე დიდი ველურობა გამოიჩინა ნერონმა. ოჰ, ღმერთო ჩემო. ნასიძე, გამიმეორე. რამიშვილო, ჩუმათ, რა ღმერთი გაგინყრა: რა იყო?  
მონ. რამიშ. მე გეტყვით, მე.

მოძღ. სტყუი, აბა, შენ თუ ჩამიბუღებულე. კარგი. მომშორდი. ამით მოძღვრობა და სწავლა უფრო გაძლიერებული იყო... ჭკვიანად... კონსტანტინემ გამოაცხადა, ვინც ქრისტიანობას მიიღებს, მათ არაფერი ჩამოშორდებათ. ყველას შეუძლიან აღიაროს ეს სჯული... ქალო! არა გრცხვენთან? არაფერს ყურს არ უგდებ, ან ჩუმად იყავ, ან თავიდან გამეცალე. მიხდა, რამე ვთქვა და არ მაცლი. ვინც დამიშლის კეთილ საქმის გაკეთებას, მას ადამიანად არ ვცნობ და გარედაც ვავაზრდებ.

მონ. უი, როგორ შეიძლება.

მოძღ. სიჩუმე... როდისაც ქრისტიანობა გავრცელდა კონსტანტინეს დროს... დიდმა ნაწილმა მიიღო ეს ახალი სჯული... ეს ვისი საქმეა, ვისი, მითხარით, ვინ გუგუნებს მეთქი, ვინ?

მონ. არ ვიცით, მოძღვარო, თქვენ უფრო გეცოდინებათ.

მოძღ. სცრუობ, მაცაშვილო, შენ იცი და არა მე.

მონ. მაცაშ. მოძღვარო, მე რალათ მიყურებთ.

მოძღ. არ შეიძლება, შენ გიყურო და სხვაზე გავჯავრდე?!

მე. რალა ყოველთვის მე მიყურებთ, ნუ თუ მე შუბლზე მინერია. გასაკვირველია, ღმერთო, უ...უ...უ...უ.

მოძღ. მაყაშვილო, ეს შენ არა ხარ?

მე. ეს მეტის მეტია მართლა, თუ გნებავთ, ჩემთან დადექით და ყური მიგდეთ (მოდის).

მონაფე. (მეორე მხარეს). უ.უ.უ.უ.უ. ზ.ზ.ზ.ზ.ზ.

მოძღვ. მწვალელები, დესპოტები, გარენრები. კლასიდან გავალ.

მონ. არა, არა, მოძღვარო, აღარ.

მოძღ. (ოფლს ინმინდამს, სათვალეებს ისწორებს). პირველი მწვალელები იყო ალექსანდრიელი, რომელიც... ქადაგებდა... დაწყნარდი შენ, თუ არ გინდა სწავლა, გამოაცხადე, შენ, შენ ნასიძე. რამიშვილო, შენ თუ სწავლა გეზარება, გაისეირნე. გულწრფელად გთხოვ, თავი დამანებო.

მაყაშ. მაგის ბრალი არ არის.

მოძღვ. ქალო, ვინა გთხოვს, ადვოკატი იყავიო ან მხარი დაუჭიროე. ოჰ!.. მწვალელები არიოზი... ჭკვიანად, პატარა ბავშვი არა ხარ... მწვალელები არიოზი... შენ უმზავვსო, გეყოფა, კაცო, რა უბედურება დაგემართად... მწვალელები არიოზი შესანდობელი იყო... Уходи, Рамишвили, сейчас из класса, თავი აგიგდია. Дерзкая девчонка, სვინდისი სად გაქვს? არ მოგწყინდა მაგისთანა გარენრობა? ღმერთო, დამიხსენ ამისთანა ბოროტ სულისაგან (პირჯვარს ინერს). დაჯექი, თუ გაიმეორებ, ვაი შენი ბრალი, გული ველარ მოითმენს. ბეჟანაშვილო, გაიმეორე, რაცა ვთქვი. ვაჩნაძე, შენ არ გეკითხები, ბეჟანაშვილი არა ხარ. ბეჟანაშვილო, რა ღმერთი გაგინყრა, შენ რალა დაგემართა, ამათ ფეხის ხმას აჰყევი. თუ ვერ მეტყვი, დაჯექი. ვაჩნაძე, ნუ იციანი, ნუ კრიჭამ კბილებს, აქ არაფერია სასაცილო. თუ თქვენ გეცინებათ, მე მეტირება.

ვაჩნ. მეცინება, მოძღვარო.

მოძღვ. სიცილის დრო არ არის, გაკვეთილს ვაგრძელებ, რამიშვილო, ნუ მანყვეტიხებ, უმიზნოთ კითხვებს ნუ ისვრი.

მონ. მოძღვარო, ვილაცა იცქირება.

მოძღვ. ვინც უნდა, ის იცქირებოდეს, მერე შენი რა საქმეა – პირველი კრების მამათა არის ძე ღვთისა იესო... რცხილაძე, გამიმეორე, რაცა ვთქვი...

ნასიძე. ეგრე არ ამბობს, მოძღვარო.

მოძღვ. ნასიძე, შენ მაგისტანა წარამარა ლაპარაკს თავი ანებე, ალბად, სწორე ამბობს, რომ მე არ უსწორებ... ეს სწავლაა? არა გრცხვენიანთ? სად არის, სად, სინდისი თქვენი? ახსნა რა არის, იმასაც ყურს არ უგდებთ. შენ, რამიშვილო, დაიხსომე ჩემი სიტყვები.

მონ. შუბლზე დაინერე.

მოძღვ. გეყოფათ. რაც ეხლა სთქვი, შენი იყოს, ბოლოს კი ჩემი, როცა ბოლოს ცხვირში ხელს ამოიკრამ, მაშინ იხალე ქვა თავში, ცხოვრებაში გამოუდევარო.

მონ. მასწავლებელს ნება არა აქვს, მაგისტანა სიტყვები იხმაროს კარგა აღზრდილ ქალების სასწავლებელში.

მოძღვ. ჩემ კრიტიკას თავი ანებეთ. კარგი ამისთვის არ მოვსულვარ აქ. უბრალოდ ლაპარაკი არ მიყვარს. პირველი არიოზის კრება უარყეს და ის თვითონ ანამეს. სიმოლის სარწმუნოება ნიშნავს პატარა ლოცვას. ეს კრება მოხვდა იერუსალიმში. ამას მოსდევდა არიოზის მოძღვრება და მწვალებლობაც... ბაქრაძე, გამიმეორე, რას ბლაჯნი მანდ.

კატო. მოძღვარო, თქვენ ნაამბობს ვწერდი და სწორე არა ყოფილა.

მოძღვ. ეგრე არ შეიძლება, წიგნი უნდა იყიდო.

კატო. არ იშოვება.

მოძღვ. სცრუობ! თქვი, მეზარება... არიოზის წვა-

ლებლობას მოსდევს მეორე წვალელობაც. მაკედონელი ამტკიცებდა, მესამე პირი არ არის ჭეშმარიტით... რას იღრიჭები, რა დაგიშავა მაგ სკამმა, თუ შენ გეცინება, მე არა მეთქი, გაიგე ერთხელ. საიდან შემოიღეს მსოფლიო შეკრების მოწვევა? მითხარ შენ!

მონ. არ მახსოვს, მოძღვარო.

მოძღ. ბაქრაძე, გთხოვ, თავი დაანებო, ხომ ხედავ, არაფერი არა ჩაგდით რა თავში. ნუ სწერ.

კატო. ვასწორებ, მოძღვარო.

მოძღვ. ეს წესი მსოფლიო კრებისა შემოიღეს თვით მოციქულებმა.

მონ. როგორა, მოძღვარო?

მოძღ. მე ყრუთათვის არ ვიმეორებ. მაგალითი საიდან შემოიღეს, რცხილაძე? სწორე არ არის, აბა, შენ, ბაქრაძე.

კატო. ვერ გავიგე.

მოძღვ. მოციქულების კრება საიდან შემოიღეს მეთქი.

კატო. ბარნაბა და მარკოზა რომ იყვნენ ანტიოქიაში?

მოძღ. ნასიძე, შემოდგი კლასში ფეხი და აიკელი აქაურობა. რა დაგემართა, გამაგებინე, რა? ავალიშვილო, შენ თუ ავად ხარ, საგიჟეთში წადი, სწორე ვერ დამჯდარხარ.

ელო. მოძღვარო, ეგ რეებს მეუბნებით, ნება არა გაქვთ. ეს ქუჩა კი არ არის, არამედ კლასია.

მოძღვ. გაჩუმდი მეთქი. აქ ბაზარი ან მოედანი არ არის. ნასიძე, ნუ ყბედობ, ან გამიმეორე ნათქვამი, ან კლასიდან გაგაგდებ. ეს რა ხათაბალაში ჩავარდი. გამიმეორე, რამიშვილო.

ტასო. მოციქულების დროს რომ იყო, ისა?

მოდღე. არა, შე უკუღმართო, კიდევ მაგ ურცხვ პირით რომ ლაპარაკობ? თუ სწავლა გინდა, ყური მიგდე, ქალო, ყური... აგერ კიდევ ბრახუნი. იქნებ კიდევ დამაჯეროთ, როგორც ამას წინადა, სმენის გალიუცინაცია გაქვთო. ნასიძე, თუ შენ არ გახვალ კლასიდან, მაშინ მე წავალ, თუ არ გამიმეორებ გაკვეთილს.

მონ. მაშ, ვინც ვერ გეტყვით, ყველა გარეთ უნდა გააგდოთ?

მოდღ. შენ მატრაკვეცობას თავი ანებე, მაყაშვილო.

მე. როგორ თუ მატრაკვეცობას, მე არ შევეჩვიე მაგისტანა არა სასიამოვნო ყურისათვის სიტყვებს.

მოდღ. ჰო! დაანებე მეთქი. ცოტა ჩანყნარდი და ეხლა ძველებურად მოგიარეს. შენ კი, ნასიძე, შენი ტოლი მონახე, მაგ ცბიერებს ხელი ანებე.

მონ. მოძღვარო, თქვენ დაბალ ხმით ლაპარაკობთ და ვერ გვესმის სხვა კლასების ხმაურობის გამო, თქვენ კი გგონიათ, რომ ჩვენ არა ვზივართ ჩუმით.

მოდღე. სხვა კლასებში? არა გრცხვენინანთ. სმენა არ დამკარგვია. ტყუით, თქვენზე ძალიან ვილა ხმაურობს. იმ დღეს არ იყოს, ვინ აჯახუნებდა მე-VII კლასში კარებებს, მე თუ თქვენ?

მონ. ეგ მართალი არ არის, ჩვენ მაშინ ეზოში ვთამაშობდით.

მოდღ. კმარა. ავალიშვილო, რა კითხვა გადასჭრეს? ნასიძე, ჩურჩულს თავი ანებე და უმიზნოთ სიცილს, რა გამიხდი, სულ შენზე ლაპარაკში ხომ არ უნდა ვიყო.

ნასიძე. როგორც ვატყობ, სასიამოვნო საგანი ვარ ლაპარაკისთვის.

მოდღ. ბრიყვო. ავიღებ დავთარს და წავალ, აქ ფეხს აღარ შემოვდგამ (შლის დავთარს, და ერთიანებს სვამს). ავალიშვილო, შენ გეკითხები. რა კითხვა გადასჭრეს, თვალებს ნუ აჭყიტამ, ნუ იკატუნებ თავს, თუ ღმერთი

გნამს, გამაგიჟეთ ამ დროული კაცი. თუ თვითონ კაცი არ არის, ცუდია გვარიშვილობა, იცით შოთას ანდაზა.

მე. თქვენგან მთელი ვეფხვის ტყაოსანი გავიზეპირეთ.

ავალიმ. ანტიოქიაში იყო, მოძღვარო, ეს კრება.

მოძღვ. არა.

მონ. მე ვიტყვი, იქნებ მართალია.

მოძღვ. ისე კი არ უნდა წამოროშო, რამიშვილო, რაც მოგადგეს ენაზე, არამედ დაფიქრებით უნდა სთქვა. მერე ადრევე ვიცი, მართალს არაფერს იტყვი. აბა, სცადე.

მონ. სირიაში.

მოძღვ. აკი ვთქვი. სწორე არ არის. ეს იყო იერუსალიმში. ბაქრაძე, ნუ აფათურებ, სტოლს ქვეშ რომ ხელი გაქვს. მე კედლებისთვის კი არ ვლაპარაკობ, ერთი ბენო დისციპლინა არა გაქვთ. ერთხელ ვიტყვი და გაიგეთ მერე თქვენი საქმე, გამოცდებს რომ მოგცემთ.

მონ. გამოცდა სამლთო რჯულში? არ შეიძლება, მოძღვარო, თქვენ უნდა კარგი ნიშნები დაგვისვათ.

მოძღვ. საგანი პირველ კრებისა... დაუგდეთ ყურადღებით. ეს საგანი იყო: ის წარმართნი, ვინც მონაწილეობას იღებდა, ურიები ამბობდნენ, საქირო არ არისო. ზოგი ამბობდა, არისო. ბარნაბამ ეს საკითხი ვერ გადასჭრა, მერე გახსოვთ ის ამბავი, რომ ზეციდან სუფრა ჩამოეშვა და ზედ სხნილი საქმელი. მოიგონეთ, აბა, ეს.

მონ. ხუთი კვირის შემდეგ მშიერ წმ., დამავიწყდა მისი სახელი, ჩამოეშვა ზეციდან სუფრა. რა არ იყო ზედ, რა ნაირ-ნაირი საქმელი. გოჭი გინდათ, ინდოური, ქათამი, ვიჩინა.

მოძღვ. ნუ სულელობ, რიგიანად, აქ მასხარაობის დრო არ არის.

მონ. ღვინოც იყო, მერე ისეთი წვადები რომ...

მოძღვ. ფუ თქვენ სვინდის, თქვე უნამუსოებო, ქუ-

ჩის გოგოებო, ბოროტო სულელებო, რომ სულ არ მოხვიდეთ ამ წმ. სასწავლებელში, ეგ სჯობია, თორემ წაბილწავთ (მიდის). (ბრაახუნი კლასში). ეგრე, დაამტვრიეთ, დაამტვრიეთ პარტები. შეგნება ვილამ მოგცათ? ეგრე, ეგრე, ყოჩაღებო.

მონ. შვიდობით ბრძანდებოდეთ, ბ-ნო მოძღვარო, გაკვეთილს არ მოგვცემთ?


## **24 ენკენისთვის.**

რამდენ რვეულებში მაქვს ჩემი დღიური, ერთი მეორის გაგრძელებით. მე მგონი, შემერევა კიდევც.

მე ჯერ ჯერობით ვარ მე-8 კლასში. გავიგე, რომ აგრონომიულზე იღებენ. გული აღარ მიდგება, მეჩქარება. ხვალინდელი დღე ნეტა მალე გათენდეს, რომ წავიდე უნივერსიტეტში და გავიგო, შეიძლება მისვლა თუ არა. სასწავლებელში მომწყინდა მარტო იმისთვის, რომ მასწავლებლების სახე არ დავინახო. ოჰ, რა შემჯავრდნენ, როგორც ჭირი. მერე მინდა, გამოვიდე იმ მდგომარეობიდან, რომ მასწავლებლები, ძალიან თავს გაუვიდათ, რომ არ ყვიროდნენ. როდემდის იქნება ესე.

## **1919 წ. 3 ოქტომბერს. ქუთაისში მოგზაურობა.**

3 ოქტომბერს მთელი შევარდენი გაემგზავრა ქუთაისში. გიმნასტიურ გამოსვლისთვის არჩეულნი იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც კარგად აკეთებდნენ ვარჯიშობას. 6 საათზე ბარგ-ბარხანით შევიკრიბნეთ შევარდენში. ჯერ მთელი დღე ვღელავდი. აქეთ-იქით დავობდი, ძლივს ვიპოვნე ჩემოდანი, პლედი. დავიღალე, ოფლში გავინწურე. დილით მთელი სარეცხი დავრეცხე, რომელიც უნდა ჩამეცვა. სადილი ძლივს ჩამდიოდა ყელში, ალაგას ძლივს ვიჯექი. როგორც იყო, მოახლოვდა 5 სა-



*იოსებ მაჭავარიანი, თამარ და გიორგი ნიკოლაძეები,  
გიორგი ეგნატაშვილი, გაიოზ ბერელაშვილი, არჩილ ბაქრაძე  
1918 წელი*

ათი, წამოვავლე ჩემს საკვოიაჟს, პლედს და სუნანას-  
კენ გავსწიე. იქიდან მთელი ჯგუფით, 6 ადამიანი, დატ-  
ვირთული სიცილით დავეშვიტ ბორანისკენ. შეგვხვდნენ  
ძმები, რომლებმაც ბარგის წამოღება გვიშველეს. თით-  
ქმის ყველანი შეკრებილნი იყვნენ სავარჯიშო დარბაზში.


8 საათზე დავეწყენით წყვილ-წყვილათ და სადგუ-  
რისკენ გავსწიეთ სიხარულით და ოხუნჯობით. ჩვენ  
ერთი დიდი ვაგონი მოგვცეს მე-III კლასისა. გარედან  
გოგია მერკვილაძემ დაანერა „შევარდენი“ დიდი ასო-  
ებით და მისი სახეც დახატა. მე-4 საათი იყო, როცა  
მატარებელი დაიძრა თბილისიდან. ავლელდით, ავფა-  
ცურდით. ყველა თავ გადაგლეჯილი თავისთვის ალაგს  
ეძებდა. როგორც იყო, ყველა მოენყო, ერთ ნახევარში  
დები ვიყავით, მეორეში კი – ძმები. გიორგი სემიონი-  
ჩის ძემ ჩვენგან სიტყვა აიღო, დუდუკს დაუკრავ თუ

არაო 12 საათზე, მაშინვე ყველანი ჩანექით და დაიძინეთო. „По заказу спать нельзя“ – უპასუხეთ ხუმრობით. ბევრი ვიცინეთ, ვიხუმრეთ, ვიმღერეთ, მანამ ღრინინანები არ გავხდით. ბოლოს ძალათი გავგრეკეს ჩვენ „კოიკებზე“. ქვეშიდან გავშალეთ ერთი პლედის ნახევარი, მეორე ნახევრით დავიხურეთ. პატარა ბალიშიც თავ ქვეში. ვის სცალოდა ძილისთვის. ყველას ლაპარაკი და სიცილი უნდოდა. მაგრამ იმავე დროს ძილიც. აქეთ-იქიდან ისმოდა: „დებო, გეყოფად, გვინდა ძილი“. ცოტა ხნით გაჩუმდებოდნენ და ისევ. როგორც იყო, თითქო ჩაეძინათ ყველას. რამდენიმე ხნის შემდეგ გამელვიდა, რალაცა საშინლად მკბენდა, შემეშინდა, პარაზიტები ხომ არ არის მეთქი. ვხედავ, ყოველ სკამზე წამოსკუპულან ჩვენი შევარდნები და გაცხარებულ ფხანაში არიან. ამივარდა გიჟივით სიცილი. ამყვნენ ყველანი. ყველა გამოფხიზლდა და ძირს ჩამოვიდა. არ შეიძლებოდა მოსვენება წვრილ მხეცებთა შორის, რომლებმაც ასე დაგვაფრთხეს. ჩამოვლაგდით. და რომ მალე გასულიყო დრო, შეუერთდით ძმებს და სიმღერა დავიწყეთ. მოგვშივდა კიდეც. შეუდექით ვახშამს.

#### **4 ოქტომბერს. ქუთაისი.**

გათენდა. მატარებელი ქუთაისს ახლოვდებოდა. ალაგას ველარ ვიჯექით. ყველა ჩხუბობდა, არა, მე უნდა ვიყო ფანჯარასთანაო, არა მეო. 9 საათზე მივადექით ქუთაისის სადგურს. სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი მდებარეობა ამ სადგურის და გარეგნობა მისი. ჩვენი ვაგონი ჩამოაშორეს მატარებელს. ბარგი შიგ დავტოვეთ. ჩვენ კი სადგურის დარბაზში შევედით ჩაის მოლოდინში. ძალიან გვშიოდა. მანამ სამუარო დას-

დგეს, ვიყიდეთ მშვენიერი ლელვი და იმითი მოვიკალით ნყურვილი. გავმწკრივდით თითქმის ყველანი გრძელ სკამზე და ქუთათურებს ვათვარიელებდით. ისინიც ჩვენ გაკვირვებით გვიყურებდნენ. ლიოვა პროკოფიევმა დრო კარგად გაგვატარებინა. აილო გაზეთი, იგონებდა შევარდენზე სხვა და სხვა რამეს, ვითომ გაზეთში იყო დაწერილი, ძალიან მარდად და კომიკურად. ძლივს დაგვიძახეს და დაგვალეინეს ჩაი. ამის შემდეგ ყველანი გავედით ქალაქის დასათვარიელებლად, ყოველ დუქანში ხილს ვყიდულობდით, ძალიან იაფი იყო. პირი არ მოგვიკუმია. ქალაქი, მართალი რომ ვსთქვათ, მომეწონა. მთლათ მწვანეშია ჩაფლული. ზოგი ერთი ალაგი მეტად საინტერესო იყო. მაგ., ჩვენ ბაგრატი მე-III აშენებულ დანგრეულ ტაძარში წავედით. პირველად კარი რომ შეიღო, პირი დავალე. ისეთი სურათი წარმომიდგა, როგორც პროჟექტორებში მინახავს იტალიაში გადაღებული. ორნამენტებით სავსე იყო შიგა. ბერმა მოიტანა პატარა წიგნაკი, სადაც აღწერილი იყო მთელი ისტორია ამ ტაძრისა. წამოსვლა აღარ გვინდოდა. საუცხოვო რამ იყო. ადამიანს ავიწყდებოდა, რომ ამ ნანგრევების გარედ არსებობს დიდი ქალაქი. ბევრი ფიქრი ტრიალებდა ჩემს თავში, გოგია მერკვილაძემ დაიწყო სასაცილო ამბების მოთხრობა, მე იმას დაუწყე სმენა და ჩემ ილუზიას თავი ვანებე. იქიდან წავედით ერთ სასადილოში. ყველა გაცეებით გვიყურებდა. გასაკვირველიც არ არის, თითქმის 50-60 კაცი ერთად დავდიოდით ქალაქის ქუჩებში და უნებლიეთ ვიბყრობდით ყველას ყურადღებას. სადილი დიდ აივანზე გვექონდა გამართული. სადილის შემდეგ კიდევ წავედით დასათვარიელებლად. მე და გიორგი ნიკოლაძე წინ მივდიოდით, დანარჩენნი კი – უკან. უცბათ ყვირილი დაგ-



ქუთაისი

ვინცეს, წამოდით, უკან წამოდითო. გიორგიმ მითხრა, ისინი წავიდნენო, ჩვენ კი ეს ხიდი ვნახოთ და დავენევი-  
თო. ეს ჯგუფი იდგა, იდგა, დაბოლოს ისევ ჩვენ გამოგ-  
ვეყვნენ. მაშინ გიორგიმ თავის დინჯი ხმით წარმოსთქვა:  
„ქართულ ენაში არის ანდაზა: თუ დედაკაცმა გაინოს,  
ცხრა უღელ ხარს გაიტანსო. მარომ გაინია და 9 უღე-  
ლი ვირი გაიტანაო“. წამოსკდა სიცილი. უთხარი ყვე-  
ლას და გაჯავრდნენ. წავედით | ვაჟების სასწავლებელ-  
ში. იქ რეპეტიცია გვექონდა. კარგად შევასრულე ჩვენი

ვარჯიშობა. იქიდან სადგურისკენ წავედით ჩაისტვის. ნათქვამი გვქონდა, 9 საათზე დაგვებანა, რომ დამტვრეულნი და დაქანცულნი არ ვყოფილიყავით. მთელი მაგიდა ხილით იყო სავსე. პირდაპირ ჭამა აღარ შეგვეძლო. ის უნდა მეთქვა, რომ სადილის შემდეგ პარკში შევედით, არავინ იყვნენ. ხალხი სადილად იყო გაფანტული. ავედით ესტრადაზე, სადაც ორკესტრი უკრავს. იქ გავმართეთ პატარა კომედია. არის ერთი გიგა ბერიძე, მოგვკლა სიცილით. დაიწყო ტყუილად სიცილი. მერე გადექცა ნამდვილ სიცილად. ჩვენც შეგვყარა ისე, რომ სუნთქვა აღარ შეგვეძლო. თითქმის ვგორავდით პოლზე. ბიჭ-ბუჭებით სავსე იყო იქაურობა. არაფერი ესმოდა, მაგრამ ისინიც სულელელებით იღრიჯებოდნენ. ამისგან დაღალულნი რეპეტიციაზე წავედით, იქიდან სადგურზე. ამ ღამეს მართლაც უკეთესად გვეძინა.

### **ოქტომბერს 5-ს.**

რა ღელვით და გულის ფანცქალით ავდექით ყველანი. დილა ადრინად ბევრნი გავიქეციით ერთ ჩვენ დასთან, რომელიც არ იღებდა მონაწილეობას ვარჯიშობაში, ქუთაისში ცხოვრობს. გავაუთოვეთ ჩვენი კოსტუმები და გამოვეშურეთ ისევ სადგურისკენ.

აქედან ყველანი გავემგზავრეთ სავარჯიშო ალაგისკენ. გზაში შეგვხვდნენ გიმნაზისტები დუხოვოი ორკესტრით. ჩვენ ოვაციები გავვიმართეს. სიხარულისგან მუხლები აგვიკანკალდა. მივედით თუ არა სასწავლებელში, მოგვცეს ერთი დიდი კლასი. იქ ჩავიცვიით ჩვენი ტანისამოსები. სამაგალითონი ვიყავით ყველანი ერთნაირ კოსტუმებში. ძმებიც გამოენყვნენ. ეზოში ხალხი დიდძალი მოგროვდა. ძალიან მეშინოდა. მეგონა, ყველაფერი დამავინყდება მეთქი. გავედი თუ არა ხალხში,

ჩვენი გამოსვლა და ტაშის კვრა ერთი იყო. პირველი ქალთა თავისუფალი მოძრაობა იყო. კარგად ჩაიარა. ერთხელ არ შემცდა. ძალიან გამიკვირდა. ეგრეა, როცა ადამიანს ეშინიან, უფრო თითქო აგონდებაო. მშვენიერი იყო „საქართველოს ვარსკვლავი“. ყველანი ალტაცებაში მოიყვანა. პირამიდა ხომ შესანიშნავი. როგორ მაღლიერნი დარჩნენ. როცა ყველა წავიდ-წამოვიდა, სურათის გადაღება დაიწყეს. ძალიან დაგვტანჯეს. 5 საათი იყო კიდევ და არაფერს გვაჭმევდნენ. ჩვენ ბედზე ისეთი ფოტოგრაფი შეგვხვდა, რომელიც ძალიან დიდხანს ატრიალებდა თავის აპარატს.

როგორც იყო, წაგვიყვანეს ისევ იმ კოოპერატივში. სამაგალითო სადილი გაგვიმართეს. ღვინით და ხილით. მე 5 თუ 6 ჭიქა დავლიე. ჩემ პირდაპირ გიორგი იჯდა და ჩამაცივდა, მარო, დაითვერიო. ყველამ მე მომაქცია ყურადღება. მართლაც, თითქოს თავი შემიმსუბუქდა და თაბრო დამესხა. მალე გამიარა ამ მდგომარეობამ. გავედით ბულვარზე. იმ ბულვარზე, რომლითაც ყოველი პროვინციული კვებულობს. შევარდენის ჩუსტებში ვიყავით ყველანი. ამ სალამოთი გოგა საყვარელიძესთან დავდიოდით. აი, კიდევ საცინელი ადამიანი. პირი არ მოუკუმავს, სულ ოხუნჯობდა. ამავე სალამოს ქუთაისში თბილისის შევარდენის განყოფილება გაიხსნა დათა ჯავრიშვილის მეთაურობით. ბევრი ხალხი იყო შეკრებილი. ტაშის კვრით დაგვისკდნენ. ჩვენც ამაყად შევდგით ფეხი და წინა ალაგებზე დავსხედით. მომიჯდა გვერდით გოგა საყ., პირდაპირ ლიოვა პროკოფიევი. დაიწყეს ლაპარაკი – როგორც ნამდვილი სოფლის დედაკაცები. სიცილი აღარ შემეძლო. მარტო ვიღირჯებოდით. ყელში რალაცა მანვებოდა. ისინი არ იშლიდნენ, იძულებული ვიყავ, გარედ გამოვსულიყავი. გამომყვნენ

უკან. ნავედით სადგურზე. კრების ბოლოს ველარ მო-  
უცადეთ. ჩვენი ვაგონი  $1/2$  ვერსზე მოაშორეს სადგურს.  
ნავედით იქ. იქ ასტეხეს ამ სულელებმა ტყუილი სიცი-  
ლი. მეც ამივარდა, ცოტა გასწყდა, და ისტერიკა მომი-  
ვიდოდა. მოვიდა ელოცა. დაარქვეს „ბეხაია“. ერთი ურია  
ფუდბოლისტი მოსწონს და იმიტომ. ამ სალამოს გან-  
მავლობაში ელო მას არა შორდებოდა. ვაბრაზებდით.  
მეტადრე ბორია გერასიმოვი, გოგა და ლიოვა. მოვიდ-  
ნენ დანარჩენებიც. არ დაგვაღეინეს ჩაი. გვიან იყო.  
ნება მოგვცეს, ეხლა თუ გინდათო, მთელ ღამეს ნუ და-  
იძინებთო. ღვინის შემოტანაც შეიძლებაო, მხოლოდ  
ცოტა. არჩილ ბაქრაძე საშინლად დაითრო. გვეშინოდა,  
შეტაკება არავისთან მომხვდარიყო. 12 საათზე გამო-  
ვედით ქუთაისიდან თბილისში. მართლაც, მთელი გზა  
არავის ეძინა. მე მოვასწარ და რამდენიმე საათი მოვის-  
ვენე. არჩილი ყველას გვერეკებოდა, წადით, დაიძინეთ,  
წადითო. სიმღერა ვის დააძინებდა? ყოველ მატარებ-  
ლის დადგომაზე გაიოზი და დანარჩენნი ყვიროდნენ:  
„Крушение, крушение“. გვაშინებდნენ საშინლად.

### ოქტომბრის 6-ს.

ისევ გათენდა. ყველას არ დაუძინია. მე კი, როცა  
გავიღვიძე, მეგონა, თბილისს ვუახლოვდებით მეთქი.  
თურმე ხაშურში ვიყავით მარტო. კიდევ 5 საათი, მცხე-  
თას რომ მივუახლოვდით, არჩილმა ჩაიცვა ქეთოს კოს-  
ტუმი, შლიაპა დაიხურა და ისე გამოვიდა სადგურზე.  
ოჰ, რა საცინელი იყო. გარს შემოეხვივნენ ყველანი.  
ამოიღო პარკიდან (ვიღაცამ ათხოვა) პუდრი და ყვე-  
ლას წინ წაისვა. ჩაიცვა გოგამაც და არამცთუ მარ-  
ტო ჩვენ, არამედ გარეშე პირნიც დახოცა სიცილით.  
თბილისში მშვიდობით ჩამოვედით. ტრამვაიში ძლივს  
ძლიობით ვიშოვნეთ ალაგი. მოვედი თუ არა შინ, მა-

შინვე გულიანათ დავიძინე. დედა შინ არ იყო. როცა მოვიდა, მითხრა, უნივერსიტეტში მიღებული ხარო. მანამ სასწავლებელში ვიყავი, გამოსვლა მინდოდა. ეხლა, როცა ატესტატი და დოკუმენტები ჩემ წინ იდო, გული ამიყურდა. ამხანაგების ნახვა მომინდა. კინალამ ვიტირე. სალამოთი ლექციაზე წავედი.

**რისთვის ღირდა სიცოცხლე.  
(მოთ. ჯემს ოპპენგეიმის. ინგლისურიდან).**

ვბრუნდებოდი ერთხელ სამსახურიდან. უნებლიეთ შევდექი ჩემ სადგომის კიბესთან. რადგანაც გამაკვირვა გაშტერებულმა თვალებმა პატარა ბავშვისა, რომელიც კიბის თავში იჯდა. თითქოს არ მამჩნევდა. ამ ხუჭუჭა შავ-თმა ბიჭის სახეზე დაბეჭდილი იყო ღრმა მწუხარება. მე შევდექი.

– გამარჯობა. – უთხარი. ბავშვმა გადმომაწყო საჩქაროთ თვალი, მერე სერიოზულად თავი დამიკრა.

– შენ ამ სახლში ცხოვრობ?

– დიახ, და თქვენ?

– მეც აქ, მესამე სართულში.

– მე კი მეორეში, გამდელი ქვევით ჩავიდა ვახშამის მოსატანად.

– მოგწონს კიბეზე ჯდომა?

– მე უცდი.

– ვისა? დედას?

– განა მკვდრები მოდიან ცოცხლებთან? – ჩამაშტერდა ისევ.

– ხო, ხო, – სიჩქარით წავილაპარაკე, – იქნებ.


– მე უცდი მამას. – განაგრძო ბავშვმა.

– რა გქვიან შენ?

– არჩი ბრანდი.

– რამდენი წლისა ხარ?

- შვიდის. თქვენ?
- მალე ოცდაექვსის შევსრულდები. - ღიმილით უპასუხე. კიბეზე ვილაცა ამოდიოდა.
- ეს ხერსონია, ჩემი გამდელი. - სთქვა ბავშვმა.
- გამხდარი ფერმკრთალი დედაკაცი, როგორცა სჩანს, ცივი, მაგრამ სუფთა და კეთილსინდისიერი გამოჩნდა.



მარო მაყაშვილის დღიურის გვერდი ჩანახატით

– რად ზის ეს მონყენით? – უჩურობდა ახლად მოსულს.

– საკვირველი ბავშვია, მაგრამ ძალიან კარგი. ნამოდი, არჩი.

ის დაემორჩილა და ადგა.

შინ ქუდს რომ ვიხდიდი, ჩავფიქრდი. ამ სანახაობამ ამაღელვა. „განა მკვდრები მოდიან ცოცხლებთან?“ სანყალი პატარა.

სალამოთი ვიჯექ ბაღში განცალკევებული. თანდათან სინამდვილე მშორდებოდა. უცბათ მომაგონდა დიდი ხნის დავინყებული გრძნობა – სევდის.

ორი წლის წინად გამოვეთხოვე სიყვარულს. მაშინ ეს ჩემთვის სასწაული იყო. მაგრამ მას შემდეგ წამოვიზარდე, დავრჩი მარტოკა, ვშრომობდი, გონივრულად ვიქცეოდი. როგორც ეტყობა, გათხოვება ჩემთვის არ იყო. ვეცადე, შევრიგებოდი ჩემს ბედს და უზრუნველყოფილიყავი. შევეჩვიე ჩაისს, კონცერტებს, და ცოტა ქალაქის თამაშსაც. ვიფიქრე: ახალგაზრდობა გაჰქრა და მასთან ერთად ფანტაზიაც, ოცნებაც. რა ცოტათ ვიცნობთ ჩვენ თავს. თითქოს კარგად, უდარდელად ვცხოვრობდი, თითქოს ჩემი ახალგაზრდობა დავმარხე. დავტკეპნე ყველაფერი, თურმე ეს ცოტა ყოფილა. ქუჩის ხმაურობა აზროვნობას მიშლიდა. ცხოვრების ტალღას შემოვარდნა უნდოდა ჩემს იდუმალ ბაღში. უკან კი აყუდებულიყო ჩუმი სახლი, დიდი, შიგ არჩი! ნეტა, სძინავს, თუ არა?

– მისს ტომასს, შეიძლება თქვენი გაცნობა? მისტერ ბივანდ.

მე შევეკრთი. არჩის მამა. როგორ არ გავდა თავის შვილს. ქერა თმით, ცისფერ თვალებით, მშვიდი, წყნარი. თავი უჭირავს კეთილშობილურად, სადათ. ჩვენ



*მარო მაყაშვილის დღიურში ჩადებული ილუსტრაცია*

მალე გამოვეცნაურეთ. მოკლედ უამბეთ ჩვენ ჩვენი ცხოვრება: მე იმაზე, რომ ვარ მდივანთ ერთ კერძო პირთან, მან კი ლიტერატურულ მოღვაწეობაზე.

– ეს ყველაზე ცუდი დროა წელიწადში, – სთქვა მან ბოლოს, – ჩემს ბიჭუნას ჰაერის გამოცვლა უნდა. ის ისეთი ჩუმია, არავისთან არ მეგობრობს, სრულეზობით არ იცის თამაშობა. მთლად დედაა.

– მე შევხვდი თქვენ არჩის ვახშმის წინ. ის მარტოდ იჯდა კიბეზე.

– როგორ გავს მას ეს. საშინლად მარტოა უდედოთ. მე არ ვიცი ბავშვების გართობა.

– ძალიან ნალვლობს დედაზე?

– არა! ჯერ ისეთი ბავშვია, დედა დაავიწყდა. მისთვის მავნეა მხოლოდ ქალაქის ატმოსფერა ზაფხულში.

ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდი არჩის. მოდიოდა ჩემს ოთახში ჩაფიქრებული. არ ვიცოდი, რით გამერთო, ისე იშვიათად ვხვდებოდი ბავშვებს. ხანდისხან ვგრძნობდი, რომ ბავშვს რალაცის თქმა უნდა. არ ვიცოდი, როგორ მივდგომოდი. გამდელი ხშირად ატარებდა სასე-


ირნოთ, მხოლოდ ბავშვებს თავს არიდებდა, თითქოს ეშინოდა. საშინლად მანუხებდა ამ ბიჭუნას მარტოობა და ჩაკეტილობა.

საშინელი წვიმა მოდიოდა. მთლად დასველებული მოვედი შინ. კიბეზე რომ ამოვდიოდი, დავინახე არჩის ოთახის ღია კარები. თვითონაც შუაში იდგა. შევდექი: მარტოკა იყო ბავშვი. სჩანს, უცნაურ თამაშობას თამაშობდა. მივიდა ღიმილით სავარძელთან, მერე მაგიდასთან და ისევ სავარძელთან.

– გინდა პატარა მაკრატელი? – მიმართა სავარძელს, – აი, ნემსიც. არა? მაშ, კარგი, დღეს ბევრი იმუშავე, ეხლა მეთამაშე. – მოეცალა სავარძელს და ხელი გაუშვირა.

– ხელი მომკიდე, დედა. – მერე მივიდა მეორე სავარძელთან. ხელი ჰაერში ჰქონდა.

– აი, აქ დავსხდეთ. – აძვრა და მაგრა მიეკრო სავარძლის კედელს.



*მარო მაყაშვილის დღიურში ჩადებული ილუსტრაცია*

– დედა, მიაჩნებ ზღაპარი ხელმწიფე მიდასზე, პატარა ოქროს ქალზე. მე ისე მიყვარს შენი ყურის გღება. მარტო მაგრა მომხვიე ხელი. ბიჭი იჯდა ჩუმიად, თვალებ დახუჭული. გული იქარწყლებოდა ამის ყურებით. ველარ შემეძლო ამ პატარას მარტოობაზე ცქერა, მაგრამ ისევ დაინყო.

– დედა, მე მეშინიან მარტო. დამანვინე ლოგინში და დაჯექი აქვე.

მე გავიქეცი ჩემთან. ეხლა გავიგე, რომ არასოდეს არ მიყვარდა. აქამდის მარტო ვეძებდი, მსურდა, ველავდი. ეხლა გრძნობა იყო მშვიდი, მაგრამ შეუტოკველი. იგი იყო მსგავსი მკრთალი ცეცხლისა, რომელიც არა სწავს, მაგრამ აცოცხლებს გაციებულ გულს. მომაგონდა პირველი აღთქმა: „ნუ დაიშურებ შენ თავს სხვისთვის“. ცხელი, ბულიანი დღე იდგა. ნიავი არსაიდან არ მოდიოდა. სიცოცხლე თითქოს შესწყდა. დაქანცული მივდიოდი შინ. კიბეზე დაბნეული არჩის გამდელი შემხვდა. აქეთ-იქით ეცემოდა, თურმე სხვაგან წასვლა უნდოდა, არჩის მამა კი მთელი დღე არ იყო შინ. ბავშვის მარტო დარჩენა შეუძლებელად მიაჩნდა. ჩემი გული აძგერდა, სიხარულით აივსო და წარმოვთქვი:

– ნადით, სადაც გინდათ, მე დავაძინებ ბავშვს.

ეხლა ვიცოდი ჩემი თანამდებობა. ვახშმის შემდეგ არჩის უთხარი:

– მეგობრები ვართ დღეიდან, ხომ?

– დიახ. – მიპასუხა სერიოზულად. სდუმდა ჩვეულებრივად.

– დღეს ვითამაშოთ, მოდი, დედობანა, მე შენ მეყვარები, გაამბობ ზღაპარს ხელმწიფე მიდასზე. მერე ჩაგანვენ ლოგინში, დავჯდები შენთან, რომ არ გეშინოდეს.

ატირდა ბავშვი და გულზე მიმეკრო. ჯერ სცხვენ-

ოდა ჩემი. მე ჩავჯექი სავარძელში, მოვითხოვე მაკრატელი. თამაშობა დაიწყო. ბიჭუნა გაერთო და შეუშინეულად ლოგინში ჩავანვინე. უცბათ მაგრა მომხვია თავისი ხელები და ნაიბუტბუტა:

– მე მინდა, რომ თქვენ დედა იყოთ ჩემი, ნამდვილი, ნამდვილი დედა.

ცრემლები მახრჩობდნენ. ვიყავი ღირსი, ან სპეტაკი ამ ურჩ ბავშვისთვის საკმარისად. ვფიქრობდი. ჩემ ფიქრში შემოვარდა ფეხის ხმა, რომელიც მახლობელ ოთახში გაისმა.

– ხერსონ, შენ? – ის იდგა კარებში.

– დიახ. – უპასუხე ხმა კანკალით.

– თქვენ?

– ჩუმათ, სძინავს...

– მაშ, თქვენ გიყვართ ჩემი პატარა?

– დიახ. – მაშინ აიღო ჩემი ხელი და დაეკონა.

ვდუმარებდით, მაგრამ ვგრძნობდი, რომ იგი მთელი სხეულით თრთოდა.

– თქვენ მეც მჭირდებით, – მითხრა, – არა ნაკლებ ვიდრე მას.

აი, ამისთვის ღირდა სიცოცხლე.

*20 ოქტომბერს, 1919 წ., თბილისი*

## **10 ნოემბერს.**

დღეს ძლივს ძლიობით მაგალობლიშვილები მოვიდნენ ჩემთან. მე ვატყობ, ძალიან მხიარულად გავატარეთ დრო. ალტაცებაში მოვედი პატესაგან, მხიარული ამხიარულებდა დანარჩენებსაც. გოგა კი, როგორც შევატყე, ცოტა მოწყენით იყო. თავის კალაპოტში თითქო არ იყო. შარადებს ვთამაშობდით. პატე დახტოდა,

კომიკურ როლებს ასრულებდა. სუნანას ეჩხუბებოდა. როცა გოგა და პატე წავიდნენ პოლიტეხნიკუმში სალამოზე, სუნანამ დაიწყო სიმღერა. ღმერთო ჩემო, სმენა მთლად არა აქვს. ყველა რომანსებს ქართულ თუ რუსულს ერთ ხმაზე მღეროდა. შალიკომ იხუმრა, სუნანა გრამოფონზე უკრავსო მარტო კარგად.

პატე, ახდილად ვთქვა, მომწონს. როგორ? შეყვარებული კი არა ვარ, არა? როცა ახლოს ვარ მასთან, მიყვარს მის წრეში ყოფნა. თუ არა ვხედავ, თითქმის არცკი მაგონდება. ჭკვიანი, განვითარებული ყმანვილია. მომწონს მისი პატიოსნობა, როცა ერთად ვართ ხოლმე, მაგრე განვშორდები, კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ჩემზედ. სხვა რა, კიდევ კარგი, რომ ჯერ არავინ მიღელავს გულს, თან კი მინდა, მალე გამოჩნდეს ვინმე.

ქეთოზე ძალიან გაბრაზებული ვარ. რალაცა დემართა. გასაკვირველი არ არის?.....  
ამ წერტილებით ემონმება მისი საქციელი.  
დვარცოვანა ბარიშნას ვეძახი.

რა სასიამოვნოა, როცა შეხვედები მეგობრებს რამდენიმე განმავლობის შემდეგ.

ვიყავი ნიცასთან. საბრალო ავად არის და მგონი, სერიოზულათაც. მებრალება. ისეთი ცოცხალი, მხიარული, ეხლა მონყვეტილი, ჩუმი ზის. ჩემი მისვლა ძალიან გაეხარდა. ჩვეულებრივ მოვიგონეთ ჩვენი „ბავშვობა“, როგორ ვატარებდით დროს გიმნაზიაში, ამხანაგები, რომლებიც ეხლა მე-VIII კლ. დარჩნენ. როცა ქუჩაში შეხვედები, სიხარულით გული ამიკანკალდება ხოლმე. ჯერ ვერ შევეჩვიე, როგორ ყველანი ერთად დადიან და მე კი არა. ყოველთვის დანვრილებით მიაშობენ იმას, რაც კლასში ხდება. ნიცამ მითხრა: ხშირად გიგონებ-

ნო შენო. ძალიან დააკლდი კლასშიო. ეხლა მე მკითხონ, ჩემი ძვირფასი მეგობრები მეც მაკლიან. დავდივარ უნივერსიტეტში. ვფიქრობ ხოლმე, ეჰ, ამ შენობაში 6 წელიწადი ვიყავი. ეხლა ვილაცა უცხოები თარეშობენ. მე კი, თითქოს პირველად ვიყო, ისე ვიქცევი. დრონი იცვალნენ. სოციალ-დემოკრატები, რომელნიც რამდენიმე წლის წინად შიმშილით კუჭი ეწოდათ, ეხლა ისე დახამდნენ, რომ ეს არაჩვეულებრივი სიძვირე მათთვის არაფერი არ არის. დაფრინავენ ავტომობილში, იცვამენ მშვენივრად, და ეგ არის გასაბრაზებელი, რომ ცხვირსაც ამაყად მალლა სწევენ. თითქოს უნდა გითხრათო: „მე ვარ, მარტო მეო“.

უნდა გაჩუმებულნი ვიყოთ, მოთმინებით მოველოდეთ ბოლოს, ბოლოს, რომელიც ყველასათვის გაუგებარია. და, აი, ნაყოფი ამ კლასისა, ან „არისტოკრატებისა და ბურჟუებისა“, რომელსაც სოციალისტები ჩვენ მოგვანერენ, არის ქეთო და მრავალი სხვა. ადამიანი მთლად შეიცვალა. დაქუცმაცდა, დაწვრილმანდა (ამაღლებული არასოდეს არ იყო). ამპარტავნობა მთავარი თვისებაა. ძალიან არ არის სანყენო ჩემთვის. არასოდეს მის მეგობრობას არ ვებლაუჭებოდი. იმ დღეს უთქვია: მარო მეცოდებო, მე ესე კარგად ვარ ჩაცმულიო და მარო იმერულ შალის ჟაკეტში დადისო. რა რიგ მენყინა ეს სიტყვა. კინაღამ ცრემლები გადმომცვივდა. თავი შევიფარე იმ ფიქრით, რომა მაგისაგან მეტს არაფერს მოველი. სულელი. მას ჰგონია, მართლაც და მართლაც, მთელი სიბედნიერე მშვენიერ ტანისამოსშია. ეხლა ამისთანა დროში, მე მგონია, სირცხვილიც არის ძალიან კარგად მორთვა. სპეკულიანტები და სოციალ-დემოკრატებისთვის სწორედ დრო მეფობენ, არ ეკადრებათ უბრალოობა. ეგენი ეხლა ღმერთები არიან, ურომ-

ლითაც ქვეყანა ქვეყანა არ არის. მომაგონდა ვალიკო ჯუღელი. რა არის, რას წარმოადგენს? განიბალი? როგორ აფუჭებენ მაგ სახელს. რით დაიმსახურა თავი. იმითი, რომ მისი ყველას ეშინიან. მის წინაშე ყველა კრთება. შიშით უყვართ. ოჰ, ორპირებო, რა რიგ მძულხართ. ველარ უძლებს ხალხი ამ სტიქიონს. ბოლშევიკური ამბოხებანი იწყება სოფლებში, ჩვენ ახალქალაქშიც მომხდარა. მგონი, თბილისშიც მოელიან. ყოველ ღამე მილიციონერები მოედებიან თბილისს და იცავენ. მე მგონია, ეს ანარქია შეუკავებელი გახდება. ფიალა აივსო, მოთმინებას საზღვარი მოელო და..... ეჰ, ვლადიმერ კობდი მეგობრებზე და ამ სიგრძე კუდი გამოვაბი. როგორ მოვიქცე, არ ვიცი? ეს საკითხი ძალიან მაფიქრებს. ეხლა აზროვნება არ შემიძლიან. საშინლად მეძინება.

*13 ნოემბერი, 1919 წ.*

ეხლა ვათვალისწინებდი ჩემ დღიურს, მე-5 და მე-6 კლასში რომ ვწერდი. დიდი განსხვავებაა წინანდელ „მე“-ს და ეხლანდელ „მე“-ს შორის. სულ სხვა აზრები, სხვა შეხედულებანი დამებადნენ, ხიდი ჩატყდა წინანდელთან. მაგ., ეხლა ნაღვლიანად ვიგონებ, 1917 წ. ვწერდი იმ გეგმას – „პლანს“, რომელიც მინდა შემესრულებინა აგრონომიულ ნაწილზე. ეხლა კი სიბრძნე მეტყველების დარგზე ამოვყე თავი. რა იდეები მქონდა, რას ვაპირებდი, და როგორ ჩაიფუშა ყველაფერი. ნუ თუ არ შევალ სამეურნეო ნაწილზე? უსათუოდ. როგორც კი დაწყნარდება ყველაფერი, გზები გაიხსნება საზღვარ გარეთისკენ, თუნდ ამ ფაკულტეტს გავათავებ, წავალ და შევალ იმაზედ, რაც უფრო მომიწევს, რაზედაც მიისწრაფის ჩემი გული.

## 27 ნოემბერი.

მე ჩემს სიცოცხლეში სიყვარული, მართლა რომ ვსტევათ, არ გამომიცდია, მაგრამ, აი, ასე მაქვს იგი წარმოდგენილი... ვერ დავათავე, დამიშალეს.

## 29 ნოემბერი, 2 საათი ღამისა.

იმას ეგონა, რომ სხვაზე ვნალვლობდი, სხვაზე ვფიქრობდი, ვიტანჯებოდი. მარტო ამ ორი დღის წინად დავნერე ზევით პრნკალებზე ის სიტყვები, რომელიც დღეს ამ წუთში სიმართლეს არ შეიცავს. რა ცუდათ ვგრძნობდი თავს?! როგორ მტკიოდა გული. მთელი საღამო გავიფუჭე მე და სხვასაც. ვიტანჯებოდი, მაგრამ ამ ტანჯვაშიც მესიამოვნებოდა ის, რომ გვერდით იყო. ჭკუაში არც კი მოსდიოდა ჩემი მდგომარეობა. „ამას გული ტკივაო“, ვიზე ფიქრობს, სულ სხვაზე. რა ძნელი იყო ყურება იმის მხიარულებაზე, არ ვიცი, სულ ცოტა განწყდა, რომ არ ვიტყვი, რა გასაგიჟებლად მიძიმეა და საამო ეს გრძნობა, როგორ თრთის გული, თითქოს თავის ალაგიდან უნდა ამოვარდნაო. ოჰ! რად გამაგებინე ასე ადრე. სიყვარული მე მწამს იდეალური, ორმა პირმა სიკვდილამდის პირობა არ დაარღვიოს. ნუ თუ კაცობრიობა ისე გამოიცვალა, რომ არ მოიპოვება ყოველ მხრივ პატიოსანი, მოსიყვარულე ადამიანი. ნეტა, ეს ყველაფერი ჰქონდეს იმას, ჩემ მიერ ამორჩეულს. მას ფიქრშიც არ მოსდის. აი, საკვირველიც იქნება, რომ გოგას ჩემდამი გრძნობა მასთან, მაგრამ ნეტა ჯერ არავინ იცოდეს. მინდა, დავმალო ჩემ გულის სულ უკანა კუნჭულში, რომ ჩემთვისაც ძნელი იყოს ჩახედვა. მაგრამ ეს შეუძლებელია. ჩახედვას არ დამაცდის, თითონ მიკაკუნებს და გულს მიღრნის. რა ძნელია სიყვარული, მით უმეტეს ჩემთვის. მე მგონია,



*მარო მაყაშვილი*

თუ ერთს შევიყვარებ, ეგ უკვდავია, სიკვდილამდის დამრჩება. თუ ვინმე კითხვას დამისვამს, აკი, გქონდა კიდეც ვგრძნობა ერთხელო, რა სისულელეა, ბავშური, უბრალო ცელქობა, ეხლა სრულებით მოსაზრებით ვიქცევი. დღეს ვიჯექი X, დაპატიჟებული ვიყავი. ვგრძნობდი თავს მშვენივრად, ვიცინოდი, როგორც გიჟი, აღელვებას არა ვგრძნობდი. ბოლოს მომიარა. ნაღველის ფრთა შემეხო და დამნავსა. უცბათ ვიგრძნე მისწრაფება ჩემი სულის სხვასთან, რა ხელად იყო უცბათ. არასოდეს არ მიფიქრია იმაზედ, თითქო ჩამბერა სიომ რომ ეს სიტყვები: „გიყვარს, გიყვარს, გიყვარდა წინადაც, მაგრამ არა ვგრძნობდი, შენ თავს არ დაჰკვირვებხარ“. მართალიც არის, ეს მსწრაფლ იყო. როცა გვერდით მიჯდა, უფრო

ვიტანჯოდი, გული მიღონდებოდა. ფუ ქალობას! უნდა საიდუმლოდ დავსტოვო ეს ყველაფერი. მე მგონი, შევძლებ. სულით დაცემა არ ვარგა.

როგორ შევიკავე ცრემლები, ღმერთმა იცის, მისი ნყალობით თუ? როგორ უნდოდა ჩემი გამხიარულება. მე კი განაბული ვიჯექი და ერთ წერტილს არ ვაშორებდი თვალს. სახლს რომ ვუახლოვდებოდი, მეგონა, ლოგინში ტირილი ამივარდება მეთქი. ეგ სიბავშვეა, ავად ხომ არა ვარ. ნერვები, ღმერთმა დამიფაროს და არ ამეშალოს, ყმანვილი ვარ, და მინდა, დავსტკბე სიცოცხლით და ბედნიერებით. ჩემ წინ დიდი გზა დევს და ღმერთო, ეს გზა იყოს განათებული კეთილი, ნათელი სხივით.

### **ნოემბერი.**

ნუ თუ ყოველი კაცი ეგეთი ეგოისტია, გაშმაგებული ცხოველი, რომელსაც არსებობა უნდა მარტო პირად სიამოვნებისთვის და ბედნიერებისთვის. ნუ თუ არ ეყოფა მას ერთი, არამედ უნდა ორი, სამი და მეტიც. სად არის სამართალი. მერე მეუბნებიან, თითქმის ყოველი მამაკაცი მაგისტანაო. არ მჯერა. მაგისტანა დაცემული ზნეობით ხალხი იქნებ მეტნი არიან პატიოსნებზე, მაგრამ უკანასკნელნი თავის სიცოცხლით ანათებენ, ელვარებენ სულის სისპეტაკით. მაგ., მე მომივიდა, ჩავარდი ისეთ მდგომარეობაში, რას ვიზამდი? თუ შემემჩნია, რომ ჩემ ქმარს მე აღარ უყვარვარ, დეე, ახდილად მითხრას, მაგრამ თუ მაღავს, ქურდულად იქცევა, ორპირობას სწევს, მე მგონია, მასთან აღარ დავრჩებოდი ან რამეს უზამდი. ამაზე მიპასუხეს: „ეგრე გგონიაო“. ამ ორ სიტყვაში ბევრი რამ არის. მართლაც, თუ კაცი მიყვარს, მას თავს ვეველები და მიღალატოს, ძალიან ძნელია, სატანჯელი, მე მგონია,

გასაგიჟებელიც. პირადად მე არავითარი არა გამომიც-  
დია და ღმერთმა ნუ ქნას, გამოვცადო. მაშინ ჩემი ტან-  
ჯვა იქნებოდა აუტანელი. ეხლა ვიცი, თუ რად იკლა-  
ვენ მოტყუებულნი თავს. ვამბობდი, როგორ ბედავენ,  
ნეტა, რა ძალა უნდა ჰქონდეს, სიმტკიცე, რომ თვითონ  
მოისპოს სიცოცხლე. ეხლა ცხადია, ცხადია იმიტომ კი  
არა, რომ ჩემზე გამოვცადე. უკანასკნელად სწორედ  
ისეთი წიგნები ნავიკითხე, სადაც მამაკაცი ეწევა არა  
სასურველ ცხოვრებას. ლალატი, ტანჯვა, და სხვა. აი,  
რაში მდგომარეობს ცხოვრება. ყოველ ახალგაზრდა  
ქალს ეშინიან, არ დავრჩე გასათხოვარიო, მეტადრე  
ეშინია „старая дева“-სი. კარგი, გათხოვდა, მას რომ  
არ ჰგონია, რომ გათხოვებაში მარტო ბედნიერება არ-  
ის, რომ ეს სამოთხეა, სადაც განუწყვეტელი ნეტარე-  
ბაა, სიკეთე, მშვიდობა და სიყვარული. ახალგაზრდა  
გული სცდება, სტყუედება სასტიკად. ხუმრობა არ  
არის შეუღლება ვისთანმე, ისე უცბათ იგრძნო მისდამი  
მისწრაფება და ერთი ხელის დაქნევაზე მასთან ყოფ-  
ნა. ჯერ მოთმენა უნდა. ანგარიში გაუწიო შენ სული-  
ერ ცხოვრებას, ღრმად ჩახედო შენს „მეს“, მერე იმას  
და ბოლოს დამშვიდებით ხელი ხელს მისცე. აქაც შე-  
იძლება ადამიანი მოვიდეს შეცდომაში. ვინ რა იცის,  
კაცის ნიღბის ქვეშ რა ბუდობს, კაცი ხელოვანია, არ-  
ტისტია. შეუდარებელია, მას ეს შეთვისებული აქვს რო-  
გორც ნაწილაკი ბუნების, თითქოს ეს ესრე უნდა იყოსო.  
ძალიან იმოქმედა ჩემზე სურათმა სინემატოგრაფში,  
იქ გამოჰყავთ მოტყუებული, დაჩაგრული ქალი, რომე-  
ლიც ქმრის ხელში გაუბედურდა და სიკვდილის წინ  
თავის ქალს უტოვებს დღიურს, რომ ფრთხილად იყოს,  
ახალგაზრდა გულს ნუ მისდევს, არ დაიტანჯოს ცხოვ-  
რებაში. ისე, როგორც თვითონ და ქალიც ცდილობს,

შეასრულოს ეს აღთქმა, მას სძულს ყველა კაცები და უფრო მისი მამა, რომელიც ესე ველურად მოექცა მის დედას. ძვირად დაუჯდა მამას შეურაცყოფის მიყენება, გამოტეხვა. იმან, ვისაც არ უყვარდა უდანაშაულო ქალი, იმსხვერპლა იმ დროს, როცა ქალი ეუბნებოდა მამას, მე ვარ შენი ქალიო. გაგიჟებულ ყმანვილს ეგონა, რომ ეტრფიალებოდა ეს უცხო კაცს. აი, რამდენი შეცდომის ჩადენა შეიძლება ცხოვრებაში. ყოველ ნაბიჯის გადადგმა საშიშია. მაცდურობის და სიმრუდის კლანჭები ყოველ კუთხიდან გიხმობენ, მაგრამ თუ ადამიანი მტკიცე ხასიათის არის და თავის თავის სჯერა, არხეინად იყოს. მას ცუდი თუ შეეხება, შესძლებს მოშორებას.

აი, დიდი ქალი ვარ კიდეც, ჩემ წინ ჯერ კიდე დიდი გზა არის გასავლელი, ნუ გამომაცდენებს ბედის წერა არაფერს ცუდს, ჩემი გული ვერ აიტანს, ეხლაც ხშირად თრთის, მაგრძნობინებს და მეუბნება, „გაუფრთხილდიო“. ნუ თუ ბედნიერება მარტო სილამაზეშია, რათა ქალი ლამაზი უფრო მეტს იძღვრასაწაულებს, ვიდრე ულამაზო. თუ მაგ ბედნიერებაზე მეორეს უფრო მეტი ნება აქვს, საკვირველია. ბევრი ლამაზიც უბედურია, აქ სულ სხვა რამეა, გუშინ ჩემი თავი შეყვარებული დავინახე, დღეს ეს გრძნობა უფრო სუსტია. ნეტა, სულ შესუსტდეს. დაბოლოს გაჰქრეს ისე უცბათ, როგორც მოვიდა.

## **დეკემბრის 5. 1919 წ.**

ამ უკანასკნელ დროს ინგლისური რომანები მხვდება მეტწილად წასაკითხად. ერთი მეორეზე უკეთესია. მაგ., ლოკი ძალიან მომწონს. მისი გმირები შესანიშნავები არიან, როგორც ქალები, ისე კაცებიც. ერთი ის არ-

ის გასაკვირველი, რომ ყოველი ინგლისელი მწერალი ინგლისელ ქალს ისე აღწერს იდეალურად, როგორც უუსპეტაკეს არსებას. ის ყველა კეთილშობილნი, პატიოსანნი, მოყვარულნი და უმაღლეს ნერტილამდეს გონიერები, გულში ნაპერწკლით. საკვირველია, კერძოთ რაცა გამიგია, ინგლისელები მშრალი, სასტიკი, ეგოისტი ხალხიაო. მაშ, რათა განთქმულ იმათ მწერლებს ეს უარყოფითი მხარე არა აქვთ აღნიშნული. პირიქით, ამას ეწინააღმდეგება, ავიღოთ, ლოკეს ნაწარმოები „Случайность, кумиры, обломки крушения“ და სხვ. რაღაც არა ჩვეულებრივი პიროვნებანი, ინდივიდები ჰყავს გამოყვანილი. ადამიანს აფიქრებინებს, ნუ თუ მართალია, მაშ, რაღად ყვირიან, ინგლისელები ხეზე უარესები არიანო, დესპოტებიო და სხვა. რა მიზნით სწერენ საწინააღმდეგოს, რომ დაფაროს ეს უუდიდესი ნაკლი? შეცდომა იქნება, ეს ჩემის აზრით, შეუძლებელი. მინდა, ცალკე დავწერო პატარა დახასიათება ინგლისელ ქალისა, მთლად რომ მერე ჩემ პირად დაკვირვებისაგან, გამოვიკვლიო, მართალია თუ არა, თუ, რასაკვირველია, როდისმე მელირსება და საზღვარ გარედ წავალ.

ჩემი უუდიდესი ნატვრა, რომელიც საშინელის სიჩქარით ღვივდება ჩემ გულში, არის მოგზაურობა. ფული, ფული, ნუ თუ სულ მაგაზე არის ყველაფერი დამყარებული. ღმერთმანი, კარგი იქნებოდა, ინგლისელს ან ფრანგს გაჰყვას ქართველი ქალი, რომ მოიაროს ქვეყანა. გადაეკიდები ვინმე ქართველს, მძიმეფეხიანს და გვერდით უჯექი, მანამ სულს არ დაღევ. მე ამის წინააღმდეგი ვარ, ყველაზე კარგია, როცა ცოლიცა და ქმარიც თანაუგრძნობენ ერთმანეთს, და როგორმე საერთო ძალით ასრულებენ იმას, რაც ენატრებათ.

ჩემი დღიური რომ წაიკითხონ, ეგონებათ, ძალიან მინდა გათხოვება. რა სასაცილოა, უკანასკნელად რომ

თითქმის მაგაზე ვსწერ. ეს სულ წარმოდგენაა, რა იქნება შემდეგ, ეხლა მაგ ნაბიჯს არ გადავდგამ, ძალიან დიდიც არის და არა სასურველიც. მე თვითონ მიკვირს ჩემი თავის. სხვანაირი ვარ, არა ისეთი, როგორც დანარჩენი, ვითომ რათ? არ ვიცი, იმ დღეს შეყვარებული დავინახე ჩემი თავი, მეორე დღეს ჭკუაში არცკვი მომდიოდა ის. და არც შემდეგ. რით აიხსნება, რას დავაბრალო?!

ნუ თუ ორი წლის შემდეგ ესეთი მდგომარეობა იქნება, ნუ თუ არ მეღირსება წასვლა, რომ დავაკმაყოფილო ჩემი მისწრაფება.

საკვირველია, რა საკვირველი ბუნება, ცხოვრება.

ეხლა დავენაფე ენებს, მინდა შევისწავლო, კარგად რომ ვთარგმნო ქართულ ენებზე ის მშვენიერი წიგნები, რომელიც იბადება იმ უდიდეს სახელმწიფოში, იმ აყვავებულ ნალკოტში, ხელოვნების ტაძარში, ეგ ინგლისში. ყველაზე ძალიან ეგ მწერლები მიზიდავენ. რა კარგია ორიგინალის ნაკითხვა. ბედნიერნი არიან ის, ვინც ენები იცის. როგორ შევნატრი, როგორ მშურს, როცა უსმენ სხვის ლაპარაკს. არა! ჩემი უნდა გავატარო და შევისწავლო, რომ ბოლოს იქ სხვა უცხო ქვეყანაში გამომადგეს. უცხოეთში რომ მიმინევს, იმიტომ კი არა, რომ არ მიყვარს ჩემი ტურფა სამშობლო, პირიქით, მინდა, წავიდე, რომ ეს სიყვარული უფრო გამიღრმავდეს, შორიდან უფრო საამო იქნება, უფრო ამაჩუყებელი. ბაბო ავად იყო. ვესაუბრებოდი საზოგადოთ მწერლებზე. მითხრა, მეც ძალიან ვერთობი ინგლისურ რომანებითო, ძალიან მომწონანო. ამათ მიხედვით მინდა დავწერო „მარჯორი უორდროპის ბიოგრაფია, დახასიათება“. მე დარწმუნებული ვარო, რომ სწორედ მარჯორი მაგისტანა იყო. მაკვირვებს რომანებში ისეთი უეცარი შეხვედრები, სიყვარული, შემთხვევები. არ ვიცი და ცხოვრებაში არ უნდა იყოს. მაგ. „უიდას“ Моль. ეგ ფანტასტიურია რა-

ლაც. საცა კი არ წავა ქალი, თავის მიჯნური შეხვდება, აცნობინებს და სხვა საკვირველი ძალიან. თუ ერთმანეთი უყვართ, იქნებ ინსტიკტიურად მოქმედობენ. მოულოდნელად გვერდით აღმოჩნდებიან და სხვა.

რასაკვირველია, ეგ მწერლის ფანტაზია. აი, ასეთი უნდა მას წარმოიდგინოს ცხოვრება, სიყვარული იდეალურია, იდილიური. რა კარგია იმისთვის, ვისაც ბედი გაუღიმებს. ძნელია და მოსაწყენი პროზა, პროზა ცხოვრებისა. სიყვარული დაგვირგვინებული უნდა იყოს დაფ-



მარჯორი უორდროპ

ნის გვირგვინით, სიყვარული იყოს მუდმივი, შეურყეველი, ემბლემა კეთილდღეობის. მაშინ ადამიანი სრულად განუყოფელად იარსებებს ბედნიერად. ნუ თუ ყველას ისე მოგვიხვდება ცხოვრება, როგორც ჩვენ დედებს, რომელნიც დღე-ღამე ფიქრობდეს, ხვალ რა ჩავაცვაო ან ვაჭამო. საშინლობაა, რომ ქალს სამზარეულოს გარეშე არაფერი არ უნდა ეინტერესებოდეს. ეს დიდათ შემცდარი აზრია, მე მაგ კვალზე არ წავალ. მითხრეს, კაცი ქალში კარგ დიასახლისს ხედავს და ბავშვების გამზდელსო მარტო. ტყუილია. ქალსაც აქვს უფლება ისეთივე ცხოვრებაზე, როგორც კაცს. ამისთანა ვინრო შეხედულებანი ეკუთვნით გაუნვრთლელ, დაბალ, და, თუ შეიძლება ითქვას, სუსტ ჭკუის მქონ ადამიანებს – ვიტყვი ამას ყოველთვის, ეხლაც და მერეც. მონად სხვას არასოდეს არ გაუხდება. გრძნობას არ გავაბატონებ ჩემ თავზე. ეგ ლუპავს ადამიანს, და მის გეგმებს ამსხვრევს, ლენავს.

### **დეკემბრის 18-ს.**

მინდოდა, პატარა სურათი დამენერა, დავინყე, მაგრამ, რაც მინდოდა, არ გამოვიდა. თავი მივანებე. იდეა კი კარგი მქონდა. ვერ შევიმუშავე. გუშინ გვიან დავნეკი, თორემ ზეპირად უკეთესია გათვალისწინება იმისა, თუ რა გინდა დაწერო. მეორე დღეს უფრო ადვილი შეიქმნება.

დღეს გავათავე ერთ „ლოკეს“ რომანებიდან. რა „ТОНКИЙ“, რუსები რომ იტყვიან, მწერალია. რა ცხოვრების წვრილმანი არ იცის, რა მშვენიერი არიან მისი გმირნი. ეს ყველაზე ფსიქოლოგიური და ღრმა რომანია – „У врат Самарии“ რატომ ცხოვრებაში მაგისანა ტიპებს არა ვხვდებით. ან შეიძლება შეხვდეს ადამიანი ამისთანა დროს, მე-XX საუკუნეში? ეს არა ჩვეულებრივია. ქალის

და კაცის იდიალი, დევიზი არის „ჭამა“ და „ჭამა“. ყოველის აზროვნება კუჭის გარეშე არ მოდის. მე მგონი, ლოკე ეხლა არ დასწერდა ამ სპეტაკ საუცხოვო რომანებს. გაფუჭდა ქვეყანა. ხელოვნებამ ნაბიჯი დაიკლო. აღმფრთვანება აღარ არის. არავინ არა სწერს ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, მხატვრობა მიყუჩდა, ხელოვნების ტაძართ ვეძახი (თეატრს), მიიზღაზნება ძლივს ძლიობით. ფუტურისტები ნავარდობენ, სადაც კი შეიძლება, თავის ნიჭს იჩენენ. არსად აკლდებიან, ყველასთვის და ყველგან მზად არიან. დამცირებაა ხელოვნების, ეხლა ზიზლით უყურებს ადამიანი, მეტინაწილი იმ სურათებს, რომელნიც გამოფენაზე, როგორც ვავიგე, დიდ როლს თამაშობენ. რა საზიზღრობაა. რათ მინდა სურათი, თუ მის ყურებით არ დავტკბები, თუ არ ვიგრძენობ მის რეალობას, თუ ჩემი თვალი არ დაისვენებს მათზე. სჯერათ ამისთანა ცხოვრება და ხელოვნება უფრო უარესი. მაშ, ქვეყნიერებაზე აღარაფერი დარჩენილა, სადაც სულის მობრუნება შეიძლება. რა მოხუშულად, მოღრუბლულად გამოიყურება ყველა. რა გაშმაგებული საზიზღრობაა გარშემო. როცა დაუფიქრდები, გული მტკივა, მინდა, დაუყვირო მთელ ქვეყანას, თუ რას სჩადიხართ. ნუ თუ ეს არის გზა განვითარებისა მომავლისაკენ, რომელ საფეხურზე ვდგევართ. ეგ დაცემისა თუ ამაღლებისა, მარტო ღმერთმა იცის. მეფენი ბევრნი არიან ეხლა, მაგრამ მეფენი არა გონების, არამედ პირადი გრძნობების და კუჭისა. ბევრჯელ მეც მითქვამს, ნეტა, კაცი ვიყო. ქალი ადამიანია განა? ასე ვფიქრობდი. ლოკემ შემიცვალა აზრი. იქ ამბობს, საკვირველია, რომ ყოველი ქალი ნატრულობს კაცათ ყოფნასაო.

Любовь хороша, когда оба юны. Юность весна жизни.

Да, любовь прекрасна...

И она сильнее всех законов.

როცა ქალი წამოიზრდება და დაუკვირდება ამ სიტყვებს, იტყვის, არა, ქალათ ყოფნაც კარგია. ერთ ქალის პირით ლოკე განმარტავს: „ქალს იმიტომ უყვარს ქალობა, რადგან ხედავს ბევრს, ვიდრე კაცი. ბევრს მისცემდნენ მამაკაცი, თუ გაეგოთ ეს მხარე და სცოდნოდათ. ნუ თუ არასოდეს არ ყოფილა ქალისთვის ცხადი, რომ მან იცის ისეთი მხარე ცხოვრებისა, რომლის კარები მამაკაცისთვის მჭიდროთ არის დახურული. რაც შეეხება იმ მხარეს, რომელიც მისაკუთრა კაცმა და ქალებისგან მაღავენ, ის არც ლამაზია და არც სასიამოვნო“. ჯერ მაგას მე ვერ ვიტყვი. სრულებით გამოუცდელი ვარ.

სიმები სულ უფრო იჭიმებიან. ბოლოს ველარ გასძლებენ და ხმაურობით გასკდებიან. ესეთია ჩემი მეგობრობა ქეთოსთან. ბოლო მალე უჩანს. წინადაც მითქვამს, მაგრამ სხვა და სხვა მოსაზრებით ეს არ ხვდებოდა. ეხლა უფრო საგრძნობელია. სამწუხარო ის არის, რომ ის არა ხედავს ჩემდამი გულციობას. რომ გაიგოს კიდეც, გაუკვირდება. თავის შეცდომებს, მეტი წილს, ადამიანი არ ხედავს. ჩემ მორცხობით და სიპატიოსნით იქამდის არ მივალ, რომ იხმაროს სხვამ როგორც იარაღი. არასოდეს. დეე, იმეფონ ადამიანებმა, რომელიც სიზმარში არც კი ნატრულობდა მოლანდებას. უნივერსიტეტში ერთი სტუდენტი მეუბნება: თქვენ ნამდვილ თავადის სახე გაქვთო. ყოფილი თავადი ბრძანდებოდითო? გავბრაზდი და მიუგე: „უკაცრაოდ, მე ეგ ღირსება არავინ ჩამომართვა“. უნდა დამემატნა: „მაგრამ, რაც თქვენთვის უნდა მიეცათ, მას ვერ ვხედავ. მე, რაც ვიყავი, ის ვარ“. გაეცინა საცოდავ სოც. დემოკრატს. ეს იმიტომ უთხარი, რომ ის არ დამტკბარიყო თავის გამარჯვებით. ჩემი „მემუარები“ თუ გამოაქვეყნონ, ვაი ჩემი ბრალი. არ მეში-

ნიან, ჩემ რეფერატში რომ ვთქვი მართალი. აყვავდეს ქვეყანა ჯერ თავის თავად, იქცეს ნალკოტათ და მერე შეუერთდეს ყველას კაცობრიობის აღსაშენებლად.

### **1920 წელი!!! 1 იანვარი.**

ასე უხვდები ახალ წელიწადს. ვნახოთ, რას მოიტანს. ბედნიერად დაგვირგვინდეს ჩემს ოჯახისთვის და საქართველოს.

### **31-1 იანვარი. 1920 წ. 12 საათი ღამის.**

#### **„ხვალ ახალი წელია!“ (სურათი).**

გარედ ციოდა. შიგნით სახლში კი, ბუხრის წინ კი თბილოდა, ქარი ზუზუნებდა, ანგრევდა, რაც კი ხვდებოდა, ყველაფერს ჰაერში ატრიალებდა. მთვარე კი დინჯად განაგრძობდა მოგზაურობას ცის კიდეზე. ბუხარი გუგუნებდა. ნაპერწკლები ერთი მეორეს ეცემოდა, შეშა იშლებოდა მრავალ ნაკვერჩხლებად. ოთხი გამტერებული თვალი თითქოს თავის ბედს კითხულობდა ცეცხლში. მართლაც, ბედის ამოკითხვა უნდოდათ, მაგრამ სულ სხვა და სხვა ნაირად.

პირველი წყვილი ნალვლიანად, მწუხარებით ადევნებდა თვალს წითელ ალს, და შიგ მომავალს ეძებდა. სახე უკრთოდა, ხან უღიმოდა, ზოგჯერ საშინელ დაღალვას გამოხატავდა. თვალეები და ნაკვერჩხლები ერთად ბრწყინავდნენ. მეორე წყვილი კი ნახევრათ დახუჭული ჩასცქეროდა. იმასაც უნდოდა მომავლის გაგება? არა, ის ბედნიერი იყო აწმყოთითაც, მას სთბილოდა, სიამოვნებისგან ლულუნებდა. აზროვნებას მოკლებული ეს მეორე ნუ თუ რამეს ხედავდა ამ მოლურჯო კვამლში? იქნებ.

ოთახის დიდ ნაწილს ალისებური ფერი დაედო, მოეკიდა უკანასკნელ შეშას და მალე ჩაქრა. დიდხანს იყ-

ვნენ განაბულ მდგომარეობაში ორი მეგობარი: ლალე და ციცო.

ხვალ ახალი წელია. ნეტა, რას მოიტანს იგი, რამდენ ტანჯვას და უბედურებას, ამაზე ფიქრობდა ყმანვილი-ქალი. ამ ბავშვს რატომ ბედნიერება არ ელანდებოდა, რატომ ამ საზეიმო დღეს აღმფრთოვანებით არ ეგებებოდა, მისი აზრები რათ იყო ისე შავი და უიმედო? ხვალ, ხვალ – ბუტბუტებდნენ ვარდისფერი ტუჩები. ქარი განაგრძობდა ბობოქრობას. ბევრი წელი გასულა, მაგრამ ესეთი საშინელი არ ყოფილა. მას შემდეგ, რაც უბედურების ფრთა შეეხო დედამინას, ლალეს ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. სადღაა მისი იდიאלები, მისი მისწრაფებანი? ხვალ ახალი წელია!

ისევ ტანჯვა გაუთავებელი. ნეტავი ცეცხლისავით ალაპლაპდეს უცებ და ისევ უცებვე ჩაქრეს. აქ კი ლაპ-ლაპის შემდეგ გაუთავებელი, მონოტონური ცხოვრება. რამ დაბადა ასეთი პესიმისტური შეხედულებანი? დრომ... ამ ფიქრებში იყო ქალწული, როცა ფეხის ხმა მოესმა და გვერდზე ძიძა მიუჯდა, ერთად ერთი მის ჭირის გამზიარებელი. ეს უცხო დედაკაცი, რომელმაც მთელი თავის სიყმანვილე ამ ყვავილნარს შესწირა, არ სწყევლიდა ბედს. რა? მისი ბედნიერება? თუ მისი გაზრდილის სული ისე შფოთავდა.

– შვილო ლალე, ლოყები აგინითლდნენ, ცოტა მოეცალე, აქეთ გადმოჯექ ჩემთან.

– ძიძა, ხვალ ახალი წელია!

– მერე რა, გაიცინე, გენაცვალე, ბედნიერად დაუხვდი მომავალს, გული გაიმაგრე, როგორ გევხარ განსვენებულ დედაშენს ამ წუთში.

– დედაჩემს?

– რად გაგიკვირდა, შუბლი გაიხსენ, შავ ფიქრებს აქ ალაგი არა აქვთ.

– განა შეიძლება მათი მოშორება? ისინი ჩაეჭიდნენ საშინელის კლანჭებით და გულს მიკანრიან, რა სურათები არ დამიხატეს ბუხარში, რა საშინლობაა სილატაკე, შიმშილი, სიცვიე.

ზ..ზ..ზ.. ქარი არ ისვენებს, ღმუის, გესმის, ძიძა?! რა ეშველებათ იმ პატარა ტიტველ ბავშვებს, რომელნიც გარეთ დარჩნენ, მათთვის ახალი წელი რას მოიტანს? რა საშინელია ცხოვრება. მე ჯერ არ გამომიცდია, მაგრამ მალე ჩავებმები ცხოვრების ფერხულში, რომ მისი ყველა მხარეები და საიდუმლოები გავიგო. წარმოდგენანი მიხატავენ სხვა და სხვა სურათებს, მომეჩვენა ლატაკი ოჯახი, სადაც ბავშვებს დედა უკვდებათ შიმშილით, წყალში ვარდება ყმანვილი ქალი, თავს იკლავს ოჯახის მარჩინებელი, სულ ცხოვრების აუტანებლობისგან, გაჭირდა ყველაფერი. ისევ სიკვდილი ყველაზე სანატრელი.

სიტყვებია ახალი წელი.

ისევ წინანდელი ვაივაგლახი, გაჭირვება და არც ერთი სხივი სინათლისა. უბედურნი, უბედურნი.

ღუ, ღუ... ღუ... არა, ვილაც გვატყობინებს თავის ბედნიერებაზე.

ციცო, შენ? არ განუხებს გარეშე ტანჯვა, არ შეგეხო საშინელი ხელი, ილიღინე, მაშ, ყოფილა არსება სიცოცხლით სავსე.

– ლალე, კმარა, დროა, მოემზადო, საცაა მეგობრები მოგივლენ. ჩაიცვი თეთრი კაბა, რომ მომავალი წელი გიშუქებდეს.

– მიშუქებდეს? მაშინ, როცა სული ძაძებშია მოსილი? რასაკვირველია, ძიძიკო, დაუხვდები ახალ წელს, და რომ არ განყეინო, თეთრ კაბასაც ჩავიცვამ, ემბლემას მშვიდობის, სისპეტაკის. იქნებ მეშველოს და სიმშვიდე გულის მომიტანოს ახალმა წელმა.

ეხლა ზარბაზანი გავარდა. დადგა 1920 წელი. უკვე 12 საათია. გაუმარჯოს მას და ბედნიერების მწყურვალნი დაგვამადლოს.

### 1920 წ. 8 იანვარს.

მე და სუნანა დღეს დიდხანს ვლაპარაკობდით. სხვათაშორის თემა ლაპარაკისა იყო ქეთო. ისევ ის და ისევ ის. მაგრამ რა, ლაპარაკით მაინც ცოტა მოიჯერიებ გულს. ვიყავით ერისთვანთ, მაგრამ რაკი შინ არ იყვნენ, მალე დავბრუნდით. ერთი მხრით გამეხარდა, გულიანად ვიმუშაიფებდი სუნანასთან მთელ იმ გრძელ გზას. მიაბო მერე მედოს ამბები. ნუ თუ! ნუ თუ აღარ მოვესწრობი იმ წუთს, რომ ჩავჯდე მატარებელში ევროპაში ნასასვლელად?!

მე გადავწყვიტე: თუ სამსახურში შევალ, განსაკუთრებით დიდ ნაწილს დროსი მოვანდომებ ენების სწავლას, ფრანგულს და ინგლისურს. დავიჯინე, ამ ორ წელიწადში უნდა წავიდე მეთქი და ვეცდები შევასრულო. როგორც ანდამატი, ისე მიზიდავს. რას მომცემს იგი? მე მგონი, ბევრს. ჯერ ერთი, დავათვარიელებ ძველ ნაშთებს, ხელოვნებას და მის ისტორიას შევისწავლი, გავეცნობი ხალხის ზნე-ჩვეულებას, ჩავწვდები მის სულის სიღრმეს, ფსიქოლოგიას დაწვრილებით დაუკვირდები და იქნებ როდისმე მეც მწერალი გამოვიდე. ისეთი კი არა, როგორიც არიან ეხლა საქართველოში? არა! აბა, მაჩვენეთ ერთი განათლებული სავსებით ბელეტრისტი რომანისტი. არ არიან და თუ არიან, ისე ცოტა, რომ არც კი ჩანან იქ, სადაც უნდა ყოველი ადამიანი იყოს განვითარებული, ნასწავლი. წადით სხვა ქვეყანაში, იქაც თუ ეგრეა? მე ვიღებ ევროპას, სამხრეთში კი... მე მსურს, ისე შევისწავლო ენები, რომ მეტი წილი ფრანგების და ინგლისელი მწერლები სამ-

შობლო ენაზე გადმოვთარგმნო. ეგ იყოს ჩემი პირველი ნაბიჯი მწერლობაში. იქნებ მას მოჰყვეს ჩემი საკუთარი ნაწერები. პოეტი არასოდეს არ ვიქნებოდი. არც მაქვს რიფმის ნიჭი, მაგრამ რომანისტი კი ძალიან და ძალიან შესაძლებელია. ჩვენი ცხოვრება მეტადრე ისე საინტერესო არ არის, რომ მისი აწერა მარტო პესიმისტური, მონოტონური თუ იქნება. ამ ხანაში სიცოცხლით სავსე, ბედნიერებით აღჭურვილი გმირის მაგივრათ გამოვა სუსტი არსებით და სუსტი სულით, არა საინტერესო და ანორმალური. ეს უარყოფითი სახე ისე მოსწყინდა ადამიანს ცხოვრებაში, რომ კალამი აღარა სწერს, ხელი მოდუნდა. ყველგან ღია ფერები უნდა. გასაკვირველი არ არის, თუ კი ცენტრი არ არის მყარი – ტვინი, აზროვნება. აღარ არის ბედნიერება, აღარც არის სიმშვიდე. ეხლა ყველა ფიქრობს კუჭზე. ოჰ, ნეტა რა გახდა ეს საზიზლარი ადამიანის ნაწილი, სხეულის უმთავრესი ელემენტი, რომ ადამიანი მას გადააკვდეს.

აი, დადგა ახალი წელი. ადამიანს ჯერ იმედი არ დაჰკარგვია, იქნებ კარგი დრო დადგესო, გულიდან სიმძიმე მოვიშოროთო და თავისუფლათ შევხედოთ ქვეყნიერებას. მე ეს აზრი არ დამებადა. შეიძლება, დაბრუნდეს ის, რაც იყო. მე დარწმუნებული ვარ, რომ დადგება ეგ დრო, მაგრამ როდისლა?! თუ ორ წელიწადში არ გათავდება, კაცობრიობა ამოწყდება, ჩემს თვალსაზრისით. როგორ გაირყვნა ქვეყანა. რას არ სჩადიან, რომ ცოტა თუ ბევრათ რიგიანათ იარსებონ. რამდენი საზიზლრობაა.

დღეს საშინლად გავბრაზდი. მეუბნებიან: არ გინახავთ „მუშების სასახლეო“? მე გამიკვირდა და ვკითხე, არ მესმის, თქვენ დაცინვით ამბობთ თუ სერიოზულათ. მიპასუხეს, ნამდვილათო. რა საცინელია მუშების სასახლე. ამდენს ყვიროდნენ, სასახლეები დაანგრიეთ, სიტყვა „სასახლე“ აღარ იყოს ნახსენები, და ეხლა თვით მუშე-

ბი აგებენ სასახლეებს. ის სიმშვენიერე, რაც მდიდრებმა ბაზარში გამოიტანეს გაჭირვების გამო, სოციალ-დემოკრატების, მინისტრების ცოლები ყიდულობენ, ათასობით ფულებს ფლანგავენ ისინი, ვინც ამ რამდენიმე ხნის წინად ყვიროდნენ, განზე სიმშვენიერე, განზე ეს სისულელეებიო.

ეხლა კი თვითონ იძენენ მაგათ. უბედურება ის არის, რომ ამ ლამაზ საგნების მოხმარება არ იციან. ვინც იძენდა, მაგარ გემოვნებით თუ სჩადიოდა, ესტეტიური გრძნობით. აქ კი ოღონდ ბევრი იყოს და სილამაზეს ვინა სჩივის. ერთმა სთქვა, მე ვყიდულობდი მაგეებს და ვიცოდი მათით სარგებლობა. მაგრამ ეგ ხამები რას სჩადიან. რომ მკლავდნენო, მე დავიყვირებ მაინც მე სულით არისტოკრატი ვარო! იქნებ ეხლა ეგ სასაცილოც იყოს, მაგრამ ისე ბრაზდები მაგათ თარეშზე, რომ უნებლიეთ იტყვი რასმეს. ვნახოთ, რა მოგველის.

**რა არის მიზანი ცხოვრების???.....**

**XX საუკ. 1920 წ. 12 იანვარი (ახალი სტილით).  
თბილისი. დიდი ზეიმი.**

დღეს მივხვდი, რა არის მიზანი ცხოვრებისა. სამშობლოსთვის მუშაობა, დღეს, 1920 წელს, მე-20 საუკუნეს, 12 იანვარს (ახ. სტ.) საზავო კონფერენციაზე უმაღლეს საბჭოს სხდომაზე, „ლორდ კერზნის“ წინადადებით, ერთხმად აღიარებულ იქნა საქართველოს და ადერბეიჯანის დამოუკიდებლობა. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! აღსრულდა ის, რასაც ესე ელოდა ქართველი ერი. დიახაც, უნდა იზეიმოს ქართველმა ტომმა ეს დღე. თურმე დეპეშა დილით მიუღია მთავრობას. 11 საათზე ხალხის მეტს ნაწილს გაეგო და მთელი ტალღა მოედო ქუჩებს, მსწრაფ შეატყობინეს ყველა დაწესებულებებს,

რომელნიც დათხოვნილი იქმნენ. შემდეგ წამოვიდა ჯარი. უშველებელი. მალე შეიკრიბნენ და მთელი რაზმებით პარადისტვის განემზადნენ. სასახლესთან მთავრობის წევრებმა მიულოცეს ხალხს ვაშას ძახილით. მგრძნობიარე დღე იყო. ყველას სახე უღიმოდა, ერთმანეთს ულოცავდნენ, ჰკოცნიდნენ. ბედნიერების ცრემლები იმ დღეს ბევრი დაიღვარა. მთლად მაჟრი-ალებდა ტანში, ყოველ წარმოთქმულ სიტყვაზე და მუსიკის ხმაზე. შინ არავინ იჯდა მაშინ, და მგონებ, შეუძლებელიც იყო გარედ არ ყოფნა. ფრიალებდნენ დროშები, აღმფრთოვანებული ბრბო სიმღერით დადიოდა შუა ქუჩაში. შემდეგ მთელი ჯარი უორდროპის სახლს მიადგა, იქ ბ. ოლივერმა მიულოცა და უსურვა დღეგრძელობა, ქართულათ სთქვა: „გაუმარჯოს ტურ-



*ოლივერ უორდროპ*

ფა საქართველოს“. იყვნენ უცხოელი წარმომადგენლები. გულითად სალამს გვიძღვნიდნენ. სომხები კი... რა ითქმის მათზე. არ იცვენეს ისინი და „ველიკაია არმენია“ გაჰქრა. როგორ ილესავენ ალბად ჩვენზე კბილებს. ბედნიერებას უბედობაც მოსდევს, ნათქვამია. მტერი ახლო გვყავს – ბოლშევიკები, როსტოვი აულიათო. არა! უნდა შევებრძოლოდ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, რომ დავიცვათ ეს ძლივს მოპოვებული პატარა თავისუფლება. მაშ, ღმერთი გვინცალობებს, ნუ დავეცემით არცერთი ქართველი ადამიანი და სულით ამაღლებულნი, მკერდ გაშლილნი მივეგებოთ ასეთ ბედნიერ 1920 წ. ჩვენ საკუთარ განუყოფელ მინა-წყალზე ვართ. აღარც ორთავიანი არწივი დაგვნიჭნის და აღარც სხვა დაგვჩაგრამს. ძლიერია ქართლოსი, ეს პატარა საქართველო ჯარასავით დატრიალდა და ყოველთვის მარდია. სადაა შიში, ისე სულით ამაღლებული, ხასიათის სიმტკიცით აღჭურვილი. ქართველო დედავ, შენ გიძევს ყველაზე დიდი ნაწილი ამ ბედნიერებაში, შენი შრომა უნაყოფოთ არ ჩაიარა. შენ ჩაუნერგე შვილს, ან სიკვდილი ან გამარჯვება და აი, გავიმარჯვეთ, ჩვენი მოთმენით და იმედით. იმედი, ცისარტყელა! ვაშა... ამაღლდეს... ეროვნული დროშა და თუნდა ძრიელმა აბობოქრებულმა ქარმა ააფრიალოს, ნუ შეგვეშინდება.

## 17 იანვარი.

გუშინ ვიყავი უორდროპის სალამოზე, 14 – კი ნინო მაყაშვილის და ტიტე ტაბიძის ქორწინებაზე. ბ-ნმა ოლივერმა სთხოვა ქართველ მანდილოსნებს, თავის ნებით დაეპატიჟნათ რამდენიმე ყმანვილი ქალი და ვაჟი. სხვათა შორის ლიზა ორბელიანმა მეც დამპატიჟა. ეს ჩემი პირველი გამოსვლა იყო, ესე ვთქვათ, „ბალში“.



*ელისაბედ (ლიზა) ორბელიანი*

მთელი თითქმის ქართველი თავადაზნაურობა იქ იყო. ინგლისელებმა გულ უხვად მიგვიღეს. მეტი წილი უორდროპის შტაბისგან ოფიცრები ჩოხაში იყვნენ. ძალიან უხდებოდათ, ორნი გამოვიდნენ კიდეც ლეკურის სათამაშოდ, მაგრამ ისე საცინლად, რომ მეტი არ შეიძლება. უორდროპმა გვითხრა, მალე ჩვენში მოდაში შემოვაო ლეკური. გავიფიქრე, თუ ესე გადასცემენ ჩვენ კეკლუც ცეკვას, კარგი რამეც იქნება? ისე უბრალოდ გველაპარაკებოდა უორდ. ძალიან კარგი სახე აქვს და

მართლაც რომ ვსთქვა, მომეწონა. იქნება ესე 60 წლისა, სახე მთლად გაპარსული აქვს და წლოვანობის გაგება შეუძლებელია, მაგრამ მე ესე გადავწყვიტე. მთელი სალამოს განმავლობაში უკრავდნენ ინგლისურ ცეკვას „უანსტეპ“. გააჭირეს საქმე. მიეკრებოდნენ ერთმანეთს და თამაშობდნენ. საძაგელი თამაშობაა, მე არ მომეწონა და მიტომ არ გავბედე მეთამაშნა, თორემ ადვილია. ყველა კმაყოფილი დარჩა. შესანიშნავი ვახშამი გაგვიშალეს, ფრანგები რომ იტყვიან, „a la fourchette“.

5 საათზე დავიშალნეთ. უცბათ ყველა ნაცნობებმა გაიგეს, რომ ვიყავით ამ სალამოზე და დაგვიწყეს გამოკითხვა. იმათ ეგონად, რამე არაჩვეულებრივი რამ იყო იქ. აი, როგორ შემოდგეს ინგლისელებმა ნაბიჯი საქართველოში. ვნახოთ შედეგი.

### **იანვრის 23.**

დღეს მოვიდა დეპეშა, რომ სომხეთიც აღიარეს დამოუკიდებლათ, მხოლოდ სპარსული სომხეთი ჩამოაშორეს. ამ სამი დღის წინად მოვიდა დამტკიცება ყველა სახელმწიფოებიდან, რომ საქართველოს მთავრობა ცნობილია. უორდროპი გაემგზავრა ბაქოში.

### **24 იანვარი.**

მაკვირვებს ჩემი თავი. ქეთოზე ხან გულ მოსული ვარ, ვბრაზობ, ვლანძღავ, ხან ისევ შემეყვარდება ხოლმე. მაგას ყოველთვის ვამბობდი, რომ გულკეთილია. ცოტა სულელური ამაცობა რომ არა ჰქონდეს და სიმსუბუქე, მაშინ მთლათ კარგი იქნება. მოუვლის ხოლმე რაღაცა და გადაგვარდება. მესმის მისი მდგომარეობა კარგად, მაგისტანა ტიპებს ვიცნობ. ბევრჯელ, ძალიან ბევრჯელ მომაყვანინებს გულს, მაგრამ ყურადღებას არ

ვაქცევ. ისე შევეჩვიე მას, რომ სიტყვა მივეცი ჩემ თავს, აღარ ვიქნები მეთქი ქეთოსთან, მაგრამ დამავინყდება და შევრბივარ. აი, რას ნიშნავს ბავშვობიდანვე მეგობრობა, მაგრამ ჩემ სულს ქეთო არ იცნობს, მე კი ვხედავ მას როგორც შუშაში. ჩემ „მეს“ მარტო მე ვიცნობ: ჯერ არავინ სხვა. მე მგონი, შევძლებდი სუნანასთან მჭიდრო დამეგობრებას და ყველაფრის გაზიარებას. სუნანაც ცოტა საკვირველი ადამიანია, უნდა ძალიან კარგა იცნობდეს მას ადამიანი, რომ გაიგოს მისი ფსიხიკა. ისე კარგი ქალია, არა გავს ეხლანდელ ქარაფშუტებს. გონივრულად მოქმედობს ხოლმე. მე ეს მომწონს, მისი გაუფუჭებლობა და ბუნებრივობა.

### „შეხვედრა“.

ყოველ ზაფხულს N ზღვის პირას იკრიფებოდა დიდძალი ხალხი. სიცხე აქ ისეთი საგრძნობელი არ იყო. ნაპირზე ყვავილებისავით გაფანტულიყვნენ მოაგარაკნი ფერად საბანაო ტანსაცმელებში. მაღლობიდან თუ გადაეხედნა ადამიანს, უშველებელ თაიგულად წარმოიდგენდა. ზოგი გაბედულად შეცურდებოდა მოლურჯო ტალღაში, გასრილდებოდა თევზივით შორს. ზოგი კი მოკრძალებით, შიშით შესდგამდა წყალში ფეხს. ვერ გაუბედნია შორს წასვლა, ერთი ნაბიჯი, ორი, სამი. მერე შიში ქრება და თვითონ ინევიან წინ. სხვა და სხვა გასართობებით სავსე იყო ეს ალაგი. ერთ დღეს დიდი, პატარა, ქალი თუ კაცი ირეოდნენ ნაპირზე, მშვენიერი დარი იდგა. ზღვა მოფენილა ნავებით; რაღაცა ამბავი ტრიალებდა. სახეები ბრწყინავდნენ, ბავშვები ლელავდნენ და ყველას ფეხებში ედებოდნენ. რა მოხვდა?

დღეს დანიშნული იყო დიდი შეჯიბრება ცურაობაში. მონაწილეობას იღებდნენ ქალები და ვაჟები

4 საათზე. პირველი გამოსვლაა. ხალხი დარბის, ალაგებს იჭერს, მოისმა ამ თამაშის უფროსის ხმა და 24 ადამიანი ჩაცვივდნენ ზვირთებში.

კარგ სიშორეზე იდგა ბოძი, სადაც წითელი ცხვირსახოცი ეკიდა. ვინც პირველი მოჰგლეჯდა, გამარჯვებული დარჩებოდა.

მიცურავენ... ერთი მეორეს ასწრობს, ყველაზე წინ ჯერ არის ყმანვილი კაცი, ნაბლისფერ უკან გადაზნექილი თმით, გამომეტყველი თვალებით, სიცოცხლით სავსენი, მისი აგებულობა საუცხოვო იყო, მხარ-ბეჭიანი, განვითარებულ კუნთებით, ზღაპრის გმირისავით ებრძოდა ზღვას. იგი მიისწრაფებოდა დანიშნულ ალაგისკენ – დარწმუნებული იყო ადრევე, რომ ჯილდო მას მიეცემა, იმ ალაგას მასზე კარგად არავინ ცურაობდა. ცოტა ლა დარჩა... უცებ გვერდით რალაცა გასრიალდა. თავის მობრუნებაც ვერ მოასწრო, მის წინ იყო ვიღაც. დააკვირდა და ქალი დაინახა, გაოცდა. მოუმატა მოძრაობას, მაგრამ უცნობი ასწრობდა. მარმარილოს მგზავსი ტანი ვენერას მოგაგონებდათ, შავი თმა ქუდიდან გამოცვივნილი ზურგზე გადაეშალა, ჟუჟუნა ყორნის ფერი თვალები ელვარებდნენ. ვინ იყო?

ნუ თუ ქალმა უნდა აჯობოს მას, ღონიერ, ამ საქმეში გამოცდილ ადამიანს, ფიქრობდა ყმანვილი. რამდენიმე მოძრაობა და წითელი ნაჭერი აფრიალდა სპეტაკ ხელში, გაიმარჯვა. სხვები ჯერ უკან იყვნენ. დაბრუნდნენ... ჯერ შორს იყო ნაპირამდის. ორი არსება თითქმის გვერდით მიდიოდნენ. ქალი განზე იწეოდა, თითქოს ერიდებოდა ვაჟს. უცბათ დაშორდნენ. ქალი შედგა, საშინლად დაილალა. შემოიკრა მკლავზე ნიშანი გამარჯვებისა, მოიგერა გული და გააგრძელა გზა. ჩქარ მოძრაობამ საშინლად დაასუსტა ქალწული. ცურაობას უკლო. რა

დაემართა, ძალამ ხომ არ უმტყუნა, რად მოდის ესე ნელა, რატომ არ ემორჩილებიან ხელები, ფეხები თითქოს სხვისი იყოს. თვალელებში შავი წერტილები უხტოდნენ. არა! უნდა მოიკრიბოს ღონე და არ დარჩეს ამ წიაღში. ეს პირველი ცურაობა ხომ არ იყო მისი, ამაზე შორს წასულა და დაღლილობა არ უგვრძნია. ყურებში შუილი ისმოდა, ლანვები ეხუჭებოდნენ. ნუ თუ... ღმერთოოო... ზღვა წყნარად იყო.

– ვაშა! ვაშა! ქალმა მოიგო! – ყვიროდა ხალხი.

„რა, გონზე მოვიდა?“ – ეკითხებოდა ექიმს, რომელიც გამოვიდა ოთახიდან, სადაც უცნობი იწვა.

„დამშვიდდით, მობრუნდა“.

რა ბედნიერად გრძნობდა რობი თავს. რა მოუვიდოდა ქალს, თუ დროზე არ მისულიყო მასთან და მძლავრ ხელებით არ გამოეყვანა ნაპირზე უსიცოცხლო სხეული. ყველანი მას პირველად ხედავდნენ. ნეტა, ვინ იყო?

მთვარე უხვად ანათებდა დედამიწას და წყალს. ციმციმებდნენ ვარსკვლავები, უღიმოდნენ თავიანთ ანარეკლს წკრიალა ზღვის სარკეში. ირმის კვალი გადაეფარა დიდ თეთრ ზოლად ვით დარაჯი.

სურნელოვანი ღამე იდგა. ნაზი სიო უბერავდა ალერსით ტალღებს. არსაიდან ხმა. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მთებს შუბლი შეეკრათ და მოსვენებას მიეცნენ, მფრინავნი მიბინადრდნენ, ხანდისხან არღვევდა სიჩუმეს მხოლოდ გიჟი ტალღა, რომელიც ეხლებოდა კლდეს, მაგრამ გაბრაზებული კლდე ისევ უკან სტყორცნიდა თავის დედასთან.

ამ მშვიდ ღამეში თრთოლავდა ახალგაზრდა გული. ცეცხლივით გახურებული მაღალი შუბლი სჩანდა ღოგინზე. ავადმყოფი ხელებით რალასაც იშორებდა თავიდან. ჰაერი არა ჰყოფნიდა, წყალს ენაფებოდა. ფერ

მიმხდალი, შეშინებული დედა თავს დასტრიალებდა. სიცხე სტანჯავდა ავადმყოფს. სხვა, განაპირა, მშვენიერ ოთახში, მეორე ყმანვილსაც თვალი არ დაუხუჭავს, საუცხოვო მოჩვენება არ შორდებოდა მას.

გადიოდა დრო. რობერის სახეს ნაღველი ბადესავით გადაეფარა. რით არ იყო კმაყოფილი ერთად ერთი შვილი, მდიდარი, ნასწავლი, ბედი მუდამ უღიმოდა და სიამოვნების მეტს არაფერს ხედავდა ცხოვრებაში. დღეს კი მოედრებულა შუბლი. აი, მე-5 დღე იყო და ვერსად ნახა უცნობი, რომელიც სიკვდილს გადაარჩინა. რამდენჯერ ეცადა სახელის გაგება მის, მაგრამ ამაოდ დარჩა.

ძალიან ცხელოდა. მზე უმაღლეს ნერტილზე იდგა. და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, აცხუნებდა.

მოაგარაკენი შინ დაკეტილიყვნენ. მხოლოდ დიდ ბაღში, როგორც მუშა, ჰბარავდა ყმანვილი კაცი, უბრალო ტილოს ხალათში, რომლის სახედან ოფლი ნურნურით ჩამოდოდა, მაგრამ საქმეს გულმოდგინეთ განაგრძობდა. ახალი ჩამოტანილი ბუჩქები სწრაფად ირგებოდნენ ლამაზ სახლის წინ.

გაუკვირდებოდა ადამიანს ამ სურათის დანახვაზე. საკვირველი კი სრულებით არაფერი იყო. მოყვარულის ხელით მოწინებით ვარდის ბუჩქი უნდა მიებარა მინისთვის, თორემ გახმებოდა, ესეთი ყვავილი კი იშვიათი იყო.

განიერ გვერდებიანი ჩალის ქუდი მზისაგან ჰფარავდა მის სახეს. გადაღელილი გულმკერდი მძიმეთ სუნთქავდა. რობერი არა გავდა თავის ტოლ-ამხანაგებს, მუშაობის არ ეშინოდა, პირიქით, უფრო ლალად გრძნობდა თავს. ქვეყნიერებას ბედნიერების თვალთ შეჰყურებდა. დღეს კი ცოტა ეს შეხედულება შეიცვალა. მუშაობის დროს უფრო მეტჯერ ისვენებდა, ერთ ნერტილს უფრო ხშირად ჩასცქეროდა.

„რობერ, გეყოფა, თავი აგტკივა“. – მოისმა აივნიდან ნაზი ხმა. „არა, დედიკო, კარგა ვგრძნობ თავს. ნუ სწუხარ, ორიოდ ბუჩქი დამრჩა და ეხლავე შენთან გავერბე“. გაათავა. გატაცებული ბალოსანი ავარდა კოხტა ოთახში, სადაც ყოველი საგანი გემოვნებით იყო დალაგებული. დიდი მაგიდა, წიგნებით სავსე, უშველებელი რუქა სანოლთან, კუთხეში კი ძველებურ ჩარჩოში წარმოსადგენი ქალი, რომელიც სიყვარულით, ალერსით გამოიყურებოდა. რობერი მაშინვე მივარდა, გამოალო შკაფი, სადაც მრავალ ყუთებში სხვა და სხვა თესლები ელაგა, ზოგიერთში ჩაუმატა, ზოგს დააკლო, ძალიან ჩქარობდა. იქ მეორე ოთახში დედიკო უცდიდა, და დიდხანს ცდა არ შეიძლებოდა. მსწრაფლ გადაიბანა ხელი, გამოიცვალა ტანისამოსი და მხიარულად მიესალმა მშობელს. „ბატონ რობერს ვილაცა ქალი სთხოვს“. – წარმოსთქვა მოსამსახურემ.

– ეხლავე, ეხლავე, ფანჩატურში მიიპატიჟე.

ნეტა, ვინ იყო, ან რა უნდოდა. რატომ პირდაპირ არ შემოვიდა. გრილოდა, ნიავი უწენავდა ხუჭუჭა თმას ყმანვილს, რომელიც მიდიოდა ვაზის ფანჩატურისაკენ. მაგრამ უცბად შეჩერდა. სტუმარი მასთან მოდიოდა. გაშტერდა, თავის თვალს არ უჯერებდა. მის წინ იდგა უცნობი ქალი, რომელიც სიკვდილისგან გადაარჩინა.

– უკაცრავად, რომ შეგანუხედ. მე მოვედი პირადად თქვენთან. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმისა, რომ მაშინ დამიხსენით.

– რას ბრძანებთ.

– იმ ინციდენტის შემდეგ საშინლად ავად გავხდი, ვბოდავდი, თქვენ გიხმობდით მადლობის სათქმელად. ციებ-ცხელება დამემართა. ეხლა მოვკეთდი. დღეს ჩემი პირველი გამოსვლა იყო და თქვენთან მოსვლა.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

ბოლოს რობერმა დაუმატა: „წამობრძანდით შინ, იქ დედაჩემს გაგაცნობთ“.

„ბოდიშს ვინდი და ეხლა ვერ შევძლებ, მერე. ამორ-  
ძალის ტანისამოსში ვარ და ჩემი ცხენიც მიმელოდება.  
სხვა დროს. ეხლა თქვენი ჯერია ჩვენთან მოსვლისა“.  
ხელი გაუნვდინა პატარა შავ ხელთათმანში, მადლი-  
ერად გაუღიმა და კარებს მოეფარა.

ვაჟი გაქვავებულისავით იდგა. თავის თავზე ბრა-  
ზობდა. რატომ არა ჰკითხა, ვინ იყო, ან სადაურია, ელდა  
ხომ არ დაეცა. გაიქცა ჭიშკრისკენ: გვიანლა იყო, შარა  
გზაზე მოხდენილად იჯდა ცხენზე უცნობი და მიაჭე-  
ნებდა. დაფიქრდა, ამ მდგომარეობაში მიადგა თავის  
ოთახის კარებს. დანვა, მაგრამ მის თვალებს ძილი არ  
ეკარებოდა, შავი ლანვები არ ასვენებდნენ.

მეორე დღეს დილა ადრიანად შეაკაზმინა ცხენი  
და ჭალისაკენ გაემგზავრა. ჩიტები მხიარულად ჭიკჭი-  
კებდნენ. ყველა მუშაობას იწყობდა. ცა მოლრუბლული-  
ყო, სასიამოვნო დარი იდგა. ყმანვილმა კაცმა მოუშვა  
უზანგს ხელი და მიენდო ცხენს. ჭკვიანი ცხოველი ნე-  
ლის ნაბიჯით მოდიოდა წინ. თითქო იგებდა პატრონის  
აზრებს, და რომ არ გაეფანტა ისინი, დინჯად სდგამდა  
ფეხს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ცხენი მიადგა პა-  
ტარა ბალს, რომელიც ხეხილებში და ყვავილებში იხე-  
დებოდა. რობერმა მაშინვე შეამჩნია ყველაზე ლამაზი,  
ნაზი, თეთრი ზამბახოსნარი. უცნობი ქალი თავჩალუ-  
ნული წიგნის კითხვაში გართულიყო. შეაჩერა ცხენი. ქა-  
ლმა შენიშნა და ლობესთან გაჩნდა.

– ვახლავარ ბატონ რობერს, დილის სეირნობას ას-  
რულებთ, შემობრძანდით ჩვენ პატარა ნალკოტში. – ეს  
კმაროდა. რობერმა მიიღო მოპატიჟება.

– მეორედ ვხვდებით ერთმანეთს და ვინაობა ჩვენი არ ვიცით.

– უკაცრავად, მე დიდიხანია გაგებული მაქვს თქვენი ვინაობა. თქვენი მებაღე გამოვკითხე მაშინ, როცა თქვენთან ვიყავი.

– მე კი ვერსად ვიკითხე.

„საქართველოდან ვარ, ჩემი ქვეყანა გორია, გადაფენილი მტკვრის ნაპირებზე. გარშემო შემორტყმულია უშველებელი მთებით, სალამო ჟამზე, როცა მზე ესალმება დედამიწას, უნდა ნახოთ, რა ელფერს აძლევს მისუსტებული სხივი არე-მარეს. ისტორიულ ნიმუშებით და ნანგრევებით შემორტყმულია პატარა ქალაქი. უძველეს დროიდან არის. ქართველ ერზე ხომ გაგიგიათ რამე?“

– დიახ. – მხოლოდ ცოტა მოკრძალებით უპასუხა რობერმა, ალტაცებაში მოდიოდა ამ ასულის ნალაპარაკევისაგან, როგორ უყვარდა თავის სამშობლო. ჩრდილოში გრილოდა, ქალი განაგრძობდა აღმფრთხილებული.

„თავისუფალი როგორც არნივნი, მძლავრნი ვითლომნი, მსწრაფნი როგორც ვეფხვნი – აი, ქართველის დახასიათება. ლალი მთის შვილი. მიყვარს კავკასიის სალამოები, საამური სურნელობა, თბილი ღამეები, გამრჭვირვალე ცისფერი ცა მოჭედილი ოქროვან ვარსკვლავებით. მტკვრის დუდუნი. ხშირად ვიჯექი მის ნაპირზე და უგდებდი მის ჩურჩულს. მაგონდებოდა მთელი ისტორია, ქართველ ერის ავკარგობა. დროებით მთელ სურათებს წარმოვიდგენდი ძველ ცხოვრებიდან, ნათლად მეხატებოდა. მთებში ხშირად გამიტარებია ღამეები, მაგრამ შიში არ მიგრძნია, ჩვენ შიში არ ვიცით. ეხლა კი აქა ვარ, როგორც ეძახიან „კურორტზე“. მოვიარე თითქმის მთელი ევროპა, მაგრამ სამშობლო უკეთესია. მიტირს

გული. გორი მიხმობს. არა გაქვთ წარმოდგენილი ჩვენი ბუნება, ზღაპრულია. თქვენი მუდმივ ნისლეები საშინელია, შუბლ მოლუნული ინგლისელები ჩვენთან ცოცხლდებოდნენ, სახეები უღიმოდათ, ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან. ამ გაუთავებელმა ომმა მოსპო ყველაფერი ძირფესვიანად... ოხ, ღმერთო ჩემო, მგონებ, მოგაბეზრეთ ჩემი ლაპარაკით თავი“.

„რას ბრძანებთ, მოხარული ვარ თქვენი ყურის გდებით. განაგრძეთ, ჩემი თავი იქ თქვენ დედა-ქალაქში მგონია. ნუ სწყვეტავთ“.

„მაშ, კარგი. ჩემზე საშინლად მოქმედობდა ყოველი საზარელი ამბავი, ვსუსტდებოდი, ვაპირობდი პოზიციაზე გაქცევას, მაგრამ ნერვები ამეშალა და აი, აქ წამომიყვანეს. მამა დიდ მონანილეობას იღებდა პოლიტიკაში, ეხლა იტალიაში არის ძმასთან. იქაც დიდ საქმეებს აწარმოებენ. სამშობლოსათვის ცდილობენ. მე და დედა აქ ვცხოვრობთ. მალე იტალიეთისკენ გავემგზავრებით.“

ეხლა თქვენ მიაბზეთ“.

„მე რა უნდა გითხრათ, თქვენი ამბავი პოეტური გრძნობებით სავსე, ჩემი უბრალო პროზაა. სულ სამი-ოდე სიტყვაში გადმოგცემთ. ზავის შემდეგ ჩამოვედი აქ. ჯარში ვიყავი. გავიგე, რომ ჯერ დიდხანს მომიხდება აქ ყოფნა. გამოვიწერე დედა, ვიყიდეთ პატარა სახლი ბალით და ჯერჯერობით ესეა. აქედან ახლოა საქართველო და მინდა, გავემგზავრო სანახავად. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ აპოთეოზათ მითხარით თქვენი სახელი, მშვენიერო ქართველო“.

„ელისო“.

„რა ლამაზი სახელია. როცა პირველად დამელაპარაკეთ, ინგლისელი მეგონეთ. თქვენი გამოთქმა მშვენი-

ერი გაქვთ. მხოლოდ სახე არ მიგიგავთ ჩვენებურ ქალს. თქვენში სხვა რალაც არის, როგორც თქვენ ამბობთ, ქართულის. ამ ლაპარაკში დაგვიგვიანდება. 1 საათზე შტაბში უნდა ვიყო. როგორც სამხედრო პირი ამსრულე-ბელი უნდა ვიყო. ერთი თხოვნა მაქვს: სალამოთი არ გამოისეირნებთ ცხენით?“

„ოჰ, დიდი სიამოვნებით, ჩემი ცხენი ბელელში დგომით მოიქანცა“.

ნეტარი სალამო იყო, მაგრამ ესე მალე... ამისთანა ადამიანს ყველაფერი გაუთავებელი უნდა.

გადიოდა დრო. შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა საქართველოდან. ბოლშევიკები მდგომარეობას არ იცვლიდნენ, და სულ წინ მიინევდნენ. ელისო ყურადღებით ათვალეირებდა გაზეთებს. ბევრი ღამე ლოცვაში გაუტარებია. რობერს უზიარებდა თავის აზრებს, უკანასკნელი დაუახლოვდა მათ სახლს. მშობლები დამეგობრდნენ და შვილები უმეტესად. ძალიან ხშირად გრძელ სასეირნო ალაგებს ირჩევდნენ ცხენებით.

რობერი ხატავდა იმ დროს, როცა ელისო ფიქრებს ეძლეოდა. ეს ნახატები არავის არ უნახავს და მონინებით იყო დამალულნი მარჯვენა ჯიბეში, სულ ერთი და იგივე სახე მშვენიერ ასულის. ასულმა კი არ იცოდა მათი არსებობა.

დანიშნეს დღე მეორე შეჯიბრებისა. შეჯიბრება ტენისის. ახალგაზრდობა ახმაურდა. გარშემო უბედურების მიხედვით ცხოვრება თავის კალაპოტში იდგა. ყველა ემზადებოდა. ელისო გუნებაზე არ იყო. მამა არაფერს იწერებოდა საქართველოსკენ ნასვლაზე, მერე ისე მოუნდა, მოენატრა მშობელი ერი.

– ე. ელისოს ვახლავარ.

– ო, ბ. რობერ, საიდან?

„ეხლა მთხოვეს თქვენთვის გადმომეცა ეს ბარათი, რომელშიაც მოპატიჟებაა ტენის-კლუბში, გთხოვენ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას“.

– ოჰ, სრულებით არ მიმინვეს, თუმცა თუ თქვენ იქნებით, მაშინ წამოვალ.

დანიშნულ დღეს თეთრ გედებივით შეიკრიბნენ მოთამაშენი. მათ შორის როგორც ვარსკვლავი ელვარებდა ელისო. ხალხი ბლომად იყო, ისევე როგორც პირველად. ელისო და რობერი მოპირდაპირე ჯგუფებში ირიცხებოდნენ. დაიწყო თამაშობა. ბურთი დაფრინავდა სწრაფათ. ელისომ არც ერთხელ არ ააცდინა რაკეტას. ყველა დაიქანცა, წააგეს. სტადიონზე დარჩა ერთი წყვილი, რომელიც ვაცხარებულად იბრძოდა, თითქო მათი ბედი ამ თამაშის მოგებაში ყოფილიყო. ელისო არ ემორჩილებოდა. რობერი ბრაზობდა. ბურთი გადავარდა ისევ ქალისკენ. მოთამაშემ მოიგერია, და რაკეტა გატყდა. ამასთან ერთად ცოტა წამოიყვირა, დაფითრდა. რობერმა მიაბყრო თვალი და მომავალი ბურთი აუცდა. ელისო მოგებულნი დარჩა. მივარდა დამარცხებული გამარჯვებულთან და მიულოცა. ჰკითხა ფერმკრთალობის მნიშვნელობა. მიზეზი გამტყდარი რაკეტა იყო, საჩუქარი ძვირფას მეგობრის, რომელიც საქართველოში დარჩა. საღამოთი ელისოს ოთახში ვარდების თაიგული იდგა. გულით მიხვდა ქალი, ვისგან იყო ეს.

გავიდა ზაფხული, შემოდგომამ მაგრა მოიკიდა ფეხი. რობერი იტანჯებოდა. ამ დღეებში ელისო სტოვებდა აქაურობას და მამასთან რომში მიდიოდა იქ ზამთრის გასატარებლად. გაზაფხულზე სამშობლოში ბრუნდებოდნენ. ამ დროს N-გორში მიფრინავდა გრძელი წერილი, სადაც ეწერა სხვათაშორის:

„მეგობარო, რალაც დამემართა. ახალმა გრძნობამ შემიბყრო, სულ გადამაგვარა. ერთ მხრივ მენანება აქა-ურობა, მეძნელება... მცხვენიან გითხრა. შენ მიხვდები, რა გადახვდება ხოლმე ახალგაზრდა ქალს. ესე, რობერს შევეჩვიე და განშორება ძნელია, მშვენიერი ახალგაზრდა და პატიოსანი ადამიანია. გახსოვს, სწორედ ისეთი ტიპია, როგორც გამოხატული აქვს ლოკს და სხვა“.

ორშაბათი დღე იდგა. პარასკევს პირველი გემი მიდიოდა. ამით მიემგზავრებოდნენ დედა და ქალი.

ელისოს სამი დღეა არ უნახავს რობერი. ხუთშაბათს შეხვდნენ. გამხდარი ყმანვილი ნაღვლიანად ამორებდა თვალს ელისოს. პირდაპირ ვერ უყურებდა. ლაპარაკი ეძნელებოდათ. ორივე უხერხულად გრძნობდნენ თავს: ოფიციალური წინადადება და გათავდა.

პარასკევი. 7 საათზე საღამოს გადის გემი. ახალი მეგობრები აცილებდნენ ელისოს. რა ძნელი იყო ამ ალაგების დატოვება, სადაც ბევრი ტკბილი წუთები იყო გატარებული. მაგრამ სად არის რობერი, ნუთუ არ მოვა მის გასაცილებლად. მეორე ზარი. შფოთავს ქალწული, არ ადის გემზე. დედა უძახის, ერთი, ორი და... სამი. სამი წუთის შემდეგ დაიძვრის გემი. არ არის. ოჰ, რა თაბრო ეხვევა, ავიდა და თავის ალაგას დაჯდა.

დაიძრნენ. თვალეში შავი წერტილები უხტოდნენ. განვლეს რამდენიმე ვერსი. უცებ მოესმა უკან წყლის შრიალი, ნავი მოახლოვდა გემს და რალაც პატარა საგანი დაეცა ელისოს ფეხებთან. დაიხარა, ლამაზი თეთრი ვარდი წერილით. მსწრაფ გაგლიჯა და ფურცელი ამოიკითხა:

„დაუვინყარო ელისო! წარმოიდგინეთ, რა ძნელი იყო ჩემთვის ოთხი დღის შეკავება და თქვენი არ ნახვა. დღესაც ისე მიდიხართ, რომ არ გემშვიდობებით. რა

ვენა. ეგ ჩემს ძალის გარეშეა. ვერ მოვითმენდი და თან წამოგყვებოდით, ეს კი იქნებოდა ღალატი ჩემი მოვალეობისა, ძნელია ჩემთვის უთქვენოდ სიცოცხლე. შეგეჩვიეთ, შემიყვარდით უძლიერეს სიყვარულით, და რომ ეს ნაბიჯი მრუდეთ არ წასულიყო, ამ დღეებში ჩემი თავი ერთი კვირით დავაპატიმრე. ისე მოვიქეცი, რომ ტყუილად ჩავასამეინე ჩემი თავი კლიტურში. მართალია, სირცხვილი იყო, მაგრამ მეტი გზა არ მქონდა. ჩემ უფროსებს გაუკვირდათ ეს საქციელი, რადგანაც მე ვითვლებოდი ჩინებულ და აღზრდილ მეომრად. ეხლა ვედარ შევძელ და აი, აქ, შუა ზღვაში გესვრით ჩემ გამართლებას. თქვენ ჩემთვის არა ხართ დაკარგული. ჩვენ შევხვდებით. მეც ვიგრძენ თქვენი ტანჯვა. თუ ჰფარავთ, ეგ სირცხვილი არ არის. ვეამბორები თქვენ სპეტაკ ხელებს და ყორნის ფერ ნაწნავებს. ნახვამდის და არა მშვიდობით. ეს ვარდი არის ემბლემა სიყვარულის და სისპეტაკის“.

ზამთარი სწურავდა უკანასკნელ წვეთებს. თებერვალი ცივი იდგა. 1920 წელი ცივი დადგა. ბათომის პორტში გადმოვიდა ყმაწვილი კაცი და ყურადღებით ათვალიერებდა გარშემო მდებარე ალაგებს. ბუნებამ ექსტაზში მოიყვანა. შეადარა შვეიცარიას და ერთ დონეზე დააყენა ორივეს სიმშვენიერენი. გზა გორისკენ ეჭირა. ბევრი ჰქონდა გაგონილი ამ ქალაქზე. პირველივე მატარებლით გაეშურა მისკენ. ეს იყო რობერი. მას მოუვიდა ელისოს წერილი, რომელშიაც მეგობრულად სწერდა, რომ, აი, ერთი თვეა, რაც გორში არიან და იპატიჟებდა. რობერს არ უღიმოდა იმ დღეს სახე. სინათლეს ვერ მიუსწრო და გორი ღამე დახვდა. გარშემო მთები მდუმარებდნენ. მტკვარი კი ღელავდა. აიარა-ჩაიარა ქუჩები,

ექებდა მისამართს, რომელიც ხელში მაგრა ეჭირა. და-  
ეკითხა ვილაცას, ძლივს გააგებინა. იპოვნა. ხელი უკან-  
კალეზდა, ზარი ვერ უპოვნია. თითქო მინა-უფსკრულში  
ვარდებო და ხმაურობა ესმოდა მინის ქვეშ. ეს დააბრა-  
ლა თავის აღელვებას. ძლივს დარეკა. გამოვიდა კაცი.  
შეიპატიყა შინ. გვიან იყო. ბატონები სხვაგან იყვნენ ნა-  
სულნი. მხოლოდ ახალგაზრდა ქალბატონი ელისო კით-  
ხულობდა თავის ოთახში წიგნს. მოსამსახურე გავიდა.  
კარები ღია იყო და მოსჩანდა არსება გრძელ ტახტზე.  
გაფანტულად კითხულობდა, ეტყობოდა. სულ თითქო  
რაღაცას უგდებდა ყურს. რობერი შეჩერდა. ჩამოჯდა,  
ინსტიქტიურად ეცა თავის მარჯვენა ჯიბეს. ამოიღო  
ალბომი და მეთათსეთ, მგონი, ჩახატა ერთი და იგივე  
სახე. საუბედუროთ, ქალმა ვილაცის არსებობა ოთახ-  
ში გაიგო და ნამოხტა. საშინლად გაუკვირდა. მივარდა  
ყმანვილს და სიხარულით ჩამოართვა ხელი. წიგნაკი გა-  
ვარდა ვაჟს, და ელისოს ხელში მოთავსდა. „როდის ჩა-  
მოხვედით, როგორ, ნამოდით, დაღლილი იქნებით, მში-  
ერი“. – ბუტბუტებდა დაბნეული ქალი.

– ნუ სწუხართ სრულებით. არა, მე ორი საათია, რაც  
აქა ვარ კიდევ. მხოლოდ მომეცით ჩემი წიგნაკი. ჯერ  
არ უნდა ნახოთ ის, რაც შიგ არის.

– მაშ, როდის? მაინც ჩემთან იყოს.

– დარჩეს, მხოლოდ სიტყვა მომეცით, რომ ერთ  
დრომდის არ ნახავთ.

შეჰკრეს ფიცი.

აჭიკჭიკდნენ ეს ორი ვარდ-ბულბული. მოიგონეს  
ყველა წუთები გატარებული ერთად ზღვის პირას. პირ-  
ველი შეხვედრა... რა არის, რა ხმაურობა ეჩოთირებათ.  
ყურადღებას არაფერს აქცევდნენ. დედ-მამა სტუმრებ-

თან იყვნენ. მოვიდნენ 2 საათზე. ელისო და რობერმა ჯერ ნახევარიც არ უამბეს ერთმანეთს თავის თავგადასავალნი. სამი სრულდებოდა, როცა ერთმანეთს ეთხოვებოდნენ კარებებში.

„ესე ცუდიაო, – ამბობენ ჩვენი დედაკაცები, კარებში არ შეიძლებაო“...

„მეორედ გადამარჩინეთ, რობერ, თქვენ. სად არიან დედა, მამა, რა მოუვიდა გორს, სად არის, ღმერთო, ღმერთო“.

– ნუ გეშინიანთ, ჩემო გვრიტო, ყველანი აქ არიან. რა ნაზად უალერსებდა მძლავრი ხელი მის შუბლს. რა ამბავია ან სადა არის, ხალხი დარბოდა დაფეთებუ-ლი, სახლების მაგივრად თეთრ კედლებს ხედავდა, მაგრამ ვერ მიხვდა. როცა გამოფხიზლდა, შეისმინა შესა-



*მარო მაყაშვილის დღიურში ჩადებული ილუსტრაცია*

ზარავი ამბავი. ღამე მიწის ძვრა მოხვდა და მთელი გორი დაანგრია, ეს ღამაში მშობელი გორი. თითონ კი რა მოუვიდა. ახსოვს, როგორ ეთხოვებოდა რობერს, უკანასკნელი სიტყვები, მერე კი... რალაც მაგარი დაეცა, მძლავრი მკლავები და ყველაფერი გაქრა. მეორე დღეს განმეორებული მიწის ძვრისაგან დაიშალა მთელი ქალაქი თავის სოფლებით. ამ ნანგრევებზე ორმა ახალგაზრდა ყმანვილმა სული სულს მისცა, გული გულს და შეიბოჭნენ განუყრელ ჯაჭვითა.

– რობერ, ესე ვერ მოგიხდა გორის ნახვა, – ეუბნებოდა ახალგაზრდა ქალი თავის ქმარს, – შენ დაკმაყოფილდი ჩემი ფანტაზიით.

– მე მაგაზედ მეტი არც მინდოდა. შენი ამბავი სიცხადეზე უკეთესად მიმაჩნია. ამ ნანგრევებზე უნდა აღვმართოდ მაღალი კოშკი, ბედნიერებისა, საერთო ბედნიერებისა.

– ეხლა ვნახავ ამ წიგნაკს. მგონი, ნება მაქვს. – გადაშლა და ყოველ გვერდზე თავის სურათი ნახა აღნიშნულ დღით და თვით. უსიტყვოთ მივიდნენ და მთელი თავისი გრძნობანი მძლავრ ამბორში გამოხატეს.

*1920 წ., თებერვლის 26*

20 იანვარს, 1920 წ. საშინელი მიწის ძვრა მოხვდა საქართველოში ღამის 3 საათზე. მეორე დღისით 3 საათზე მთელი გორი განადგურდა და ახლო-მახლო სოფლები. უბედურობაა. ეხლაც თრთის მიწა. სხვა და სხვა აზრებია ამაზედ. ხალხი შეშინდა. სამი ღამე არ გვეძინა. დიდი შიში გამოვიარეთ. ქალაქის გორისგან არაფერი დარჩა და ზოგი ერთი სოფელი ჩანვა.

მე და სუნანას შორის თან და თან მჭიდრო კავშირი იკრება. მიყვარს, თუ ცოტა ფხუკიანი არ იყოს. უნდა

გადავარჩიო ჩემ სიტყვაზე გაბრაზება. ამას ხომ მეგობრულად ვეუბნები, თუნდა ვესაყვედურო.

### მარტის 1-ს.

ძალიან სასაცილო ინციდენტი მოხვდა.

მე, ვავა, ქეთო, ელიჩკა და პატე მოვდიოდით კლუბიდან. ვერის დაღმართთან შეგვხვდა გიორგი მამრაძე. ჩვენ ხან წინ მოვექცეოდით ხოლმე, ხან უკან. ბელინსკის ქუჩის ბოლოს დავდექით გამოსათხოვებლად მგალობლიშვილებთან. მერე მე და ვავა ავედით ქუჩაზე. მე უთხარი ჩუმად ვავას: აი, გიორგი მამრაძე, აქეთ საით მოდის მეთქი. გიორგი მამრაძეო? – ხმა მაღლა სთქვა ვავამ. იმან გაიგო, მე შემრცხვა და გაუჯავრდი, ვავამ უფრო ხმა მაღლივ. როცა შემოუხვიეთ პატარა შემოსავალში, უკან გიორგი მამრაძე გამოგვეყვა, ჩვენ მოუმატეთ ნაბიჯს, იმანაც. ბოლოს ვავა გაიქცა, შეეშინდა, მე ინსტიკტიურად ავეყვი მას. ისიც გამოიქცა და დავგიძახა: „Куда вы, здравствуйте, подождите“. მე ვეუბნები ვავას, შენ გიკრავს მეთქი თავს, უპასუხე. ვავამ მითხრა, შენაო, მე არც კი ვიცნობო. გავიქეცი. კირპიჩნი ქუჩაზე ფურნესთან ერთმანეთს დავეტაკეთ და მე გადავარდი გაყინულ თოვლზე, მინდოდა, წამოვმდგარიყავი და ისევ გამიცურდა ფეხი, მომიახლოვდა გ. მ., მაგრამ მე დავასწარი და წავედი. ვავა გაიქცა, შორს იყო. მე ნელა მივდიოდი, გ. მ. კი – უკან. სრულებით არ შემეშინდა ან რისა? გაბრაზებული ვიყავი ბავშურ ქცევას ვავასაგან და ვერ უპასუხე კარგად გ. მ. მერე შემრცხვა კიდეც, ნუ თუ გიორგი მამრაძეს შეეძლო მაგისთანა საქმის ჩადენა. მართალია, იხუმრა, მე მივდიოდი ნელა, ის ფეხდაფეხ მომდევდა, მაგრამ ხმა აღარ გამიცია. მოგვაცილა ჩვენ სახლამდის, შევარდით პადიეზდში, აგ-

ვივარდა გიჟური სიცილი. პირველ გაცნობაზე უნდა შევარცხვინო, ისე კარგად ვიცნობთ ერთმანეთს, მხოლოდ ოფიციალურად კი არა. გასაკვირველია, ეს მაგისგან მოულოდნელი იყო. სხვა რომ ყოფილიყო, კარგად გამოვლანძლავდი. ვავას ყვითელი ფერი ედო, მე კი პირიქით – ნითელი. რა სისულელე იყო შიში, მერე გ. მ.

ერთი კვირის შემდეგ როცა უთხრეს გ. მ., ელდა ეცა, ნუ თუ კოტე მაყაშვილის ქალი იყო, ვერ ვიცანო, სირცხვილი, სირცხვილი, გაიძახოდა. ვავა თავის ნაცნობი ჰგონია. მე მეგონაო, ინტრიგობა უნდოდათო ჩემს ნაცნობებს და წავედიო. ერთ მხრივ იქნებ დასაჯერებელია. მაინც ეჭვი შემეპარა. უნდა ჩემთან გაცნობა და მოლაპარაკება. მე რამდენჯერმე შემეძლო, იყო შემთხვევა გაცნობისა, მაგრამ თავიდან ავიცილე. იმ დროს საშინლად გაბრაზებული ვიყავი. აი, რამდენი ხანია, არ მინახავს.

### **გული:**

გულიო?.. ეს გული რა არის ნეტავი?  
თაფლის და ბალლამის მსმელი და მწვეთავი,  
ხან თეთრად მლიმარე, ხან შავად მკვნესავი,  
ხან სევდის მთოვალი, ხან ლხენის მკვესავი!  
მსოფლიოს მკაზმავი, სიცოცხლის მკობელი,  
ხან ბილწი ტერსიტი, მფურთხავი, მგმობელი!  
გველისა და მტრედის მიზეზი – მშობელი,  
ცხოვრების უფსკრულში – მზე მანათობელი?!

ღელავს და იმასთან რა არის ზღვის ღელვა?  
წყრება... და იმის წინ ფითრდება ცის ელვა!  
სიმშვიდე გულისა – ყვავილთა რულია,  
სამეფო იმისი ვრცელ უსაზღვრულია!

გულიო?.. ახსნისთვის მივმართოთ ანატომს.  
იგი ჩვენ არ გვიქებს ცისაკენ ანახტომს.  
„გული არს“, – მოგვიჭრის ეს გულთა გამჭერი, –  
„ჯირკვლის ოდენა ხორცისა ნაჭერი!..“

## 18 მარტს.

ჯირკვლის ოდენა ხორცის ნაჭერი. დიახ, ამ ნაჭერ-  
მა შესწყვიტა მუშაობა პატარა ნიცას სხეულში და და-  
აშორა მშობლებს, მეგობრებს სამუდამოდ. რა ძნელი  
სიტყვაა „სამუდამოდ“. პირველ კლასიდან ერთად მივ-  
დიოდით. ბევრჯელ ვჩხუბობდით, ბევრჯელ დიდი მე-  
გობრებიც ვიყავით. მახსოვს, მე 5-კლასში ორად გაიყ-  
ვნენ მოწაფეები. ყოველ ბანაკს თავის მეთაური ჰყავდა.  
მაშინ 12 ვირიცხებოდით კლასში. ჩემ მხარეს 5 ვიყა-  
ვით, დანარჩენზე – ნიცა და სხვები. შეჯიბრება გვექონ-  
და ყველაფერში, გვეჯავრებოდა ერთმანეთი. მაგრამ  
ამ 7 ჩვენ დავძლიეთ, გადმოვიყვანეთ თითო თითოდ  
ჩვენსკენ. ბოლოს შევერთდით და გათავებამდის მჭიდ-  
რო კავშირი დავაარსეთ. როცა კი მივიდოდი ავადმყოფ-  
თან, საშინლად უხაროდა. ვამშვიდებდი, როგორც კი  
შეიძლება, მაშინ აზრში არც კი მომდიოდა, რომ ეს ადა-  
მიანი ესე ხელიდან გამოგვეცლებოდა. მე-6 კლასში ბა-  
ასი გვექონდა ხოლმე სულზე. „მე მჯერაო სულის სხვა  
სხეულში გადასახლებაო, მაგ., ცხოველებში“. მე ვეუბ-  
ნებოდი წინააღმდეგს, სხვა აზრს ვუზიარებდი. ბევრი  
მაგალითი მოგვყავდა. მეუბნებოდა, ნეტა, ერთი წუთიდ  
მოვკვდე, გავიგო ეს აუხსნელი ამოცანა. ეხლა გაიგო  
საბრალომ. გაიგო მარტო, მგონი. როგორ უნდოდა სი-  
ცოცხლე. ოჰ, ჭლექო, ჭლექო. რა ხარ, რომ ვერაფერ ვერ  
შეგებრძოლებ. შენ კლანჭებში გყავს ამორჩეული და  
სწუნნი წვეთ-წვეთად განურჩევლად სისხლს.

გუშინ მივაბარედ მიწას ნიცა. ბევრი მეგობრის მცხარე ცრემლი დაიღვარა. მახსოვს, როგორ დავრბოდით სასწავლებლიდან მაგავე სასაფლაოზე და მზეზე ვთბებოდით. ნიცას არ უნდოდა წამოსვლა ხოლმე. ეხლა სამუდამოდ იქ დარჩა. იქ, სადაც ცოცხალი ნავარდობდა. ღმერთო, რა დაგიშავა მაგ უმანკო ყვავილმა, რომ ეგრე მოანყვეტინე შენ მებაღეს შეუბრალებელ ჩონჩხიან ხელით. შენ წალკოტში კიდევ აყვავდა ორი ყვავილი, და უთხარ შესაზარ დარაჯს, კარგად უგდოს ყური. იქ მაინც მოსვენება იპოვონ. ორი – ნიცა და საწყალი ეკა. მშვიდობით გებანოთ. ყველანი ისევ როდისმე შევიყრებით და ჩავებმევიტ სხვა ფერხულში, მხოლოდ როგორში, არავინ იცის!..

### **სიზმარი.**

სიცოცხლე თან და თან წყდებოდა. ღამე იყო წყნარი, ღამე, როდესაც სხივები მთვარის იფრქვეოდა დედამიწაზე. მიწა იძინებდა ვნების ზმანვით და ცა ლურჯობდა. მთვარე სევდით გამოიყურებოდა. მთვარე სტიროდა... ჩიტებმა ყრიაშული შესწყვიტეს, მხოლოდ შორს გაისმოდა ნელი აკორდები, რომელნიც ჰკრავდენ იდუმალ კამარაში – როგორც – ვარდის სურნელობა, როგორც მთრთოლარე სიმი. უსაზღვროთ გადაშლილი ზღვა მთვარეს ეამბორებოდა. ნაზად შესტრფოდა მის ჩანასახს, გულში იკრავდა, ნაღვლობდა, რომ მას ვერ სწვდებოდა. ტყეც ძილის კალთაზე ისვენებდა. მოქანცული ნიავიც მიინაბა ფოთლებში და ნანას უმღეროდა, ათრობდა მხიბლავ ზღაპრებით მოსვენებულებს.

ყველა მღუმარებდა. ყველა ძილად იყო ქცეული.

სიცოცხლემ ფრთა დახარა. შ.შ.სსს – განავრძობდა ჩუმად სიო. მხოლოდ (ჩემი) „მე“ იდგა მწვერვალზე და

განიცდიდა ამ სურათს. „მე“ ვერ ისვენებდა. გული შფოთავდა. სხივი ვერ ამშვიდებდა... მთვარე სტიროდა... „მე“ იტანჯოდა, სულს ძლივ იბრუნებდა. ხელებით რალასაც იხმობდა, ეძახოდა. არვის ესმოდა ძახილი, ვერავინ ანუგეშებდა საოცრების უბეში, სძინავთ ბნელ ხვეულებში ყველას, ყველას. რა ანუხებს ამ არსებას, რად ყვირის, მოდი, მოდი, და უიმედოთ სასონარკვეთილებით მუხლებზე ეცემა, ქარვისფერ სახეზე ბრჭყვინავენ ანთებული თვალები, სამოსელს იგლეჯს, იკანრის ბროლივით გულ მკერდს, კიდევ უძახის. მდუმარებს არე. მთვარე ცივდება და მიემგზავრება, გული მოძრაობს და არ ცივდება, მუშაობს აჩქარებულის ტემპით. რა სიჩუმეა. ბუმ, ბუმ. ზარის რეკვაა. მთვარე მიიმალა. აელვარდა ცაზე ზოლი. ამოვარდა ქარი და „მე“-ც წამოვარდა. დაეშვა ქედის ფერდებზე. ფეხებს არ აკარებდა მინას, მოჰქროდა, მოფრინავდა. იმას, რასაც ეძებდა, ხელში მაგრად ეჭირა. ქარვნიარ სახეზე ოდნავ ღიმი უკრთოდა, სიცოცხლემ ფრთა გაშალა და მეც გამეღვიძა.

რა მეჭირა ხელში???

### **თვალები.**

ვიყავი ტაძარში. მარტო ყვითელი სანთლები ანათებდნენ მას. ხატები მდუმარებდნენ. მინდოდა მოსვენება სულიერად. შევედი, ხალხი არ იყო. მონოზნების განსხივებულ სახეებზე დაბეჭდილა სიმშვიდე და სიმკრთალე. როგორც აჩრდილნი მივლიდნენ გარშემო, იქ მალლა მღეროდნენ... უკრავდნენ სიმღერას ციურს, აივსო ჰაერი, ხან მძლავრით, ხან ოდნავ გამგონე მელოდოებით. ისვენებდა სული. ვუმზერდი კრძალვით ნაღვლიან თვალებს ღვთის მშობლისა. და მინდოდა, შიგ წამეკითხა ცხოვრება. ამაოდ. ეს ღანვები ხან ილი-

მებოდნენ, ზოგჯერ ტანჯვით გამოიყურებოდნენ. მაგ წყვილის მეტს არაფერს ვხედავდი. მივდიოდი. მისკენ მინდოდა ამბორი და... შევდექი. ჩემს გვერდით ვილაცა ლოცულობდა. მე კი ლოცვაც დამავიწყდა. ახალგაზრდა ასული შავ სამოსელში კითხულობდა სახარებას. მისი ხმა მესმოდა, მას უერთდებოდა არგანის სიმების დამათრობელი ჰანგები. უყურებდი მეორე თვალებს, ეხლა ცოცხლებს, მწუხარებით სავსეს. ამ თვალებში ამოვიკითხე ცხოვრების მიზნები. ნახევრად გახელილნი ჩაჰყურებდნენ წიგნს, ასოებს ხედავდნენ, მაგრამ მნიშვნელობას კი ვერ. უზომ ქორფას აქ რა უნდოდა? ამ დაკეტილში, ცივ კედლებში. ეს გული რისთვის სცემდა ასე აჩქარებით, იმიტომ რომ არ დაენანა მზის სხივი? სახე ქანდაკებას უგავდა. მხოლოდ თვალები ატყობინებდნენ ამის სიცოცხლეს. თვალები დაბნეული, უიმედო, მაგრამ მოელვარე. სამუდამოდ, სამუდამოდ, დეე, გეყოფა. ცხოვრება ნახე, გამოდი, იმოქმედე, მიეც შენ მოძმეს რაიმე სარგებლობა. იქ, დაკეტილში თუ აქ, გარედ, ლოცვა ყველგან შეიძლება. მინდოდა დამეყვირა, მაგრამ ამ დროს წამოდგა ასული, გაცურდა ხატები, ჰანგები მოდუნდა, სიმღერა ბურუსივით დაიშალა და ფანტაზი გაჰქრა ჩემ წინ. ისევ უსიცოცხლო, ხატის თვალები. მათში კი... ირონია. სასტიკი ირონია.

### **19 მარტს. 1920 წ. თბილისი.**

ბათუმი წავართვეს. ჯვარი დაასვეს საქართველოს ამ საქციელით. ეს ნაწილი საქართველოსი მოჰგლიჯეს და ანტანტამ ჯარი შეიყვანა. დღეს დიდი მანიფესტაცია იყო სასახლის წინ. პროტესტს უცხადებდა ყოველი უცხოელ მისიას. ყოველ ქართველ გულიდან სასონარკვეთილი სიტყვა ისმოდა. ვილუპებით. უბათუ-

მთ არსებობა არ შეგვიძლიან. მართლაც, რა დაცი-  
ნვაა. მოგვცეს თავისუფლება. რისთვის გვინდა იგი, თუ  
არა მოსახმარებლად. მაგრამ რაზე მოვიხმართ. გზა,  
გასავალი ევროპაში ისევ დაგვეხურა. ერთად ერთი  
ბუნებრივი ნავთსადგური ბათუმია, ფოთის და სუხუმის  
ზამთარში დაკეტილი. გადაშლილი ბათუმის ბუხტა კი  
ყოველთვის მოსახმარებელი. რუსები რომ ამბობენ,  
„лакомый кусочек“. იქ გადასწყვიტეს კომფერენციაზე  
და აღსრულდა, როგორც უბრალო საგანი, ისე ჩამო-  
აშორეს. ეს ძალიან საგრძნობელია ქართველებისთვის.  
სულ ერთია, თუ ადამიანს რომელიმე სხეულის ნაწილი  
დაჰკლებოდა. დღეს ვყვიროდით, ვიძახოდით: „ბათუმი  
ჩვენია, ბათუმი უკან“. ვინ გვიგდებდა ყურს. მოღრუბ-  
ლული ცა. მუდმივი მონმე ლხენისა და ვარამისა. ყველა  
გარედ იყო, დიდი თუ პატარა. სტუდენტებთან ერთად  
გავემგზავრეთ სასახლესთან. ეხლა გვიანლაა, საქმის



*ბათუმის პორტი*

გასწორება შეუძლებელია. ამბობდნენ: უკანასკნელი სისხლის ღვრამდის უნდა ვიბრძოლოთო, მერე ვისთან. კატა ლომს როგორ შეებრძოლება, მარტო სუსტად დაჰკანროს და ისევ თვითონ შეენიერება მსხვერპლად. რაკი უბედურ ვარსკვლავზე ვართ დაბადებულნი, ვითმინოთ. იქნებ ბოლოს გვეშველოს რამ.

გადავირიე თვალებზე. მე მირჩევნია ლამაზი, გამომეტყველი თვალები, ვიდრე მთელი ლამაზი სახე. ვეძებ თვალებს, როგორიც მინდა და ჯერ ვერ ვპოვე. ქალის კიდეც იგი თურმე ადვილი ყოფილა, მამაკაცის უფრო ძნელი. რა არის თვალებზე კარგი, არაფერი. თუ თვითონ ღმერთმა არ დაგვაჯილდოვა, სხვაზე ვისიამოვნოთ. მე მგონი, თვალები ჩემზედ იმოქმედებენ, რასაკვირველია, ლამაზნი და როგორც გამდნარ რკინას, ისე მომღუნვენ, სხვა და სხვა ფორმას მიმალებინებენ. ასე მოქმედობენ, მე მგონია, გასაგიჟარი თვალები. ერთხელ მომეჩვენა, მხოლოდ ერთხელ. ამაღელვებს ნაბლის ფერ თვალებმა, ისიც რამდენიმე წუთით.

## 16 აპრილს.

დღეს ქართველს უხაროდეს. ბათუმი ბევრი მუდარის და ხვეწნის შემდეგ დაუბრუნეს. იტალიის გაზეთში დაიბეჭდა: „ბათუმი – საქართველოს ნაწილია. საქართველოს არ შეუძლიან უმაგისოთ არსებობა. გასასვლელი არა აქვს და ვაჭრობას ვერ მიჰყოფს ხელს და რა სახელმწიფოა, თუ ალებ-მიცემობა არ იქნება გაჩაღებული“. ამის გამო გუშინწინ მოვიდა დეპეშა, რომელმაც გაახარა ჩვენი გული.

ძალიან მაკვირვებს ასეთი პოლიტიკის შებრუნება. არასგზით არ ემორჩილებოდნენ ინგლისელები ჩვენ თხოვნას, ეხლა სასტიკი მოტრიალება და... ბათუმი

ჩვენია. უბრალო რამ არ იმალება ამაში. აქაც ხრიკები, საქართველო მაგასაც მოიცილებს, მომთმენია. უნდა დავსთანხმდეთ, რომ მთავრობაში, მართლაც რომ, მცოდნე პირები არიან. თუ ისინი არა, ვერ გასტანდა აქამდის საქართველო. დრო თავისას გვიჩვენებს. თბილისი აივსო რუსი ლტოლვილებით, კავკასიიდან, როსტოვიდან, ეკატერენოდარიდან და სხვ. სულ აქ არიან. ქუჩაში თუ გავა ადამიანი, ყოველ ნაბიჯზე უცხო ტომები, მდიდრები, კარგად ჩაცმულები. გამოექცნენ ბოლშევიკებს. ყველანი ჩვენსკენ მორბიან. აქ კარგი თავშესაფარია, ჩვენც ყველას ვიღებთ, ვუმასპინძლებით. სხვათა შორის, ჩამოვიდნენ არტისტები მოსკოვის სამხატვრო თეატრის კაჩალოვთან ერთად. ისინი ამბობენ: ჩვენ საშინელი წარმოდგენა გვქონდაო საქართველოზეო. გვეგონა, აქ ყველა მხეცებია, ამოღებული ხანჯლებით დარბიანო და დღე სახლებში უვარდებიან, ჰკლავენ, სცარცვავენო.

სიზმარში გვეგონა თავი, აქ ჩვეულებრივი ცხოვრებაა. ყველაფერია, მხიარულებენ, სიჩუმეა. ერთმა სთქვა, რომ ჯერ ვერ შევეჩვიე ამ სიჩუმესო, მაშინ როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში მარტო სროლა ისმის. მიკვირს, რომ დღისით გარეთ ვარო, ხალხს ვხედავო, მოსიარულეს, მომცინარეს. სამოთხეა, სამოთხე. რატომ ადრე არა ვიცოდით. როცა რაშიმე დავჭირდებით, მაშინ დავგაფასებენ ხოლმე, ცხოველები, პირუტყვები ვეგონეთ. ესეც შენი ხალხი, რომელის ერთ დროს ქვეშევრდომნი ვიყავით. „პატარა პარიზიც“ დაარქვეს. ფული ბლომად აქვთ. არაფერს ზოგავენ. ხელგამლილად ცხოვრობენ.

გამოაცხადეს რეპერტუარი. ჯერში ჩადგომა არ შეიძლება, იმოდენა ხალხია. 5 საათიდან დილითვე წასულან. ეს ჩემთვის პირველია. თუ მცოდნოდა, მეც ადრე წა-

ვიდოდი. დამპირდნენ, იქნებ 22 ან 25 მოვხვდე. აქ კიდევ დარჩებიან და ბევრ რამეს დასდგამენ. აბა, რას ნავლენ? სულელებად იქნებიან. ისე მიიღეს და მალე ნავლენ?

**16 აპრილი.** გუშინ წინაც გამეორდა მინის ძვრა. ხალხი დაშინდა, ძალიან საგრძნობელად ინძრა. ისევ გარედ გაცვივდა თავზარდაცემული ხალხი. ახალქალაქის შეგვეშინდა. იქიდან გვაცნობეს, აქ ოდნავ იყო. საკვირველია, რატომ. თურმე გორში აქამდის ინძრევა ოდნავ მიწა.

## **25 აპრილი.**

ვიყავი. ვიყავი 23 და დღეს სამხატვრო თეატრის არტისტების წარმოდგენაზე. ამისრულდა ეს სურვილიც. პირველად დასდგეს „У врат царства“, გამსუნის. ეს აუნერელი რამ იყო. კაჩალოვი: აი, ნამდვილი ქურუმი, ნამდვილი სპეტაკი, ყოველმხრით ნიჭიერი და თუ შეიძლება ითქვას, გენიოსი არტისტი. რა ცოცხალი, რა თავისუფალი თამაშია.

აქამდის არაფერს არ მოუხდენია ამისთანა შთაბეჭდილება ჩემზე. ხშირად ვყოფილვარ თეატრში, შეიძლება ითქვას, ძალიან ხშირადაც, მომწონებია პიესა, აღტაცებაშიც მოვსულვარ, მაგრამ მალე ქრებოდა შთაბეჭდილება, მალე იშლებოდა ჩემ დაფაზე ნანახვი. იყვნენ არტისტები, რომელზედაც ვგოჟდებოდით, უკან დავდევდით, ნამდვილ ბავშურად, მაგრამ ეხლა სულ სხვაა. სულ სხვა თვალსაზრისით უყურებ ამ ხელოვნების ერთ დარგს. პირველად გულისფანცქალით, მონინებით, როგორც ტაძარში, ისე შევედი. ის ძველი სახელმწიფო თეატრი, რომელის ყოველი კუთხე ზეპი-

რად ვიცი, მაშინ მორთულად გამოიციქირებოდა, საზე-  
იმოთ. აიხადა ფარდა და ვნახე ის, რაზედაც ამდენს  
ლაპარაკობდნენ, ამდენს მიაბობდნენ. კაჩალოვი თბ-  
ილისში. ამ ერთ თვის წინად ვკითხულობდი სამხატვრო  
თეატრის წიგნს, როგორ მოგზაურობდნენ საზღვარგ-  
არეთ, რა ტრიუმფით უხვდებოდა ხალხი მათ. მეტადრე  
ბევრი კაჩალოვზე იყო დანერილი, მის საუცხოვო თამა-  
შობაზე. სურათიც იქვეა. დედას უთხარი: როდისმე გვე-  
ღირსება კაჩალოვის ნახვა!

– შენ კიდევ ხო, ნახვალ, ან რუსეთში ნახავო, ან  
სადმე საზღვარგარეთო.

– სადღაა მეტეი რუსეთი, ველარასდროს ვნახამ,  
რა გადაკარგულები ვართ.

უხლა კი აქ, აქ, თბილისში მოვიდნენ, მერე ვნახე  
ისინი, ძალიან მიკვირს. გერმანოვა და კაჩალოვი ეს ორი  
– არ ვიცი, სიტყვა არა მაქვს, რომ მათ მიუაღერსო. რო-  
ცა გათავდა წარმოდგენა, მაშინ ვიგრძენი, მაშინ გავიგე  
და დავაფასე მათი თამაშობა, ასე უბრალოდ, უპათო-  
სოთ. მომატებითი გრძნობები, თეატრალური შესტები,  
არაფერი. ყველაფერი ცოცხლად სდგას თქვენ თვალ  
წინ. მისწრაფის ადამიანი მაღალი იდეებისაკენ, გადა-  
კეთება მთლად ადამიანის, სიმართლის დაცვა. ეს ყვე-  
ლაფერი ნათელ ფერადებათ დაგვიხატა კაჩალოვმა.

მეორე დღეს ლიტერატურული სამხატვრო დილა.  
აქ აპოგეობამდის მივიდა კაჩალოვი. ნაიკითხა „Юлий  
Цезар“ -იდან, მერე „Анатема“.

სიტყვები არა მაქვს, რომ გამოვსთქვა მთელი ჩემი  
აღტაცება. ეს იშვიათია ცხოვრებაში, ამისთანა ბედ-  
ნიერება.

რატომ ნიჭი არა მაქვს.

## აპრილი.

მე ვსთქვი, და ვეცდები, ეს შევასრულო. უსათუოდ, თუ კი გავთხოვდები (ყველაფერი შესაძლებელია, ისე ადვილად ხდება ასეთი საქმეები წუთი სოფელში), მივთხოვდები უცხოელს. ქართველს არასოდეს. მე ქართველი მიყვარს, დიდი პატრიოტიც ვარ, მაგრამ შეუღლება მასთან არასოდეს. იქნებ ეს ბავშური ლანდებია, ჯერ ჯერობით ასეა. უცხოელს მე ამათში ვგულისხმობ: ინგ., ფრან., იტალ. ვნახავ იმას, რაც ასე გაგიჟებით მინდა. მე მგონი, მაშინ შემიძლიან ავისრულო სურვილი: ვიმოგზაურო. ჩვენ ქართველს მანამ დასძრავ ადგილიდან, შენ თვითონ რამე დაგემართება. ყოყმანობა, ფიქრი, არა ასე უფრო, რატომ არა ასე. უცხოელი რასაც იტყვის, კანონია. ჩემი უზენაესი, უუდიდესი ნატვრა ოღონდ ამისრულდეს, წავიდე საზღვარ გარეთ. მინდა, მარტო მოვახდინო ეს მოგზაურობა. მე გათხოვებაზე არც კი ვფიქრობ, თუ მოვა მეთქი, ეგ მარტო მაშინ უცხოელზე გავთხოვდები მეთქი. ეხლა ყოველივე გატაცებას უნდა ვერიდო. არასოდეს არა მქონდა მაგისტანა პერიოდები, ეხლაც განზე ვიდგები. რა ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც შეუძლიან წასვლა. მე დავიჟინე და შევასრულებ. ამ ორ წელიწადში, ყოველ საშუალებას ვიხმარ და წავალ. იქ, მგონია, ვისწავლი, ვისწავლი სამაგალითოდ, სტუდენტური ცხოვრება მინდა მეც ვიგემო, აქ რა, ისევ ყველაფერი ძველებურად არის. მარტო საშუალო სასწავლებელი უნივერსიტეტად შეიცვალა. დანარჩენი ისევ ის, ისევ ის. ერთმხრივობა მოსაბეზრებელი არის. მიიწევს გული იქითკენ, სადაც ამდენი მშვენიერობაა, ეხლა რომ უკვირდები, ამ 9 წლის წინად ვიყავი პარიზში. მერე რა! ცოტა რამ მახსოვს –

ეგ არ არის. მე მარტო ეგ გამაბედნიერებს ყველაზე, როცა ვიქნები საზღვარ გარედ, საფრანგეთში, ინგლისში, ყველაფერს ფული უნდა. თუ ფული მქონოდა, სულ მოგზაურობაზე დავხარჯავდი. ეჰ, ფიქრებო, ილუზიებო, და ჰაეროვანო კოშკებო. სჯობს, ნუ ვიფიქრებ, იმედს კი არასოდეს არ დავკარგავ. მე მჯერა, რომ მალე ვიქნები ჩემ სამშობლოს გარეთ, რომელიც მიყვარს და მუდამ მეყვარება.

### **28 აპრილი.**

დღეს რალასაც ამბობდნენ, ბაქო ბოლშევიკებმა აიღესო. უბედურობაა. 20–32 მობილიზაცია როდემდის. ხვალ გაზეთებში იქნება დაწვრილებით.

ადამიანმა რა ცოტა რამ იცის ქვეყნიერებაზე. ყველაფრის დაღწევა, მისი გაგება შეუძლებელია, რამდენი რამ არის მსოფლიოში, რატომ არ ვიცი ყველაფერი, რათ არის ჩემი აზრები ვინრონი, წვრილმანი. თითქო მინდა, მოვახდინო რალაც დიდი არაჩვეულებრივი და ეს კი ისევ რჩება მარტო ფანტაზიათ. ბედნიერი არს ის, რომელსაც ფანტაზია დაყვება. მე ამათში ვირიცხები, საშინლად მუშაობს ის ჩემში. თუ იგი გამიტაცებს, მავინყებს ყველაფერს, თვით რეალურ ცხოვრებასაც. ჩემი ფიქრი ეხლა სრულებით წასულია საზღვარგარეთისკენ, როგორ მიმინვეს, პირდაპირ გადასარევად.

### **3 მაისი. 1920 წელი.**

თან და თან ცხოვრებაზე მეცვლება აზრი. რა არის იგი, არაფერი: ნუთიერი ბედნიერება, დართული მასთანვე უბედურებაც. ადამიანი დღეს საღია, ხვალ

კი აღარ არის. დაცინვაა თუ რა. გაჭირვებაში ღმერთს მივმართავთ ხოლმე, მაგრამ ღმერთი შეუწყნარებელია, სასტიკი, არც ერთი მუდარა, ხვეწნა მას არ უღბობს, ღმერთი კეთილია. დიად, კეთილია ზოგი ერთი პირებისთვის, რომლის ცხოვრება „КАК ПО МАСЛУ“ მდის, რუსები რომ იტყვიან. ოჰ, რუსებო, მძულხართ, იმის მიუხედავად, რომ მე სულ რუსულ წიგნებს ვკითხულობ, ესეც იმიტომ – მეტი გზა არ არის.

გუშინ კიდევ და კიდევ მოხდა საშინელი უბედურება, ეს ჩვენ ოჯახისთვის მე-4 თუ მე-5. ღამის 12 საათზე იუნკრების სასწავლებელზე დაეცნენ ბოლშევიკები. ოჰ, ეს მხეცები, ადამიანის სისხლის მსმელნი, სიტყვა აღარა მაქვს, გამოვთქვა. საბრალო ყმანვილები წამოახტუნეს ლოგინებიდან და უთქვამთ: მთავრობა ძირს ჩამოვაგდეთო, ეხლა ჩვენ წამოგვყევითო. იუნკრებმა მაშინვე უპასუხეს: ჩვენ განკარგულება არავინ მოგვცაო.

– განკარგულებას ჩვენ გაძლევთო, მარდათ ჩაიცვითო. – შეჰყარეს უიარაღონი ერთ ოთახში, უცხო ყმანვილებმა მოასწრეს ელექტრონის ჩაქრობა და ტაბურეტკებით სროლა მათში. მაშინ ბოლშევიკებმა (მეტი წილი სომხები იყვნენ) დაუწყეს სროლა, სიბნელეში არავის არ მოხვდა ტყვია.

მოვიდა გენ. კვინიტაძე ამ ხმაურობაზე. ერთმა ბოლშევიკმა პირდაპირ ესროლა, მაგრამ ასცდა. კვინიტაძე გაიქცა იარაღისთვის, უკან კიდევ ოთხჯერ მოარტყეს რევოლვერი, მაგრამ აქაც არ მოხვდა. ამ დროს გვარდიელებმა დაუყვირეს, ნუ გეშინიანთ, იუნკრებო, ჩვენ თქვენთან ვართო, და იარაღი მიაწოდეს. ასტყდა ჟრიამული და წინ მოედანზე გამოიფანტნენ. აქ დაიწყო



სოლომონ მაყაშვილი – მაროს ბიძა

სროლა, ისეთი სროლა, რომ მძიმედ დასჭრეს ჩვენი მიშა, რომელიც მეორე დღეს საღამოს 6 საათზე გარდაიცვალა.

რა უბედურებაა. საბრალო სისხლით დაიცვალა. 1 საათიდან 4 საათამდის არავინ მიხედა. მე ჯერ გამორკვეული არა მაქვს, არ წარმომიდგენია, რომ აღარ არის მიშა. ორკვირის წინად დამარხა მამა (ძია სოლო), ეხლა – თვითონ, მერე რათ, სულ უდანაშაულო ქორფა, 20 წლის მსხვერპლი. მერე რა კარგი, რა პატიოსანი.

მახსოვს, როცა ვლაპარაკობდით იმაზე, თუ როგორ არა რცხვენინანთ და ჩვენი აფიცრობა ადერბეიჯანში მიდის. მე ისე შევეკითხე, მიშა, რატომ შენ არ მიდიხარ, დიდძალ ფულს აიღებ, მერე უცბათ აფიცრობის ხარისხს მიიღებ მეთქი. ამაზე განითლდა და მითხრა: „არაო, ცუდათ მიცნობო, მე რომ შიმშილით ვკვდებოდეო, არსაიდან საშუალება არ მქონდეს არსებობისაო, მაინც არ ნავიდოდი იქ. არასოდეს სამშობლოს არ უღალატდიო, ეგ ბიჭ-ბუჭობა რას სჩადის, თვითონაც არ ესმისო“. მერე როგორ უნდოდა ავიატორად გამოსვლა, რამდენი ბაასი გვქონდა ხოლმე მომავალზე, და ეს მისწრაფებანი, გეგმები, ახალგაზრდული ოცნებები ინგრევა, იწვის საშინელ ცეცხლში, და ამასთან ერთად თვითონაც, თვითონ ყოველმხრივ სამაგალითო ჭაბუკი, ჭკვიანი, მოსიყვარულო, ოჯახის უფროსი. გუშინ პანაშვიდზე იყო, ვახტანგის ერთი წელიწადია, გარდაცვალების შემდეგ. გამონყობილიყო ფერჩატკებში, მე არ ვიყავი, ჩვენები ყველა დასცინოდა, როგორი ფრანგი გახდიო და სხვა. მხიარული, სიცოცხლით სავსე. უკანასკნელ დროს ცოტა მიჩუმდა, იმოქმედა მამის სიკვდილმა. იმავე დღეს, ღამე თვითონაც დაიჭრა და გადაჰყვა კიდეც. ეს საზარელი თამაში ცხოვრების.

შეენირა ასე საყვარელ სამშობლოს, რომლის განთავისუფლებაზე ჯერ შორს, რუსეთში ნატრობდა. მართალია, თითქმის სრულებით არ იცოდა ქართული, მაგრამ სცდილობდა საშინლად, და სწუხდა, რომ ასეთი ნაკლი ჰქონდა. იმ დღეს მითხრა: „მარო, მე ქართულად ჩავაბარე ისტორია“. მე საშინლად გამიკვირდა, ვეხვეწებოდი, მიაბზე მამაზე მეთქი, ორიოდე სიტყვა მაინც მითხარი მეთქი, მაგრამ არა სთქვა, რცხვენოდა. ბორია ჯერ არ მინახავს, საშინელებაა ძალუა ქეთოს

მდგომარეობა, გაგიჟდება დედაკაცი, ამდენი უბედურების გადატანა, მართლაც რომ, შეუძლებელია. ჯერ დღეს რა იმედი მქონდა გადარჩენისა. ხვალ ვაპირებდი წასვლას, გაგებას, თითქო ვგრძნობდი, რომ მორჩებოდა აქ კი წერილი. ოჰ, რა გულის ამაყუჩებელია. მერე ის ერთი მთელ სასწავლებელში შეენირა. ერთი... ეს პირდაპირ ბუნების დაცინვაა. ყველაფერში უნდა დაჰკარგოს ადამიანი საარწმუნობა. არ არსებობს არაფერი, მარტო არის წუთიერ ბედნიერება და საშინელი ფინალი. ეს შავი სიკვდილი, რომელიც ყველას ესტუმრება. ჯერ ჩვენც გამოურკვეველ მდგომარეობაში ვართ – ამბობენ, 30 თუ 40 ათასი ბოლშევიკი აოთხილისში. შესაძლებელია, დაიწყოს სამოქალაქო ომი და მაშინ... მშვიდობით ყველაფერო. გულცივად უნდა გამოესაღმო აქაობას და გადასახლდე სამუდამოდ, ჯერ არავისთვის დანახულ სადგომში, სადაც არ იცი, რა მოგელის. ტირილი... აი, კარგი, ვტირით, ტირილით განა რამეს უშველი? არაფერს! ცრემლები კი მოდიან, თვითონ დაუკითხველად. გული იტანჯება, რაღაც მძიმე განვებაო თითქო. ყელში კი ბურთისავით რაღაცა ამოგივარდება და გახრჩობს, გიგუბებს სუნთქვას.

სამუდამოდ დარჩება ჩვენ ხსოვნაში საყვარელი მიშა. როდისმე შევხვდებით, მე მჯერა, რომ იქ... ისევ შევიყრებით უფრო მჭიდროთ. იქნებ ცოტა გამოცვლილნი, მაგრამ მიწის უბედურნი შვილნი. რა იცი, რა ხდება... გუშინ ცოცხალი, ჯანსაღი. დღეს მკვდარი, ცივი, დაღეული. რა კონტრასტია, მაგრამ იმავე დროს ერთ მთელი.

დღიურო! რამდენ უბედურებას იღებ შენ მკერდში, იწერ, იწერ, ეხლა მკითხე მე. განა მე მებადვილება? შენ სდუმხარ. ითმენ. ნეტავ, როდემდის?!!!

ვიყავი თელავში. იყალთოში დავასაფლავედ საბრალო მიშა, ძია სოლოს გვერდით. ძნელი იყო ამ უკანასკნელი სურათის ნახვა. მე ცალკე ვიდექი, ისე, როგორც კი ვნახე. უფრო დასამშვიდებელია ეგ. საცოდავი ძაღლუა ქეთო. რა უბედურობაა. იყვნენ მისი მახლობელი მეგობრები იუნკრები. კარგი ყმანვილები არიან. მესამე დღეს წამოვედი, 10 მაისს.

## სამოოგლოს გვირგვინი სვანება თელავში

(ნეკროლოგის მაგიერ)

კახეთს შეუძლიან თამამად იამაყოს, რომ პირველად მან გაიღო მსხვერპლი სამშობლოს მთლიანობის და თავისუფლების დასაცავად.

მიშო და რეზო მაყაშვილები, აი ის ჯერ სრულებით ახალგაზრდა, სიცოცხლით დაუმტკბარნი, რომელნიც პირველად ეზიარნენ საქართველოს გმირთა უკმდავეების სახელით.

მიშო მაყაშვილი ტფილისში საიუნკრო სასწავლებელზე ქურდულად თავდასხმის დროს, ხოლო რევაზ მაყაშვილი წითელ ხილთან ხრამზე გმირულად დახოცილნი მოასვენეს თელავში მაისის 9 და მადლაერმა კახეთის და თელავის მცხოვრებთ, შესაფერისი პატივით და დიდებით მიიღეს სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილთა გაციებული გვამები.

მაისის როგორც 8 ისე 9 მთელი თელავი რკ.გზის სადგურზე ჩაიფინა ცხედრების შესაგებებლად. ჯარი და გვარდია, დამფ. კრების წევრნი, ერობის, ქალაქის, და დაწესებულებათა წარმომადგენელნი, მოსწავლე ახალგაზრდობა მაყაშვილებზე და აუარებელი საზოგადოება, ელოდნენ მატარებლის მოსვლას, რომ შესაფერისი პატივით გადაესვენებინათ გმირთა გვამები საკათედრო ტაძარში. სადგურთან ეკლესიამდე (4—5 ჯვრისა) თითქმის სულ ბედით მიასვენე-

ბდნენ, მოსწავლე ქალებს გოგონათა აუარებელი ყვავილები და კუბოებს ამკობდნენ. ისე გზაზე უფენდნენ, გვირგვინები ხომ უთვალავი იყო.

მიშო მაყაშვილი მაისის 9 წირვის შემდეგ წაასვენეს ს. იყალთოში, რევაზ მაყაშვილი მაისის 10 თელავში დაკრძალეს.

ორივე მამულიშვილნი წირვის შემდეგ ქალაქის ბაღში მიასვენეს, სადაც ზღვა ხალხის წინაშე სიტყვები წარმოსთქვეს: თელავის თვითმმართველობის მხრით ამხ. გრიგოლ პატარაიმ, დამფ. კრების წევრთ სოსო და იოსებ მაჭავარიანებმა და ილია ბაღრიძემ განსვ. ამხანაგმა ჯარის კაცმა გიუნაშვილმა და სხვ.

ამ ორ ბიძაშვილ მაყაშვილთა გმირულად თავის დადება ბრძოლის ველზე და მათ კუბოების გარშემო ამდენი ხალხის შეკრება ქეშარიტი მაჩვენებელია იმისი, რომ ასეთი გმირები პირველი და უკანასკნელი არ იქნებოდნენ და როგორც საერთოდ მთელი საქართველო, ისე კერძოდ კახეთი მზადაა, თუ საქირო იქნება, კიდევ გაიღოს მსხვერპლი საქართველოს თავისუფლებისათვის

სიცოცხლეში პატარა, მაგრამ სამშობლოს კეთილდღეობისთვის თოვგანწირვით დიდ გმირთა სახელ მოხვეჭილი მაყაშვილთა უმანკო გვამები მოუწოდებს ქართველ ერს გავიდეს ბძოლის ველზე და შეებრძოლოს ყველა იმას, ვინც მოისურვებს საქართველოს მთლიანობის და დამოუკიდებლობის ხელის შეხებას...

დავიწყებული,

*მარო მაყაშვილის დღიურში ჩადებული მიხეილ და რევაზ მაყაშვილების ნეკროლოგი*

## 19 მაისს.

ომი. ვეომებით აზერბაიჯანს, რომელიც ამ ერთი თვის წინად მეგობრებათ გვთვლიდნენ. რუსეთმა იცნო ჩვენი თავისუფლება, დიდი ზეიმი იყო ქალაქში ამის შესახებ. ეხლა კი თათრებთან ერთად რუსის ჯარი („co-ветские войска“) ჩვენ წინააღმდეგ იბრძვიან. ჯერ-ჯერობით ჩვენები იმარჯვებენ. ყოველდღე გაზეთებშია, მტერმა დაიხიაო, ამდენი ტყვეა, ამდენი იარაღი დავატოვინებინეთო.

საბრალო ერი, რამდენი მტერი ჰყავს. აქ გველაძუა ინგლისელები. მართალია, ყოველთვის იმათ მომხრე ვიყავი, მაგრამ ეხლანდელი პოლიტიკა მაკვირვებს. სხვა არა იყოს რა, როგორ დაგვცინიან, რაღაც ლუკმად გვაქციოს, რომლის ხელში ჩაგდება ენატრებად. დღეს ერთს იტყვიან, ზურგს იქით სხვას. პატიოსნური სიტყვა დაჰკარგეს, ან როდისმე კი ჰქონდათ? ვეჭვობ. „სახალხო საქმეში“ ძალიან გამოლანძღეს ინგლისელები, მოშენიკები დაარქვეს მათ. ბათუმს ათამაშებენ. გამოურკვეველია მისი მდგომარეობა. ეხლა ორი ფრონტი გვაქვს. ბათუმის და... ჩვენ ახალგაზრდობას მოსვენება აღარა აქვს. ასე აღფრთოვანებით მიდიან. მტრის სიძულვილი ძლიერია. თათრები ისტორიული მტრები არიან და საბოლოოდ უნდა დამარცხდნენ, მოგვასვენონ.

გაიძვერა სომხური დიპლომატიაც არ არის დამამშვიდებელი.

მთელი ქვეყნიერება ტრიალებს, გაჩქარებით, ბორბალს დაყენება არ ეტყობა, პირიქით, ნაპერწკლებს ფანტავს და აქა-იქ ცეცხლს უკიდებს. ნუ თუ ეს ნაპერწკალი ჩვენც მოგვხვდება? აქ, როგორც ჩამოსულები ამბობენ, სამოთხეა.

საფრანგეთმა თავის ელფერი დაჰკარგა. ინგლისშიც სიძვირეა, გერმანიაზე ლაპარაკიც არ უნდა. კაკიწერეთელმა მოხსენება გააკეთა საზღვარ გარეთში ყოფნისა. ასწერა ევროპის მდგომარეობა. კრიზისი ყველაფრის. რევოლუციის გაღვივება. დღეს მიაბხეს, ინჟინერი თაყაიშვილი ფრინავდა და რუსეთის ჯარში ადერბეიჯანში პროკლამაციებს ჰყრიდა. ამბობს, როცა გაიგეს ჩვენთან დამეგობრებაო, თავიანთ ჯარი გაიყვანესო. რამდენად მართალია, არ ვიცი. ეხლა დროებითი ზავია ჩვენს და მტრის ბანაკს შორის.

ბორია და დანარჩენი იუნკრებიც გაემგზავრნენ. ღმერთი მოწყალე იყოს და ცოცხლები დააბრუნოს შინ.

ყველა მიდის. ოჰ, ქალია უბედური, რომ მუდამ სახლში უნდა იჯდეს და ელოდეს, აი, სხვა გააკეთებს, უძღურია, კიდევ მამაკაცთან უნდა შედარება?

თანდათან უკვირდები ამ უკანასკნელ საკითხს, და ვრწმუნდები, ბევრად დედაკაცი ქვევით სდგას მამაკაცზე. ყოველის მხრით ქალი არასდროს არ შეედრება კაცს. რამე და აკლია. დედაკაცი სხვა დანიშნულებისთვის არის გაჩენილი, მამაკაცი – სხვა. სხვას ამას არ ვეტყვი, ყოველთვის ვიცავ ქალის ემანსიპაციას, ჩემთვის კი უფრო გულახდილი ვარ.

ეხლა ვიცვლი ფაკულტეტს. დედა მიჯავრდება. აი, ეხლავე სჩანს, არ გაათავებო, როცა დახტიხარ ერთიდან მეორეზეო. ჩემი ბრალი არ არის, მისწრაფება ისტორიისკენ არასოდეს არა მქონდა. ბავშობიდან აგრონომიულზე მინდოდა. ეხლა მივდივარ. თუ დრო იცვლება, საზღვარ გარეთაც წავალ. მეურნეობა სავსებით მინდა შევისწავლო.

ქეთო ადერბეიჯანში დარჩა. გზა არ არის, ჩამოვიდეს. ნეტა რას აკეთებს. მომწყინდა, ცოტა არ იყოს,

უიმისოთ. აი, რას ნიშნავს შეჩვევა. არსად არ დავდივარ. მინდოდა, შევსულიყავი ჯაფარიძეებთან, გამეგო დანამდვილებით ყველაფერი. ფეხსაცმელები დამეხია და მანამ ახალი მზად იქნება, იძულებული ვარ შინ ვიჯდე.

## **მაისი.**

ბორიასაგან არაფერი ისმის. არცკი ვიცი მისი მისამართი. იმ დღეს გავგზავნე წერილი სასახლეშიაც კი. იქაც ვერ მითხრეს. ძალიან მინდა გამოველაპარაკო მას აქედან. დროებითი ზავი შეჰკრეს აზერბეიჯანელებმა და ჩვენებმა. მოუსვენარმა თათარმა ვერ გასძლო და თავს დაესხა. ისევ დაიწყო ომი. დღეს გაზეთებში იყო, ყველგან სინყნარეაო. ნეტა ბოლო მოელოს ამ სისხლის ღვრას. დიდძალ საჩუქრებს უგზავნის ქართველი ერთი ფრონტზე წასულ ჯარის კაცებს. ხვალ დიდი ზეიმია. არ იქნებიან მებრძოლნი ამ მეჯლისზედ. აქ სიმხიარულე, აღტაცება, თარეში, სიმღერა, იქ კი ტყვიის ზუილი. 26 მაისი სიმბოლოა თავისუფლებისა, საქართველოს ბორკილებისგან დახსნისა. იზეიმოს თბილისმა და მთელმა პატარა ერმა ქართლოსასა.

ვიშოვნე ვეინინგერის „Поли характер“. აქ მას ჰყავს გამოყვანილი დედაკაცი და მამაკაცი. დანვრილებით უნდა გავარჩიო, ძალიან ძნელია, როგორც სჩანს, პირველ ფურცლებიდან. ნამეტანი ბევრი გაუგებარი სიტყვებია და ფორმულები. შევიარაღდი ლექსიკონით და გავარჩევ სულ დანვრილებით. ჩვენები წინააღმდეგნი არიან: „რად გინდაო“. თუ კი მაინტერესებს ეს საკითხი?!

ჩემ თხზულებას რომ ვწერ, რასაკვირველია, ბოლო მალე არ მოელება. ქალზე შეხედულება ბევრგვა-

რია. როცა ვეინინგერს გავათავებ, იქნებ ჩემი ნამუშევარიც დამთავრდეს. რასაც ვერ მიუწერ ეხლა ჩემ გმირებს, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ვცდი. რამდენიმე კატეგორიის ქალი მინდა გამოვხატო, რომ მათში იყოს ერთი შემაერთებელი რაიმე ძაფი, ქალი კარგი თუ ცუდი, უსათუოთ ერთი რამე და ექნებათ საერთო. ფსიქოლოგია უნდა კარგად იცოდეს ადამიანის, მე როგორც გამოუცდელი, ყმანვილი, იქნებ ვერ შევასრულე, მაგრამ გეგმა მექნება, და მას განვახორციელებ.

*25 მაისს*

## **5 ივნისს.**

ნეტავ, ჩქარა თელავში. ცოტა მაინც დავისვენო ამ ყვირილისაგან. შემოსდგამ თუ არა ფეხს სახლში, გეგებებიან ყვირილით, გაცილებენ იმითვე. ძალიან ძნელია ამის გადატანა. მე აღარ უპასუხებ ხოლმე, მელანქონიურად ჩუმად ვარ. წინად როცა დედა ჯავრობდა, მე გული მტკიოდა, რათ ვაკეთებთ ცუდს, რომ ამდენს ვაყვირებთ. ეხლა ისე აეშალა ამ დროისგან ძარღვები, რომ ყოველ უმნიშვნელო რამეზე ჯავრობს, ჯავრობს გაუთავებელი. არა! უნდა დავისვენო. მე გადავწყვიტე, ოთხშაბათს ან ხუთშაბათს თელავში წავიდე. ჩვენები კი 20 შემდეგ მოვლენ. მყუდროება და სიჩუმე იქნება. საბრალო მამა. დედას ეგ უნებლიედ გამოსდის, მოთმინება დაეკარგა, სულ წუნუნობს, მესამის მისი მდგომარეობა, ყველაფერზე ის ფიქრობს, ჩვენ გვაყვედრის, არაფერს აკეთებთო. დღეს, მაგალითად, დამაბარა მარილი, ჯერ წინასთან წავედი, იქიდან რომ ვბრუნდებოდი, დაქნები დაკეტილი იყო, და არ ვიყიდე. ამაზე ერთი ალიაქოთი დააყენა. მე ჩუმათ ვარ ხოლმე, მომწყინდა, მაგრამ, საუბედუროდ, შევეჩვიე ჩვენ სახლის ტრადიციებს. რა-



*თამარ და კოტე მაცაშვილები*

ტო სახლში არა ზიხარო. მირჩევნია სულ გარედ ვიყო იმ დროს, როცა უგუნებოთ არის დედა. ეს კი ხშირადაა. ბავშვებიც – ნუნუ და კატუნა აუტანლები არიან. ღმერთმა დაიფაროს, მტერს არ უსურვებენ ამისთანა შვილებს. ნუნუ ხომ რალა, სიტყვა არა მაქვს გამოვხატო, კატუნაც??? ეს დედაზე მოქმედობს და ვერ ითმენს.

ძალიან ბევრს ვეინინგერის გამოთქმულ აზრს ქალზე ვეთანხმები. ქალი სავსებით აქვს გარჩეული, მისი ფსიქოლოგია, ანალიზი მთელ მის არსებისა. მართალია, ზოგიერთ ალავს სასტიკად ახასიათებს მას, პირუტყუ-

ლად იერიში მოაქვს, მაგრამ დედა აზრი ჭეშმარიტებაა. ქალი – არაფერია მისი აზრით: „Посредственность вообще, и в особенности посредственность женская совершенно не различает блестящего ума от ума гениального. У женщины нет никакого чутья гениальности“. გენიალური ქალი მართლა არ არის. თუ არის, ერთი ორი, ისიც მამაკაცის გავლენით. ყოველ კარგ მხარეს ვეინინგერი უარყოფს. ყველაფერი მამაკაცს მიუკუთვნა. ჩემი აზრი ამ ბოლო ხანს გამოიცვალა. მე ქალს წინად ვაყენებდი მამაკაცის გვერდით. დიდათ შევცდი. ვეინინგერმა თვალი გამიხილა, მაგრამ სრულებით არ შემიცვალა აზრი. ბევრში ვამართლებ ავტორს, მაგრამ ბევრშიც ბრალს ვდებ. ვეინ. ამბობს, ფანტაზია, ამბობენ, ქალში უფრო მეტიაო, ვიდრე მამაკაცში. მოკლედ სჭრის იგი: ტყუილიაო. ნამდვილი ფანტაზია მუსიკაშია, არც ერთი დედაკაცი კომპოზიტორი არ არისო. მართალია. სასაცილოც არისო ქალი – ინჟინერი, ამშენებელი. ამაში სცდება ბ. ვეინ: „ქალში გმირობა სრულებით არ არისო, და თუ იბრძვის გმირულად, ეგ თავის სიყვარულის დასაცავად“. ამას არ ვეთანხმები. ავილოთ ქართველი უწინდელი ქალი. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, როგორ იგი დროშით ხელში მიისწრაფებოდა ბრძოლის ველზე, გმირულად სწირავდა შვილს მამულს. ავილოთ ფრანგის ქალი ჟანა დ'არკი, თამარ მეფე, ეხლა არ მახსოვს და კიდევ ბევრი სხვა, განა გმირული სისხლი არ უდუღდათ მათ სხეულში. ეხლა მე-XX საუკუნეში იქნებ დაეცა ქალი ზნეობით, მაგრამ პატარა ნაწილი ძველ ფეხრთ მოდის.

ქალი სავსებით უნდა კაცს ეკუთნოდესო, როგორც საგანი, რომ იგი დააკმაყოფილოს, მისი სურვილები. „ქალი უხასიათოა. У женщины нет характера, она без души“. მე ფსიქოლოგია არ მისწავლია. მხოლოდ წამიკითხავს, ქალის გარჩევა არ შემიძლიან, მაგრამ მეც ხომ მაგ კატე-

გორიას ვეკუთნი, ეს მაბრაზებს. ამბობს ხოლმე, თუ ნერტილში მოხვდეთ, ბრაზობენო. არა! მე წრფელ გულით ვამბობ. თუ საზოგადოთ ქალზე ამბობს და მიუწერს არა თუ მის დახასიათებას, მე ეგენი არ გამომიცდია.

ასე დასვა საკითხი, ქალი გენიოსი არ იყო, არ არის და არ იქნება. კარგი, რატომ არ არის მაგისტანა ქალი, ჯერ სულ უნინ უნდა გავითვალისწინოთ მისი მდგომარეობა, მდგომარეობა ცხოველზე უარესი. ქალს თავისუფლად აზრის გამოთქმა არ შეეძლო. ეხლა სულ სხვაა. ეს ადამიანიც თანდათან იკრებს ღონეს და გაბედულებით ნინ მიდის.

რაც ვეინინგერი ამბობს ქალზე, მართალია, მაშინ ქალმა უნდა გაიგოს თავის შეცდომები და ახალ გზას შეუდგეს. ინტელექტი უღალატებსო. არა, მამაკაცი ირონიით უყურებს დედაკაცს.

დღეს ჩამოვიდა ძალუა ქეთო და სევდა მოიტანა, ნაღველი. რა არის შვილის დაკარგვა? ყველაზე უუდიდესი უბედურება, რომელიც მთელ სიცოცხლეს ლანდივით დასდევს. სადღაა ძალუას სიმხიარულე?! გაყვითლებული, გამხდარი შეხედულებაზე, მოღუნული, საბრალო. ამისთანა დედა დასანანია. მაგრამ რა ამაცი, სამშობლოსათვის თავ-განწირული. დღეს ღამე პირველ საათზე ბორიასაც გზავნიან ზაქათალაში, ლაგოდენში, იქ რომელიღაც რაზმი აჯანყებულა, რამდენიმე ბოლშევიკი შეპარულა და ალიაქოთი დაუყენებიათ. ამათ დასაწყნარებლად გაემგზავრა სამხედრო სასწავლებელი.

გამარჯვებულნი და ცოცხლები დაბრუნდნენ. ბორია კარგ გუნებაზე იყო, იცინოდა, მაგრამ ძალიან დაღლილი. ძალუა ქეთო ეხვეწებოდა, ვთხოვ კვინიტაძეს, იქნებ რამდენიმე დღე აქ დაგტოვოსო, მანამ აქა ვარო. აქა და არაო.

მერე მეუბნებოდა, ოჰ, ეგ ბოლშევიკები უნდა მოვარჯულოთო. მივალთ თუ არაო, ყველას შიშის ზარსა დავცემთო, მე დავცინოდ: ხო! მეტადრე, როცა გაიგებენ, რომ პულიმიოტის ნანილში ბეჟან მაყაშვილია, მაშინვე აქეთ-იქით გაიფანტებიან მეთქი. იცინოდა. კარგი ბიჭია, მიყვარს.

მეყვარებოდა მეორე ბიძაშვილიც, რომელიც ცოცხალია, მაგრამ ეხლა ყველასთვის მკვდარი, რომელმაც უღალატა თავის სამშობლოს და რუსეთში წავიდა, იქ რუსეთის ასამენებლად, როგორც მისი დედა იხახოდა. ასე გავლენის ქვეშ ჩავარდნა. ერთი გამირულად დაილუპა, მეორე სამარცხვინოდ „კომუნისტია“. თუ აქ ჩამოვიდნენ თავშესაფარად, არ არიან შემოსამვებნი. იმათზე ლაპარაკი ჯერჯერობით არ მინდა. ამ ორ დღეში უსათუოდ წავალ თელავში ძალუა ქეთოს ნაცვლად. აქ ის ბორიას დაუცდის. ეს ბორიამ მთხოვა და აუსრულებ.

მე მრწამს გამარჯვება მტრებზე. შიში გულში არა მაქვს. მრწამს მით უმეტესად, რომ ქართველი ერი შესწირამს თავს და არ მიანებებს სამშობლოს, მხოლოდ ეს ბოლშევიკები რას სჩადიან, რას გვერჩიან და რად გვლუპავენ. თავის აგენტები ყველგან ჰყავთ დაფანტული. ოსების აჯანყებაც მათი საქმეა, სათავეში სულ ისინი სდგანან. ადერბეიჯანთან ზავი შეიკრა, ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული, რა პირობებით. ქეთოსგან არაფერი ვიცი. ნეტა ჩამოვიდეს, მანამ წავალ.

აქ ეს სათქმელად არა ღირს, მაგრამ ბევრი მაცივნა გუშინ წინ მამამ, პაულო იაშვილმა მითხრა, ერთი ვილაც სიძეთ უნდა გაგირიგოო. არ მითხრა, ვინ არის. ვიცინე გულიანად. მამაც ამ დღეებში ბორჯომში წავა. დაისვენოს, რომ ახალი ენერგიით დახვდეს მომავალ წელს.

## 28 ივნისს.

ბაქოდან ქეთო მოვიდა. რა საცოდაობას გვიამბობს. განჯაში არ იყო იმ ხოცვის დროს, მაგრამ ბაქოშიაც არა ნაკლები რა იყო. ქუჩაში 9 საათზე გვიან არ შეიძლებოდა გამოსვლა. საშინელი სიძვირე. ბოლშევიკები გადაღელილი ყელით, „კალპაკებში“ წითელი ნაჭრებით დაკერებული, პირუტყული სახეები. ყველას იჭერდნენ და უსამართლოთ ხვრეტავდნენ. უდანაშაულოდ აწამეს სხვათა შორის ბალო მაყაშვილიც. იქ ასეთი აზრი არისო, მიამბობენ ჩამოსულები, ბოლშევიკები ამბობენ, რომ ერთი თვის შემდეგ და ადრეც თბილისში ვიქნებითო. რა უნდათ ჩვენგან. ჩემთვის პირადათ სულ ერთია, რა პარტია სდგას სათავეში, მაგრამ ისევ სისხლის ღვრა და სიკვდილი. ძმა ძმაზე წავა, რუსობა ხომ შემეზიზღა. ოჰ, როგორ მძულან, პირდაპირ სიტყვა არა მაქვს, ეგ გამოვთქვა. ფაქტიურად ბათომი დაგვიბრუნეს. ინგლისიდან ჩამოვიდა ვინმე ბ-ნი სტოკსი და ჩამოიტანა ხელწერილობა ბათუმის საქართველოს გადასაცემათ. ჯერ ვზეიმობთ, მაგრამ მეშინიან, ცუდათ არ დაბოლოვდეს. ეხლა ოსმალები როგორ იქნებიან, ღმერთმა იცის. რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა ქართველისთვის შეუძლებელია, ადამიანს დასვენება მოენატრა. აქ ჩამოვიდნენ ბოლშევიკების მისია 60 კაციდან. მთავრობაში უთხრეს, 6 კაცზე მეტი არ გვინდაო. თუ მოსალაპარაკებლად მოხვედითო, ძალიან ბევრნი ხართო, თუ საომრათ კი – ცოტაო.

ერთი მათგანი კახეთში წასულა, პროკლამაციები ხიშტზე ჰქონდა დახვეული. ჩვენმა სახელოვანმა პოლიციამ გაუგო. ბევრ კეთილ საქმეს აკეთებს ეს პოლიცია.

დღეს ვიყავით დამფუძნებელ კრებაში და სხვათა შორის, იქ იყო გამოქვეყნებული ბათუმის საკითხი, ხალ-

ხი ტაშის კვრით შეხვდა ამ ამბავს. გეგეჭკორმა მიმართა ხალხს მთავრობის პირით, რომ ბათუმი ალყაფის კარია საქართველოსი, ნასკვი საქართველოსი, და უმაგისოთ ვერ იარსებებს ჩვენი სამშობლო, ამ დღეებში ჯარი შევა არა როგორც დამბყრობელიო შიგ, არამედ როგორც თავის საკუთრებაში.

ვაჰ, იყოს ბედნიერად ეს პატარა ერი, და ნუ მოაყოლებ მას ჩარხის ტრიალს, შენი ხვედრია, ღვთიშობელო, საქართველო და ბოლომდის უპატრონე.

ისე გაბრაზებული ვარ მთავრობაზე, რომ ძნელია სათქმელათაც. მაკვირვობს მათი მოქმედება ბოლშევიკებთან. რას უცდიან, მანამ გველაძეუბივით არ შეუჯდებიან, არ გამოუთხრიან საძირკველს, მანამ არ შეინყნარებენ მათ პატივცემულად მიღებას. დღეს გაზეთში იყო მოთავსებული წერილი ბოლშევიკის, რომელიც სწერს ბოლშევიკის წარმომადგენელს თბილისში – კიროვს.

ბატონი სმირნოვსკი იწერება, რომ მშვენივრად გრძნობს ასტრეაქანში, დიდი თანამდებობა უჭერია, იწერება, მალე მოგესალმები თბილისში ზარბაზნის ხმით და ავტომობილში გამოვისეირნებ იმ ქუჩებზედ, რომელზედაც ამ რამდენიმე ხნის წინად ეგ სვოლოჩები, როგორც არიან რამიშვილები, საბახტაშვილები, და სხვა, ძალღვივით მდევნიდნენ. ეხლა მოველაპარაკებით და პასუხს გავცემთო, მალე მოვალთ, მალე.

Лучше пусть убьют тебя, чем других, твоя кровь не краснее крови твоего ближнего.

Молодость – венок из роз. Старость – венец из тернии.

Горе потерять то, что нельзя вновь обрести – молодость.

Когда старые разрушают, то они строят, а когда молодые строят, то они разрушают.

Счастье колесо, которое быстро переворачивается.

С тем, кто ночью плачет – с тем плачут звезды на небе.

Три вещи услаждают нашу жизнь – красивая женщина, красивое жилище, красивая обстановка.

Истинный мудрец тот, кто ставил добродетель выше мудрости, а не наоборот.

Будь силен, как тигр, легок, как орел, быстроног как олень, и храбр, как лев.

Есть три венца: ученость, духовное звание и королевский венец, но венец доброго имени лучше всех.

Человек не будет грешить, если в него не вселился дух глупости.

Дурная склонность сперва гость, но если ты гостеприимен, то она скоро станет хозяином.

У великого человека великие страсти. Наука бальзам против страсти.

Человек замечает все слабости, только не свои.

Кто стыдлив, тот не легко грешит. Стыдливость хороший признак.

Грудь матери – эмблема науки. Подобно тому, как младенец проголодавшись находит новую пищу у материнской груди, так и наука даст новую пищу уму, как только захочет.

Согласие – основание семейного счастья.

Молчание прилично мудрецу, но еще приличнее оно глупцу.

## Chanson Coquette

Над морем сидели они на веранде,  
Глаза устремив к горизонту,  
Виконт сомневался в своей виконтессе,  
Она доверяла виконту.  
Но пели веселые синие волны  
И вечера южного влага  
И пела луна, танцевавшая в море:  
„Доверие – высшее благо...“  
И песнь поднималась легко на веранде,  
Смущение верилось зонту...  
Виконт целовал башмачок виконтессы,  
Она отдавалась виконту!

## Virelai

Я голоса ея не слышал,  
Я имени ея не знал.  
...Она была в злофейном крэпе...  
...В глазах ея грустили степи...  
Когда она из церкви вышла  
И вздрогнула – я застонал...  
Но голоса ея не слышал,  
Но имени ея не знал.

სიცილის ტალღა მოედო დიდ ბალს ზედ მიკრულ  
კალოს და შეუერთდა წყლის ნაკადის ჩუხჩუხს. ნაზი  
სალამო ესტუმრა დედამინას. მზე მიიცვალა და კოხ-  
ტა მთვარემ მოჰფინა ნელი სხივით ბუნება.

გროვა ახალგაზრდა ქალების და ყმანვილების მნი-  
არულეზდა, ხარხარეზდა, ათასგვარ თამაშს იგონებ-

დნენ. დარბოდნენ, შორიდან ლამაზ სილუეტებით იფანტებოდნენ გალურჯებულ ცის ფონზე. ეხლა ხელებ ჩაკიდულნი შემოეხვივნენ ერთ ქალთაგანს, რომელსაც თვალები ახვეული ჰქონდა.

– მზია, მზია, – ყოველის მხრიდან უძახდნენ, აბა, დამიჭირე!

კოხტა მოყვანილობის, ჯეირანივით დახტოდა მზია, ხან ვის მოჰკიდებდა ხელს, ხან ვის, მაგრამ ყველა უსხლტებოდა.

– რა უბედურებაა, ველარ დამიჭერიხართ! – გაჯავრებულის კილოთი შესძახა თვალებახვეულმა და განაგძო ხელების ფათური.

ამ დროს მოთამაშე ჯგუფს უახლოვდებოდა ვილაც. ყმანვილებმა დაინახეს თუ არა, ხელი დაუქნიეს, და პირზე მიიფარეს, რომ არ გაეგებინათ მზიასთვის, ვინ იყო ყმანვილი კაცი. ხმაურობაში ერთი მიუახლოვდა ახალმოსულს, ხელი ჩაჰკიდა და წრეში ჩააყენა.

– დათა, თქვენც ითამაშებთ.

ისე მოახერხეს ეშმაკებმა, რომ მზიას დათა ჩაუგდეს ხელში.

– ეხლა კი დაგიჭირე, ვინცა ხარ, მოვკვდები და გამოგიცნობ. – შემოავლო ხელები თავზე, ტანისამოსზე, ისევ თავზე. ნეტა ვინ იყო, ირაკლი, მიტო, ვახტანგი თუ შოთა. არა, ერთს გაპარსული თავი აქვს, მეორეს ტილოს ხალათი აცვია, ვახტანგს არა გავს. მაშ, შოთაა – ფიქრობდა მზია. გარშემო შემორტყმული კრებული კისკისობდა.

– მაიცადეთ, ეხლა ვიცნობ. – შესძახა ქალმა და ხელს სწვდა. – ნუთუ დათაა? გიცანით საათზე.

– ვაშა, ვაშა. – შემოჰკრეს ტაში ძლივს.

მზიამ მოიხსნა თვალებიდან ხელსახოცი და გახარებული შეეკითხა დათას: „ხომ გიცანით თქვენ საათ-

ზე, ძნელი არ არის, მერე თმაზედაც დავრწმუნდი. ასე უკან გადანეული არავის აქვს. მაშ, რა კარგია, ახლა თქვენ აიხვიეთ თვალები“. დათა წინააღმდეგი იყო, გუნებაზე არა ვარო, მაგრამ სხვებმა არ დააცალეს, უცბათ მოულოდნელად მის თვალებს აეკრა რბილი ქსოვილი.

დაბინდდა. ააშრიალა სიომ ფოთლები, აენთენ მთრთოლარე ვარსკვლავები. მთები ძაძებში შეიმოსნენ, აჭრიჭინდნენ ღამის მახარობელნი. და შეჰქმნეს დიდებული კონცერტი, მათ ბანს აძლევდნენ შორეული ტბის მცხოვრებნი ბაყაყები, რომელნიც მთვარის შუქში ბანაობდნენ.

მზიას სტუმრები გაჩუმებულნი გარს ურბენდნენ დათას, უკანასკნელი დაეძებდა მათ.

– დაგიჭირეთ, ქეთო ან მზია.

– რომელი ერთი? – მოისმა სხვების ხმა.

– ქეთ... არა მზია. – შესცდა, როდამი გამოდგა.

– ყმანვილებო, მობრძანდით აივანზე. – მოისმა грудной ხმა. წამოიფანტნენ ყველანი და ავარდნენ დიდ კიბეზე. დათა დინჯათ მათ გაჰყვა. განიერი აივანი მოყვითალო სინათლის შადრევანში იფლობოდა. აკინძული ყურძნის ფოთლები, გარეულ ვარდებში გადახვეული, სურნელებას ჰგვრიდა ჰაერს, ათრობდა ადამიანს, გულს უღელვებდა, მაგრამ ყმანვილები ძველებურად ოხუნჯობდნენ, თამამობის შემდეგ მადიანად შეეცქეოდნენ თბილ რძეს.

დათა იქვე კუთხეში მდგომ სავარძელში ჩაჯდა და ყნოსავდა სურნელ ჰაერს. მას არ ხიბლავდა საზოგადოების აღფრთოვანება, ის ღრმათ იყო თავის ფიქრებში წასული.

ისიც ვერ შეამჩნია, რომ მის უკან ვილაცა იდგა, ბოლოს აჩრდილი გაინძრა მის თვალების წინ. მიიხედა.

– დათა, რა დაგემართა, რას გაჩუმებულხარ? – მიუგო შოთამ და იქვე სკამზე ჩამოჯდა, – როდემდის უნდა გლოვობდე. დროა, თავი დაანებო ძველ ფიქრებს, შეხედე, რა მშვენიერებაა გარშემო, ნუ აწყინებ მზიას.

– რით ვაწყინებ, ის ძალიან მხიარულია და არც შემაძინევს. – მონოტონურად მიუგო ყმანვილ კაცმა და თვალეზი პოლს მიაბყრო.

– შენ გტანჯავს რაღაც, მეგობარო. შენ ნლოვანობაში და პესიმისტი?! ეგ არანორმალურია. შენ წიგნებმა სრულებით გადაგავარეს. ჩაიფალი ყელამდის. ზაფხულშიც კი დასვენება არა გაქვს.

– მე თვითონ არ ვიცი, რა მემართება, შოთა. უღალატე ჩემს იდიალს, ჩემს ნაზ იებს. – სასონარკვეთილებით აღიარა დათამ.

– კმარა, ბუნება თავისას თხოულობს. ახალგაზრდული მირაჟები გაჰქრენ. ეხლარეალური ცხოვრებას გაშიშვლებულს ხედავ! ჩაუფიქრდი და მალე შენში გადატეხა მოხვდება. ცხოვრება ცვალებადია. – დამრიგებელ კილოთი მიუგო თვითონ ყმანვილ შოთამ, მაგრამ უფრო ოპტიმისტური თვალსაზრისით. მის ბუნებაში სისხლი დუღდა. იგი მიისწრაფებოდა ცხოვრებისკენ და სურდა, ამოეწურა მთლად ის, რაც კაცი ბედნიერებას უწოდებს.

– მოვესწრებით უბედურებასაც და ბედნიერებასაც. დრო ბევრი გვაქვს. ეხლა კი უნდა ვმხიარულობდე. მზია, თქვენ სტუმარმა მოინყინა. – შესძახა შოთამ და წამოაყენა დათა, რომელიც მძიმეთ წამოდგა.

– მე, საუბედუროთ, ისეთ თალისმა არა მაქვს, რომ დათა გავაცინო, გავამხიარულო, იქნებ ცუდი დიასახლისიც ვარ. რა ვქნა?! – სთქვა მზიამ, ხელი ჩაჰკიდა დათას და ყველანი კალოსკენ წავიდნენ. ძნები უზარმაზარ დარაჯებათ ედგნენ განმენდილ კალოს. აქ ვარდების

მაგივრათ გამხმარ ბალახის სურნელება ტრიალებდა. შოთამ, თვალხუჭობა ვითამაშოთო. ყველა დასთანხმდა. დათვალეს და დათას ხვდა წილათ თვალების დახუჭვა. მოიფარა თუ არა თვალებთან ხელები ყველა გაიფანტა დასამალათ. უცბათ ყოველ მხრიდან გაისმა, დროა, დროა. დათა მარტოკა დატოვებული კარგად გრძნობდა თავს, სისუსტემ დაანება და მძლავრმა ტალღამ გაურბინა მის ძარღვებში. „კმარა ამდენი ტანჯვა. დღეს, დეე, დადგეს გადაგვარების ხანა“ და მხიარულად შესძახა: „მოვდივარ, კარგად დაიმალეთ“. შოთას სიტყვებმა იმოქმედეს, თუ რომ დათას სახეს ღიმილი მოედო, გაუბრწყინდა და მხიარული ნოტები მის გულიდანაც გაისმა. ყველას უკვირდა და უხაროდა. „გიპოვეთ, ქეთო და ვახტანგ, თქვენც, როდამ, ნუ იმალებით, თვალი მოგკარით. ის, ვინ მირბის, ვერ ვარჩევ, მიტო თუ შოთაა. მიტო მობრძანდით. თქვენც გხედავთ. ვინ დარჩა – შოთა და მზია. მაგათაც ვიპოვნი“. მოშორდა კალოს, სიბნელეში აშტერდებოდა, მაგრამ არავინ სჩანდა. უცბათ ერთ ძნის უკან შეამჩნია, ვილაც მიფოფხავდა. მთვარე იქ არ აშუქებდა. მიუახლოვდა და ქუდზე იცნო შოთა.

– შოთა, მოდი, მოდი, ნუ მოცოცავ. – გაიცინა დათამ და წამოაყენა მზია შოთას ქუდში და პალტოში.

– რა მეტამორფოზაა. რა ეშმაკი ხართ, მზია. – და გადაიხარხარა დათამ ისე, რომ სადღაც გამოძახილმაც უპასუხა.

– აი, როლები იცვლება. გაუცინარი ხელმწიფის ქალის მაგივრად მე, მზიამ გაგაცინეთ. მომილოცეთ.

– დიახ, ეს ხარხარი მალამოა მის წყლულისა. – სთქვა შოთამ და მძლავრათ ხელი ჩამოართვა მეგობარს.

ამ ჩამორთმევაში მადლობას უძღვნოდა ერთი მეორეს.

გვიან იყო, როცა დაიშალა ეს საზოგადოება. ყველა ბედნიერად გრძნობდა თავის თავს ამ მშვენიერ გამჭვირვალე ღამეს, ყველა შესტრფოდა ღამის გუშაგს, ყველას გულში ნათელი სხივი იღვრებოდა და ასპეტაკებდა ადამიანის სულს.

მთვარე ახლოვდებოდა თვის საწოლს. ირგვლივ სიჩუმეს მხოლოდ ბაყაყების ყაყანი არღვევდა.

აივანზე აღარ გაისმოდა მყლერალი ჰანგები. სინყნარემ მანდილი შეახო ყველას. მიინაბა. ფაქიზი მთვარე ბრწყინავდა და იდუმალობას უფრო აორკეცებდა. მხოლოდ მღელვარებით ფეთქავდა მზიას გული. გაცივებული, როგორც ანტიური ქანდაკება, თეთრ სამოსელში ძნას მიეყუდა, ბალიდან ოდნავ იფანტებოდა ყვავილების სურნელობა, ათრობდა მზიას და სტანჯავდა. ჰაეროვანი ღრუბლები ცხოვრებისავით გაიფანტნენ ცაზე. ვარსკვლავები იბადებოდნენ და ქრებოდნენ. მზიას თვალები, ისიც ვარსკვლავნი, ზევით ვარსკვლავებში ბედს კითხულობდნენ. გიშერი ნაწნავები ოქროს ზონარით გადახვეულნი მხრებზე დასწოლია მოთამაშე გველეზათ. ყორნის ფრთავგარი წარბები მარმარილოს შუბლზე გადაეჭიმნენ. მის ტუჩები ჩურჩულობდნენ: „რამ შესცვალა, რა სტანჯავდა დათას? მის თვალებში ცეცხლი ენთო, ღელავდა, როცა მემშვიდებოდა“. რალაც მოხვდა, ხელები უიმედოთ დაეშვნენ კალთებზე, ხვდებოდნენ თითები ერთმანეთს, კონვულსიურად იკუმშებოდნენ. უცბათ მის წინ გაირბინა ჩრდილმა, მზია შეკრთა, ამოეფარა ძნას, კალოს უკანასკნელი მთვარის შუქი ანათებდა. შავი სილუეტმა გადაირბინა პატარა გორაკი და ძნებისკენ გამოექანა. ქალს პირველად შეეშინდა. ბოლოს შუა კალოზე როცა გაჩნდა მოსული, მზიამ დათა იცნო. რალაცას ეძებდა. ყოველი კუთხე მო-

იარა. მალე აივნისკენ გაიქცა. იქაც აათვარიელ-ჩაათვა-რიელა და ისევ კალოს მოადგა.

– იქნებ უკეთესია, რომ დავკარგე, დანვას ვერ გავ-ბედავდი, – გაიგონა ჩუმი ლაპარაკი დამალულ მზიამ, – მაგრამ ვინც იპოვნის, არ მინდა, რომ ვინმემ ნახოს, მეტადრე...

– რას დაეძებთ ასე გაცხარებული? – მოულოდნე-ლად შეეკითხა დათას. უკანასკნელმა შესწყვიტა თა-ვის გულის ზრახვა და მიუბრუნდა ნაზ ხმის პატრონს.

– თქვენ, მზია, ასე გვიან?

– ეგ შეკითხვა მე უნდა გამეკეთებინა თქვენთვის?

– დიდი სიამოვნებით გაგიზიარებთ ჩემ აქ მოს-ვლას. საუბედუროთ, პატარა რვეული დამეკარგა აქ თამაშში და საძებნელად მოვედი, მაგრამ ვერსად ვპოვე.

– მოდით, ერთად მოვძებნოთ. – სთქვა მზიამ და ორივენი შეუდგნენ საქმეს. დიდი ხნის ფაცურის შემ-დეგ მზიამ წამოიყვირა, ვიპოვნე და იქვე გაშლილ პუ-რის კონაში ჩაჯდა. ინსტიქტიური იყო თუ განზრახ-ვით, დათამაც დაიჩოქა ქალის წინ.

– გმადლობთ და არა გმადლობთ კიდეც. ერთ მხრივ მინდოდა, დაკარგულიყო ეს წიგნაკი. მასში ჩემი წარ-სულია, მძიმე წარსული დაბეჭდილი. თქვენს ხელებშია ეხლა ჩემი გულის ვაება, ჩემი ფიქრები და აზრები. თუ ცოტა ოდენად გაინტერესებთ, გთხოვთ, წაიკითხოთ. ამ წიგნთან დაკავშირებულია ის, რისგანაც ეხლა გავი-კურნე და მალამოთ რა იყო...

– ის სიცილი. – ყრუთა სთქვა მზიამ და თვალი მი-აბყრო მოციმციმე ვარსკვლავებს.

– დიახ, მაგ სიცილმა. გემუდარებით, წაიკითხოთ ეს სტრიქონები და თქვენი საქმეა, როგორ გაიგებთ გო-დებას უბედურ დაკარგულ სულის. მზია, გესმით ჩემი

სიტყვები, თქვენ თითქოს ყურს არ მიგდებთ, მაგრამ, მაშ, რათ გიცემთ მძლავრათ მკერდი? მომისმინეთ, ამ შუქზე მე ვხედავ ყოველ ასოს ამ შავ რვეულში. მომისმინეთ. დასტურის მაგივრათ მზიამ ხელი გაუწოდა ყმანვილს. იგი სწვდა მას და აღარ გაუშვა. აქ ნანყვეტებია მხოლოდ.

„ბედნიერება შენ გენვია, ვარდები შენთვის იშლებიან, მზე შენ გეთამაშება და მთვარე გეამბორება. ცა ხალიჩათ გაქვს ფეხთ გაფენილი, თმაში ვარსკვლავნი გაქვს ჩაბნეულნი. შენ თვალეები სიცოცხლის წყარონი, სევდობდნენ ნაზადა. ნუ შემომცქერი ასე ტანჯვითა. გაჰქერ, გეყოფა“.

შემდეგი: „გახსოვს, თოვდა. თეთრ ქუდში შემომხვდი ქუჩაში ლოყებ დანითლებული, გაბრწყინებული სახით. ძლიერ ძალამ გამივლო მე ტანში და გამოგყევე. გეჭირა იები, ზამთარში იები, ვარდებში ჩაფლულნი ყველა გიყურებდა, სიცივე ავინყდებოდა. მოგდევდი ფეხდა ფეხთ, ნელის რხევით აუჩქარებლად მიდიოდი. თავი დაგვიკრა ვილაც კაცმა. შურით ამევსო საბრალო გული, შენც გაულიმე ციურის ღიმლით. მერე მორცხვად დახარე თავი და შეიყნოსე მსურნელი იები. უცბათ აცივდა, ნაცრისფრად შეიღება ქუჩები. ხალხი აიბუზა, შენ გაჰქერი დიდ სახლში. პირველად შეგხვდი და დამიმონე“.

– პოეტი ყოფილხართ, არ ვიცოდი აქამდის, – შევეკითხა მზია, – თქვენი იდეალი ვინ იყო და არის?

– მალე გაიგებთ. – მოსჭრა დათამ და განავრძო.

„კონცერტში იყავი, იები ქამარში ჩაგიბნევია, შავი კაბა ოქროთ მოქარგული თვალეებს მჭრიდა. ვერვის ვხედავდი, შენ იყავ, მარტო შენ, ჩემს წინაშე. ვილასაც ელაპარაკებოდი. ბოლოს მოიხედე, ალბათ, ჩემმა გიპნოზმა იმოქმედა და გამიღიმე. თაბრო დამესხა. სიმ-

კრთალე რომ არავის შეემჩნია, ძეგლს ამოვეფარე. შენი თვალები მწვავდნენ“. აქ მკითხველი შეჩერდა. მთვარე ნახევრადლა მოსჩანდა მთის მწვერვალიდან. მსმენელი კი არაფერს ამჩნევდა, თხოულობდა შემდეგს.

ლამის ცივ ნიაჲმა აუნენა თმა ორივეს.

დათა განაგრძობდა:

„გაგვაცნეს, ხელიხელს მივეცით. თვალი თვალს გაუყარეთ, გავიღიმეთ. ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით. მითხრეს, ერთ ცივ დღეს შენი მიჯნური ავად გახდაო. ჯერ არ დავიჯერე, ვერ წარმომიდგენია. ბოლოს წამოვხტი, გამოვარდი გარეთ. ვიყიდე იების კონები, მოვედი შენ სახლთან, არ შემიშვეს, უცხო ვილაცა ვეგონე. „ვერ მიგიღებთო, ძალიან ცუდათ არისო“. მუხლები ჩამეკეცა, იები დაეცნენ თეთრ ცივ საბანზე და თითქოს შესცივდათო. საჩქაროთ ავკრიფე, გულში ჩავიკარ და გამოვიქეცე. სახლში როგორ გავჩნდი, არ ვიცი. უმზერდი იებს და მასში ვხედავდი შენს უძირო თვალებს“.

სტრიქონები შესწყდნენ. მზიამ ღრმათ ამოისუნთქა. მთვარე აღარ იყო, მხოლოდ ვარსკვლავები თრთოდნენ.

დათა ასოებს ვერ არჩევდა. ის ზეპირათ ამბობდა:

„შენ უდიდესი ბედნიერება გინდოდა, მე მილალატე. მომწყვიტე ძირიანათ, გული ნაილე. გაფრინდი ჰაეროვან ნავით იქით მხარეში, სადაც საიდუმლოა, ლურჯ კამარაში ბრწყინავდა შენი სახე ზამბახებში ჩაფლულნი. თავს იის კონა გედო, ეგ ჩემი უკანასკნელი მსხვერპლი სიყვარულის სამსხვერპლოზე. ტაძარი დაინგრა. უკანასკნელი ამბორი, კონა იების და საშინელი სიბნელე. გარშემო არავინ იყო. შენ და მე. შენ – ცივი ვით მარმარილო, მე – გიჟი, დაობლებული.“

სანოლში რომ გდებდნენ, ცა ცრემლით იღვრებოდა. კვნესოდა ქარი. ეს უფრო მიორკეცებდა ტანჯვას.

კიდევ ერთი უიმედო კოცნა და საშინელი ქარტეხილი. ამ ბუნების საზარელ ცეკვაში მიხმობდნენ იები, შენი თვალები...”

– კმარა, აღარ შემიძლიან ამისთანა სულის კვეთება. შვიდობით. – უცბათ წამოხტა ქალი და სახლისკენ გაექანა.

დათა გაკვირვებული დარჩა.

იმ ღამეს მზიამ დანამა თავისი ბალიში ცრემლებით, დათას კი ახალ ტკბილ გრძნობამ დაუარა მთელ ძარღვებში. ცხელოდა, შუადღე გადანურული იყო. ახლომახლო მინდვრებიდან მუშების ოპუნა ისმოდა. მეგობრულად სჭრიდნენ ძნას. ბალის ფანჩატურში იჯდა მზია, ხელში წიგნი ეჭირა, მაგრამ არა კითხულობდა. მის თვალებში აზრი რაღაც ტრიალებდა. რა იყო გუშინდელი ღამე, ვისზე კითხულობდა დათა. ვინ იყო ის იისფერ თვალება. უცნობი გრძნობა აუთამაშდა, იჭვის ისარმა უჩხვლიტა.

– მზია! – მოესმა აივნიდან ახალგაზრდა სასიამოვნო ხმა, – გეყოფათ კითხვა, აქ მობრძანდით, საქმეა.

ამის გაგონებაზე მთლად აენთო ქალი, თითქო თავის ფიქრის შერცხვაო, უფრო ღრმად მიიმალა ყურძნის ფოთლებში. მისი სახე არავის უნდა დაენახა, მზეზე ძალიან ეს სინითლე სწვავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოირკვა: მის წინ იდგა დათა.

– მზია, ნუთუ ისე მოქმედობს ეს წიგნი, რომ ვერ მოიშორეთ თავიდან, აგაღელვავთ კიდევ, თვალებზე გეტყობათ. რამ გაგანითლათ? ალბათ ვინმე გმირი იღუპება, ან ჰკლავენ, თავს იხრჩობს, ათასგვარი მომენტებია რომანებში აღწერილი. ხა, ხა, ხა! რას იბღვირებით, მართალი არა ვარ?

– კმარა ხუმრობა, ბ-ნო დათა! – წამოდგა ქალი.

– რა ოფიციალობაა! მიკვირს. ნუ თუ გაგაჯავრეთ.  
– არა, აღშფოთებული ვარ, ყველაფერი მაჯავრებს.  
უცბათ მოლბა, ციურის ღიმილით გაიღიმა და მი-  
უჯდა ყმანვილს.

– დათა, მითხარით, ეგ რალაც საიდუმლოა, რა-  
ტომ არ გინდათ იმ ასულის სახელის თქმა? – ნაზად  
ეკითხებოდა ქალი.

– მისთვის სახელი არ მიმიცია.

– როგორ? – გაკვირვებულათ იკითხა მზიამ.

– უბრალოთ ფანტაზიაში სახელს უმცირესი ალა-  
გი უჭირავს.

– არ მესმის თქვენი ლაპარაკი.

– მზია, გაგხსნით ჩემს გულს, მაგრამ ერთ პირო-  
ბით – მათქმენით ჩემს ნაამბობის ბოლოში ორი სიტ-  
ყვა და პასუხი მითხარით.

თითქო გაიგო ქალმა, მორცხვით თვალები დახა-  
რა თანახმის ნიშნათ. დათაც შეკრთა.

– ეგ ჩემი კომმარი იყო. ფატა-მორგანა. ერთი წლის  
წინად ავად გავხდი საშინლად. ბოდვის დროს მომეველი-  
ნა ასული თეთრ მანდილში გახვეული. პირიდან ბადე  
მოიშორა თუ არა, დამიმონა. მას შემდეგ ყოველ ღამ ეს  
ჩვენება მესტუმრებოდა, იდეალურ ცხოვრებით ვითრო-  
ბოდი. როცა მოვრჩი, ეს ჩვენება არ მშორდებოდა, კვალ  
და კვალ დამდევდა. მწამლობდნენ, გამგზანეს კიდევ  
საზღვარ გარეთ. ასული უკან ლანდივით დამდევდა. მაგ  
წუთებში ბედნიერი ვიყავი. ის ჩემთვის ხორციელ სატ-  
რფოთ გარდაიქცა. ბოლოს კომმარათ გარდამექნა ეს  
განცდანი. მარტო რამდენიმე თვეა, რაც გავიკურნე, გა-  
ვიკურნე საშინელის სენისგან. მაინც მძიმე ლოდი გულს  
მანვა. ღამის წყვდიადში ლურჯი თვალები მიხმობდნენ.

ეხლა სავსებით დამიმონა სხვა ლურჯ თვალებმა შავ რკალით შემორტყმული. აი, ჩემი საიდუმლოება იცოდა შოთამ მარტო და ის განკურნების საათიც. ჩემი მკურნალი იყავით თქვენ, მზია, ჩემი სიცოცხლის ჩამდგმელი. ნუ მომიცილებთ თავიდან. გემუდარებით. თავისუფლად ამოისუნთქა ტანჯულმა სულმა. მზია უნებლიეთ მიეყრდნო დათას მხარს. თვალებს ვერ ახელდა, სანამ თვის ტუჩებზე მწვავე კოცნა არ იგრძნო.

„ჩემო ნაზო იებო, კვლავ გიპოვნეთ, ეხლა სამუდამოდ, რეალურად“. – ჩურჩულებდა დათა.

\* \* \*

მარო მაყაშვილი დაიბადა 1901 წლის 25 მარიაშობის თვეს (ძვ. სტ.). მისი მშობლები არიან თამარი (ეკატერინე გაბაშვილის ასული) და კონსტანტინე მაყაშვილები. სწავლობდა ქალთა ქართულ გიმნაზიაში, რომელიც დაასრულა 1919 წელს და შემდეგ ქართულ უნივერსიტეტში შევიდა სიტყვიერების სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე. ბუნებით უხვად დაჯილდოვებული, ცოცხალი და გამჭრიახი მარო მასთანავე იყო მეტად მორცხვი, კდემამოსილი და გულკეთილი. ქართული ლიტერატურა ზედმინევენით იცოდა. სწერდა მშვენიერის ქართულით და იმედს იძლეოდა, რომ ჩინებული მწერალი გამოვიდოდა მომავალში. სიკვდილის შემდგომ მას დარჩა ორი დიდი რვეული დღიურისა და პატარა მოთხრობები. ბეჯითად შეუდგა უცხო ენათა (ფრანგულისა და ინგლისურის) შესწავლას. აზრად ჰქონდა, ზედმინევენით შეესწავლა ეს ენები და კაზმულ სიტყვიერების კლასიკური ნაწარმოებები გადმოეთარგმნა პირდაპირ დედნიდან.

სამშობლოს აღდგენის და ქართველ ერის კეთილდღეობის იდეით იყო მთლად გამსჭვალული. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეისკენ იყო მიმართული მისი გონება და გული. იგი იყო მისი ოცნება და ცხოვრების მიზანიც. ამ იდეიამ იმსხვერპლა კიდევაც.

„შევარდნის“ დაარსებას მარო აღტაცებით მიეგება. იგი ჩაენერა შეგირდად და გულმოდგინედ, მიუხედავად ათასი დაბრკოლებისა, ხანდახან დაცინვისაც კი, იღებდა მონაწილეობას მის მეცადინობაში.

ამ საზოგადოების ავკარგიანობაში დაეჭვებულთ უპასუხებდა ხოლმე ლათინური აფორიზმით: „in corpore sano, sana anima“.\* 1921 წ. თებერვალში თბილისის გარშემო ახმაურდნენ ზარბაზნები. ვერავითარ მუდარამ, რჩევამ ვერ გასჭრა მაროზე. მე იქ უნდა ვიყვე, სადაც იღვრება სისხლი და ცრემლი თანამემამულეთაო. 17 თებერვალს იგი ჩაენერა წითელ ჯვარში მონყალების დად. იმავე დღეს სანიტარულ რაზმთან ერთად წავიდა კოჯრისაკენ. 19 თებერვალს სალამოს მის გვერდით გამსკდარმა ყუმბარამ არც კი დააცალა უკანასკნელი სალამი ეთქვა სამშობლოსა და მშობელთათვის.

*კოტე მაყაშვილი*  
1927 წ.

---

\* ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულიაო.

## პირთა საძიებელი

**აბაშიძე დათა** (1900–1919) – თელავში ახალგაზრდული კლუბის დამაარსებელი და პირველი ნაბეჭდი გაზეთის „ახალგაზრდა ქართველი“ რედაქტორ-გამომცემელი – გვ. 75, 76.

**აბაშიძე-ორბელიანი ნინო** (1831–1919) – პოეტი, სცენის-მოყვარე, ქველმოქმედი – გვ. 61.

**აბელიშვილი-მაყაშვილი ნინო** (1832–1889) – მაროს ბებია, კოტე მაყაშვილის დედა – გვ. 73.

**ავალიშვილი ელენე (ელო)** – მაროს მეგობარი, კლასელი – გვ. 7, 56, 57, 65, 85, 102, 103, 104, 112.

**ამირეჯიბი რუსუდან (რუსია)** – მაროს მეგობარი, კლასელი – გვ. 20, 22, 51.

**არიოზი** (256–336) – ალექსანდრიელი ერეტიკოსი მღვდელი, ღვთისგმობაში დადანაშაულებული ნიკეის პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (325) – გვ. 100, 101.

**აუერბახ ბერთოლდ (ბარუხ მოზეს)** (1812–1882) – გერმანელი მწერალი, პუბლიცისტი – გვ. 51, 52.

**აფხაზი ნიკოლოზ (ნიკუშა)** (1899–1987) – იურისტი, სამხედრო მოღვაწე, ილია ჭავჭავაძის დისშვილის – გენერალ კოტე აფხაზის ვაჟი, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 56.

**ბაგრატ III (ბაგრატიონი)** (დაახ. 960–1014) – გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე (975–1014) – გვ. 108.

**ბაგრატიონი-ორბელიანი ელისაბედ (ლიზა)** (1870–1942) – პოეტი, მთარგმნელი – გვ. 141.

**ბარათაშვილი ნიკოლოზ** (1817–1845) – პოეტი – გვ. 60.

**ბარნაბა** (დაახ. ძვ. წ. 14 – ახ. წ. 62) – ქრისტეს მოციქული, მარკოზ მახარებლის ბიძა – გვ. 102, 104.

**ბაქრაძე არჩილ** – სპორტსმენი, ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი – გვ. 112.

**ბაქრაძე ეკატერინე (კატო)** – მაროს კლასელი – გვ. 85, 101, 102, 104.

- ბეგაშვილი თედო** – მაროს მასწავლებელი – გვ. 61, 63, 66.
- ბეჟანიშვილი თამარ** – მაროს კლასელი – გვ. 56, 85, 100.
- ბერელაშვილი გაიოზ** (1893–1937) – სპორტსმენი, ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) ერთ-ერთი დამაარსებელი და წევრი – გვ. 112.
- ბერიძე გიორგი (გიგა)** – სპორტსმენი, ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) წევრი – გვ. 110.
- გაბაშვილი რევაზ (რეზიკო)** (1882–1969) – მაროს ბიძა; ინჟინერი, ისტორიკოსი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, გაზეთის „კლდე“ (1912–1915) დამაარსებელი, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 78.
- გაბაშვილი-მაყაშვილი თამარ** (1880–1972) – მაროს დედა – გვ. 30, 31, 32, 37, 38, 45, 53, 59, 69, 71, 73, 113, 169, 180, 181.
- განიბალ** (ძვ. წ. 246–183) – კართაგენის სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი – გვ. 122.
- გარინ-მიხაილოვსკი ნიკოლაი** (1852–1906) – რუსი მწერალი – გვ. 60.
- გეგეჭკორი ვეგენი** (1881–1954) – პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე (1917), საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი (1918–1921), იუსტიციის მინისტრი (1921); 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 57.
- გერასიმოვ ბორის (ბორია)** – კალათბურთელი, ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) წევრი – გვ. 112.
- გერმანოვა (კრასოვსკაია-კალიტინსკაია) მარია** (1884–1940) – მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი – გვ. 169.
- გოგოლაძე გიორგი (გოგა)** – სპორტსმენი, ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) წევრი – გვ. 82.
- გონჩაროვ ივან** (1821–1891) – რუსი მწერალი – გვ. 70, 71.

**გრიშაშვილი (მამულაიშვილი) იოსებ** (1889–1965) – პოეტი – გვ. 76.

**გუდიაშვილი ლადო** (1896–1980) – მხატვარი – გვ. 66.

**დ'არკი ჟანა** (1412–1431) – საფრანგეთის სახალხო გმირი, ფრანგების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მეთაური ინგლისელების წინააღმდეგ (1429–1430) – გვ. 182.

**დენიკინ ანტონ** (1872–1947) – რუსი მხედართმთავარი, გენერალ-ლეიტენანტი, თეთრი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი (1918–1920) – გვ. 54, 64, 67.

**დნეპროვ სერგეი** (1884–1955) – რუსი მსახიობი – გვ. 26, 27, 28, 49, 50.

**ევნატაშვილი გიორგი** (1885–1962) – სპორტსმენი, პედაგოგი, ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების „შეკარდენი“ (1918–1923) ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი – გვ. 106.

**ეკა** – მაროს კლასელი – გვ. 162.

**ერეკლე II (ბაგრატიონი) (პატარა კახი)** (1720–1798) – კახეთის (1744–1762), შემდეგ ქართლ-კახეთის (1762–1798) მეფე – გვ. 60, 72.

**ერისთავები** – მაროს ნათესავები ბებუის – ეკატერინე გაბაშვილის მხრიდან – გვ. 51.

**ვაჟა-ფშაველა** (1862–1915) – მწერალი – გვ. 60.

**ვანაძე ვავა** – მაროს მეგობარი, კლასელი – გვ. 34, 36, 55, 65, 85, 100, 159, 160.

**ვახტანგ** – გვ. 174.

**ვეინინგერ ოტტო** (1880–1903) – ავსტრიელი ფილოსოფოსი – გვ. 179, 180, 181, 182.

**ვილჰელმ II** (1859–1941) – გერმანიის იმპერატორი (1888–1918) – გვ. 39.

**ზალივსკი** – რუსი მსახიობი – გვ. 34.

**ზოლა ფრანსუა ემილ** (1840–1902) – ფრანგი მწერალი – გვ. 87.

**თამარ მეფე (ბაგრატიონი)** (1160–1213) – საქართველოს მეფე (1179–1213) – გვ. 96, 182.

**თამარ ილიას ასული (ილინიშნა)** – მაროს მასწავლებელი – გვ. 55, 56.

**თარხან-მოურავი-გაბაშვილი ეკატერინე** (1851–1938) – მწერალი, მაროს ბებია – გვ. 18, 45, 65, 129.

**თაყაიშვილი** – ინჟინერი – გვ. 178.

**თუხარული კოლა** – მაროს ნათესავი – გვ. 81, 83.

**თუხარულები** – მაროს ნათესავები – გვ. 81, 82, 83.

**იაშვილი პაოლო (პაულო)** (1894–1937) – პოეტი, ცისფერ-ყანწელი – გვ. 20, 21, 22, 24, 54, 56, 57, 58, 59, 76, 184.

**ინაშვილი ალექსანდრე (სანდრო)** (1887–1958) – მომღერალი, ქართული ვოკალური ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი – გვ. 55.

**კაჩალოვ (შვერუბოვიჩ) ვასილი** (1875–1948) – მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი – გვ. 167, 168, 169.

**კაშევსკი** – რუსი მსახიობი – გვ. 50.

**კერზონ ჯორჯ ნათანიელ** (1859–1925) – ინგლისელი პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი (1919–1924) – გვ. 139.

**კვინიტაძე გიორგი** (1874–1970) – სამხედრო მოღვაწე, გენერალი, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდალი (1918–1921), 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 172, 183.

**კირიონ II (საძაგლიშვილი გიორგი)** (1855–1918) – საეკლესიო მოღვაწე, პედაგოგი, ისტორიკოსი; სრულიად საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ (1917–1918) – გვ. 22.

**კიროვ (კოსტრიკოვ) სერგეი** (1886–1934) – საბჭოთა პოლიტიკური მოღვაწე, სერგო ორჯონიკიძესთან ერთად კავკასიაში მე-11 არმიის შემოსვლის ხელმძღვანელი (1919), რუსეთის ელჩი საქართველოში (1920) – გვ. 186.

**კონსტანტინე I დიდი** (272–337) – რომის იმპერატორი (306–337) – გვ. 99.

**კოპალეიშვილი დავით (კოპალი)** (1890–1937) – მწერალი, იურისტი – გვ. 56, 58, 59.

**ლეო** – მაროს მასწავლებელი – გვ. 57.

**ლეონიდე (ოქროპირიძე ლონგინოზ)** (1861–1921) – საეკლესიო მოღვაწე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (1918–1921) – გვ. 24, 58.

**ლივიცკაია** – რუსი ოპერის მსახიობი – გვ. 33.

**ლოკკ დევიდ როსს** (1833–1888) – ამერიკელი მწერალი – გვ. 127, 128, 131, 132, 133.

**მაზნიაშვილი გიორგი** (1870–1937) – სამხედრო მოღვაწე, გენერალი, აფხაზეთის, შემდეგ თბილისის ოლქის (1918) გენერალ-გუბერნატორი, სომხეთთან ომის მხედართმთავარი (1918–1919), ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი (1919), ბათუმის თურქებისგან გათავისუფლების მეთაური (1921) – გვ. 82.

**მაზნიაშვილი ივანე (ვანია)** (†1937) – გიორგი მაზნიაშვილის ვაჟი – გვ. 82.

**მაკედონელი ალექსანდრე დიდი** (ძვ. წ. 356–323) – მაკედონიის მეფე (ძვ. წ. 336–323) – გვ. 102.

**მამაცაშვილი გუგული** – მაროს კლასელი – გვ. 55.

**მამრადე გიორგი** – გვ. 159, 160.

**მარიამ (მაშო)** – მაროს ნათლია – გვ. 66.

**მარკოზ მახარებელი** (†68) – ქრისტეს მოციქული, პირველმოწამე – გვ. 102.

**მარჯანიშვილი თამარ** – მაროს კლასელი – გვ. 85.

**მაყაშვილი ბარბარე (ვარო)** – მაროს ბიძაშვილი – გვ. 76.

**მაყაშვილი აბელ (ბალო)** (1860–1920) – მაროს ნათესავი, გენერალ-მაიორი – გვ. 185.

**მაყაშვილი ალექსანდრე (საშა)** – მაროს ბიძაშვილი – გვ. 73.

**მაყაშვილი ბეჟან (ბორია)** (†1921) – მაროს ბიძაშვილი – გვ. 69, 74, 75, 174, 178, 179, 183, 184.

**მაყაშვილი ეკატერინე (კატუნა)** – მაროს და – გვ. 37, 181.

**მაყაშვილი ელენე (ელიჩკა)** – მაროს ბიძაშვილი – გვ. 73.

**მაყაშვილი ზაალ** (1886–1907) – კოტე მაყაშვილის ბიძა, გენერალ-მაიორი – გვ. 73.

**მაყაშვილი ზაქარია** (1826–1881) – მაროს ბაბუა, კოტე მაყაშვილის მამა – გვ. 73.

**მაყაშვილი კოლა** – მაროს ნათესავი – გვ. 76.

**მაყაშვილი კონსტანტინე (კოტე)** (1874–1927) – მაროს მამა, პოეტი, საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი თავმჯდომარე – გვ. 18, 19, 22, 31, 32, 33, 36, 37, 45, 46, 50, 53, 64, 66, 67, 71, 73, 82, 160, 180, 184.

**მაყაშვილი მიხეილ (მიშა)** (1899–1920) – მაროს ბიძაშვილი, იუნკერი, სომხეთთან ომში (1918-1919) გამოჩენილი მამაცობისთვის „თეთრი გიორგის“ ჯვრის კავალერი – გვ. 173, 174, 175, 176.

**მაყაშვილი ნუნუ** (1908–1988) – მაროს და – გვ. 34, 39, 44, 45, 46, 181.

**მაყაშვილი სოლომონ (სოლო)** (1855–1920) – გენერალ-ლეიტენანტი, მაროს ბიძა – გვ. 174.

**მაყაშვილი-ტაბიძე ნინო (ნინა)** (1900–1965) – ტიცვიან ტაბიძის მეუღლე – გვ. 21, 22, 141.

**მაყაშვილი ქეთევან (ქეთო)** (1869–1936) – სცენისმოყვარე, ქველმოქმედი, სოლომონ მაყაშვილის მეუღლე – გვ. 69, 74, 75, 76, 175, 176, 183, 184.

**მაყაშვილი შალვა (შალიკო)** (1903–1990) – მაროს ძმა, მხატვარი – გვ. 18, 38, 44, 45, 48, 63, 70, 77, 78, 120.

**მგალობლიშვილი ელენე (ელიჩკა)** – მაროს მეგობარი, კლასელი – გვ. 7, 20, 22, 24, 29, 34, 35, 38, 41, 51, 66, 77, 78, 80, 81, 82, 83, 85, 159.

**მგალობლიშვილი გიორგი (გოგა)** – მაროს მეგობარი, ელიჩკას ძმა – გვ. 7, 20, 22, 29, 34, 38, 41, 42, 51, 55, 76, 77, 78, 80, 82, 119, 120, 123.

**მგალობლიშვილი კონსტანტინე (კოსტა)** – მაროს მეგობარი, ელიჩკას ძმა – გვ. 34, 41, 42, 51, 77, 78, 80, 81, 82.

**მგალობლიშვილი პაატა (პატე)** – მაროს მეგობარი, ელიჩკას ძმა, ექიმი – გვ. 7, 20, 29, 34, 38, 41, 51, 52, 66, 77, 78, 80, 81, 83, 119, 120, 159.

**მერკვილაძე გიორგი (გოგია)** (1898–1987) – ტანმოვარჯიშე, სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923 წლები) წევრი, ზავშეთა სპორტის ნოვატორი – გვ. 106, 108.

**მიჟუხინ** – რუსი მსახიობი – გვ. 51.

**მიხაილოვსკი** – რუსი მსახიობი – გვ. 28.

**ნასიძე ნიცა** – მაროს კლასელი – გვ. 56, 61, 85, 99, 100, 101, 102, 103, 120, 161, 162.

**ნერონი (37–68)** – რომის იმპერატორი (54–68) – გვ. 99.

**ნიკოლაძე გიორგი** (1888–1933) – მათემატიკოსი, მეტალურგი, სპორტსმენი, პირველი ქართული სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) დამაარსებელი – გვ. 108, 109, 111.

**ნიკოლოზ II (რომანოვ)** (1868–1918) – რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი (1894–1917) – გვ. 78.

**ნინა** – მაროს მეგობარი – გვ. 180.

**ნინო** – მაროს მასწავლებელი – გვ. 66.

**ნინო წმინდა (III-IV სს.)** – წარმოშობით კაბადოკიელი ბერძენი, ქრისტიანობის მქადაგებელი და გამავრცელებელი საქართველოში (დაახ. 301-332), მოციქულთასწორი – გვ. 96.

**ნინუცა** – მაროს მეგობარი – გვ. 51.

**ოვანეზოვა-მაყაშვილი სოფიო (სონა)** – მაროს ბიძის, ილია მაყაშვილის, მეუღლე – გვ. 73.

**ორბელიანი თამაზ** (1899–1936) – თარჯიმანი, ელისაბედ ორბელიანის ვაჟი – გვ. 32.

**ორბელიანი ირაკლი** (1901–1954) – მუსიკოსი, პიანისტი, 1924 წლიდან ემიგრანტი, ელისაბედ ორბელიანის ვაჟი – გვ. 32.

**ორბელიანი ვახტანგ** (1812–1890) – პოეტი – გვ. 71.  
**ორდა** – ოპერის მომღერალი – გვ. 24, 27, 32, 33.  
**ოპჰენჰეიმ ჯეიმს** (1882–1932) – ამერიკელი მწერალი – გვ. 113.

**პოლიუბინსკაია** – რუსი მსახიობი – გვ. 27, 28.  
**პროკოფიევ ლიოვა** – სპორტსმენი, სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923 წლები) წევრი – გვ. 108, 111, 112.

**ჟიდ ანდრე** (1869–1951) – ფრანგი მწერალი – გვ. 14.

**რამიშვილი ნოე** (1881–1930) – პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველი თავმჯდომარე (1918), შინაგან საქმეთა, განათლებისა და სამხედრო მინისტრი (1919–1921), 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 186.

**რამიშვილი ტასო** – მაროს მეგობარი, კლასელი – გვ. 38, 39, 56, 57, 63, 66, 85, 99, 100, 101, 102, 104.

**რუსთაველი შოთა** (XII–XIII სს.) – პოეტი – გვ. 74, 104.

**რცხილაძე თამარ** – მაროს კლასელი – გვ. 56, 57, 82, 83, 85, 101, 102.

**საბანევა** – თბილისის ოპერის მსახიობი – გვ. 24, 27.

**საბახტარაშვილი კონსტანტინე** (1884–1938) – პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე – გვ. 186.

**საკსანოვა** – მსახიობი – გვ. 28.

**სანდრიკა** – გვ. 78, 80, 81, 82, 83.

**სარაჯიშვილი ვანო** (1879–1924) – მომღერალი, ქართული პროფესიული ვოკალური ხელოვნების ფუძემდებელი – გვ. 55.

**საყვარელიძე გიორგი (გოგა)** – სპორტსმენი, სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) წევრი – გვ. 111, 112.

**სენკევიჩ ჰენრიკ** (1846–1916) – პოლონელი მწერალი – გვ. 49.  
**სმირნოვ ივან** (1881–1936) – რუსი რევოლუციონერი, საბჭოთა პარტიული მოღვაწე – გვ. 186.

**სპიტკო** – მომღერალი – გვ. 55.

**სტოკს კლოდ** (1875–1948) – პოლკოვნიკი, დიდი ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი ამიერკავკასიაში (1920–1921) – გვ. 185.

**ტაბიძე ტიცთან (ტიტე)** (1895–1937) – პოეტი, ცისფერყან-ნელი – გვ. 21, 76, 141.

**ტანია** – გვ. 81.

**ტორსკი ვლადიმირ** (1888–1978) – რუსი მსახიობი და რეჟისორი – გვ. 26, 27, 50.

**უიდა (მარია ლუიზა დე ლა რამე)** (1839–1908) – ინგლისელი მწერალი – გვ. 129.

**უორდროპ მარჯორი** (1869–1909) – ინგლისელი მწერალი; „ვეფხისტყაოსნის“, ილია ჭავჭავაძის „განდევლის“, ქართული ხალხური ზღაპრების მთარგმნელი – გვ. 129.

**უორდროპ ჯონ ოლივერ** (1864–1948) – ინგლისელი მეცნიერი, მთარგმნელი, დიპლომატი, ინგლისში „საქართველოს საისტორიო საზოგადოების“ და ჟურნალის „Georgica“ დამაარსებელი, ამიერკავკასიის უმაღლესი კომისარი (1919–1920) – გვ. 140, 141, 142, 143.

**ფალავა აკაკი** (1887–1962) – რეჟისორი, პედაგოგი, თეატრმცოდნე, რუსთაველის თეატრის პირველი დირექტორი – გვ. 66.

**ქეთევან დედოფალი, წამებული** (†1624) – კახეთის მეფის დავით I-ის მეუღლე; ვაჟთან – თეიმურაზ I-თან ერთად კახეთის მმართველი (1606–1614); გამაჰმადიანების უარყოფის გამო, შაჰ აბას I-ის ბრძანებით, წამებით მოკლეს – გვ. 96.

**ლამბაშიძე მედეა (მედია, მედო)** – მაროს მეგობარი, ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის ქალიშვილი – გვ. 20, 39, 56, 57, 137.

**ღამბაშიძე სუნანა** – მაროს მეგობარი, ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილი – გვ. 20, 35, 39, 56, 57, 58, 59, 120, 137, 144, 158.

**ღალანძიძე ქსენია** – მაროს კლასელი – გვ. 85.

**ყაზბეგი ალექსანდრე** (1848–1893) – მწერალი – გვ. 11.

**შპილჭაგენ ფრიდრიხ** (1829–1911) – გერმანელი მწერალი – გვ. 7.

**ჩხეიძე ნუცა** (1881–1963) – მსახიობი – გვ. 20.

**ცავერინა** – მაროს კლასელი – გვ. 66.

**ციციშვილი** – ავიატორი, მიშა მაყაშვილის მეგობარი – გვ. 58.

**წერეთელი ირაკლი (კაკი)** (1882–1959) – პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი, 1921 წლიდან ემიგრანტი – გვ. 178.

**ჭავჭავაძეები** – გვ. 76.

**ჭინჭარაძე თამარ** – მაროს კლასელი – გვ. 81.

**ჯავრიშვილი დავით (დათა)** – სპორტსმენი, სატანვარჯიშო საზოგადოების „შევარდენი“ (1918–1923) ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელი – გვ. 111.

**ჯაფარიძე ლევან (ლელი)** (1890–1933) – პოეტი, ცისფერყანწელი – გვ. 24, 56.

**ჯაფარიძე ქეთევან (ქეთო)** (1901–1968) – მომღერალი, მაროს მეგობარი, ნოე ჟორდანიას პირადი მდივნის – კონსტანტინე ჯაფარიძის ქალიშვილი, იოსებ გრიშაშვილის მეუღლე – გვ. 7, 20, 21, 22, 26, 27, 28, 29, 32, 34, 35, 36, 38, 46, 51, 54, 55, 56, 57, 63, 65, 66, 77, 78, 85, 98, 112, 120, 121, 137, 143, 159, 178, 184, 185.

**ჯაფარიძე ეკატერინე (კატუნა)** – მაროს მეგობარი, კლასელი – გვ. 85.

**ჯუღელი ვლადიმერ (ვალიკო)** (1887–1924) – საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-დემოკრატი, სახალხო გვარდიის სარდალი, დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მომზადებისთვის – გვ. 122.

**ჰამსუნ (პედერსენ) კნუტ** (1859–1952) – ნორვეგიელი მწერალი – გვ. 168.

## სარჩევი

დღიური. 1918 წ.....	7
12 ახალი სტილით ივნისი .....	11
16 ივნისს.....	13
20 ივნისს.....	14
22 ივნისს.....	18
28 ივნისს.....	20
30 ივნისი.....	22
5 ივლისს .....	24
23 ივლისი.....	26
28 ივლისს .....	28
20 მარიამობისთვის.....	29
17 ენკენისთვის.....	30
19 ენკენისთვის.....	31
ენკენისთვის.....	32
25 ენკენისთვის.....	32
30 ენკენისთვის .....	32
8 ოქტომბერს .....	34
ოქტომბერი.....	34
ოქტომბერი 10-ს. 1918 წელს. 9 <sup>1</sup> / <sub>2</sub> საღამოს.....	36
9 ნოემბერს .....	36
18 ნოემბერს. 1918 წ. (Тифл. на воен. положен.) .....	39
1 დეკემბერს, 1918 წ. (ახალი სტილით).....	40
3 დეკემბერს .....	41
17 დეკემბერს (ახალი სტ.). 3 საათი შუადღ. ....	42
27 დეკემბერს .....	44
30 დეკემბერს, 1918 წელს .....	45
იანვარი 10. 1919 წ. ....	48
15 იანვარი .....	51
იანვარი. 1919 წ. ....	53
20 თებერვალი .....	54
23 თებერვალს. გაგრძელება 24. 1919 წ. ....	55
23 მარტს .....	60
V. 24 მაისი (ახალი სტ.). 1919 წ. თბილისი.....	63

(22 მაისი) 4 ივნისი .....	67
დაგვიანებული დღე, 26 მაისი, 1919 წ. საქართველოს თავისუფლების 1 წლის გამოცხადება .....	67
ქ. თელავი. 1919 წ. 21 ივნისი .....	68
25 ივნისს. 1919 წ. თელავი .....	70
იყალთო. 28 ივნისი. 1919 წ. ....	72
3 ივლისი. იყალთო .....	75
თელავი .....	75
10 ივლისს. თელავი.....	75
30 ივლისს .....	77
13 აგვისტო. 1919 წ. ახალქალაქი .....	78
22 მარიამობისთვის.....	80
29 მარიამობისთვის. 1919 წ.....	81
9 ენკენისთვის .....	83
VIII კლ. მოწაფენი. 1919-20 .....	85
მარიამობისთვის. 1919/20.....	87
1919 წ. მარიამობისთვის. ახალქალაქი. ნაღველი .....	88
2-ენკენისთვის. 1919 წ. ახალქალაქი. სურათი .....	91
მაისი. 1919 წ.....	96
თავისუფალი ქალი თავისუფალ საქართველოში. ოქროს სიტყვებია!.....	96
მე-VI კლასის სამღვთო რჯულის გაკვეთილი. 1917 წ....	98
24 ენკენისთვის .....	105
1919 წ. 3 ოქტომბერს. ქუთაისში მოგზაურობა .....	105
4 ოქტომბერს. ქუთაისი .....	107
ოქტომბერს 5-ს.....	110
ოქტომბრის 6-ს.....	112
რისთვის ღირდა სიცოცხლე .....	113
10 ნოემბერს .....	119
27 ნოემბერი .....	123
29 ნოემბერი, 2 საათი ღამისა .....	123
ნოემბერი .....	125
დეკემბრის 5. 1919 წ. ....	127
დეკემბრის 18-ს .....	131
1920 წელი!!! 1 იანვარი .....	134

31-1 იანვარი. 1920 წ. 12 საათი ღამის. „ხვალ ახალი წელია!“ .....	134
1920 წ. 8 იანვარს .....	137
რა არის მიზანი ცხოვრების???	139
XX საუკ. 1920 წ. 12 იანვარი (ახალი სტილით) .....	139
თბილისი. დიდი ზეიმი .....	139
17 იანვარი .....	141
იანვრის 23 .....	143
24 იანვარი .....	143
„შეხვედრა“ .....	144
მარტის 1-ს .....	159
გული .....	160
18 მარტს .....	161
სიზმარი .....	162
თვალეზი .....	163
19 მარტს. 1920 წ. თბილისი .....	164
16 აპრილს .....	166
16 აპრილი .....	168
25 აპრილი .....	168
აპრილი .....	170
28 აპრილი .....	171
3 მაისი. 1920 წელი .....	171
19 მაისს .....	177
მაისი .....	179
5 ივნისს .....	180
28 ივნისს .....	185
* * * (კოტე მაცაშვილი) .....	200
პირთა საძიებელი .....	202

